საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

# საქართველო და მსოფლიო

31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი, 2012

№41 (179)

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

სალომე ზურაბიშვილი:

## საააკაშვილის 19 რეჟიმის გასამართლება აუცილებელია

# რატომ წარადგინა პრემიერმა ყველაზე დაბალრეიტინგული პარტიის ლიდერი პარლამენტის თავმჯდომარედ?



ლევან ბერძენიშვილი:

## შეიძლება ივანიშვილი წელიწად-ნახევარში არც წავიდეს და დიდხანს დარჩეს პრემიერად 9



# წავა თუ არა წელიწად-ნახევარში ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან?



მამა ბასილ მკალავიშვილი: 10

## ამ კომპრომატით პირადად ვანო მერაბიშვილი მივიდა და ეუბნება სასულიერო პირებს: აი, ეს ხომ თქვენა ხართ, ახლა რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგიქვეყნებთ ყველაფერს...

# მამა ბასილი სააკაშვილთან წილნაყარ იერარქებს ასახელებს!

# ბუბააჯან, ვაზელინ ჩქა?! 8

## ბაჩო ახალაიამ წასვლის წინ 3 ბანდ-ფორმირებებს უბრძანა, წინააღმდეგობა გაუწიონ ახალ მთავრობას

გულბაათ რცხილაძე:

## მივმართავ მაია ფანჯიკიძეს – ამოძირკვოს სარეველა – გივი ჯაფარიძე 7 საგარეო საქმეთა სამინისტროდან!

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკა

**ვასილიჩი ხშირად გახვეულა კანონიერ ქურდებთან დაკავშირებულ სკანდალებში, მაშინ ყველას უკვირდა, საიდან ჰქონდა არცთუ „კაიბიჭური“ წარსულის მქონე ვასილიჩს ასეთი ფართო კავშირები ქურდულ სამყაროსთან. თუმცა, როგორც ჩანს, მათ, ვისაც ეს შეკითხვები უჩნდებოდა, არ იცოდნენ, ვინ არის გივიას სიმამრი.**

# თარგამაძე «ფრაერი» არ არის, — თარგამაძე «ფარმაზონია»!

**ქურდულ ჟარგონზე „ფრაერი“ ქურდული სამყაროსთვის უცხო პირს ნიშნავს, „ფარმაზონი“ კი — თაღლითს, ყალბი ძვირფასეულობის გამსაღებელს. გივი თარგამაძე ისე იქცევა, როგორც სააკაშვილის რეჟიმის სხვა წარმომადგენლები, და საზოგადოებას არწმუნებს, თითქოს „ქურდული სამყარო“ მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელია, სინამდვილეში კი იგი ნამდვილი „ფარმაზონია“, რომელიც „ხავერდოვანი რევოლუციების“ ყალბი ფასეულობებით ვაჭრობს.**



ბოლოხანს რუსეთში გივი თარგამაძის, იმავე „ვასილიჩის“ პოპულარობამ პიკს მიაღწია. მის მიერ რუსული ოპოზიციის ლიდერებისთვის რევოლუციის მოწყობის საქმეში აღთქმული დახმარების ჩანაწერის ირგვლივ მსჯელობენ ჟურნალისტები, ექსპერტები და უკვე სამართალდამცავებიც. საქართველოს, უკრაინის, ყირგიზეთისა და ბელარუსის „რევოლუციურ“ მომავალზე მზრუნველი „ვასილიჩი“ ველარ არის ისე ყოჩაღად, როგორც 2007 წელს, როცა მთელ საქართველოს ემუქრებოდა პირდაპირ ეთერში: „სულს ამოგხდითო“! თუმცა ჩვენთვის ამჯერად გივის პოლიტტექნოლოგობაზე მეტად მისი პირადი ცხოვრების დღემდე უცნობი დეტალებია საინტერესო.

რუსეთის პირველი ტელეარხის 27 ოქტომბრის სატელევიზიო გადაცემაში „ადამიანი და კანონი“ პუბლიცისტმა მიხეილ ლეონტიევმა განაცხადა: **„შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანიტარული ფასეულობებისა და დემოკრატიის იდეალების სამსახური გივი თარგამაძემ დაიწყო 15 წლის ასაკში, როდესაც სქესობრივ კავშირზე დაიყოლია 12 წლის მეზობელი ბიჭუნა. თარგამაძის მშობლებმა ფული დახარჯეს და სკანდალის მიფუჩეჩება მოახერხეს. იმ დროიდან, შეიძლება ითქვას, გივი თარგამაძეს არასოდეს უღალატია საკუთარი ფასეულობებისა და იდეალებისთვის“.**

ლეონტიევი აცხადებს, რომ მისი წყაროს სანდოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. თუ „ვასილიჩს“ ეყოფა „რევოლუციური სიმამაცე“, შეუძლია ლეონტიევს უჩივლოს პატივისა და ღირსების შელახვისთვის, თუმცა თავად იმ ქვეყანაში ბევრად უფრო უარეს დანაშაულშია ეჭვმიტანილი და, სავარაუდოდ, ამას ვერ გააკეთებს. გარდა იმ „ჰუმანიტარული“ ფასეულობებისა, რომელზეც გამჭვირვალედ მიანიშნა რუსმა ჟურნალისტმა, ირკვევა, რომ „ვასილიჩის“ პირადი ცხოვრება სხვა, დღემდე უცნობი დეტალებითაც ყოფილა მდიდარი. კერძოდ, „ქურდულ სამყაროსთან“ შეუპოვრად „მებრძოლი“ გივი თარგამაძის ოჯახში არის საკავშირო მასშტაბით ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ბეგლარ ხარაძე, მეტსახელად „ბუღა“.

მართალია, „ბუღა“ „ვასილიჩის“ პირდაპირი ნათესავი არ არის, მაგრამ არც შორებელია: „ბუღა“ მისი სიდედრის, მანანა ჩარგეიშვილის, მეორე ქმარია. ქალბატონი მანანა ინტერვიუში ამბობს: **„დღეს მე ვარ ბედნიერი ადამიანი. მყავს სამი ქალიშვილი, სამი სიძე და ოთხი შვილიშვილი. გარდა ამისა, გვერდით მიდგას საყვარელი ადამიანი“.** კითხვაზე – ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება, მეორედ შეექმნა ოჯახი? — მისი პასუხი ასეთია: **„საკმაოდ. ეს იყო 17 წლის წინ. სიმართლე გითხრათ, აღარ ვაპირებდი და აღარც ვფიქრობდი ამაზე. თუმცა ჩემმა მომავალმა მეუღლემ ძალიან იაქტიურა — გოგოებსაც შეაყვარა თავი და დღეს მათი მეგობარია. ძალიან კარგი ადამიანია და გოგოებსაც ძალიან უყვართ. მის ხელში გაიზარდნენ და გათხოვდნენ სამივე“.**

სხვა ქურდებისგან განსხვავებით, „ვასილიჩის“ სიდედრის მეორე ქმარს „რევოლუციურ“ საქართველოში პრობლემა არასოდეს შექმნია. მეტიც, სხვებისთვისაც ბევრი პრობლემის მოგვარებას ახერხებდა. სიძე, როგორც ქართული ფოლკლორი გვამცნობს, „მურტალი ნათესავია“, მაგრამ როგორც ჩანს არა ამ შემთხვევაში.

**ვასილიჩი ხშირად გახვეულა კანონიერ ქურდებთან დაკავშირებულ სკანდალებში, მაშინ ყველას უკვირდა, საიდან ჰქონდა არცთუ „კაიბიჭური“ წარსულის მქონე ვასილიჩს ასეთი ფართო კავშირები ქურდულ სამყაროსთან. თუმცა, როგორც ჩანს, მათ, ვისაც ეს შეკითხვები უჩნდებოდა, არ იცოდნენ, თუ ვინ არის გივიას სიმამრი.**

მადლიერი სიდედრი კი „ვასილიჩს“ ასე ახასიათებს: **„ყველაზე სტაჟიანი სიძე გივია. მართლა ძალიან მაგარი ადამიანია. ურთიერთობაში ძალიან თბილი და საოცარია. ძალიან ყურადღებიანია თითოეული ჩვენგანის მიმართ. ძალიან უყვარს საჩუქრების გაკეთება და ჩვენი გახარება. ხშირად ვმოგზაურობთ ერთად. ბოლოს ესპანეთსა და რომში ვიყავით. გივი მარტო ჩემ მიმართ არ არის ასეთი ყურადღებიანი. ის ყველა ჩვენგანს აქცევს ყურადღებას“.**

„ძალიან ყურადღებიანი“ რომ არის „ვასილიჩი“, ამიტომაც იკავებს თავს საკუთარი პიროვნების გამჟღავნებაზე ჩვენი რესპონდენტი:

**„ქვეყანაში, სადაც კრიმინალური ავტორიტეტის ნაცნობობაც კი კანონით ისჯება და ამ ბრალდებით რეალური ადამიანები რეალურ სასჯელებს იხდიან ციხეებში, არც გივი თარგამაძეს და არც მის სიმამრ „ბუღას“ პრობლემები არ შექმნიათ, მაგრამ რა ვუყოთ ამდენ დაყაჩაღებულ ბიზნესსა და ბიზნესმენს, ამდენ გაუბედურებულ ადამიანს? თუმცა გამონაკლისები აქაც არის. არსებობენ ისეთი ბიზნესმენები, რომლებიც არც დაუყაჩაღებიათ და არც დაუზარალებიათ. ისინი მშვიდად აგრძელებენ ცხოვრებას და ტკბებიან შვილების წარმატებით“.**

საუბარში ვარკვევთ, რომ ერთ-ერთი ასეთი ბიზნესმენი გუჯა ბუბუტეიშვილია. **„მისმა უმცროსმა ვაჟმა ამ ოთხი წლის წინ „ვასილიჩის“ ცოლისდა – 17 წლის თათა შეირთო ცოლად და ამით ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა. ბუბუტეიშვილი თავს დაცულად გრძნობს ქურდებისგან და მთავრობისგან. თავს დაცულად გრძნობს „ვასილიჩი“, რადგან ის ყველას და ყველაფერს იცავს, ზრდილობისა და ეთიკის ნორმების გარდა“.**

თუმცა ასე იყო 1 ოქტომბრამდე, ახლა კი ამ ადამიანების დაცულობა ისევე დაიწრიტა, როგორც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისა „ნაციონალური“ რეჟიმის ზეობისას. ახლა „ვასილიჩი“ სიმშვიდის გარანტიას ველარავის მისცემს. გუჯა ბუბუტეიშვილის „მცხეთის მარანში“ ხშირად ნადიმობდა მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა, მაგრამ ახლა არ ენადიმებათ. ამის იმედი აქვს **პოეტ რეზო ამაშუკელსაც**, რომელიც სამი წელი ებრძოდა გივი თარგამაძის ძმასა და სიდედრს: **„ეს კორპუსი, რომელიც ჩემი სახლის წინ ააშენეს, უკანონოდაა აშენებული. საუბარია აბაშიძის №42-ში მდებარე კორპუსზე, რომელიც გივი თარგამაძის ძმამ ააშენა. პატარა სახლი ჰქონდათ, ეზოში საპირფარეშოთი. მითხრეს, სამსართულიანი სახლის აშენებას ვაპირებთო. ვიფიქრე, ააშენონ, ცოდოები არიან, ჩემი რა მიდის-მეთქი. სულ მალე ექვსსართულიანი კორპუსი წამოჭიმეს ზუსტად ჩემს ფანჯრებთან. აივანზე ველარ გავსულვარ. სულ ჩამომიბნელეს ის ოთახიც, რომელშიც სახელოსნო მქონდა. მთელი სახლი ჩამობნელდა. მარტო მე კი არა, ეს პრობლემა ჩემი კორპუსის სხვა მცხოვრებლებსაც აწუხებთ, თუმცა არ ვიცი, ისინი რატომ არ აპროტესტებენ ამას. მერიაშიც შევიტანე საჩივარი. იმ დეგენერატ უგულავას მივწერე პირადად. მომწერეს, მოვალთო, თუმცა ერთ საათში გადაიფიქრეს. ამ ამბის ასე დატოვებას არ ვაპირებ. იურისტი არ ვარ და შეიძლება კანონებში ზუსტად ვერ ვერკვევი, მაგრამ, უკანონოდ რომ ააშენეს ამხელა კორპუსი და თანაც ბინებიც გაყიდეს შემდგომ, ფაქტია. მერიიდან შემომითვალეს, ვერაფერს დაგვაკლებ შენი საჩივრებით, „ფეხებს ვერ მოგვჭამო“.**

**ახლა ნახონ, საქმის განახლებას ვაპირებ და ვნახოთ ვინ დარჩება მოგებული. რომ გეკითხათ ნაცებისთვის, კორუფცია დავამარცხეთო. ამ სახლის აშენება კორუფცია არ იყო?! 8 წელია, ამ მტვერს ვყლაპავ. 3 წელი მატყუეს, ხან სად მატარეს, ხან სად. მიტაცებულ მიწაზე ააშენეს ეს სახლი. მიზერულ თანხას ვითხოვდი მაშინ, ბავშვი მყავდა საოპერაციო, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. 2010 წელს ეს სახლი მთლიანად აშენებული იყო. ბოლომდე ჩავყვები. ვინ ვის გაუშრობს სისხლს, ამასაც ვნახავთ. ამისთანა ბევრი აქვთ გაკეთებული მაგათ, მაგრამ გლახა ქვას წამოკრეს ფეხი“.**

## სახლის კი არა, სახლების მფლობელი «ვასილიჩის» ქონებრივ დეკლარაციაში რომ ჩაიხედოთ, გული დაგეთუთქებათ. თითქმის ყველა გრაფაში ბეჭედია დასმული «მონაცემები არ არის»

სახლის კი არა, სახლების მფლობელი „ვასილიჩის“ ქონებრივ დეკლარაციაში რომ ჩაიხედოთ, გული დაგეთუთქებათ. თითქმის ყველა გრაფაში ბეჭედია დასმული „მონაცემები არ არის“. **არ არის მონაცემები კიევის ცენტრში მდებარე ფეშენებელური სახლის შესახებ, რომელშიც უკრაინაში თვეობით მყოფი „ვასილიჩი“ ცხოვრობდა.** იქ მას საკუთარი ბიზნესი აქვს აწყობილი და, როგორც ამბობენ, საკმაოდ წარმატებულად.

**საქართველოში მის სახელთან სწორედ მშენებლობის ბიზნესია დაკავშირებული.** კომპანია „ბლექ სი გრუპის“ მფლობელი „ვასილიჩის“ ძმაა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთხანს გზების მშენებლობით იყო დაკავებული, მოგვიანებით კი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაც დაიწყო. რეზო ამაშუკელის სახლის წინ აშენებული კორპუსი მხოლოდ ერთია მათგან. თბილისის ყველაზე პრესტიჟულ უბნებში მშენებლობის უფლება და შესაძლებლობა სწორედ ამ კომპანიას ჰქონდა და აქვს დღესაც.

როგორც სააგენტო „პირველმა“ გაარკვია, **ყვარლის ტბის დასასვენებელი კომპლექსი სწორედ თარგამაძის ბიზნეს-მეგობრების მიერაა აშენებული.** მათვე ანდო სახელმწიფომ დურუჯის ტბის ანალოგიური კომპლექსის მშენებლობა. ცოტა ხნის წინ კი გივი თარგამაძის კუთვნილმა კომპანია „ბლექ სი სატმა“ ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე დაიწყო ოპერირება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შპს „ბლექ სი სატმა“ მაუწყებლობის ტრანზიტთან დაკავშირებული ავტორიზაცია მიმდინარე წლის 24 მარტს გაიარა. კომპანია მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელებას აპირებს. „ბლექ სი სატი“ (იგივე „მედიაქეიშენი“) 2011 წლის მარტში შეიქმნა. მისი დირექტორი და 5%-იანი წილის მფლობელი მამუკა ცქიტიშვილია. გიორგი აბუაშვილს ეკუთვნის 10%, თამარ გრძელიშვილს — 10%, ლევან გიორგაძეს — 5%, ხოლო **კომპანიის 70%-ის მფლობელი სწორედ თარგამაძის „ბლექ სი გრუპია“.**

თუმცა, როგორც არაერთი წყარო მიუთითებს, გივი თარგამაძის ძირითადი ბიზნესი მაინც რევოლუციების ექსპორტია. მიხეილ ლეონტიევის მინიშნების არ იყოს, „ჰუმანიტარული ფასეულობებისა და დემოკრატიული იდეალების“ ერთგულება „ვასილიჩს“ დღემდე მოჰყვება, მაგრამ ამ ერთგულებას ორი კომპონენტი სჭირდება – ფული და ძალაუფლება, გივი თარგამაძემ კი საქართველოში ახალი რეალობის დამკვიდრების შემდეგ ერთი უკვე დაკარგა და, სავარაუდოდ, არც მეორეს შეარჩენს ვინმე.

**ლილი მიროტაძე**

**P.S. ჩვენს კითხვაზე, არის თუ არა გივი თარგამაძის სიმამრი „კანონიერი ქურდი“, ბატონმა რეზო ამაშუკელმა ასე გვიპასუხა: „თარგამაძის სიმამრი ხარაგაულის რაიონიდანაა და ჩემი ნათესავის, მარინა ხარაძის, ძმაა. როგორც პატიოსან კაცს, ისე ვიცნობ. ზუსტად ვერ გეტყვით, კანონიერი ქურდია თუ არა. ჩემი ინფორმაციით, ერთი პატიოსანი ქართველი კაცია. დანარჩენი თქვენი ჟურნალისტების გადასამოწმებელია“.**

„მიხეილ სააკაშვილი ჯერ პრეზიდენტია და, თუ ესენი ახალმა ხელისუფლებამ არ დაშალა, დამნაშავეები თუ არ წარსდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე და ყველას თავისი კუთვნილი ადგილი არ მიეჩინა, მაშინ სააკაშვილს შეუძლია ამ ბანდფორმირების გადამალვაც და შემდეგ უკვე გამოყენებაც.“

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კახა მიქაია:

# ბაჩო ახალაიამ წასვლის წინ ბანდფორმირებებს უბრძანა, არ დაემორჩილონ არავის და წინააღმდეგობა გაუწიონ ახალ მთავრობას...

**ეს დღეებია, ბეჭდურ მედიასა თუ სხვადასხვა სოციალურ ქსელში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ სამეგრელოში ბაჩო ახალაიასდროინდელი შეიარაღებული დაჯგუფებები იმყოფებიან. თემას, რომელიც აწ უკვე თავდაცვის მინისტრმა (მაშინ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა) ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში წამოწია, აქტუალობა კახა მიქაიას მიერ რამდენიმე დღის წინ გავრცელებულმა ინფორმაციამ შეჰმატა.**
**მისი თქმით, ბანდფორმირებები ამჟამად ხობის მაჟორიტარი დეპუტატის, ბიზნესმენ გოდერძი ბუკიას კუთვნილ მიწაზე იმყოფებიან, სოფელ ხეთაში და, სავარაუდოდ, გარკვეულ მომზადებასაც გადიან. კონკრეტულად რა მიზნით შეიქმნა ეს დაჯგუფებები და რა საფრთხეს წარმოადგენენ რეალურად, ამ და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ დეტალურად თავად კახა მიქაია ესაუბრება.**





**«გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ დაჯგუფებაში არიან როგორც ყოფილი ზვიადისტები, ისე ყოფილი «ტყის ძმები» და მხედრიონელები...»**

**— ბატონო კახა, მას შემდეგ, რაც არჩევნები „ნაცმოძრაობის“ კრახით დასრულდა, ყველას ეგონა, რომ ის შეიარაღებული დაჯგუფებები, რომელთა შესახებაც ალასანია საუბრობდა, დაიშალა და გაქრა. თქვენ ამბობთ, რომ ის ისევ არსებობს. კონკრეტულად რა დაჯგუფებებზეა საუბარი?**

— ეს არის, როგორც თვითონ ამბობენ, მეორე ქვეითი ბრიგადა სენაკიდან, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ოფიციალური სტრუქტურების, თავდაცვის სამინისტროსა და განსაკუთრებით ნებაყოფლობითი რეზერვის საფარქვეშ ბაჩო ახალაიამ თავის დროზე შექმნა კრიმინალური ბანდფორმირებები, რომლებიც მხოლოდ მას ექვემდებარებოდნენ. სწორედ ეს ჯგუფები იმყოფებიან ახლა სოფელ ურთაში. ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაიამ, სავარაუდოდ, როცა დატოვა ქვეყნის ტერიტორია, უბრძანა ამ დაჯგუფების წევრებს, არ დამორჩილებოდნენ არავის და წინააღმდეგობაც კი გაეწიათ ახალი ხელისუფლებისთვის...

**— რამდენად ზუსტია ეს ინფორმაციები?**

— აბსოლუტურად ზუსტია. ახალაიამ ყველას მისცა ანალოგიური მითითება, იმიტომ, რომ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ბოლოს უკვე დაჯგუფების შიგნით აირია სიტუაცია. იქ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავის დროზე აფხაზეთშიც იბრძოდნენ, სამაჩაბლოშიც და 2008 წლის აგვისტოს ომშიც. ბაჩო ახალაიამ მოახერხა ყველას გაერთიანება და ერთი მიზნისთვის შეკრება. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ დაჯგუფებაში ასევე არიან როგორც ყოფილი ზვიადისტები, ისე ყოფილი „ტყის ძმები“ და მხედრიონელები...

**— ანუ ფორმირებაში არიან ადამიანები, რომლებიც არეულობის დროს სხვადასხვა მხარეს იდგნენ?**

— დიახ და როგორც ჩანს, საბოლოოდ სწორედ ამან გამოიწვია შიგნით გარკვეული უთანხმოება.

**— რა შეიძლება ამ დაჯგუფებებს მოუხერხდეს?**

— ჩემი აზრით, ახლა უკვე დადგა დრო, ახალმა ხელისუფლებამ ამაზე ღიად ისაუბროს და მოახერხოს ამ ბანდფორმირებების დაშლა. რა თქმა უნდა, ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, ვინაიდან ყველასთვის გასაგებია, რა სურდა ახალაიასა და მიხეილ სააკაშვილს...

**— დაჯგუფების რომელიმე წევრის ვინაობა თუა ცნობილი? ფოტო ან ვიდეომასალა თუ მოიპოვება, რომელიც მის არსებობას დაადასტურებს?**

— მათმა ერთ-ერთმა წევრმა ინკოგნიტოდ მისცა ინტერვიუ ჟურნალისტ ნანა ფაჟავას და, ფაქტობრივად, დაადასტურა ყველაფერი, რაზეც მე პირადად გასული წლის ოქტომბრიდან ვსაუბრობ. რა თქმა უნდა, ვიდეომასალაც არსებობს და მეტიც; თუ გახსოვთ, თავის დროზე მე ჟურნალისტებთან ერთად დავადექი მათ სქურში. ჯერ გვითხრეს, პოლიციელები ვართო, მერე — სამხედროებიო, ხოლო როცა ამის დამადასტურებელი საბუთის ჩვენება ვთხოვე, ვერაფერი წარმოგვიდგინეს. ასე რომ, საკმარისი ფოტომასალაც არსებობს, ვიდეოც და აუდიოც, ამიტომ, ვფიქრობ, თანდათან გამოაშკარავდება, რაც ჰქონდათ განზრახული ბაჩო ახალაიასა და მიხეილ სააკაშვილს, როცა ქმნიდნენ ამ კრიმინალურ ფორმირებებს.

**— რისთვის შეიქმნა, გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, დღევანდელ ვითარებაში, როცა ხელისუფლება უკვე შეცვლილია, რამდენად წარმოადგენს საფრთხეს ეს დაჯგუფება?**

— არა მგონია, საფრთხეს წარმოადგენდეს, მაგრამ ერთი რამ აღსანიშნავია: მიხეილ სააკაშვილი ჯერ პრეზიდენტია და, თუ ესენი ახალმა ხელისუფლებამ არ დაშალა, დამნაშავეები თუ არ წარსდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე და ყველას თავისი კუთვნილი ადგილი არ მიეჩინა, მაშინ სააკაშვილს შეუძლია ამ ბანდფორმირების გადამალვაც და შემდეგ უკვე გამოყენებაც. ამიტომ, ვიმეორებ, ახალი ხელისუფლების პირობებში სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ დაჯგუფებების დაშლა და გარკვევა იმისა, თუ ვინ ქმნიდა მათ, ვინ აფინანსებდა და საერთოდ, რისთვის შეიქმნა იგი.

**— გოდერძი ბუკიას სახელი ფიგურირებდა თქვენ მიერ შეიარაღებული დაჯგუფების არსებობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაში. რა შუაშია ეს პიროვნება? რა ფორმით მონაწილეობს ის ამ ყველაფერში?**

— გოდერძი ბუკიას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე იყო განლაგებული ეს ფორმირებები. ბუკია ფლობს სამას ჰექტრამდე ფართობს ურთის გზაზე და სწორედ იქ მიმდინარეობდა დაჯგუფების წვრთნები.

**— ფინანსურადაც ეხმარებოდა?**

— როგორც ვიცი, ის გარკვეულწილად აფინანსებდა კიდეც მათ.

**— ერთის მხრივ, უცნაურია, არჩევნების შემდეგ ბუკია „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა. თუ ის ახლა ახალაიას დაჯგუფებებს აფინანსებს, გამოდის, რომ ორმაგ თამაშს თამაშობს და „ოცნებაში“ ეს არ იციან?**

— არა მგონია, ახლა აფინანსებდეს, მე ადრინდელზე ვსაუბრობ. ის თავის დროზე სააკაშვილსაც აფინანსებდა და შევარდნაძესაც. **მართალია, ბიძინა ივანიშვილს ბუკიას დასაფინანსებელი არაფერი სჭირს, მაგრამ, რომ გადასკუპდეს „ქართულ ოცნებაში“ და განაცხადოს, ჯვარი არ მაქვს დაწერილი „ნაცმოძრაობაზეო“, არ გამიკვირდება. ასე გააკეთა წლების წინ, როცა შევარდნაძესთან იყო და სააკაშვილთან გადავიდა.** ასე რომ, ასეთ მხტუნავ პოლიტიკოსებზე ბევრს ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ.

**— ისე, როგორც ბიზნესმენს, სამეგრელოში რამე პროექტი ან ინვესტიცია თუ აქვს ამ წლების მანძილზე განხორციელებული?**

— ერთადერთი, რითაც მან რეგიონს თავი დაამახსოვრა, იყო მეგრული სიმღერების ფესტივალი. რაც შეეხება მის დანარჩენ საქმიანობას, დეპუტატობის პერიოდში ის რასაც აკეთებდა, ყველამ იცის. ხობი ისევ ისეთ პირობებში ცხოვრობს, როგორშიც შევარდნაძის დროს; და კიდევ, ოთხადგილიანი ტუალეტი გახსნა ხობის ცენტრში და არჩევნების წინ ოთხი ადამიანი დაასაქმა...

**«ახალი ხელისუფლების პირობებში სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ დაჯგუფებების დაშლა და იმის გარკვევა, თუ ვინ და რისთვის ქმნიდა მას და ვინ აფინანსებდა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო

## ავღანეთში კოალიციის ორი ჯარისკაცი მოკლეს

**ავღანელი პოლიციელის ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელმა ურუზგანის პროვინციაში ნატოს სამხედრო ბაზაზე ორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლა.** აშშ-ის თავდაცვის უწყების პრესსამდივნოს ინფორმაციით, ამ დროისთვის ჯერაც არაა დადგენილი, ნამდვილად იყო თუ არა მკვლელი ავღანეთის პოლიციის შტატიანი თანამშრომელი. პროვინცია ფახარში კი ამბოხებულებთან შეტაკებისას დაჭრილი იტალიელი ჯარისკაცი გარდაიცვალა.

## საფრანგეთში ერთსქესიანი ქორწინების საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

**ტრადიციონალური ღირებულებების დამცველმა ფრანგულმა ასოციაციამ პარიზსა და მარსელში მოაწყო მასშტაბური აქცია, რომელზეც ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზება და ჰომოსექსუალი წყვილთათვის ბავშვის აყვანის უფლების მიცემა გააპროტესტეს.** სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთათვის ამ უფლებების მინიჭება საფრანგეთში საკანონმდებლო ინიციატივით მოხდა. **„ერთი დედა, ერთი მამა — აი, როგორ უნდა ჩნდებოდნენ ბავშვები“,** — სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც სააკაშვილი 2004-ში ცდილობდა, მორიდებულად მოქცეულიყო, საზღვარგარეთ სარეისო თვითმფრინავით დადიოდა და ა.შ. ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ, ამბობდნენ, რომ ასე დიდხანს ვერ გაძლებს და აუცილებლად დახარბდება ძალაუფლების ძვირადღირებულ (და, როგორც წესი, საოცრად უგემოვნო) აქსესუარებს, მთელ ამ რეზიდენციებს, თვითმფრინავებს, ბრჭყვიალა ნივთებს და მომხმარებლებისგან ქებულ მასაჟისტ გოგონებს.**



# «ვარდების რევოლუციის» აჩრდილი

**ბოლოს და ბოლოს, რას ვუშვებით ავლაბრის რეზიდენციას? სარგებელი არ მოაქვს, ბევრ შუქს წვავს და, შესაბამისად, ნაგავს წერს, ობიექტის შენახვა და პერსონალისთვის ხელფასების გადახდა საკმაოდ ძვირი გვიჯდება.**
**იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას ფინანსურად არ ულხინს და, ამასთანავე, ძლიერ არასასურველი და უხერხულია, რომ მომავალი პრეზიდენტი ამ „ერთი ამპარტავნების მემორიალში“ დაბინავდეს. შენობა, სასურველია, გაიყიდოს ან გაქირავდეს. მართალია, იქ ჯერ კიდევ სახლობს მიხეილ სააკაშვილი, თუმცა ამ, ერთი შეხედვით შემაფერხებელმა ფაქტორმა შეიძლება დამატებითი შემოსავალი მოგვიტანოს. არის ორი გზა: უბრალოდ, გავასახლოთ სააკაშვილი რეზიდენციიდან ან შოტლანდიელი მაკლერების ტაქტიკა გამოვიყენოთ.**

**ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა საკუთარი ხელფასიდან 12.500 (ცხრა მეათედს) დოლარს ქველმოქმედებაზე ხარჯავს. თავად კი ერთი ჩვეულებრივი გლეხივით ცხოვრობს**

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მრავალმილიონიან სპეცფონდს საკუთარი ახირებებისთვის ხარჯავს, მას ბიუჯეტიც პირად სალაროდ მიაჩნია და შეიხივით ცხოვრობს**

















**როგორც ცნობილია, ბრიტანეთის კუნძულებზე, სახელდობრ, შოტლანდიაში არცთუ იშვიათად იყიდება სახლები და სასახლეები მოჩვენებებით, ეს გასაყიდი (გასაქირავებელი) ობიექტების ფასს ზრდის.** იქაური აფერისტები უმტკიცებენ კლიენტებს, რომ შენობაში ღამ-ღამობით დაბორიალობს ძველი მეპატრონის აჩრდილი, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ყოვლად უსამართლოდ მიახრჩვეს. ამავე დროს ისინი უთანხმდებიან მებაღეს, მეეზოვეს ან, უბრალოდ, ვინმე იქაურ ლოთს, რომელიც მცირე გასამრჯელოს სანაცვლოდ, თვეში რამდენიმეჯერ საღამო ჟამს მალულად კედლებს უკაკუნებს, კიბის საფეხურებს აჭრაჭუნებს ან სევდიანად ღმუის: „სადაა ჩემი ვისკი?“, შედარებით იშვიათად კი ზეწარშემოხვეული სასახლის შორეულ მისადგომებთან დაბორიალობს. ისტორიულ ეგზოტიკას მოწყურებულ მდიდარ ამერიკელებს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ძალიან მოსწონთ ეს „სახლები მოჩვენებებით“ და საბოლოოდ ყველა კმაყოფილი რჩება — კლიენტიც, მაკლერიც და ის ზეწარშემოხვეული ტიპიც.

**ჩვენ გვაქვს რეზიდენცია და გვყავს სააკაშვილი, რომელსაც ამ შენობასთან განშორება არ სურს და ეს ქმნის შესანიშნავ წინაპირობებს იმისთვის, რომ შოტლანდიური კომბინაცია გავათამაშოთ.** ვპოულობთ პირველ მდიდარ ამერიკელს, ვყიდით (ვაქირავებთ) ავლაბრის რეზიდენციას, პროექტის პირველ ეტაპზე იაფად (!) და ასე ერთი კვირის შემდეგ, როდესაც უცხოელი სტუმარი იმ გამჭვირვალე გუმბათში ავა, რათა ხედებით დატკბეს, უკნიდან ზეწარშემოხვეული სააკაშვილი მიეპარება, შესძახებს „მეტი სარგებელი ხაააალხს!“ და ჩვეულ სტილში გაიცინებს. ცხადია, ამის შემდეგ გაგიჟების პირას მყოფი უცხოელი გაიქცევა, რეზიდენციას ჩალის ფასად, თუ არა უფასოდ, დაგვიბრუნებს, რის შემდეგაც ახალ, მძაფრ შეგრძნებებს მოწყურებულ, მდიდარ ამერიკელს ვიპოვით და შოტლანდიურ მაქინაციას ახალ წრეზე დავატრიალებთ. ამ პროექტში მონაწილეობისთვის სააკაშვილი მიიღებს სამჯერად კვებას, სპეცტანსაცმელს და, რაც მთავრია, ავლაბრის რეზიდენციაში (სავარაუდოდ, სხვენში) ცხოვრების უფლებას, რომელიც მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანია. ფული? არა, ფული არ სჭირდება, ფული ისედაც აქვს. მეტიც, ჩვენ ვეტყვით, რომ ამ ფორმით მაინც შეძლებს სამშობლოსთვის სარგებლის მოტანას. **როდესაც „ვარდების რევოლუციის აჩრდილის“ ამბავი მსოფლიოს მოედება, ექსტრიმს მოწყურებული ტურისტების ნაკადი იმატებს.**

კიდევ რა შეიძლება ვუყოთ ცინიკური კაცთმოძულეობის ამ მონუმენტს, რომელზეც უკიდურესად გაჭირვებულ ქვეყანაში ასეულობით მილიონი დაიხარჯა? სხვათა შორის, **როდესაც სააკაშვილი 2004-ში ცდილობდა, მორიდებულად მოქცეულიყო, საზღვარგარეთ სარეისო თვითმფრინავით დადიოდა და ა.შ. ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ, ამბობდნენ, რომ ასე დიდხანს ვერ გაძლებს და აუცილებლად დახარბდება ძალაუფლების ძვირადღირებულ (და, როგორც წესი, საოცრად უგემოვნო) აქსესუარებს, მთელ ამ რეზიდენციებს, თვითმფრინავებს, ბრჭყვიალა ნივთებს და მომხმარებლებისგან ქებულ მასაჟისტ გოგონებს.**

ვერაფერს ვიზამთ, ეს მისი არჩევანი იყო, ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა კი სულ სხვა გზით წავიდა. ▶

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ვუყოთ ახლა ავლაბრის რეზიდენციას? ავიყვანოთ თუ არა, შოტლანდიელი მაკლერების მსგავსად, სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ მოჩვენების და აჩრდილის ვაკანსიაზე?

ხოსე ალბერტო მუხიკა კორდანოს ბობოქარი ახალგაზრდობა ჰქონდა. „ტუპამაროსის“ წევრი იყო (რადიკალური მემარცხენე ორგანიზაცია, რომელმაც ხელისუფლების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა), მეტსახელად „პეპეს“ ეძახდნენ, ვაჟკაცურად იბრძოდა და ერთ-ერთ შეტაკებაში მძიმედ დაიჭრა. 14 წელი ციხეში იჯდა, ხოლო მას შემდეგ, რაც დიქტატურა დაემხო, პოლიტიკაში ჩაება; იყო სენატორი და მინისტრი, 2010-ში კი პრეზიდენტი გახდა.

**პრეზიდენტის ხელფასის 87%-ს ხოსე მუხიკა ქველმოქმედებას ახმარს და საკუთარ თავს მხოლოდ 1250 დოლარს უტოვებს. ასე იქცევა მისი მეუღლეც, სენატორი ლუსია ტოპოლანსკი, რომელიც ასევე მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში.** ქართული ნეპოტიზმის გადამკიდე, ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მუხიკამ ცოლი გაასენატორა, თუმცა ეს ასე არ არის. 2005-ში, უკვე ხანში შესულები (პრეზიდენტი 1935-შია დაბადებული, მისი მეუღლე კი 1944-ში) დაქორწინდნენ, როდესაც ლუსია სენატორი იყო. ისინი მონტევიდეოს მახლობლად ფერმაზე ცხოვრობენ და ამბობენ, რომ საკუთარი შემოსავლით სავსებით კმაყოფილნი არიან. **ხოსე მუხიკას ყველაზე დიდი შენაძენი პრეზიდენტობის პერიოდში 1945 დოლარის ღირებულების ძველი „ფოლქსვაგენი-ხოჭო“ იყო. იქამდე თითქმის ოცი წელი მოტოროლერით დადიოდა, რომელიც ბანალურად სიძველისგან დაიშალა. პრეზიდენტის ოჯახს არ აქვს დანაზოგი ბანკში და არც ვალები აქვს. გავითვალისწინოთ, რომ ურუგვაი საქართველოზე გაცილებით მდიდარი ქვეყანაა, მას ხშირად „ლათინური ამერიკის შვეიცარიას“ უწოდებენ, თუმცა, ცხადია, ყველაზე დალხენილ ქვეყანაშიც კი ყოველთვის მოიძებნება სივრცე ქველმოქმედებისთვის, რომელსაც ურუგვაის პრეზიდენტი ხელფასის უდიდეს ნაწილს ახმარს.**

ხოსე მუხიკას არაერთი პოლიტიკური ოპონენტი ჰყავს, თუმცა არც ერთ მათგანს უმწვავესი პოლემიკის პროცესში ენა არ მოუბრუნდება, თქვას, რომ პრეზიდენტი ულირსი ადამიანია და, საერთოდ, **სიტყვებს „ჩვენი პრეზიდენტი“ დღეს ურუგვაიში განსაკუთრებული მოწიწებითა და სითბოთი წარმოთქვამენ, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ ეს კაცი, რომელმაც პარტიზანული ომისა და დიქტატურის საპატიმროების ჯოჯოხეთი გამოიარა, რაღაც მომენტში მივიდა ძალიან მნიშვნელოვან დასკვნამდე სიცოცხლის არსსა და აზრზე და გააკეთა არჩევანი, რომელიც უდავოდ დიდ პატივისცემას იმსახურებს.** ახლაც დადის სადღაც იქ, მონტევიდეოს ქუჩებში, ძველ კოსტუმში გამოწყობილი, 1982 წელს გამოშვებული „ფოლქსვაგენით“, ღირსეული პრეზიდენტი და საიმედო მთავარსარდალი, 77 წლის ხოსე ალბერტო მუხიკა კორდანო, ყველაზე ღარიბი და, შესაძლოა, ყველაზე ბედნიერი სახელმწიფოს მეთაური მსოფლიოში.

**მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ქართული საზოგადოება იოლად ეგუება იმ აზრს, რომ პოლიტიკოსს საშუალო მოქალაქეზე გაცილებით დიდი შემოსავალი შეიძლება (ან სულაც, „უნდა“) ჰქონდეს.** ის შინაგანად მზადაა, თვალი დახუჭოს ხელისუფალთა მცირე, პირად ქონებასთან დაკავშირებულ ცუღლუტობაზე; ამ მხრივ, ქართველები გაცილებით მომთმენნი არიან, ვიდრე ბევრი სხვა ერის წარმომადგენლები, თუმცა, ამავე დროს, ისინი არ პატიობენ პოლიტიკოსებს ზღვარგადასულობას, მარტივად რომ ვთქვათ, ღორობას და მას კონცენტრირებული სიძულვილით პასუხობენ. ძნელი სათქმელია, როდის გადალახეს სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებმა ეს უხილავი ზღვარი, თუმცა აშკარაა, რომ ამან მათ კრახში ერთ-ერთი მთავარი (ცხადია, არა ერთადერთი) როლი შეასრულა.

**როდესაც ღარიბ ქვეყანაში, მტკივნეულ და მეტწილად იდიოტურ რეფორმებს ატარებ და ავტორიტარულ მეთოდებს იყენებ, ალბათ, უნდა დაფიქრდე იმაზე, რომ ამ სიტუაციაში პირად პატიოსნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სამხრეთკორეული მოდერნიზაციის მამას, გენერალ პაკ ჩონ ხის, პირადი მიზნებისთვის ბიუჯეტიდან არც ერთი ცენტი არ გამოუყენებია. რა თქმა უნდა, ის იყო დიქტატორი, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ოპოზიციას, თუმცა მისი მოსისხლე მტრებიც კი აღიარებენ, რომ კორუფციის ამბავში გენერალი უმწიკვლო იყო, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად შეეძლო მილიონები მიესაკუთრებინა ისე, რომ კაციშვილი ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ მას სხვა ღირებულებები და ცხოვრებისეული ორიენტირები ჰქონდა.**

როდესაც ჩვენ დღეს ვათვალიერებთ იმ მდიდრული სახლების ფოტოებს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აიშენეს, ვაკვირდებით ავლაბრის რეზიდენციის ინტერიერს თუ ექსტერიერს ან იმ სურათებს, რომლებზეც უკიდურეს სტადიამდე გამომთვრალი უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები სტრიპტიზიორების გარემოცვაში ნებივრობენ, ალბათ, არა რისხვა, არამედ, უპირველესად, უდიდესი სევდა უნდა დაგვეუფლოს იმის გამო, რომ **ამ ადამიანებმა, როგორც ჩანს, ვერ გაიგეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის მთავარი მიზანი საკუთარი მოთხოვნილებების პომპეზურ დაკმაყოფილებაში როდი მდგომარეობს.** მდიდარ სახელმწიფოში, ასე თუ ისე, შესაძლებელია ერთმანეთს შეუთავსო ეფექტური პოლიტიკის გატარება და „კაი ცხოვრებით ტკბობა“ (თავი დავანებოთ იმას, რომ ეს, როგორც წესი, დეგრადაციით სრულდება), თუმცა საქართველოსავით ღარიბ ქვეყანაში ეს გამორიცხულია. აქ დიქტატორი (თუ მაინც და მაინც მათზე ვისაუბრებთ) ან პაკ ჩონ ხის გზით უნდა წავიდეს (როდესაც ის პრეზიდენტი გახდა, სამხრეთ კორეას საქართველოზე უარესად უჭირდა), ან ჩვეულებრივ წურბელად გადაიქცეს; არჩევანი კი იმ ღირებულებებზე დაყრდნობით კეთდება, რომელიც ადამიანმა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე გაითავისა.

ცხადია, **2003-ში არავის ჰქონდა ილუზია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ძველი კოსტუმებით ივლიდნენ და რკინის საწოლებზე დაიძინებდნენ, მაგრამ მათ მიერ ფარდობითი პატიოსნების გამოვლენის მოლოდინი საზოგადოებაში ნამდვილად იგრძნობოდა. სააკაშვილის ჯგუფმა სათანადოდ ვერ გააცნობიერა ამ ფაქტორის პოლიტიკური მნიშვნელობა ან, უბრალოდ, ვერ გაუძლო ცდუნებას და მალე მას ცხვირწინ აუფრიალეს ლოზუნგი, რომელსაც ადრე თვითონ იყენებდა: „ისინი ხალხის ხარჯზე მდიდრდებიან“.** საბოლოოდ კი, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამომრჩევლების დიდ ნაწილს აღარ სჯეროდა, რომ ხელისუფალნი ზრუნავენ რაიმეზე, პირადი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გარდა; რაღაც მომენტში საუბარი იმაზე, რომ სხვა მიზნებიც და ამბიციებიც აქვთ (პოზიტიური თუ, ოპონენტების აზრით, ნეგატიური, მნიშვნელობა არ აქვს), უბრალოდ, შეწყდა.

და მაინც, **რა ვუყოთ ახლა ავლაბრის რეზიდენციას? ავიყვანოთ თუ არა, შოტლანდიელი მაკლერების მსგავსად, სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ მოჩვენების და აჩრდილის ვაკანსიაზე? იმ სცენარებთან შედარებით, რომლებიც ბოლო დროს მის მომავალთან დაკავშირებით განიხილება, ეს ვარიანტი ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური ჩანს.** ღამ-ღამობით, წინდაუხედავად ჩაძინებულ სტუმარს ყურში ჩასჩურჩულებს ხოლმე: „პირველად ისტორიაში... დემოკრატიის შუქურა... ყველაზე არაკორუმპირებული...“, შემდეგ კი დაიკივლებს „მეტი სარგებელი ხააააალხს!“ და საზრალოს რეზიდენციიდან გააქცევს. არაფერი პირადული, უბრალოდ, ბიზნესი და უნიკალური შესაძლებლობა მისთვის, გახდეს იმ ისტორიის ნაწილი, რომელიც მის გარდა დიდად არავის აინტერესებს. **შეგვიძლია გავიხსენოთ ფინალური სცენა ბერნარდო ბერტოლუჩის 1987 წლის ფილმიდან, რომელშიც ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი პუ ი მუზეუმში (თავის ყოფილ სასახლეში) პიონერს ხვდება და ავლაბრის რეზიდენციაში მსგავსი სცენები დავდგათ, ოღონდაც რეალიტი-შოუს ფორმატით და სასპენსის ელემენტებით; ამ ტიპის პროდუქცია დღეს მსოფლიო ბაზარზე კარგად იყიდება.**

# რატომ აღარ მაუწყებლობენ ქართულ სატელევიზიო სივრცეში რუსული საინფორმაციო არხები OPT და PTP?

## ზურაბ ბაზლიძე: რუსული ფედერალური არხების გამორთვით გვაიძულეს უხეშად, ყოველგვარი შეტყობინებისა და გაფრთხილების გარეშე დაგვერღვია მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები

**2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ქართული ტელესივრცე რუსული საინფორმაციო არხებისთვის დაიბლოკა. ეს იყო შეშინებული სააკაშვილისა და მისი შეშფოთებული მთავრობის ერთობლივი გადაწყეტილება, რომელიც, ფაქტობრივად, დღემდე ძალაშია. კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით მაშინაც და ახლაც, ბუნებრივია, არსებობს და ინტერესიც შესაბამისად დიდია. ჩვენ შევეცადეთ, ამ კუთხით მკითხველის ცნობისმოყვარეობა დაგვეკმაყოფილებინა. Silkneti, Global-TV, Super-TV — ეს იმ პროვაიდერთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სწორედ ამ გადაწყვეტილების გამო რუსეთის საინფორმაციო არხებს საკუთარ სიხშირეზე არ უშვებენ.**




ზემოთ ჩამოთვლილმა კომპანიებმა ჩვენს კითხვას — **რატომ აღარ მაუწყებლობენ თქვენი ეთერით რუსული საინფორმაციო არხები ՐՅ0 და ՊՅՊ და რომელი საკანონმდებლო აქტის ან დოკუმენტის (ან ვისი წერილობითი თუ სიტყვიერი მითითების) საფუძველზე მოხდა ამ არხების სამომხმარებლო პაკეტიდან ამოღება?** — შემდეგი პასუხები გასცეს:

**თეონა წერეთელი — კომპანია Silkneti-ს პიარმენეჯერი:**

„აღნიშნულ არხებს საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობის უფლება არ ქონდათ, ანუ მათ არ გააჩნდათ შესაბამისი ლიცენზია, მაგრამ, თუ საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობისთვის ყველა საჭირო პირობა იქნება დაკმაყოფილებული, შესაძლებელია, არხების დამატებაზე შედგეს ურთიერთშეთანხმება“.

**ზურაბ ბაზლიძე — კომპანია Global Contact Consulting-ის განვითარებისა და მარკეტინგის დირექტორი:**

„ჩვენს ეთერში ამჟამად ჩართულია ბევრი საინფორმაციო არხი, მათ შორის რუსული ფედერალური არხებიც... რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, არა მხოლოდ RTR-თან, სხვა არხებთან დაკავშირებითაც, რისი მოთხოვნაც იქნება, დავიწყებთ მუშობას... ამისთვის ვაწარმოებთ აბონენტებისა და პოტენციური აბონენტების გამოკითხვებს საიტის, ფეისბუქისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. რაც შეეხება მითითების ფორმას, თავიდან ეს იყო სიტყვიერი მოთხოვნა, შესაბამისად, საფუძველიც არ იყო მითითებული... ჩვენ ვცადეთ რუსული არხების დაბრუნება ეთერში და დავაბრუნეთ კიდეც, მაგრამ ამას ისევ მოჰყვა ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ კომპანიას შეექმნებოდა დიდი პრობლემები... მათ შორის, საჯარიმო სანქციების მხრივ“.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ მარეგულირებელი კომისია ასეთ შემთხვევაში არხების **გათიშვის მიზეზად, როგორც წესი, ხელშეკრულების არქონას და არალიცენზირებულ მაუწყებლობას ასახელებს,** ამასთან დაკავშირებით კომპანია Global-TV-ში გვითხრეს: „ჩვენ ყველანაირი ხელშეკრულება გვქონდა და სრულიად კანონიერად იყო ეს არხები ჩვენს სამაუწყებლო პაკეტში ჩართული, **დაგვიბარეს და მოგვთხოვეს, დაგვეწერა, რომ ეს არხები ჩვენი ინიციატივით, ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე გამოვრთეთ. ფაქტობრივად, რუსული ფედერალური არხების გამორთვით გვაიძულეს, უხეშად, ყოველგვარი შეტყობინებისა და გაფრთხილების გარეშე დაგვერღვია მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ამ ყოველივეს ფონზე, თავად განსაჯეთ, იყო თუ არა ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება“.**

მართლაც და, ჩვენ ნათლად ვხედავთ იმასაც, რომ, Global Contact Consulting-ისგან განსხვავებით, კომპანია Silkneti სულ რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლება და მარეგულირებელს არც კი ახსენებს. **ნუთუ SILKNETI-მა თვითნებურად ამოიღო საკუთარი სამაუწყებლო პაკეტიდან რუსული არხები და ეს ყოველივე 2008 წლის ომისშემდგომ პერიოდს შემთხვევით დაემთხვა?**

მიუხედავად ჩვენი არაერთი მიმართვისა და თხოვნისა, პასუხი გაეცათ ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე, კომპანია Super-TV-მ დუმილი ამჯობინა. რამდენად მისაღებია და დროული Super-TV-ს დუმილი, ვინ იცის. ის კი ცნობილია, რომ დუმილი ზოგჯერ თანხმობის ნიშანიცაა...

ყოველივე ამის საფუძველზე, ჩვენ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას“ მივმართეთ, დავუკავშირდით მის პრეს-ცენტრს. ქალბატონმა ხატია ყურაშვილმა ჩვენთან პირდაპირი საუბარი არ ისურვა და გვთხოვა, კითხვები მისთვის ელ-ფოსტით გაგვეგზავნა. ასეც მოვიქეცით და მის მიერ მოწოდებულ მისამართზე გავაგზავნეთ შემდეგი კითხვები:

**რატომ აღარ მაუწყებლობენ ქართულ სატელევიზიო სივრცეში რუსული საინფორმაციო არხები OPT და PTP?**

**რომელი საკანონმდებლო აქტის ან დოკუმენტის (ან დებულების, პუნქტის მუხლის, ქვემუხლის) საფუძველზე მოხდა ამ არხების სამომხმარებლო პაკეტებიდან ამოღება?**

**ხომ არ იყო ეს მარეგულირებლის პოლიტიკური გადაწყვეტილება და შემდეგ პროვაიდერებისთვის პირდაპირი მითითება ან დაკვეთა?**

**თუ ამგვარ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რამდენად კანონიერია აღნიშნული ქმედება?**

ქალბატონმა ხატიამ რომ არ გვიპასუხა, რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევახსენეთ თავი, მაგრამ მის პასუხებს დღესაც ამაოდ ველით.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ „მარეგულირებელი“ მიზანმიმართულად არიდებს თავს ჟურნალისტების შეკითხვებს ან იქნებ ირაკლი ჩიქოვანს მართლაც აქვს რაიმე დასამალი და პრესსამსახურს ამოეფარა?!

**ეკა კახიანი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამა, გამარჯვების შემთხვევაში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მატარებელს იმავე სიჩქარით წაიყვანს, ხოლო რომნი — ოდნავ უფრო სწრაფად, თანაც სიგნალს აქტიურად გამოიყენებს, თუმცა დრამატული ცვლილებების მოლოდინი აუდიტორიას ნამდვილად არ გასჩენია. მართალია, რომნის საგარეოპოლიტიკურ პროგრამაში არის მთელი რიგი პუნქტებისა, რომლებმაც რეალიზების შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად გააღრმაოს აშშ-ჩინეთისა და აშშ-რუსეთის კონფრონტაცია, მაგრამ მათ პრაქტიკულ რეალიზებამდე საქმე შეიძლება არც მივიდეს**

# ობამა, რომნი და სახიფათო ილუზიები




**საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეერთებულ შტატებში ერთი კვირაღა დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, მიმდინარე ცვლილებების გამო, ინტერესმა უცხო ქვეყნებში განვითარებული მოვლენების მიმართ მნიშვნელოვნად იკლო, ამერიკულ არჩევნებს მაინც საკმაო ყურადღება ეთმობა. საინტერესოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები, ლამის სრული შემადგენლობით, მიტ რომნის გულშემატკივრობენ და იმედოვნებენ, რომ რესპუბლიკელების გამარჯვება სააკაშვილის ჯგუფის ხელისუფლებაში დაბრუნებას ხელს შეუწყობს. მათი ოპონენტების სიმპათია ბარაკ ობამას მიმართ ასე მკვეთრად გამოხატული არაა და მას „ნაციონალებისთვის" დამახასიათებელი კვაზირელიგიური ექსტაზი არ ახასიათებს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი დემოკრატების კანდიდატს არ გულშემატკივრობენ. შტატებში კი მოვლენები მეტად დრამატულად ვითარდება და აშკარაა, რომ ინტრიგა არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე შენარჩუნდება.**

## მოულოდნელი ნოკდაუნი

3 ოქტომბრის დებატებამდე ობამას, ასე თუ ისე, მშვიდად ეძინა, ყველა გამოკითხვაში მისი მცირე, თუმცა სტაბილური უპირატესობა ფიქსირდებოდა, ის რომნის 4-6%-ით უსწრებდა. შემდეგ კი სრული კატასტროფა მოხდა. დებატების პირველ რაუნდში ობამა ძალიან სუსტად გამოვიდა, ის დაღლილად, ზოგიერთ ეპიზოდში კი დაბნეულად გამოიყურებოდა და ამის აღიარება მისი გუნდის ზოგიერთ წარმომადგენელსაც კი მოუხდა. ეს მოულოდნელი და შოკისმომგვრელი მარცხი იყო, რომელმაც რეიტინგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, რომნიმ არა მხოლოდ დაფარა ის დისტანცია, რომელიც ლიდერს აშორებდა, არამედ, ზოგიერთი გამოკითხვის თანახმად, წინ გაიჭრა. მართალია, მისი უპირატესობა სტატისტიკური ცდომილების ფარგლებს არ გასცდენია, მაგრამ აშკარა გახდა: თუ ობამა მეორე დებატებსაც იმავე სტილში ჩაატარებს, ჩემოდნების ჩალაგება და თეთრი სახლიდან წასვლა მოუწევს. პრეზიდენტი ფორმაში ჩადგა, 16 და 22 ოქტომბრის დებატები მძიმე ბრძოლაში ძალიან მცირე უპირატესობით მოიგო კიდეც, მაგრამ 3 ოქტომბრის ნოკდაუნის შედეგების სრული აღმოფხვრა ვერ მოახერხა.

ცხადია, არ შეიძლება რეიტინგების მიზმა მხოლოდ დებატების შედეგებზე, მათ ცვლილებაზე მოქმედებს კამპანია მთლიანობაში, თუმცა 3 ოქტომბერმა წარმოქმნა მეტად ანგარიშგასაწევი, ობამასთვის ნეგატიური იმპულსი, რომელმაც ფინიშის სწორზე შეჯიბრი ძალიან დრამატული გახადა. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **ობამასთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის შთაბეჭდილება, რომელსაც აუდიტორიაზე ახდენს, რადგან მისი ამომრჩევლებისთვის საიმიჯო შემადგენელს და მისგან გამომდინარე სიმპათიას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.** მაგალითად, ერთ-ერთ გამოკითხვაში ობამას „კარგი ადამიანი" რესპონდენტების 47%-მა უწოდა, რომნის კი — მხოლოდ 31%-მა, მეორეში კი 53%-მა განაცხადა, რომ ობამას მიმართ „დადებითი დამოკიდებულება აქვს", რომნიზე იგივე 28%-მა თქვა. თუ ამ შედეგებს მივუსადაგებთ იმ რეიტინგებს, რომლებიც ასახავენ იმას, თუ ვისთვის აპირებენ ხმის მიცემას ამომრჩევლები, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ **რომნის არგუმენტაცია მათ უფრო დამაჯერებლად ეჩვენებათ, ხოლო ობამა უფრო მოსწონთ.** საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რომნის შტაბმა მთლიანობაში ძალიან კარგად იმუშავა და მოახერხა ნაკლებად მიმზიდველი, ძნელად „დასამუშავებელი" კანდიდატისგან, მარტივად რომ ვთქვათ, „კანფეტი გაეკეთებინა", ხოლო ობამას შტაბმა იმთავითვე არსებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო.

**ობამას კიდევ ორი პრობლემა აქვს. მისი ამომრჩეველი შედარებით „ზარმაცია", მისი მხარდამჭერების ნაწილი 6 ნოემბერს შეიძლება საარჩევნო უბანზე არ მივიდეს. მაშინაც კი, როდესაც ობამა რეიტინგებში 5-6%-ით ლიდერობდა, იმ ამომრჩეველთა შორის, რომლებიც აცხადებდნენ, რომ არჩევნებზე დანამდვილებით მივლენ, ეს უპირატესობა 1-2%-მდე იკუმშებოდა.** ამასთანავე, არსებობს ერთი უცნაური ფენომენი, რომელიც 2008 წლის არჩევნებზე დაფიქსირდა: ზოგიერთ ამომრჩეველს, პოლიტკორექტულობიდან გამომდინარე, ეუხერხულებოდა იმის თქმა, რომ ხმას პირველი შავკანიანი კანდიდატის წინააღმდეგ მისცემს, თავს ობამას გულშემატკივრად აცხადებდა ან ამბობდა, რომ ჯერ არაფერი გადაუწყვეტია, ხოლო მხარი საბოლოოდ ჯონ მაკკეინს დაუჭირა; ასე ზოგიერთი შენიღბული რასისტიც მოიქცა. **მართალია, წლევანდელი არჩევნები ობამასთვის პირველი აღარ არის და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „უჩვეულობის და უხერხულობის" ფაქტორის მნიშვნელოვნება თითქმის განულდა, მაგრამ ის მაინც არსებობს და ობამას პერსპექტივაზე ცუდად მოქმედებს.** მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ამომრჩევლები, სადღაც 1-2%-ის ფარგლებში არიან ლოკალიზებულები, დღეს, როდესაც ბრძოლა პროცენტების მეათედებისთვის მიდის, ამ პრობლემის (მისი მასშტაბის ზუსტი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია) მნიშვნელობა იზრდება.

**ორივე კანდიდატი ცდილობდა, საგარეო პოლიტიკიდან გადასულიყო საშინაო პრობლემებზე, რომლებიც ამომრჩეველს უფრო აინტერესებდა. რომნი, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ნაკლებად კომპეტენტურია ფრთხილობდა; ობამა კი უტევდა, რადგან სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ჰქონდა**

3 ოქტომბრის მძიმე მარცხისა და რეიტინგის ვარდნის მიუხედავად, ობამას შანსები ოდნავ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება; ექსპერტების შეფასების შეჯამებას მაინც ამ დასკვნამდე მივყავართ, თუმცა ისიც აშკარაა, რომ დღეს დემოკრატების კანდიდატი ბეწვის ხიდზე გადის. 6 ნოემბერს ამერიკელი ამომრჩევლები თავის პოზიციას დააფიქსირებენ, ჩვენთვის კი, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ცალკე განვიხილოთ 22 ოქტომბრის დებატები, რომელიც აშშ-ის საგარეო პოლიტიკას მიეძღვნა.

## ტყუპისცალივით ხარ ახლობელი...

ის, რაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხდება, დღეს ამერიკელ ამომრჩეველს ნაკლებად აღელვებს, „გელაპის" მიერ გამოკითხულთა მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკა აინტერესებთ, დანარჩენებმა კონცენტრირება შიდაამერიკულ, უპირველესად, ეკონომიკურ პრობლემებზე მოახდინეს. დებატების წინ პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა, გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ იმ ამომრჩევლების უმრავლესობას, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობს, უმრავლესობა ქალია, რომლებსაც, გამოკითხვების თანახმად, საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო ნაკლებად აინტერესებდათ, ვიდრე მისადმი ფრიად ინდეფერენტულ მამაკაცებს; ამიტომ მთავარი აქცენტი შტაბებმა აგრესიულობაზე გააკეთეს, კანდიდატი არ უნდა წარმოჩენილიყო ზედმეტად აგრესიულად, ანუ საშიშად, თუმცა ამავე დროს ძლიერი და თანმიმდევრული ლიდერის შთაბეჭდილება უნდა შეექმნა. **ორივე კანდიდატი ცდილობდა, საგარეო პოლიტიკიდან გადასულიყო საშინაო პრობლემებზე, რომლებიც ამომრჩეველს უფრო აინტერესებდა. რომნი, რომელიც საგარეო პოლიტიკაში ნაკლებად კომპეტენტურია (ეს იმდენად აშკარაა, რომ ამას ზოგიერთი მისი მხარდამჭერიც კი არ უარყოფს) ფრთხილობდა; დროდადრო იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის თანახმაა „ფრეზე" და არ სურს მწვავე პოლემიკაში შესვლის დროს მძიმე შეცდომები დაუშვას და 3 ოქტომბერს მოპოვებული უპირატესობა თუნდაც ნაწილობრივ დაკარგოს. ობამა კი უტევდა, რადგან სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ჰქონდა.** კომენტატორების უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ დებატებ- ▶




მოკლედ

## აზერბაიჯანმა სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობა აღიარა

**აზერბაიჯანმა სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობა აღიარა და დიპლომატიური ურთიერთობებიც დაამყარა.** როგორც ცნობილია, სამხრეთ სუდანმა სუვერენული სტატუსი მიიღო 2011 წლის 9 ივლისს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, სუდანის მიერ ოფიციალურად აღიარების შემდეგ. ამავე წლის 14 ივლისს ახლადშექმნილი სახელმწიფო გაეროს 193-ე, ხოლო 28 ოქტომბერს იუნესკოს 194-ე წევრი სახელმწიფო გახდა. საქართველომ სამხრეთ სუდანთან დიპლომატიური ურთიერთობები 2012 წლის ივნისში დაამყარა.

## მეჩეთში ტერაქტის შედეგად ავღანეთში 40 ადამიანი დაიღუპა

**ჩრდილოეთ ავღანეთში მეჩეთზე თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმას 40 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა, 50-ზე მეტი დაჭრილია, მათ შორის ბევრი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.** გავრცელებული ცნობებით, დაჭრილებს შორის არიან რეგიონის გუბერნატორი და ადგილობრივი პოლიციის უფროსი, რომლებიც მეჩეთში ბაირამობაზე დილის ნამაზის შესასრულებლად მივიდნენ. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ტერორისტს ავღანური პოლიციის ფორმა ეცვა.

**ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ სააკაშვილის მმართველობის წლებში დამკვიდრებული მოსაზრებისგან, რომ ვაშინგტონი (ან ვინმე სხვა) წყვეტს, თუ ვინ გახდება საქართველოს მმართველი. ეს ძალზე მანკიერი და საშიში პოლიტიკური ერესია, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეასთან სრულ შეუსაბამობაში მოდის.**

მხილება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ში მოქმედმა პრეზიდენტმა გაიმარჯვა, თუმცა ეს იყო „გამარჯვება ქულებით“, მცირე სხვაობით და არა ნოკაუტით.

**ახლა კი მთავარი**: ამ დებატების შემდეგ ექსპერტები ლამის ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ **კანდიდატების პოზიციები საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე თითქმის იდენტური იყო**, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა უნდა შევადაროთ არა გემს, რომელსაც კურსი შეიძლება საკმაოდ სწრაფად 180 გრადუსით შეუცვალო, არამედ მატარებელს, რომელიც შეიძლება (ზომიერების ფარგლებში)ააჩქარო ან შეანელო, მაგრამ ლიანდაგიდან ვერ გადაახვევინებ.

კანდიდატების მსგავსების შეგრძნებას ის ამყარებდა, რომ რომნის საუბრიდან სადღაც გაქრა „ქორული“ ინტონაციები, რომლებიც განსაკუთრებით საგრძნობი კამპანიის საწყის ეტაპზე იყო. ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ ყოველივე შეიცვლება, როგორც კი რესპუბლიკელების კანდიდატი თეთრ სახლში მოხვდება, თუმცა ეს ასე არ არის. **ის, თუ რამდენად ხისტი იქნება რომნის ადმინისტრაცია საგარეო არენაზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავლენა ექნება მასზე (და პოზიციები მის შიგნით) რადიკალურად განწყობილ ნეოკონებს, ამისთვის „ხალიჩის ქვეშ“ სერიოზული ბრძოლა მიდის და გადაწყვეტილი ჯერჯერობით არაფერია.** ასე რომ, ის კომენტატორები, რომლებიც თეთრ სახლში რომნის მოსვლას ახალი „ცივი ომის“ ავტომატურ დაწყებას უკავშირებენ (თანაც ერთდროულად ორ ფრონტზე — რუსეთთან და ჩინეთთან), შესაძლოა, ოდნავ ჩქარობენ.

მთელი კამპანიის განმავლობაში რომნის შტაბი ცდილობდა წარმოეჩინა, რომ ობამას ადმინისტრაციამ უღალატა ტრადიციულ სამოკავშირეო ურთიერთობებს ისრაელთან, ამას, იდეაში, ებრაელი ამომრჩევლების, აგრეთვე, გავლენიანი ებრაული ორგანიზაციების განწყობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოეხდინა. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა. დებატების დროს კი ნათლად გამოჩნდა, რომ **არც ერთ კანდიდატს (უპირველესად კი, რომნის) ახლო აღმოსავლეთის პრობლემებთან დაკავშირებით, რაიმე განსხვავებული, პრინციპულად ახალი სტრატეგია არ აქვს.** ორივე შეთანხმდა, რომ ისრაელი აშშ-ის მთავარი მოკავშირეა, რომ რეგიონის ქვეყნებში ამერიკული ჯარების შეყვანა არ შეიძლება, ძალა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული, ხოლო სირიის ოპოზიციას დახმარება უნდა გაეწიოს (აქ გარკვეული სხვაობა დაფიქსირდა — ობამა მიემხრო მძიმე შეიარაღების ფარულ გადაცემას მოკავშირეების ხელით, ხოლო რომნი — პირდაპირს). ავღანეთის, პაკისტანისა და ჩინეთის პრობლემებზე კანდიდატებმა თითქმის იდენტური პოზიცია დააფიქსირეს. **რომნიმ გააკრიტიკა მოქმედი პრეზიდენტი იმისთვის, რომ არასაკმარისად ხისტი იყო ირანთან, და მისმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაციას, თუმცა ობამამ ეს შეტევა მეტ-ნაკლებად წარმატებულად მოიგერია.**

საბოლოოდ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ **ობამა, გამარჯვების შემთხვევაში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მატარებელს იმავე სიჩქარით წაიყვანს, ხოლო რომნი ოდნავ უფრო სწრაფად, თანაც სიგნალს აქტიურად გამოიყენებს, თუმცა დრამატული ცვლილებების მოლოდინი აუდიტორიას ნამდვილად არ გასჩენია. მართალია, რომნის საგარეოპოლიტიკურ პროგრამაში არის მთელი რიგი პუნქტებისა, რომლებმაც რეალიზების შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად გააღრმაოს აშშ-ჩინეთისა და აშშ-რუსეთის კონფრონტაცია, მაგრამ მათ პრაქტიკულ რეალიზებამდე საქმე შეიძლება არც მივიდეს**, რადგან საქმეში გაცილებით სერიოზული შემაკავებელი ფაქტორები ჩაერთვება, ვიდრე მერყევი ამერიკელი დიასახლისების განწყობა, რომელთა გულის მოგების მიზნით, რესპუბლიკელების კანდიდატმა 22 ოქტომბრის დებატებში „ქორების“ აგრესიული რიტორიკა გვერდზე მოისროლა.

## სახიფათო ილუზიები

ერთი შეხედვით, ქართული საზოგადოება ამერიკულ საპრეზიდენტო არჩევნებს უნდა უყურებდეს, როგორც საინტერესო სპორტულ სანახაობას შოუს ელემენტებით, რომელიც ჩვენს მომავალზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენს, თუმცა ეს ასე არ არის. **„ნაციონალები“ თვლიან, რომ მიტ რომნის გამარჯვება მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი გახდება** და ამ თემაზე მსჯელობისას რთულ კონსპიროლოგიურ კონსტრუქციებს აგებენ და არცთუ იშვიათად სრულიად შიზოფრენიულ დასკვნამდე მიდიან: „რომნი სააკაშვილს ისევ დანიშნავს“. მართალია, რომნის გამარჯვების შემთხვევაში, სააკაშვილის მოკავშირეების (უფრო ზუსტად კი იმ ადამიანების, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აშშ-მა საქართველო ისე უნდა გამოიყენოს, როგორც უმცროსი ბუშის მმართველობის წლებში) პოზიციები ვაშინგტონში გაძლიერდება, თუმცა ამ გარემოებიდან, ხელისუფლებაში დაბრუნებამდე ძალიან დიდი მანძილია, რომლის გავლა „ნაციონალებისთვის“ არც ისე იოლი იქნება.

ერთი რამ აშკარაა: **რომნის გამარჯვება ყოფილი მმართველი პარტიის საბრძოლო სულისკვეთებას აამაღლებს.** მიუხედავად იმისა, რომ მათი გათვლები ახალი ადმინისტრაციის დახმარებასთან დაკავშირებით რეალობისგან ძალიან შორს დგას, ხოლო რწმენა-წარმოდგენები მეტად ირაციონალურია, ეს გახდება ერთ-ერთი დამატებითი და არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი, რომელმაც შეიძლება „ნაციონალებს“ კონფრონტაციის გაღრმავებისა და პოლიტიკური კრიზისის მოწყობის მიმართულებით უბიძგოს (აქ ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ ისინი კლასიკურ პუტჩს მოაწყობენ და არანაირი ზნეობრივი წინაღობა ამაში ხელს არ შეუშლით, თუმცა ამის შნო სააკაშვილის ჯგუფის წარმომადგენლებს, სავარაუდოდ, არ აქვთ). ალბათ, **უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ახალ ხელისუფლებას ექნება საკმაო დრო საიმისოდ, რომ საფრთხე გაანეიტრალოს, სანამ „ნაციონალები“ და მათი ლობისტები შეტევაზე გადავლენ.**

**საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის, რომელიც სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს აერთიანებს, უფრო სასურველი ობამას ადმინისტრაციის დარჩენა ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილის ჯგუფს სახიფათო ილუზიები არ გაუჩნდება. ამასთანავე, ამ ადამიანებს თვალწინ აქვთ, საქართველოში უმცროსი ბუშის და ობამას ადმინისტრაციის მოქმედების გამოცდილება და, როგორც წესი, იზიარებენ მოსაზრებას, რომ მეორე გაცილებით ადეკვატური იყო და საპარლამენტო არჩევნების დროს სააკაშვილის მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ნაწილობრივ მაინც შეზღუდა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ დღეს, ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ქართული საზოგადოების უმრავლესობის სიმპათია ბარაკ ობამას მხარესაა.**

მთავარი კი მთელ ამ ისტორიაში, ალბათ, ისაა, რომ **ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ სააკაშვილის მმართველობის წლებში დამკვიდრებული მოსაზრებისგან, რომ ვაშინგტონი (ან ვინმე სხვა) წყვეტს, თუ ვინ გახდება საქართველოს მმართველი.** ეს ძალზე მანკიერი და საშიში პოლიტიკური ერესია, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეასთან სრულ შეუსაბამობაში მოდის.

**დიმიტრი მონიავა**

**«ნაციონალები» თვლიან, რომ მიტ რომნის გამარჯვება მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი გახდება**

### გულბაათ რცხილაძე:

# მივმართავ მაია ფანჯიკიძეს — ამოძირკვოს სარეველა საგარეო საქმეთა სამინისტროდან!



**საქართველოს ახალი ხელისუფლება მრავალ პრობლემათაგან საკადრო პრობლემის წინაშეც დგას – გაიმიჯნოს სააკაშვილის რეჟიმის დროს სახელმწიფო სექტორში მომუშავე პროფესიონალი და კეთილსინდისიერი კადრები რეჟიმის მსახურ, ხშირად დამნაშავე ელემენტებისგან. სახელმწიფო სტრუქტურებში ჯერ კიდევ ბევრი ასეთი არასასურველი კადრია შემორჩენილი.**

**ერთ-ერთ მათგანთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიოს“ მიმართა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ.**

**ჩვენ, რა თქმა უნდა, დავინტერესდით ამ საკითხით, ვინაიდან საქმე ისეთ უმნიშვნელოვანეს უწყებას ეხება, როგორიც საგარეო საქმეთა სამინისტროა.**

**გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს გულბაათ რცხილაძესთან:**

**— ბატონო გულბაათ, რა ინფორმაციაზეა საუბარი?**

— დღეს ჩემთვის ფრიად უჩვეულო ამპლუაში მიხდება ინტერვიუს მოცემა, ვინაიდან მე გახლავარ პოლიტოლოგი, ანალიტიკოსი და ჩემი საქმე არ არის მსგავსი ინფორმაციების მოპოვება და გავრცელება. მაგრამ ვფიქრობ, სამართლიანობის აღსადგენად, და ჩვენი ქვეყნის მომავალი სწორი კურსის წარსამართად, აუცილებელია, ასეთი საკითხები არ იქნას მიჩუმათებული. **ჩემი მიზანია, გავაფრთხილო ამჟამინდელი ხელისუფლება — ნუ დაელოდება სასამართლო რეფორმას და დაუყოვნებლივ ამოძირკვოს სარეველა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან!**

**— უფრო კონკრეტულად?**

— მოგახსენებთ. დიპლომატიის სფეროს ღვაწლმოსილ მუშაკებთან — აწ განსვენებულ ალექსანდრე ჩიკვაიძესთან და ამჟამად კარგად მყოფ ჰამლეტ ჭიპაშვილთან ერთად, 2005 წლის მანძილზე ორიოდე შეხვედრა მქონდა საქართველოში რუსეთის ფედერაციის ელჩ ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან. ბატონ ელჩთან ჭიქა ჩაიზე მიმოვიხილეთ ქართულ-რუსული ურთიერთობების აწმყო და მომავალი, მას ასევე გავაცანით პრესაში გამოქვეყნებული ჩვენი პუბლიკაციები. გავიხსენეთ ძველი დრო, რუსულ-ქართული მეგობრობის სანიმუშო მაგალითები. მოკლედ, საუბარი ეხებოდა დიპლომატებისთვის ჩვეულებრივ თემებს. ჩვენი ორი თუ სამი შეხვედრაც აბსოლუტურად ღიად დღის საათებში საელჩოში შედგა. ჩვენ შევდიოდით მთავარი შესასვლელიდან, ჭავჭავაძის გამზირზე. მაშინ ვერ წარმოვიდგენდით, რომ ჩვენი შეხვედრების მომიზეზებით, სააკაშვილის დამქაშები პრობლემას შეუქმნიდნენ მესამე პირებს, კერძოდ, ჩვენს მეგობრებსა და კოლეგებს.

ელჩთან ჩვენი შეხვედრებიდან არც თუ დიდი ხნის გასვლის შემდეგ, რამდენიმე მათგანი დააკავეს. ადგილი ჰქონდა ამ პიროვნებებზე ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას, მეტიც — წამებას. ამ პიროვნებათა ვინაობას საზოგადოება არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ შეიტყობს, როდესაც სასამართლოში აღიძრება შესაბამისი სარჩელი. კერძოდ, მივმართავ საგარეო საქმეთა მინისტრს — ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს:

ქალბატონო მაია, თქვენი სამინისტროს რიგებში ირიცხება ის კაცი, უფრო სწორად, არაკაცი, რომელიც აწამებდა ჩვენს კოლეგებსა და მეგობრებს, თან ერთ მათგანს (ეს უკვე 2006 წელს ხდება) ასეთი რამეც უთხრა: **„სიმონ კილაძეს არაფერი დაუშავებია საერთოდ და ის დავიჭირეთ, და შენ რას გიზამთ, წარმოიდგინე“!** ჩვენს მეგობრებს კი, უბრალოდ, ჩვენთან მეგობრობა ედებოდათ ბრალად და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი გაეტეხათ, და ასე „დამუშავებულნი“ მერე ჩვენს რიგებში ჩაენერგათ რაიმე პროვოკაციის მოსაწყობად. შემდეგ ეტაპზე ჩვენც უნდა დავეპატიმრებინეთ, სავარაუდოდ, „ჯაშუშობისთვის“. ჩემს ერთ კოლეგას სასტიკად სცემდნენ, ბოთლზე დასმითა და მამათმავლების საკანში გამოკეტვით ემუქრებოდნენ. კერძოდ, ამას აკეთებდა ერთი ახმახი, ორმეტრიანი ჯალათი, რომელიც დღეს თქვენი სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე აგრძელებს მუშაობას.

**ადრე, როდესაც იგი ხალხს აწამებდა, კონტრდაზვერვის საკმაოდ მაღალი რანგის თანამშრომელი იყო და ე.წ. „მოდულის“ შენობაში იჯდა. მისი ვინაობაა: გივი მამუკას ძე ჯაფარიძე,** დაბადებული 1973 წლის 6 მაისს.

ამჟამად დაკავებული თანამდებობა: საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

აი, ეს სუბიექტი სცემდა ხალხს და აწამებდა მათ, თან უყვიროდა: „ჩიკვაიძეს, ჭიპაშვილსა და რცხილაძესაც დავიჭერთ მალე!“. ჩემი ერთი კოლეგა ნარკოტიკის შენახვის ბრალდებით დააპატიმრეს, მას ნარკოტიკი ჯიბეში ჩაუდეს 2006 წელს, შემდგომ, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, ეს ფაქტი ახალ ფაქტად გაასაღეს, თითქოს აღნიშნული პიროვნება მონაწილეობდა 7 ნოემბრის აქციებში... აი, ასეთი სიბინძურეების აქტიური მონაწილეა გ. ჯაფარიძე და ამიტომ მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ გამოაგდოთ (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ეს ვიგინდარა თქვენდამი დაქვემდებარებული სამინისტროდან — უნდა გამოირიცხოს საბოტაჟის თეორიული შესაძლებლობაც, რის საფრთხესაც ჯაფარიძე და მსგავსი სუბიექტები ქმნიან და თან ჩირქს სცხებენ სახელმწიფო ორგანოების რეპუტაციას.

პირადად მე მომხრე ვარ, რომ საერთოდ გაუქმდეს ე. წ. შიდა აუდიტის სამსახურები ყველა სამინისტროში, ვინაიდან ანტიდემოკრატიული სტრუქტურებია, სააკაშვილის რეჟიმის გადმონაშთი. ჩემი წყაროების საშუალებით, ვიცოდი და ვიცი, რომ, მაგალითად, პირადად მე, მონიჭებული მქონდა ე. წ. FUF-სტატუსი, ანუ მუდმივად ისმინებოდა ჩემი ტელეფონები, აღნუსხული იყო ჩემი საზღვარგარეთული ვოიაჟების მარშრუტები, მოძრაობა ჩემს კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე და ა. შ., მათ შორის, მე რომ მდომოდა სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, ამის გზა აპრიორი მოჭრილი მქონდა — „შიდა აუდიტი“ არ დაუშვებდა ამას, რადგან არ ვიყავი რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი, ხოლო პროფესიონალიზმს არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. ასეთ მდგომარეობაში, ვგონებ, ნახევარი საქართველო იყო და ამიტომაც უნდა გაუქმდეს აღნიშნული სტრუქტურები. სახელმწიფოს აქვს დემოკრატიული ბერკეტები თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, საჭირო არ არის სააკაშვილის რეჟიმის პრაქტიკის გაგრძელება (თუმცა პირადად მე არც მაშინ ვაპირებდი და არც ახლა ვაპირებ სახელმწიფო სამსახურში მუშაობას).

**ესაუბრა ეთერ ბალაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც მთელი თბილისი სოლიდარობის ნიშნად ანგარიშებს ხსნიდა ბიძინას ბანკში, როგორც ამბობენ, ბუბა კიკაბიძე, რომელსაც 5000 ლარს პენსიას უხდიდა ბიძინა, რომელსაც ხელს არ ახლებდა ბუბა და ბანკშივე ტოვებდა, რადგანაც ძალიან „უჭირდა“, თავის პროცენტებიანად გამოუტანია რამდენიმე წლის დაგროვილი თანხა და მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა უარი კრემლის აგენტ ივანიშვილის პენსიაზე. ვაა, ეს თუ მართალია, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი მიმიქარავს...**

# ბუბაჯან, ცავატანემ, ვაზელინ ჩკაა?!




**მიუხედავად უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვებისა, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოლოდინი, გნებავთ, მოთხოვნა „ქართული ოცნების“ მიმართ, პირველ რიგში არა „კარაქიანი პური“ (ანუ ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური სიკეთეები), არამედ სამართლიანობის აღდგენაა, თანაც მაქსიმალურად სწრაფად, რის პირობასაც უკლებლივ ყველა წინასაარჩევნო შეხვედრებზე იძლეოდა თავად ბიძინა ივანიშვილი. დიახაც სწრაფად, რადგანაც, მისივე განმარტებით, „კარაქიანი პურისგან“ განსხვავებით, სამართლიანობის აღდგენას არა ფინანსური რესურსები, არამედ მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება სჭირდება!**



რაც გინდათ, ის დაარქვით ამ სამართლიან მოლოდინს, მართლმსაჯულების ასრულების ცივილური ტერმინით დაწყებული, გნებავთ, შურისძიების „ქვენა“ გრძნობით დამთავრებული. დიახ, ბრჭყალებშია ეს სიტყვა, რადგან ამ 8-9 წლის მანძილზე იმდენი სისხლი და ცრემლი გვანთხევინეს ნაცისტებმა (დიახ, ნაცისტები — ბრჭყალების გარეშე), რომ ქართული საზოგადოების არც თუ უმნიშვნელო ნაწილს შურისგების გამართლებული თუ არა, სრულიად გასაგები სურვილი აქვს!

ჰოდა, ნუ დავიწყებთ ახლა რომის პაპზე მეტ კათოლიკობას — მსგავსი „ქვენა“ სურვილები ჩვენზე არანაკლებად ცივილურ (აი, იმ ევროპის, საითაც მივისწრაფვით) ერებსაც არა თუ ჰქონიათ, არამედ ეს სურვილები აუსრულებიათ კიდეც და რაღაც არ მსმენია, იტალიელები დღეს იმის გამო წითლდებოდნენ, რომ „გუშინ“ ბენიტო მუსოლინი და მისი კახპა ფეხებით ჩამოკიდეს!

ეს ისე, ცნობისათვის და იმ ნაძირლების გასაგონად, გნებავთ გასაფრთხილებლად, რომლებიც დღეს ქუთაისის პარლამენტში ოპოზიციის მანტიამოსხმულები ძველებურად დაგვცინიან და მასხრად გვიგდებენ — ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, რომლის რისხვისგანაც ჯერჯერობით ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იცავთ, მაგრამ ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. ამიტომ, როგორც იტყვიან, აზრზე მოდით და, თუ გინდათ, მშვიდობის ხიდზე გადი-გამოდით, აკუ, გაკუ, გოკუებო, ემანდ რაიმე არ გაიჩალიჩოთ ისეთი, თორემ ბიძინასაც აღარაფერს შევეკითხებით!..

ყოველივე თქმულის, ანუ სისხლის სამართლებრივი თუ შურისგებითი პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს ზნეობრივ-მორალურიც, რაც ზოგჯერ შეიძლება არანაკლებ მძიმეც იყოს, რადგან პირველი ორის მოხსნა თუ ასრულებული განაჩენის შემდეგ მაინც არის შესაძლებელი, ზნეობრივ-მორალური პასუხისმგებლობა, როგორც წესი, უვადოა, იშვიათად ეხება ამნისტია და სიცოცხლის ბოლომდე მიგყვება ტვირთად!

ამას წინათ მეცხრე არხით გავრცელდა მიმართვა-მოთხოვნა საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის მიმართ, რომელსაც რუსული შოუბიზნესის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, უფრო სწორად პირველი, ხელს აწერდა რუსული ესტრადის პრიმადონნა ალა პუგაჩოვა!

**მიმართვის ტექსტში, რომლის ციტირებაზეც თავს ვერ დავდებ, რუსული ესტრადის ვარსკვლავები თავიანთ ქართველ კოლეგა ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძეს ესარჩლებიან, რომლის სახელობის ვარსკვლავი, როგორც ცნობილია, ა. წ. 21 სექტემბერს სტუდენტებს გადაუღებავთ პროტესტის ნიშნად და ამ უსამართლობის გამოსწორებას საქართველოს პარლამენტისგან მოითხოვენ ხელმომწერები!**

ბუბას სააკაშვილის მხარდაჭერა ვერ აპატიეს, პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, ხოლო ხელოვნება რჩება. თქვენ ხომ დასავლეთისკენ მიდიხართ. იმის მიხედვით, ვინ რომელ პრეზიდენტს უჭერს მხარს, ამერიკაში, ბროდვეიზე ვარსკვლავებს არ გადაღებავენ და ა.შ. ჩვენ გვამუნათებს ბუბაზე მატროსოვივით გადაფარებული ალოჩკა...

**ეეეჰ, ალა ბორისოვნა! შენ სულ შენი კეთილი გულით და იულია ლატინინას თუ ვალერია ნოვოდვორსკაიას შეგონებით მოგდის ეგეები, თორემ პარალელებს მიშას „ნაცმოძრაობასა“ და ბუბას გადაღებილ და ბროდვეის ხელუხლებელ ვარსკვლავებთან კი არა, სხვა მიმართულებით გაავლებდი...**

მაგალითად, ჰიტლერულ გერმანიასთან. ადოლფ ჰიტლერსაც ჰყავდა საკუთარი ბუბა კიკაბიძე უნიჭიერესი და ულამაზესი (თუმცა ამ ეპითეტებამდე ბუბას ბევრი უკლია) მარიკა როკის სახით, მაგრამ დღეს ეს ქალბატონი, უპირველესად, იმით ახსენდება მსოფლიოს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკ და სისხლიან ტირანს ბოლომდე ეთაყვანებოდა, და მხოლოდ შემდეგ — მისი ცეკვა-სიმღერა...

**დიახ, შედარება ნურავის გემცხეთებათ — „ნაციონალური მოძრაობაც“, ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტურის მსგავსად, ფაშისტური პარტია იყო და არის. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში და კიდევ იმაშია, რომ ჰიტლერის პარტიას ერთი „პლიუსი“ მაინც ჰქონდა — საკუთარ ხალხს არ ერჩოდა, გერმანელი ერის გარდა, ყველას და ყველაფერს ანადგურებდა. ჩვენს ნაცისტებს კი პირიქით — საქართველო ათასი ჯურის გადამთიელების საჯიჯგნად უნდოდათ და, თუ რამეს ებრძოდნენ და ვერ იტანდნენ, ეს ქართველი ერი და ყოველივე ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლური იყო!**

დროსა და სივრცეში არ გაუმართლათ ქართველ ნაცისტებს, თორემ, დღეს რომ გასული საუკუნის 30-იანი წლები ყოფილიყო, მხოლოდ გაზებს (რითიც არაერთხელ დაგვწამლეს), რეზინისა თუ ნამდვილ ტყვიებსა და ხელკეტებს არ გვაკმარებდნენ, კრემატორიუმებშიც სიამოვნებით ამოგვბუგავდნენ სადისტი ახალაიები.

თუმცა ცოცხებით გაუპატიურებამდე თვით ესესელების ფანტაზიამაც ვერ გაქაჩა. მაშინ რით არიან ნაკლებნი ჩვენი ნაცისტების ჯალათები ესესის კალტენბრუნერზე, ჰიმლერზე, მიულერზე და ა.შ., მხოლოდ ცოცხებით?

ეს ის ბუბაა, რომელიც ამბობენ, ავტომატით ხელში ებრძოდაო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას; შემდეგ მიატოვა გაყინულ-ჩაბნელებული, დამშეული საქართველო და უკეთესი დროების დადგომამდე „მშობლიურ რუსეთს“ შეაფარა თავი. **რუსეთს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ბუბა კიკაბიძის ჯერ საბჭოური თავბრუდამხვევი კარიერა და შემდგომ 90-იან წლებში გაგრძელებული. ბუბა კიკაბიძე, რომელიც ახალ, სააკაშვილის „დემოკრატიულ“ საქართველოში დაბრუნებული შეუდგა საკუთარი კეთილდღეობის შენებას, რასაც წარმატებით ახერხებდა უმძიმეს კრიმინალში ეჭვმიტანილ გია უდესიანთან ბიზნესპარტნიორობით; ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი, ფართოდ დახუჭული თვალებით „ვერ ამჩნევდა“ ვერაფერს ამ ხელისუფლების, პირადად მიშას დანაშაულებიდან: 7 ნოემბერი თუ აგვისტოს ომი, რომლის დროსაც რუსთაველზე მხარს უმშვენებდა გორში მიწაზე მფორთხავ, ჰალსტუხის მცოხნელ მთავარსარდალს, რომელიც წაგებულ ომში გამარჯვებას ზეიმობდა...**

ამ ომის შემდეგ დაუფიქრებლად მიაფურთხა საკუთარ გამზრდელ რუსეთს. „ვი მენია ნე ობიდელი, ვი მენია რაზოჩიროვალიო“, — უმღერა. რუსეთს, სადაც არ დაბადებულა, თორემ, რომ იტყვიან, ძუძუ იქა აქვს ნაჭამი და ჭიპი მოჭრილი! რისგანაც მართლაც „რაზოჩეროვანმა“ ერთმა მეგობარმა ბუბაზე თქვა, „ონ დლია ნას უმერო“.

არც იმისთვის ეყო ჭკუა, რომ დიდი სამამულო ომის მემორიალის აფეთქება მაინც გაეპროტესტებინა. ომის, რომელშიც მამამისიც დაიღუპა, მემორიალის, რომლის აფეთქებასაც ქუთაისში დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა.

არც ეს იკმარა და 26 მაისის სისხლიანი კალოს შემდეგაც კი აშკარად შექანებულ პრეზიდენტს **საქართველოს მხსნელად მოვლენილი ღვთის წყალობა** უწოდა!

უფრო მეტიც, „უკანასკნელმა ყარაჩოხელმა“ ისეთი რამ იკადრა, რომ იეთიმ გურჯი, ალბათ, ახლაც ტრიალებს საფლავში — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის და ეგრევე მისი „ქართუ ბანკის“ დაყადაღების შემდეგ, როდესაც მთელი თბილისი სოლიდარობის ნიშნად ანგარიშებს ხსნიდა ბიძინას ბანკში, როგორც ამბობენ, ბუბა კიკაბიძე, რომელსაც 5000 ლარს პენსიას უხდიდა ბიძინა, რასაც ხელს არ ახლებდა ბუბა და ბანკშივე ტოვებდა, რადგანაც ძალიან „უჭირდა“, მისულა ბატონი ბუბა და თავის პროცენტებიანად გამოუტანია რამდენიმე წლის დაგროვილი თანხა და მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა უარი კრემლის აგენტ ივანიშვილის პენსიაზე. ვაა, ეს თუ მართალია, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი მიმიქარავს...

**რომელი ერთი გავიხსენო ჩვენი „ჩიტო-გრიტოს“ საქმენი საგმირონიდან, თუმცა ბოლო აკორდი მაინც მართლაც „მაჟორული“ გამოუვიდა — მაშინაც კი, როდესაც მთელი საქართველო და თბილისი ყალყზე იდგა ცოცხების სადისტობით შეძრული, ვითომც აქ არაფერიაო, „ვერის უბნის მელოდიების“ უნიჭო რიმეიკში მანამდე ტინგიცობდა, ვიდრე ის ცოცხები სცენაზე არ დაუყარეს სტუდენტებმა და ამის მერე ვინმეს უკვირს, რომ მისი სახელობის ვარსკვლავი გადაღებეს ფილარმონიასთან?**

„ლავ ელი ბუბაჯან, ლავ ტყაე პეპელა ტოო“ და შენც იქ გეყო რა, ალა ბორისოვნა“...

სამწუხაროდ, ბუბა არ გახლავთ ერთადერთი ამ საქმეში, სხვების ჩამოთვლაც შეიძლება, „ხელოვანების“ თუ „მწერალ-პოეტების“, რომლებიც ამ წლების მანძილზე უგვანოდ ფლირტაობდნენ მიშნაცების ფაშისტურ რეჟიმთან — ზოგი „ჩემი გმირი გიწოდეს“ უმღეროდა წინასაარჩევნოდ მიშიკოს და მერე „ნაგლად“ თვალში ნაცარს გვაყრიდა მერაბ სეფაშვილი — ეს სიმღერა მამაჩემს უყვარდა და მიშას კი არა, მამაჩემს ვუმღერეო; ზოგ-ზოგები კი იმ დროს, როდესაც პაპანაქება სიცხეში ჩვენი ბიჭების გვამები იხრწნებოდა, რუსთაველზე პატრიოტულ ლირიკას უბერავდნენ!

სხვათა შორის, რეჟიმთან ფლირტაობაში შემჩნეულები, ბუბასი არ იყოს, სხვა ვარსკვლავოსნებიც გახლავან...

თუმცა მაამებლობის, უნამუსობის კვინტესენცია მაინც ის იყო, როდესაც 26 მაისის ბართლომეს ღამის გათენებისას, „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“ და ცხვრებივით ჩამწკრივებულმა „შემოქმედებითმა ელიტამ“ მორჩილად ჩამოიკიდა მკერდზე მიშას ბრწყინვალების ორდენები. მიშას მეხოტბე კიდევ ერთმა, უკაცრავად და, მწერალმა, რეზო ჭეიშვილმა, კი მიცვალებულები იქით დაამუნათა: — აბა, რა ეგონათ, იმ სულელ ქალს (ნინო ბურჯანაძეს. — დ. მ.) რომ დაუჯერესო...

ამისთანა ხალხს რომ ეკითხები მათი კონფორმიზმის, უფრო მარტივად კი, „პადხალიმობის“ შესახებ, არაფრის დიდებით არ აღიარებენ მაამებლობას. „უკეთეს“ შემთხვევაში გეტყვიან, რომ ისინი პროფესიონალები არიან და თავის საქმეს აკეთებენ, უარესში კი — თავს „იქლიავებენ“ და პოლიტიკაში არ ვერევი, ან მთლად „უკეთესი“ — პოლიტიკა არ მესმისო, გაიძახიან!

პოლიტიკა ბერძნული სიტყვაა და ყოფით დონეზე, ანუ მარტივად, ასე განმარტავს უცხო სიტყვათა ლექსიკონი: „მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება“...

მაშ, რა არ ესმით ამ უმარტივეს რამეზე, ხელოვანმა და განათლებულმა ხალხმა კი არა, ელემენტალურად, წერა-კითხვის მცოდნე ადამიანმა შეიძლება თქვას, რომ არ მესმის, არ ვიცი და, გნებავთ, არ მაინტერესებს?

ამ წერილის წამკითხავთაგან შეიძლება ვინმემ მორალისტობა დამწამოს ან კიდევ უარესი, განკითხვის ცოდვაში დამადანაშაულოს, მაგრამ მე მაინც ჩემსაზე დავრჩები — ყველამ ყველაფერზე უნდა აგოს პასუხი, მათ შორის მორალურიც. გამობრძანდნენ მავანნი და საჯაროდ მოუხადონ ბოდიში ქართველ ხალხს იმისთვის, რომ, როდესაც საქართველო ტიროდა და უილაჯობის ჯავრის გორგალი ჰქონდა ყელში გაჩხერილი, იმ დროს ზოგი „თავის საქმეს“ აკეთებდა, ზოგს პოლიტიკა „არ ესმოდა“, ყველანი ერთად და ცალკ-ცალკე კი ხელისუფლების საამებლად მარტივად ტინგიცობდნენ.

დიახ, საჯაროდ თვალებში ჩახედონ საკუთარ ხალხს და არა ისე, როგორც ნიკა რაჭველმა მოიხადა ბოდიში, ანუ ლაითად, ვინ იცის, დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა იქნებ შეუნდოს კიდეც მის გზააბნეულ შვილებს?!

**დავით მხეიძე**

**P.S. ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს, მაგას რა სჯობს. მომღერალმა უნდა იმღეროს, პოეტმა ლექსი წეროს, მხატვარმა ხატოს, მაგრამ ისეთ ნაცისტურ ხელისუფლებას, როგორიც გვყავდა, ოდები არ უნდა მიუძღვნას — ამაშია ხელოვნების და ხელოვანის არსი, თორემ სხვანაირად ასეთი ხელოვნება იაფფასიანი ტინგიცობაა და სხვა არაფერი...**

„პოლიტიკური ანგარიშსწორება არ იქნება, მაგრამ იქნება ჩვეულებრივი სასამართლო რუტინა, მუშაობა და დამნაშავეები იქნებიან გამოაშკარავებულნი და შესაბამისად დასჯილნი. ამიტომაც ხალხი ნუ აღელდება იმაზე, რომ ვინმე ვინმეს რამეს აპატიებს.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ წარადგინა პრემიერმა ყველაზე დაბალრეიტინგული პარტიის ლიდერი პარლამენტის თავმჯდომარედ?

# წავა თუ არა წელიწად-ნახევარში ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან?

**ბოლოს და ბოლოს დადგა დრო საქართველოში, როდესაც სამართალმა უნდა იზეიმოს, დაიწყო არსებული რეჟიმის დაშლა. ერთ დროს გამარჯვებული ძალა, რომელიც შემდგომში სიცრუითა და გაყალბებით იმაგრებდა საძირკველს, შეცვალა ახალმა, უფრო ჯანსაღმა და პროგრესულმა ძალამ. ქართველი ხალხის მოლოდინი და ცხოველი ინტერესი დიდია მის მიმართ, რადგან, ძველი რეჟიმის „ნამსხვრევი“ პოლიტიკოსები ხაზს უსვამენ ახალ ძალაში ძველი პოლიტიკური სახეების არსებობას. მწვავე კითხვებს დღეს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი უპასუხებს.**



ლევან ბერძენიშვილი:

## ხალხმა ივანიშვილი აირჩია, მაგრამ ივანიშვილთან ერთად აირჩია სია, რომელიც მან წარადგინა, ასე რომ, ცოტა ხმები ჩვენც მივიღეთ

**— საზოგადოებას აინტერესებს, როგორ დაინიშნა ყველაზე დაბალრეიტინგული პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარედ?**

— პარლამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა არა ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე პარტიის ლიდერი, არამედ ერთ-ერთი გამარჯვებული პარტიის ლიდერი, რომელიც თვითონ, პიროვნულად, როგორც იურისტი, არის ყველაზე უკეთესი და მაღალრეიტინგიანი მთელ ქვეყანაში და ამიტომაც დაინიშნა პარლამენტის წევრებიდან საუკეთესო. ისე, ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ სულ 2% მიიღო. ზოგმა — 4%-ს ვერ ააცილა. ასე რომ, რესპუბლიკური პარტია ნამდვილად არაა ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე პარტია.

**— საზოგადოებას ასევე ძალიან აინტერესებს, რატომ ჩაება ივანიშვილი ლოკომოტივად პარტიას, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე დამოუკიდებლად ერთხელაც არ გადაულახავს საპარლამენტო ბარიერი?**

— ივანიშვილი არა მხოლოდ ერთ პარტიას ჩაუდგა ლოკომოტივად, არამედ ექვს პარტიას, რომლებსაც ასევე არასდროს გადაულახავთ ბარიერი დამოუკიდებლად. ასე რომ, ეს შეკითხვა არ შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის მისამართით დაისვას. იგივე შეიძლება ითქვას ფორუმთან დაკავშირებითაც, ასევე თავისუფალ დემოკრატებზე, კონსერვატორებსა და სხვა დანარჩენებზე. 1990 წელს საქართველოს პირველ პარლამენტში რესპუბლიკური პარტია წარმოდგენილი იყო მაჟორიტარების სახით. მაშინ ყველასგან დამოუკიდებლად, ყველასათვის მოულოდნელად და სხვა პარტიების გარეშე, გაიმარჯვეს დავით ბერძენიშვილმა და თამაზ დიასამიძემ ქალაქ ბათუმში.

**— ბატონო ლევან, რამდენად ნორმალურია ივანიშვილის წელიწად-ნახევარში პოლიტიკიდან წასვლა, მაშინ, როცა ხალხმა მას ნდობა გაცილებით მეტი ხნით გამოუცხადა?**

— ეს მხოლოდ სიტყვებია, ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება ერთი ან ორი წლის შემდეგ. ადამიანს აქვს უფლება, მოვიდეს, აქვს უფლება, წავიდეს. ვნახოთ, შეიძლება ივანიშვილი წელიწადნახევარში არც წავიდეს და დიდხანს დარჩეს პრემიერად, ამაზე ახლა მსჯელობა და წინასწარ ამის განჭვრეტა, მგონი, არალოგიკურია. ვაცადოთ და, თუ წავა, შემდეგ ვიმსჯელოთ ამაზე...

**— მოსახლეობამ კი შემოხაზა 41, მაგრამ ხალხმა ამით მეტწილად ბიძინას გამოუცხადა ნდობა, ბიძინა აირჩიეს და, შესაძლოა, არა ის კანდიდატი, რომელიც სიაში იყო წარმოდგენილი, თქვენი განმარტება ამაზე...**

— თქვენი კითხვა არ არის მთლად სამართლიანი, პოლიტიკაში ასე ხდება... თავის დროზე ხალხმა ზვიად გამსახურდიაც აირჩია და მანაც აბსოლუტურად უცხო ხალხი შეიყვანა პარლამენტში. რა თქმა უნდა, ხალხმა ივანიშვილი აირჩია, მაგრამ ივანიშვილთან ერთად მათ აირჩიეს სია, რომელიც მან წარადგინა, ივანიშვილი მარტო ხომ არ იყო? დღეს პარლამენტში 150 ადამიანი ზის და ისინი არჩეულები არიან. ასე რომ, ცოტა ხმები ჩვენც მივიღეთ, ცოტა ხმები სხვებმაც მიიღეს.

**— დამნაშავე მაღალჩინოსნებს რაც შეეხება, რომლებიც გარბიან ქვეყნიდან, ხალხში გარკვეული უკმაყოფილებაა ამ საკითხთან დაკავშირებით: როდის და რა მექანიზმებით აპირებს ახალი მთავრობა მათ წინააღმდეგ კანონის ამუშავებას?**

— ჩვენ უკვე გვყავს ახალი მტავარი პროკურორი, ის უკვე დაამტკიცა პრეზიდენტმა. **როცა ყველა კანდიდატი შეუდგება თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებას, დაუყოვნებლივ ამუშავდება ყველა ის მექანიზმი, რომელიც, დამნაშავეთა დასასჯელად არის საჭირო.** რაც შეეხება იმას, რომ ვიღაც ქვეყნიდან გარბის, ვის მიმართაც ჯერ არ შესულა ძალაში გამამტყუნებელი განაჩენი, კი არ გარბის, არამედ ტოვებს ქვეყანას, ამის უფლება მათ აქვთ, ხოლო, როცა დაიწყება გამოძიება და მათი ბრალეულობა დამტკიცდება, მხოლოდ მაშინ გვექნება ჩვენ საშუალება, ვთქვათ, რომ ისინი გაურბიან მართლმსაჯულებას და აქ უკვე არსებობს ბევრი მექანიზმი დამნაშავეთა ქვეყანაში დასაბრუნებლად, რასაკვირველია, ჩვენ ყველა მათგანს ავამუშავებთ!

**— ბატონო ლევან, ივანიშვილს საკმაოდ გულისხმიერ ადამიანად იცნობს საზოგადოება, სწორედ ეს გახდა ხალხის შიშისა და ჩემი კითხვის მიზეზიც, თქვენი პირადი დამოკიდებულება როგორია დამნაშავეთა დასჯასთან დაკავშირებით?**

— ივანიშვილი გულისხმიერია თუ არა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს დამნაშავის ბრალეულობასთან, პროკურორი არის დამოუკიდებელი, მათ შორის ივანიშვილისგანაც, დამნაშავეს ვერავინ უშველის, მითუმეტეს, რომ ივანიშვილი პრემიერია და პრემიერს დამნაშავის შეწყალების არც სურვილი და არც ვალდებულება არ აქვს. მან შეიძლება რაღაც რჩევა მოგვცეს, მაგრამ სასამართლო მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს.

რაც შემეხება მე, არ ვარ დიდი სიმკაცრის მომხრე ყველას მიმართ განურჩევლად, **მე ვარ მომხრე იმისა, რომ ყველა დამნაშავე დამნაშავედ ვაღიაროთ.** ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა დამნაშავე ოც-ოცი წლით ჩავსვათ ციხეში და ისედაც გადავსებული ქართული ციხეები, კიდევ უფრო გადავავსოთ, მაგრამ ყველას უნდა შეეფარდოს სასჯელი, თუნდაც პირობითი, რათა დაუსჯელობის სინდრომი აღარ არსებობდეს ქვეყანაში. პოლიტიკური ანგარიშსწორება არ იქნება, მაგრამ იქნება ჩვეულებრივი სასამართლო რუტინა, მუშაობა და დამნაშავეები იქნებიან გამოაშკარავებულნი და შესაბამისად დასჯილნი. ამიტომაც ხალხი ნუ აღელდება იმაზე, რომ ვინმე ვინმეს რამეს აპატიებს. **არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებათ ძმებ ახალაიებს თავიანთი დანაშაული, თუ სასამართლო დაადგენს მათ ბრალეულობას, რისი ლეგიტიმური ეჭვიც მე გამაჩნია, თუ მათ დაუმტკიცდებათ დანაშაული, ვერც ვერავინ შეიფარებს მათ და ვერც ვერავინ შეიწყნარებს.**

**— თუ იგეგმება მასობრივი ამნისტია და გადავსებული ციხეების განტვირთვა, რომელზეც ხშირად საუბრობდა „ქართულიოცნება“?**

— ციხის განტვირთვა უკვე დაწყებულია, პირველ ეტაპზე დაახლოებით 300 კაცი დატოვებს საპყრობილეებს. **ჩვენ ევროპაში პირველ ადგილზე ვართ პატიმრების რაოდენობით.** ამ მდგომარეობიდან წლის ბოლომდე უნდა გამოვიდეთ, მთლიანად ციხის დაცლა, რათქმაუნდა, ვერ მოხდება, მაგრამ ხალხი საგრძნობლად შემცირდება საპატიმროებში. გათავისუფლდებიან, უპირველესად, პოლიტიკური პატიმრები, დარჩენილებს კი საგრძნობლად გაუუმჯობესდებათ პირობები. მოხდება ყველა სარჩელის გადახედვა და ბევრი პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლება.

ესაუბრა
**ეკა კახიანი**

## «შეიძლება ივანიშვილი წელიწად-ნახევარში არც წავიდეს და დიდხანს დარჩეს პრემიერად»

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ კომპრომატით პირადად ვანო მერაბიშვილი მივიდა და ეუბნება სასულიერო პირებს: აი, ეს ხომ თქვენა ხართ, ახლა რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგიქვეყნებთ ყველაფერს. ამის საფუძველზე სასულიერო პირები ყურმოჭრილი მონები ხდებოდნენ და მთავრობის წარმომადგენლების წისქვილზე ასხამდნენ წყალს.“**



მამა ბასილ მკალავიშვილი:

# დავით აღმაშენებელი არ შესულა ნატოში, მაგრამ ააყვავა და გააერთიანა საქართველო

## უპირველესად ეკლესიის წიაღში უნდა იმხილოს ყოველგვარი უმსგავსობა

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარ მამა ბასილ მკალავიშვილთან.**

**— მამა ბასილ, ბოლო ცხრა წლის მანძილზე ქვეყანაში აქტიური ანტიმართლმადიდებლური კამპანია მიმდინარეობდა. მოქმედებდა მთელი რიგი ინსტიტუტებისა, რომელთა მიზანსაც ეკლესიისა და სასულიერო პირების დისკრედიტება წარმოადგენდა. როგორ ფიქრობთ, რეალურად მოახდინა თუ არა ამ პროპაგანდამ რაიმე გავლენა საზოგადოების ცნობიერებაზე და რაში იგრძნობა ეს ყველაზე მეტად?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

იმას, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ხმამაღლა ვაცხადებდი. უშიშრად ვამხელდი სამშობლოს მოღალატეებს. არ იფიქროთ, იმიტომ ვამხელ, რომ არჩევნები წააგეს. ჯერ კიდევ 2003 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილი უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში, ჩემი მრევლით 4 დღის განმავლობაში ვიდექი პარლამენტის შენობის წინ და ვაპროტესტებდი. ვაცხადებდი, რომ **შევარდნაძეზე უარესი მოდიოდა მთავრობაში, უფრო სწორად, შევარდნაძის იდეების შემსრულებელი სადისტურ ფორმებში.**

**ხელისუფლების მმართველი ამერიკელი ჯორჯ სოროსი იყო, ხოლო მთავრობის წარმომადგენლები — უშუალოდ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლეკვები.**

ისინი წინასწარ გადიოდნენ ინსტრუქტაჟს, როგორ ებრძოლონ მართლმადიდებლობას, საქართველოს ეკლესიას, როგორ აღმოფხვრან ყოველგვარი ქართული. ამის შესახებ ყოველთვის გულისტკივილით ვსაუბრობდი, მაშინ არავინ მისმენდა, მეუბნებოდნენ, ყოვლად დაუშვებელია ეს გიჟები ხელისუფლებაში მოვიდნენო. ფაქტი ჯიუტია.

**მოვიდნენ და მოგვისპეს ყოველი ეროვნული, ტრადიციული, რაც გაგვაჩნდა. პირველ რიგში კი ძირითადი დარტყმა მათ სარწმუნოებას მიაყენეს. ყოველნაირად ეცადნენ, დაეშალათ, დაენაწევრებინათ ეკლესია. გადაიბირეს გარკვეული სასულიერო იერარქები; ჩასვეს ეკლესიის წიაღში „დამსმენებად“, რათა არც ერთი ჩქამი არ გამოჰპარვოდათ და ჩარეულიყვნენ ეკლესიის შიდა საქმეებში.**

ჩემი მრევლით ხშირად ვაწყობდი აქციებს „თავისუფლების ინსტიტუტის“ წინააღმდეგ. 2004 წლის 11 მარტს სახალხო დამცველის ოფისის ეზოში სახალხოდ წარმოვაჩინე სააკაშვილის რეალური სახე და მკაცრად გავაფრთხილე. სწორედ ამიტომ ჯავრი იყარეს ჩვენზე. 12 მარტს, დილით, დიდი მარხვის პერიოდში საქართველოს ჟანდარმერიისა და სპეცრაზმის თანხლებით იერიში განახორციელეს ჩვენს ეკლესიაზე. **ღამენათევი მრევლი სასტიკად დაარბიეს, უმოწყალოდ ცემეს ქალები, მოხუცები, ბავშვები. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა.** ჩემს დაპატიმრებას რა უნდოდა, სახალხო დამცველის ოფისში სულ 6 კაცი ვიყავით. **ამ ამაზრზენი ფაქტით წარმოაჩინეს თავისი ძალა და დაიწყეს ერის დატერორება.**

სააკაშვილი ფაშისტური „მოღვაწეობის“ განმავლობაში, რომელიც 9 წელს ითვლის, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა მეშვეობით არაფერს ერიდებოდა, რათა ხალხში შიშის სინდრომი დაემკვიდრებინა. ამას ბრწყინვალედ მიაღწია. ხმას ვერავინ იღებდა. **უმოწყალოდ ჩახოცეს ქართული გენი ახალგაზრდა ბიჭების სახით. განსაკუთრებით იმათ მიმართ იყვნენ დაუნდობლები, ვინც წინააღმდეგობას უწევდა და გზაზე ელობებოდა შავბნელი საქმეების კეთებაში. ამის მსხვერპლი გახდა აკადემიკოსი გურამ შარაძე. ისინი შარაძის სახით დიდ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ, ამიტომაც დახვრიტეს.**

საბედნიეროდ, დამთავრდა მათი ტირანია, სამწუხაროდ, დიდი მსხვერპლის ფასად. ეს ჯალათები აუცილებლად წარსდგებიან ჯერ საერო და ბოლოს ღვთის სამსჯავროზე.

საზოგადოების ცნობიერებაზე ყოველივე მანკიერად და მტკივნეულად არაერთგვაროვნად აისახებოდა, მაგრამ, კიდევ გიმეორებთ, ხალხი ისე იყო დაბეჩავებული, მკვლელს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, თუმცაღა ზიზღს მის მიმართ ყველა გულით ატარებდა.

**«მალე იბერია დაიწყებს გაბრწყინებას მართლმადიდებელი სარწმუნოებით და ეს პროცესი ისეთი იქნება, მას ხელს ვერავინ შეუშლის, რამდენიც უნდა ეცადონ»**

**— ბოდიშს გიხდით ამ კითხვისთვის, მაგრამ იყო რამდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის წმინდა სინოდშიც, რომლებიც წინა ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს დადებითად აფასებდნენ. საუბარია სწორედ სულიერებისა და ეროვნულობის წინააღმდეგ მიმართულ რეფორმებზე (მაგალითად: განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები, სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და ა.შ.). როგორ აფასებთ ამ კატეგორიის ადამიანების საქმიანობას?**

— საბოდიშო არაფერია, ფრიად საინტერესო კითხვაა.

ჩვენ რატომღაც გარკვეულ მომენტებში გვიჭირს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ.

**უპირველესად ეკლესიის წიაღში უნდა იმხილოს ყოველგვარი უმსგავსობა, რომელიც აბრკოლებს ერის წინსვლას სულიერებაში. მანკიერი მხარე სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას, რამეთუ ეკლესია სახეა ერისა.** გაჟეჟილს გატეხილი ჯობია. ჯალათ ხელისუფლებას კომპრომატები აქვს სასულიერო პირთა მიმართ. ამ კომპრომატით პირადად ვანო მერაბიშვილი მივიდა და ეუბნება სასულიერო პირებს: აი, ეს ხომ თქვენა ხართ, ახლა რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგიქვეყნებთ ყველაფერს. ამის საფუძველზე სასულიერო პირები ყურმოჭრილი მონები ხდებოდნენ და მთავრობის წარმომადგენლების წისქვილზე ასხამდნენ წყალს. **ამის უტყუარი მაგალითია სინოდის სამარცხვინო კრება, რომელსაც უშუალოდ ხელისუფლების წარმომადგენლები მართავდნენ, კერძოდ: სოსო თოფურიძე, გიგა ბოკერია, ლაშა თორდია და სხვები. შედეგიც მიიღეს ამაზრზენი გადაწყვეტილებით — მართლმადიდებლობას, რომელმაც ოცი საუკუნე გვატარა დღემდე, გაუტოლეს სხვა სექტები.**

პირადად ჩემთვის ყოვლადმიუტევებელია სარწმუნოების ღალატი. პატიმრობის დროსაც კი კატეგორიული ვიყავი ამ საკითხში. არავის ვაპატიებ ღმრთის მცნებების ღალატს.

მე დაგისახელებთ სასულიერო პირებს, რომლებიც დადებითად აფასებდნენ სააკაშვილის მიერ გატარებულ რეფორმებს:

**კალისტრატე მარგალიტაშვილი, რომელიც დავით აღმაშენებელს უწოდებდა სააკაშვილს. ეს ხომ სახელოვანი მეფის შეურაცხყოფაა!**

**გრიგოლ ბერბიჭაშვილი**, რომელიც აღფრთოვანებული იყო სააკაშვილით, მისი რეფორმებით, ერთად ხსნიდნენ ეკლესიებს, ლამის მიტრა დაადგა თავზე.

**მეუფე იოსები** წყევლიდა იმას, ვინც „ნაცმოძრაობას“ ხმას არ მისცემდა და სხვ.

მგონი საკმარისია.

რაც შეეხება განათლების სისტემას, ჯერ პიროვნებები დავასახელოთ და დასკვნა შემდეგ გამოვიტანოთ. **რას უნდა ველოდოთ გია ნოდიასგან, გიგი თევზაძისგან და შაშკინისგან, რომელიც ძალიან შორს არის ყოველგვარი ქართულისგან.** მათი მეშვეობით მოხდა ის, რომ სკოლის პროგრამიდან რელიგიის სწავლება ამოიღეს, ასევე ამოიღეს აგიოგრაფიული ნაწარმოებებიც. აგიოგრაფია ხომ ერის წარსულია? იქამდეც გავიდნენ, რომ სალოცავი კუთხეები მოაშლევინეს. ბავშვები დაბეგრეს სოლიდური თანხით უმაღლეს სასწავლებლებში. იმ ბავშვმა რა ქნას, რომელიც ნიჭიერია და ფული არ აქვს? არ ისწავლოს?

**სკოლაში გატარებული რეფორმები ჩემთვის ყოვლად მიუღებელია.** მე გეკითხებით, ჩვენი ერის სასიქადულო მამულიშვილები, დიდი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც ერის ისტორიას ქმნიდნენ, გოგებაშვილის „აი ია“-ზე არ გაიზარდნენ? თუმცაღა სააკაშვილის მიერ ისინი „ჩარეცხილები“ არიან. **ევროპიდან საქართველომ მხოლოდ უზნეობა გადმოიღო, რაც შეეხება სწავლებას, თვით ევროპამ უნდა ისწ-** ▶



**«ღამენათევი მრევლი სასტიკად დაარბიეს, უმოწყალოდ ცემეს ქალები, მოხუცები, ბავშვები. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ამ ამაზრზენი ფაქტით წარმოაჩინეს თავისი ძალა და დაიწყეს ერის დატერორება»**

**„სამწუხარო ის არის, რომ საქართველო დამოუკიდებლობას ვერ ეღირსა. დღევანდელი გადასახედიდან ამერიკის გავლენა მკვეთრად იკვეთება. ბიძინა ივანიშვილს ყველგან ამერიკის ელჩი დაჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, იქნება ზეწოლა მათი მითითების შესრულებისთვის.“**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავლოს ჩვენგან ბევრი რამ. ჩვენს ერს არ აკლია განათლება, ნიჭი, ერუდიცია, რაც მთავარია ტრადიციები, ზნეობა, თუმცაღა ზნეობაზე ამჟამად თავს შევიკავებდი.**

**— ხელისუფლების შეცვლამ საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღსდგა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს და, რაც მთავარია, როგორ ფიქრობთ, რამდენად ეროვნულია ეს მთავრობა?**

— პირველ რიგში, რასაც ყოველი მოქალაქე ნატრობდა, სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმი დასასრულს უახლოვდება. 1 ოქტომბრიდან თითქმის ყველამ შვებით ამოისუნთქა. არ დარჩა ოჯახი, სააკაშვილის ტერორი არ შეხებოდა. ციხეები აივსო უკანონო პატიმრებით. სამსახურებიდან ხალხი მასობრივად დაითხოვეს. უმუშევრობამაც პიკს მიაღწია, ადამიანები რას არ აკეთებდნენ ლუკმაპურის საშოვნელად. ამ გაუსაძლის ფონზე გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც შეძლო მოძალადის დამარცხება, რომელიც მოკლე დროში ხალხს პირობების გაუმჯობესებას ჰპირდება. ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, რას მივიღებთ მომავალში, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი ხელისუფლება, ბუნებრივია, დაპირებებით მოდის; მაგრამ სააკაშვილთან შედარება ყოვლადდაუშვებელია, თუმცაღა ახლადშექმნილ ხელისუფლებაში არიან პიროვნებები, რომლებიც, იყო დრო, ებრძოდნენ მართლმადიდებლობას.

**სამწუხარო ის არის, რომ საქართველო დამოუკიდებლობას ვერ ეღირსა. დღევანდელი გადასახედიდან ამერიკის გავლენა მკვეთრად იკვეთება. ბიძინა ივანიშვილს ყველგან ამერიკის ელჩი დაჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, იქნება ზეწოლა მათი მითითების შესრულებისთვის.**

ფაქტია, რომ თითოეული ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

**რელიგიასთან მიმართებაში ჯერჯერობით წინსვლას ვერ ვხედავ, ამიტომ მოვუწოდებ ახლადარჩეულ მთავრობას, იარონ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის გზით, რათა საქართველოს მართლაც ეშველოს.** წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არასასურველ შედეგს, რომელიც დააზარალებს თითოეულ ჩვენთაგანს.

**— საუბრის დასაწყისში ანტიმართლმადიდებლური კამპანია ვახსენე. როცა საუბარია სამართლიანობაზე, თქვენი აზრით, რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება საზოგადოებამ დააკისროს იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე ამ კამპანიისა და პროპაგანდის სათავეში იდგნენ?**

— მრწამსში ყველა ადამიანი თავისუფალია. საქმე ისაა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა. აქედან გამომდინარე მართლმადიდებელი ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულნი ამ ჭეშმარიტ სარწმუნოებას უნდა მოერგონ. ისევ ვიმეორებ, **ახლადარჩეულ ხელისუფლებაში არიან პიროვნებები, რომლებიც თავს მორწმუნეებად წარმოგვიჩენდნენ, თუმცაღა თავიანთი ქმედებით ებრძოდნენ მართლმადიდებლობას. ზედაპირული, „მოდური“ მორწმუნენი, ბუნებრივია, ჭეშმარიტ მორწმუნეებთან საერთოს ვერ გამონახავენ.** უფრო მეტიც, ჩვენ დავკარგავთ უფლის მადლს — წყალობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრმა, რომლებიც დღეს ხელისუფლებას წარმოადგენენ, ლომის წილი დადეს სააკაშვილის დიქტატორად ჩამოყალიბებაში, ზურგს უმაგრებდნენ მას. მოდით ეს ყველაფერი წარსულს ჩავაბაროთ, გულწრფელად მოვინანიოთ და ვემსახუროთ ჩვენს ბედკრულ, მრავალჭირვარამგამოვლილ ქვეყანას, ხალხს, ერთგულებითა და ჭეშმარიტებით.

**— ახალ მთავრობაში მოხვდა რამდენიმე ისეთი ადამიანიც, რომლებიც თავის დროზე, ხელისუფლების ბრძანებით, ეკლესიის დარბევასა და პირადად თქვენს დაპატიმრებას კანონის დაცვის აუცილებლობით ხსნიდნენ, ანუ ამართლებდნენ (მაგალითად, ლევან ბერძენიშვილი და მთლიანად რესპუბლიკური პარტია). რაზე მიგანიშნებთ ეს ფაქტი?**

— მართალი ბრძანდებით. როცა ჩვენი ეკლესია დაარბიეს, მაშინ მთელი მსოფლიო აღაშფოთა ამ საზარელმა ფაქტმა. ყველა კომენტარებით გამოხატავდა ემოციებს. უმრავლესობა თანადგომას გვიცხადებდა, გმობდა ამ ვანდალიზმს, მაგრამ იყვნენ პიროვნებები, რა თქმა უნდა, გამონაკლისი, რომლებიც საწინააღმდეგოდ აზროვნებდნენ. მაგალითად, **ლევან ბერძენიშვილმა თქვა: „ასეთი ბედნიერი ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარო“, ასე გაახარა ღვთის მსახურის დაპატიმრებამ ის.**

ღმერთმა აპატიოს, იქნებ მანაც შეინანოს და დაადგეს ჭეშმარიტების გზას. აქ კიდევ სხვა საკითხია: მე პირადულით არასოდეს ვყოფილვარ დაინტერესებული. ადამიანი, რაც უნდა დამნაშავე იყოს პიროვნულად ჩემ წინაშე, მთავარია, ის აკეთებდეს საზოგადო საქმეს ერის წინაშე. რაც შემეხება მე, ყველას ვპატიობ. მეორეც, ღმერთის გასაკეთებელს მე არ ვეცდები გავაკეთო. ღმერთი ყველას მიაგებს საქმეთა მათთაებრ, დაუსჯელი არავინ დარჩება.

**მე უფრო სხვა რამე მაღიზიანებს, პარლამენტის წევრი, ამჟამად ოპოზიციაში მყოფი გია ბარამიძე ყველას მოგეხსენებათ, ჩვენი დარბევა მისი მინისტრობის დროს მოხდა. იდგა და მშვიდად უყურებდა, სპეცრაზმელები როგორ უმოწყალოდ ცემდნენ ღამენათევ ხალხს, განსაკუთრებით დათა ახალაია და ვასილ სანოძე როგორ უსწორდებოდნენ მოხუც ქალებს ხელკეტებით; ასევე დავით კირკიტაძე და მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები როგორ ულმობლად, ზიზღით, ძალადობრივად მოქმედებდნენ.**

გია ბარამიძის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა სვანეთში მოსახლეობისათვის თვითმფრინავებიდან რაკეტების დაშენა და ხალხის ხოცვა. როგორც იქ დამსწრე საზოგადოება ამბობს, თურმე ერთ-ერთ მიცვალებულს ცეცხლი ეკიდა, ბარამიძე კი იდგა და ცეცხლზე ხელებს ითბობდა. ეს პიროვნება პარლამენტში უნდა იჯდეს და სხვას განიკითხავდეს? მისი ადგილი მხოლოდ საპყრობილეშია, იქ, სადაც უამრავ პატიმრებს სადისტურად აწამებდნენ, ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები კი სიამოვნებით უყურებდნენ შემაშფოთებელ, სულისშემძვრელ კადრებს.

**— როგორ აფასებთ ამ ხელისუფლების დამოკიდებულებას ნატოსთან, ევროკავშირთან და ზოგადად ევროპულ ოჯახში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაც, ფაქტობრივად, მისი წინამორბედის მიერ აღებული კურსის იდენტურია? რა შეიძლება ამან მოგვიტანოს საბოლოოდ?**

— მე ღვთის მსახური ვარ და ჩემი გადასახედიდან ვუყურებ ყველაფერს. რაც სააკაშვილი პრეზიდენტად დადგა, მოერგო სავარძელს, მოირგო კონსტიტუცია და, რასაც უნდა, იმას აკეთებს. ასევე, გაერო და ნატო სულ მუდამ პირზე ეკერა. **დავით აღმაშენებელი არ შესულა ნატოში, მაგრამ ააყვავა და გააერთიანა საქართველო. ეკლესიური გადასახედიდან ჯერ ეს არ მოხდება, უფალი თუ არ ინებებს, თუნდაც თავდაყირა რომ დადგეს პარლამენტი. გარდა ამისა, იქ გაერთიანებას, ჩემი მოსაზრებით, არანაირი სახარბიელო მხარე არ გააჩნია. გვეყოს ამდენი ჯარების შემოსვლა ამ ციცქნა საქართველოში. მე მგონი, ამას ღმერთი არ დაუშვებს.** გეთანხმებით ქვეყნის კურსი, აღებული ახალი ხელისუფლების მიერ, იდენტურია წინამორბედისა. ამიტომ, როგორც წინამორბედი ვერ შევიდა მსოფლიო მასონურ (ასე დავარქმევდი) გაერთიანებაში, ასევე იქნება ახლაც. თუ ეს მოხდა, ისინი საქართველოს მხოლოდ პლაცდარმად გამოიყენებენ, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს. ბუნებრივია, ისინი თავისი ინტერესებისთვის გამოიყენებენ ჩვენს ქვეყანას.

**— დასასრულს საპატრიარქოზეც გკითხავთ. საზოგადოების ნაწილი მის მონაწილეობას ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში არასაკმარისად აფასებს და მიიჩნევს, რომ საპატრიარქო უფრო აქტიურად უნდა ერეოდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; ნაწილი კი პირიქით, საერო და სასულიერო სფეროებს მიჯნავს. არის თუ არა რეალურად შესაძლებელი და მისაღები ის, რომ ეკლესია უფრო მეტად ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში?**

— **სასულიერო პირმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის საკეთილდღეო საქმეში.** როცა ხედავ, ქვეყანა თავზე გენგრევა და შენ შეგიძლია რაიმე სიკეთე გააკეთო, იძახო, მე სულიერი მოძღვარი ვარ და ვერ ჩავერევიო, ამაში არავითარი ლოგიკა არ დევს. პირიქით, რაც შეგიძლია, როგორც შეგიძლია, მაქსიმუმი უნდა გააკეთო შენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. როგორ, **პირში წყალი უნდა ჩაიგუბო და შორიდან უყურო ქვეყნის დაღუპვას? ამაში ვერანაირ საღ ქმედებას ვერ ვხედავ.** სამშობლოს საკეთილდღეოდ სიცოცხლეც კი უნდა მიიტანო სამსხვერპლოზე.

**მე მივესალმები იმ სასულიერო პირებს, მეუფე იობს, მეუფე იაკობს, მეუფე ეფრემსა და სხვებს, რომლებიც ხშირად იდგნენ ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით, სულიერად აძლიერებდნენ მას. განსაკუთრებით ხაშურის მოვლენებს გამოვყოფდი, როცა სასულიერო პირები სპეცრაზმელებსაც კი დაუპირისპირდნენ.**

ეს — ერთეულ ეპისკოპოსებზე. რაც შეეხება უშუალოდ საპატრიარქოს, ის ყოველთვის სააკაშვილის მითითებით მოქმედებდა.

თუნდაც ავიღოთ ახალგაზრდების აღზევებული მასობრივი გამოსვლა. სწორედ მათმა ქმედებამ გადატეხა ხერხემალში სააკაშვილი. როცა სტუდენტების პროტესტმა ციხის მოვლენებთან დაკავშირებით პიკს მიაღწია, ე. წ. პრეზიდენტის მითითებით საპატრიარქომ ახალგაზრდობას მოუწოდა, შეეწყვიტათ მანიფესტაციები. იმ მომენტში ეს მოწოდება ალოგიკური იყო.

საერთოდ, **ყველა მოვლენასთან მიმართებაში საპატრიარქოს ქმედება ინერტულია, ამ დროს კი ეკლესიას, როგორც ერის ფლაგმანს, ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა და აქტიური ქმედება, რასაც ნამდვილად ვერ ვხედავთ, გარდა გამონაკლისისა,** რომელიც უკვე აღვნიშნე.

**— რას უსურვებთ საქართველოს მოსახლეობას?**

— მართალია, საბედნიეროდ შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ ჩვენ გულხელდაკრეფილები არ უნდა ვიყოთ. პირიქით, თითოეული ჩვენგანის ვალია, ვიაროთ ჩვენი წინაპრების, ქრისტეს ეკლიანი გზით. ვამხილოთ ყოველი უკეთურება, განსაკუთრებული პატივი მივაგოთ ჩვენს რწმენას — მართლმადიდებლობას. ყოველნაირად ვეცადოთ, მშვიდობიანი გზით ავლაგმოთ სექტანტთა პროზელიტიზმი, რომლებიც ქუჩა-ქუჩა დადიან და გვიგინებენ ჩვენს სარწმუნოებას.

მე ვარწმუნებ ყველას და ვაცხადებ: **მალე იბერია დაიწყებს გაბრწყინებას მართლმადიდებელი სარწმუნოებით და ეს პროცესი ისეთი იქნება, მას ხელს ვერავინ შეუშლის, რამდენიც უნდა ეცადონ, ვერც სააკაშვილის ბანდა შეუშლის ხელს და ვერც ახლადარჩეული მთავრობა.**

ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**





## «ლევან ბერძენიშვილმა თქვა: «ასეთი ბედნიერი ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარო», — ასე გაახარა ღვთისმსახურის დაპატიმრებამ ის»

**«ყველა მოვლენასთან მიმართებაში საპატრიარქოს ქმედება ინერტულია, ამ დროს კი ეკლესიას, როგორც ერის ფლაგმანს, ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა და აქტიური ქმედება, რასაც ნამდვილად ვერ ვხედავთ»**



**«გია ბარამიძის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა სვანეთში მოსახლეობისათვის თვითმფრინავებიდან რაკეტების დაშენა და ხალხის ხოცვა. როგორც იქ დამსწრე საზოგადოება ამბობს, თურმე ერთ-ერთ მიცვალებულს ცეცხლი ეკიდა, ბარამიძე კი იდგა და ცეცხლზე ხელებს ითბობდა. ეს პიროვნება პარლამენტში უნდა იჯდეს და სხვას განიკითხავდეს?»**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა ინტენსიურად წარმართოს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა „ქართული ოცნების“ დისკრედიტების პროცესი, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობას“ შანსი არ აქვს.“



გელა ნიკოლეიშვილი:

# ახალაიებისა და მეგის ქარდავას წინააღმდეგ იმდენი მტკიცებულებებია, მთელი მსოფლიო რომ ფეხზე დადგეს, ვერ დაიცავენ...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი, ომბუდსმენობის კანდიდატი გელა ნიკოლეიშვილი.**

**— ბატონო გელა, ცხრა წლის მანძილზე თქვენ, ადვოკატები და უფლებადამცველები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მუდმივად ამტკიცებდით, რომ ჩვენს ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმი მართავს. ეს რეჟიმი გავისტუმრეთ. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა რეალურად? რა მივიღეთ?**

— ჯერ იმით დავიწყებ, რატომ მოხერხდა სააკაშვილის რეჟიმის გასტუმრება ასე სწრაფად და უმტკივნეულოდ. მე ყველა ინტერვიუში ვამბობდი და თქვენთანაც არაერთხელ ვთქვი, რომ, თუ ეს ადამიანები მოახერხებენ და გააყალბებენ არჩევნებს 35-40%-ით, მაშინ დაიწერენ უმრავლესობას, ხოლო, თუ ამას ვერ მოახერხებენ და მხოლოდ 10-15%-ით გააყალბებენ, ხალხი შეეგუება ამას, იმიტომ, რომ ესენი ვერ მოიგებენ-მეთქი. მართლაც გაყალბება მოხდა სულ რაღაც 15 თუ 20%-ით და ბუნებრივია, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის. ის, რომ მათ ვერ მოახერხეს უფრო მაღალი მაჩვენებლით გაყალბება, არის ორი რამის დამსახურება: ერთის მხრივ, საზოგადოებაში მაქსიმალურად ამოხეთქა იმ ბოღმამ და სიძულვილმა, რომელიც ცხრა წლის მანძილზე დაგროვდა, და მეორეს მხრივ, იყო ძალიან დიდი ზეწოლა დასავლეთის მხრიდან. რაც შეეხება იმას, თუ რა შეიცვალა, პირველ რიგში შეიცვალა დამოკიდებულება თვითონ ადამიანისადმი, პიროვნებისადმი და საერთოდ, მე ვფიქრობ, რომ ამ რეჟიმის გასტუმრებით სახელმწიფოებრივ აზროვნებაში მოხდა დიდი გარდაქმნა; **მთელი ეს პერიოდი ჩვენ გვაჩვევდნენ იმ აზრს, რომ ადამიანი არაფერი არ არის, მთავარია ქვების გროვა, შენობები, გზები, სკოლები, საავადმყოფოები, სასტუმროები და ა. შ. იმას არავინ ამბობდა, ვინ იცხოვრებს ამ სასტუმროებში, ქართველ ხალხს ამით რა სიკეთე ექნება; ვინ შეიძლება იმკურნალოს გარემონტებულ საავადმყოფოებში, ისწავლოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლებში, უმაღლესებში... სინამდვილეში მათ ეს ყველაფერი უნდოდათ იმისთვის, რომ თავიანთი თავი წარმოეჩინათ და იგივე პედაგოგები კოორდინატორებად გამოეყენებინათ. რეალურად კი რაც ხდებოდა, ყველამ ვიცით... საბოლოოდ სააკაშვილმა შექმნა ისეთი ხელისუფლება, ხაზს ვუსვამ, ხელისუფლება და არა სახელმწიფო, რომელიც თავიდან ბოლომდე იყო ბუტაფორიული,** ანუ, როგორც მის მიერ გახსნილი თითოეული ფაბრიკა, ქარხანა თუ სასტუმრო წარმოადგენდა რეალურად რეჟიმის გასაფორმებელ დეკორაციას, ასეთივე დეკორაციას წარმოადგენდა მთლიანად მისი სახელისუფლო გუნდიც. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ფასადურია, რაც საფუძვლიანი არ არის, ადრე თუ გვიან იშლება. ანალოგიურად მოხდა ამათ შემთხვევაშიც და ვფიქრობ, ამაში გასაკვირი არაფერია. საფუძველი არ გააჩნდა სააკაშვილის რეჟიმს, არაფერზე არ იდგა, ამიტომ, ბუნებრივია, როცა ხალხს არჩევანის საშუალება მიეცა, მისი დრო დამთავრდა...

**— დამტკიცდა მთავრობა და სახელისუფლო გუნდის წარმომადგენლები წინამორბედის პასუხისმგებლობაზე აქტიურად საუბრობენ. თქვენი აზრით, ეს პასუხისმგებლობა რა დონეზე შეიძლება დადგეს? უმაღლეს ეშელონებს რამდენად მისწვდება მართლმსაჯულება, როგორ ფიქრობთ?**

— თუ ვერ მისწვდება, საზოგადოებას საფუძვლიანად გაუჩნდება განცდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში სამართლიანობა ვერ აღადგინა. ერთი საკითხია, რომ დასჯა არ უნდა მოხდეს ისე სადისტურად და არაადამიანურად, როგორც ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, მაგრამ, ვისაც დაუდასტურდება დანაშაული, რასაკვირველია, მის მიმართ მართლმსაჯულება უნდა იყოს ადეკვატური. არ აქვს მნიშვნელობა, ვისზეა საუბარი — მოსამართლეზე, პროკურორზე თუ რიგით პოლიციელზე. **კანონს აღსრულების პროცესში ბარიერი თუ შეექმნა, თუ მივიღეთ სიტუაცია, რომ ვიღაცის შემთხვევაში სამართლის მიღწევა შესაძლებელია, ვიღაცის შემთხვევაში კი — არა, მაშინ ზედმეტია საუბარი იმაზე, სამართალწარმოების კუთხით რას მივაღწიეთ.**

**— უმაღლესი ეშელონები იმიტომ ვახსენე, რომ ზოგიერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც პირველ რიგში დადგება, უკვე დატოვა საქართველო და მათი ადგილსამყოფელი უცნობია. თქვენი აზრით, მათ მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება რამდენად მოხერხდება?**

— ვფიქრობ, ეს ძნელი საქმე არ არის, მითუმეტეს იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვართ. ვგულისხმობ იმას, რომ უტყუარი მტკიცებულებები იქნება უამრავი ამ ადამიანების წინააღმდეგ. რაც შეეხება ახალაიებსა და მეგის ქარდავას, მათ შემთხვევაში იმდენი მტკიცებულებაა და იმდენ რამეს წარადგენენ, მთელი მსოფლიო რომ ფეხზე დადგეს, ვერ დაიცავენ.

**— მოვლენებს, ცხადია, ვერ გავუსწრებთ, მაგრამ იმ კატეგორიის დანაშაულების გამო, რომელთაც ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა წლების მანძილზე, სავარაუდოდ, სჩადიოდნენ, სასჯელი დაახლოებით რა შეიძლება იყოს?**

— ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, შეკრებითობის პრინციპის გამოყენებით, სასჯელის მაქსიმუმი არის ოცდაათი (30) წელი, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით კი ორმოცი (40) წელი...

**— დავაკონკრეტოთ, ის კანონდარღვევა, რაც, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, ბაჩო ახალაიამ, მეგის ქარდავამ და თანამდებობრივად მათ გვერდით მდგომმა ადამიანებმა ჩაიდინეს, რამდენად ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას?**

— **დღეს არსებული კანონმდებლობით, როცა ყოველი კონკრეტული დანაშაული ერთმანეთს ემატება, ოცდაათამდე კი არა, ას ოცდაათ წლამდეც შეიძლება ავიდეს სასჯელი.**

**— თქვენი აზრით, გასამართლება საქართველოში უნდა მოხდეს თუ საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ?**

— დანაშაული ჩადენილია საქართველოში საქართველოს მოქალაქეების მიერ. ეს ჩვენი იურისდიქციაა, ამიტომ გამოძიებაც, გასამართლებაც და სასჯელის მოხდაც, ბუნებრივია, მოხდება საქართველოში.

**— „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ძირითად აქცენტს დეპოლიტიზაციის პროცესზე აკეთებენ. მათი აზრით, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში პოლიტიკამ და პოლიტიკურმა ინტერესებმა ყველა სფეროში შეაღწია. ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ეს შეხედულება გარკვეულწილად ხელოვნურია? იყო რეალურად ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ასე მკაცრად პოლიტიზირებული?**

— ჩემი აზრით, იყო. როცა საუბარია არა მხოლოდ ავტორიტარულ, არამედ უკვე ტოტალურ რეჟიმზე, ეს ნიშნავს სწორედ იმას, რომ პოლიტიკა იყო ყველგან და ყველაფერში. ზუსტად ამან დააჩქარა სააკაშვილის ხელისუფლების აღსასრული, თორემ, მას რომ გარკვეული რაღაც ზღვარი დაეცვა და უკლებლივ ყველა სფეროში ხელის ფათური არ დაეწყო, „ნაცმოძრაობის“ რღვევა შეიძლება ასე სწრაფად არ მომხდარიყო. იგივე, რომ ავიღოთ განათლების სამინისტრო, სკოლები და უნივერსიტეტები; რომ ავიღოთ თუნდაც ჯარი, პენიტენციარული დაწესებულებაც, იუსტიციის სამინისტრო ან, გნებავთ, სასამართლო — ყველა ეს უწყება თუ სტრუქტურა, რომლებიც, წესით, ყოველგვარი პოლიტიკის მიღმა უნდა ყოფილიყვნენ, პირდაპირ რეჟიმის წნეხქვეშ მოექცნენ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლებამ ყველაფერს ერთი ფუნქცია განუსაზღვრა — მმართველი გუნდის დასაყრდენი. ზუსტად ამ ნიშნით მოხდა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების: მეცნიერების, ხელოვანების, სპორტსმენების დაყოფაც და ეს იყო მთელი ამ სისტემის სიმახინჯე. სხვათა შორის, სასამართლო ვახსენე და **ამასწინათ სწორედ სასამართლოს მანდატურებს ვესაუბრე, რომლებიც ჩიოდნენ, რომ ემუქრებიან. ზეწოლა არის იგივე, რაც იყო არჩევნებამდე: გაგათავისუფლებთ სამსახურიდან, რატომ მიეცით ხმა „ქართულ ოცნებას“, ხომ არ გგონიათ, ესენი დიდხანს დარჩებიან და ა.შ. ეს ბიჭები ასახელებენ კონკრეტულ პიროვნებებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც მათ ემუქრებიან;** ასე რომ, პოლიტიკა, რა თქმა უნდა, იყო ყველგან და ამ პოლიტიკის შედეგებს ჩვენ კიდევ დიდხანს ვერ აღმოვფხვრით ბოლომდე. თქვენ წარმოიდგინეთ, საბავშვო ბაღებშიც კი სპეციალურ კოორდინატორებს ნიშნავდნენ. სხვა სახელმწიფო სამსახურებზე საერთოდ ლაპარაკი არ მაქვს...

**— კი მაგრამ, როცა სახელდება კონკრეტული სახელები და გვარები, თანამდებობის პირები, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ და დღემდე ახდენენ რიგით თანამშრომლებზე, რატომ არ ინტერესდება გამოძიება ამ ადამიანებით?**

— ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია. გენერალური პროკურორი ახლახან დაინიშნა, სულ რამდენიმე დღეა მინისტრების დამტკიცებიდან გასული, ასე რომ, სისტემა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებისდროინდელი კადრებითაა დაკომპლექტებული. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მყისიერად, ყველაფერი ერთბაშად ვერ გადაწყდება, მაგრამ თანდათანობით გამოძიებამ თავისი საქმე აუცილებლად უნდა გააკეთოს.

**— დაახლოებით რა ვადებში ვარაუდობთ გამოძიების პროცესის დაწყებას და კონკრეტულ შედეგს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების სახით?**

— ძნელია წინასწარ ამაზე ზუსტად საუბარი, მაგრამ დაახლოებით, ალბათ, ერთ თვეში გარკვეული სახე და მიმართულება მიეცემა ამ ყველაფერს. ყოველ შემთხვევაში, რაღაც ნაწილს მაინც იმ საქმეებისა, რომლებიც გამოსაძიებელია, ვფიქრობ, ნათელი უნდა მოეფინოს და, ვინც დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს.

**— ისე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რომ რეჟიმის „მცირე ჭანჭიკები“ მუქარასა და დაშინებას დღემდე აგრძელებენ, მაშინ, როცა სისტემის თავკაცები ქვეყნიდან გაქცეულები არიან.**

— მათ კულისებში ეუბნებიან: ნუ გეშინიათ, ჩვენ დავბრუნდებით, გამაგრდითო. როგორც ჩანს, მართლა სჯერათ, რომ ეს შესაძლებელია და დღემდე განუხრელად აგრძელებენ იმ პოლიტიკას, რომელიც ჰქონდათ წინა ხელისუფლების დროს. სხვაგვარად, ალბათ, არც შეუძლიათ.

**— თქვენი აზრით, არსებობს იმის თუნდაც მცირე თეორიული შანსი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდეს ხელისუფლებაში?**

— თუ მოდუნდება და დოყლაპიობას გამოიჩენს ახალი ხელისუფლება, მაგის შანსი, გრძელვადიან პერსპექტივაში, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ის ბოღმა და სიძულვილი, რომელიც ცხრა წლის მანძილზე გროვდებოდა საზოგადოებაში, არა მგონია, მინიმუმ ერთი წელი მაინც ჩაცხრეს. იმის თქმა მინდა, რომ, **რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა ინტენსიურად წარმართოს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა „ქართული ოცნების“ დისკრედიტების პროცესი, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ნაცმოძრაობას“ შანსი არ აქვს;** თუმცა, ვიმეორებ, არის ალბათობა, რომ მათ ბევრი იმუშაონ უცხოურ ორგანიზაციებთან, საბოტაჟები მოუწყონ ხელისუფლებას დასავლეთში და ა. შ. ამიტომ ენერგიული მოქმედება მართებს ამ გუნდს. მეორე მხრივ, **ისინი ძალიან დიდი გულისყურით უნდა მოეკიდონ იმ დაპირებების შესრულებას, რომლებიც გასცეს წინასაარჩევნო პერიოდში.** ჯერჯერობით რასაც ვხედავთ, სწორედ ამით მანიპულირებს საპარლამენტო უმცირესობა და ამის საშუალება რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოაცალოს კოალიციამ ოპოზიციას.

**— მოკლედ, შეგიძლიათ თქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მკვდარი არ არის? ბევრს ასე ჰგონია.**

— რა თქმა უნდა, მკვდარი არ არის. შეიძლება მომაკვდავია, მაგრამ ცოცხლობს და მთავრობის მხრიდან უხეში შეცდომების შემთხვევაში, ის შეიძლება მოგვიბრუნდეს, იმის მიუხედავად, რომ ხალხის მხარდაჭერა არ აქვს. გახსოვთ, როგორ შეიცვალა შევარდნაძის ხელისუფლება, მაგრამ შემდეგ იმდენად დამძიმდა სიუტაცია, რომ ხალხი იმ ხელისუფლებას ნატრობდა... ანალოგიური ვითარების შექმნა არც დღესაა გამორიცხული.

**— ომბუდსმენობის კანდიდატი ხართ, არჩევის შემთხვევაში, რას შეცვლით სახალხო დამცველის სისტემაში?**

— შეუძლებელია ახლა ამაზე საუბარი. მე ვიქნები თუ სხვა, ჯერ შიგნით უნდა გაეცნოს ყველაფერს და სიტუაცია უნდა შეაფასოს. ამ შემთხვევაში, ჩვენ გარედან ვუყურებთ სტრუქტურას და დასკვნების გამოტანა ძნელია; ერთი ის არის, რომ **მთავარი ყურადღება იქნება გადატანილი ყველა აქტიურ პრობლემებზე, რაც იმ მომენტში აწუხებს ქვეყანას.** სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ხვალ და ზეგ რა იქნება, ამას დრო გვიჩვენებს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ნოდარ ხადური: „წინა ხელისუფლების დროს რაც ხდებოდა, ეს აღარ განმეორდება. ვითომ აკეთებდნენ შეღავათიან დაბეგვრის სისტემას და სინამდვილეში საკმაოდ სერიოზულად უშლიდნენ ხელს ბიზნესის განვითარებას“.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოში საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალია

**მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ახალი ძალა გამოჩნდა, ბიზნესის წარმომადგენლები გადასახადების შემცირებისა და ფინანსური ამნისტიის მოლოდინში არიან. პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა, დავით ონოფრიშვილმა, „ნეტ გაზეთთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ გადასახადების შემცირება არ მოხდება. ამ განცხადებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია... საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის გასავითარებლად ექსპერტები დაბალანსებულ საპროცენტო განაკვეთების არსებობას და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას მიიჩნევენ.**

საქართველოში საშემოსავლო გადასახადი ევროპის ქვეყნებთან შედარებით მცირეა, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. რუსეთში საშემოსავლო გადასახადი 13%-ს, ხოლო უკრაინაში 15%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახადი თითქმის ყველგან დიფერენცირებულია.

შესაბამისად, გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი იმის მიხედვით დგინდება, თვეში ხელფასის სახით ვინ რამდენ შემოსავალს იღებს. განსხვავებული სიტუაციაა საქართველოსა და სომხეთში. ორივე ქვეყანაში დღემდე პროპორციული საშემოსავლო გადასახადის ფორმა მოქმედებს.

2008 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები: გაუქმდა 20%-იანი სოციალური გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი 12-დან 25%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, მთავრობას დაევალა, წარმოედგინა 5 წლის განმავლობაში სოციალური გადასახადის ეტაპობრივად შემცირების საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც 25%-იან განაკვეთს 15%-ამდე შეამცირებდა. საშემოსავლო გადასახადის ამგვარი ცვლილება მძიმე ტვირთად დააწვა თითოეულ დასაქმებულს.

**მთავრობა ამტკიცებდა, რომ სოციალური გადასახადის გაუქმებითა და საშემოსავლო გადასახადის გაზრდით რამდენიმე პროცენტით შეამცირა საგადასახადო ტვირთი.** 25%-იანი საშემოსავლო გადასახადის მხოლოდ წლის ბოლომდე დატოვებით და ზემოხსენებული 5-წლიანი საკანონმდებლო წინადადებების შემუშავების აუცილებლობით, ფაქტობრივად, აღიარა ახალი საშემოსავლო გადასახადის მაღალი საპროცენტო განაკვეთი. მაშინ ექსპერტები ამბობდნენ, რომ ცვლილებამ დამატებითი პრობლემები წარმოშვა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. **დამსაქმებლები ვერ უზრუნველყოფენ ხელფასის მომატებას სასურველ რეალურ შემოსავლამდე და, ხელფასის ეტაპობრივად ზრდის მიუხედავად, მაინც არ იძლევა დიდ ეფექტს, რადგან გაზრდილ ხელფასს აკლდება გაზრდილი საპროცენტო თანხა. ეს თანხა ხელფასის 1/4 შეადგენს.** ცვლილებამ სიტუაცია სახელმწიფო სექტორში უფრო გაართულა. დაბალანაზღაურებადი საბიუჯეტო სექტორის წარმომადგენლები იხდიან ისედაც მიზერულ საარსებო მინიმუმს — არსებული ხელფასის 25% პროცენტს. ამ პრობლემას ისიც ამძიმებს, რომ მოსახლეობა ვერ იღებს არაპირდაპირი სახით მის მიერ გადახდილ თანხას და თავიდან უწევს დარჩენილი ხელფასით საკუთარი და ოჯახის წევრების სოციალური სფეროების დაფინანსება (განათლება, ჯანდაცვა). აქედან გამომდინარე, **დასაქმებულთა უმრავლესობასაც კი არ აქვს საშუალება, მიიღოს სათანადო სამედიცინო მომსახურება ან შეიძინოს სამედიცინო დაზღვევა, რაც სახელმწიფოს აყენებს ცალმხრივი მოსარგებლის როლში.**

მთავრობამ „საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების მორიგი პაკეტი წარადგინა, რომლის მიხედვითაც არსებული საშემოსავლო გადასახადი 20%-დან 15%-მდე აღარ შემცირდება. **მთავრობის ინიციატივით, 2013 წლიდან ახალი სისტემა ამოქმედდება. გადამხდელს 20%-იანი საშემოსავლო გადასახადიდან საშუალება ექნება 18% ბიუჯეტში გადაიხადოს, ხოლო 2% ნებაყოფლობით, ინდივიდუალურ დაგროვებით ანგარიშზე დარიცხოს.** კანონპროექტის მიხედვით, დაზოგილი თანხის მიღება მოქალაქეებს არაუმეტეს 15 წლის შემდეგ შეეძლებათ.

**ნოდარ ჭიჭინაძე, „საქართველოს ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის“ პრეზიდენტი:**

„საშემოსავლო გადასახადიდან ამ სისტემით გამოქვითვას არ ვეთანხმები, ნებისმიერი დაგროვება უნდა იყოს ნებაყოფლობითი. თავად პიროვნებამ უნდა გადაწყვიტოს, სად დააგროვოს — საკუთარ ფონდში, საბანკო ანგარიშზე თუ სხვაგან. 2 პროცენტის ფონდში გადარიცხვა არის იძულების ფორმა, რაც დაუშვებლად მიმაჩნია. გადასახადების ცვლილების კუთხით, „საგადასახადო კოდექსში“ კორექტივები შესატანი არაა. რამდენადაც ვიცი, ამ მიმართულებით რაიმე ცვლილება არც იგეგმება. სხვა მიმართულებით არსებობს ინიციატივები. **რამდენიმე მუხლი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რომელიც ბიზნესისა და საგადასახადო ორგანოს მხრიდან, შესაძლოა, სხვადასხვანაირად იქნეს შეფასებული.** ამ მიმართულებით თუ მოხდება ცვლილება, რის შედეგადაც საგადასახადო კოდექსი მხარეებისთვის იქნება 100%-ით გაგებადი, ეს გაამარტივებს ბიზნესსაქმიანობას.

ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მცირე და საშუალო მეწარმეებს არჩევანის საშუალებას დავუტოვებდი. არსებობს ბიზნესი, რომლისთვისაც ფიქსირებული გადასახადი უფრო მისაღებია და არსებობს ბიზნესი, რომელიც ბრუნვისა და შემოსავლის მიხედვით დაბეგვრას ამჯობინებს. **უპრიანი იქნება, თუ დაბეგვრის ორ სისტემას შორის ბიზნესმენებს, საკუთარი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება ექნებათ.** რომელი ფორმა უფრო მართებულია, ამ საკითხზე აზრი ორად არის გაყოფილი. ძალიან ცნობილ ეკონომისტებს შორის არის დავა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე არაკომპეტენტურია. ჩემის აზრით, გადასახადი არ უნდა იყოს დიდი. შეიძლება დაბეგვრის ოდნავ დიდი განაკვეთის არსებობა, მაგრამ, რაც ხდება საფრანგეთში, ეს მიუღებელია. დღეს საფრანგეთში მაღალშემოსავლიანი სპორტის სეგმენტი იბეგრება. არა მარტო სპორტის, ბიზნესის სფეროშიც მაღალი საგადასახადო განაკვეთები ხელს უწყობს კაპიტალის სხვა ქვეყანაში გასვლას. საჭიროა დაბალანსებული მიდგომა პიროვნების შემოსავლებსა და დაბეგვრის განაკვეთს შორის“.

**გიორგი აბაშაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

„ძნელია იმის თქმა, ბიზნესგარემოსა და მოქალაქეთა ცხოვრების დონეზე რეალურად რამდენად აისახება რეიტინგში დაწინაურება. აქ არის საუბარი იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც უფრო მეტად ტექნიკურ პროცედურებს უკავშირდება, ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული ბიზნესგარემოს სიღრმისეულ ანალიზზე. **საქართველოში ტექნიკური პროცედურები მარტივია ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციაზე, საშუალო ნებართვების სიმარტივეზე, გაცილებით უფრო შინაარსობრივი ნაწილია გადასახადები, ინვესტორები, აღსრულება. აი, ამ კრიტერიუმებში საქართველოს არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვს.** მეცხრე ადგილი არის ჯამური ადგილი, რომელიც რამდენიმე კრიტერიუმიდან გამომდინარეობს.

ქვეყანაში თავისუფალი ბიზნეს გარემოს განვითარებისთვის რამდენიმე ფაქტორია საჭირო. ამისთვის მინიმუმ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. ყველა აღიარებს, რომ, როდესაც სასამართლო სისტემაში არის პრობლემები, ბუნებრივია, ბიზნესის თავისუფლებაზე საუბარი ზედმეტია. სასამართლო სისტემის რეფორმა არის გრძელვადიანი პროცესი, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელი. ბიზნესის თავისუფლებისა და დაცულობისთვის უკეთესი შედეგი რომ მივიღოთ, საჭიროა კერძო არბიტრაჟის ამოქმედება. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ერთ-ერთი და არა ერთადერთი ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთია, მგონია, რომ საქართველოს საკრედიტო სისტემას აქვს იმის რესურსი, რომ გადასახადები კიდევ უფრო შემცირდეს.** ამით უფრო მეტი სტიმული იქნება ბიზნესისთვის. **მცირე და საშუალო ბიზნესი რომ განვითარდეს, ორი მექანიზმია საჭირო, ესაა კერძო არბიტრაჟის ამოქმედება და გადასახადების შემცირება.** ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, მცირე ბიზნესის ნაწილი რაღაც გარკვეულ ზღვრამდე საერთოდ გათავისუფლდეს გადასახადისგან“.

**შეიცვლება თუ არა საქართველოში საგადასახადო დაბეგვრის სისტემა და რა ცვლილებები იგეგმება ბიზნესის ხელშესაწყობად ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს** მისი უფლებამოსილების დამტკიცების პირველივე დღეს ესაუბრა.



## ნოდარ ხადური: რა თქმა უნდა, მცირე და საშუალო ბიზნესს ხელს მაქსიმალურად შევუწყობთ!

**ნოდარ ხადური:**

— ჩვენ შემოგვაქვს საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება, რომელიც საკმაოდ სერიოზული შეღავათი იქნება მცირე შემოსავლიანი ადამიანებისთვის. ეს ადამიანები დღეს იბეგრებიან 20%-იანი განაკვეთით, ამიტომ საარსებო მინიმუმის გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან პედაგოგებისთვის და ასეთი ადამიანებისთვის იქნება საკმაოდ სერიოზული შვება.

**— რა ცვლილებების გატარებას გეგმავთ მცირე და საშუალო ბიზნესის გასავითარებლად?**

— ათი წუთის წინ დავინიშნე მინისტრად! პროგრამაშიც წერია. რა თქმა უნდა, იქნება. მცირე და საშუალო ბიზნესს ხელს მაქსიმალურად შევუწყობთ. კონკრეტული ქმედებების განხორციელებას სჭირდება სერიოზული დაანგარიშება. **წინა ხელისუფლების დროს რაც ხდებოდა, ეს აღარ განმეორდება. ვითომ აკეთებდნენ შეღავათიან დაბეგვრის სისტემას და სინამდვილეში საკმაოდ სერიოზულად უშლიდნენ ხელს ბიზნესის განვითარებას.**

ჩვენი ამოცანაა საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია, რომ საგადასახადო ადმინისტრირება არ იწვევდეს ბიზნესის გაკოტრებას, იყოს მარტივი, დამატებითი ხარჯები არ ჰქონდეს მცირე და საშუალო ბიზნესს, რადგან არა აქვთ იმის ფუფუნება, რომ მაღალკვალიფიციური აუდიტორები დაიქირავონ. ასე რომ, ჩვენი ამოცანა იქნება კომპლექსური მუშაობა, იმისთვის, რომ ქართული საგადასახადო სისტემა იყოს ერთ-ერთი საუკეთესო.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ერთ-ერთი და არა ერთადერთი ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთია, მგონია, რომ საქართველოს საკრედიტო სისტემას აქვს იმის რესურსი, რომ გადასახადები კიდევ უფრო შემცირდეს**

**ანა ქევხიშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ნაც·ბლეფი

**საარსებო მინიმუმი 2012 წლის იანვრიდან პერმანენტულად მცირდებოდა. საშუალო შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2012 წლის იანვარში 157,2 ლარს შეადგენდა, აგვისტოში კი ამ მაჩვენებელმა 145,5 ლარამდე დაიკლო. მატება სექტემბერში აღინიშნა და საშუალო შრომისუნარიანი მამაკაცისთვის განსაზღვრულმა საარსებო მინიმუმმა 149 ლარი შეადგინა.**

# სიცრუის იმპერიის ლაქიები

## ვის აძლევს ხელს სტატისტიკის გაყალბება?

**ჟურნალ „ფორბსის“ ჟურნალისტი მარკ ადომანისი Foreign Policy-ს ერთ ფრიად საინტერესო სტატიას გამოეხმაურა, რომელიც საქართველოში დასავლური ექსპერტების მუშაობის შეფასებას ეხება. ადომანისი გაოცებას ვერ ფარავს — დასავლური ექსპერტები ვალდებულნი იყვნენ, დაწვრილებით მოეთხროთ, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში, მათ კი ორი მთავარი რამ ვითომ და ვერ შენიშნეს:
ის, რომ საქართველო ჭეშმარიტად ღარიბი ქვეყანაა, და უმუშევრობის დონე ძალზე მაღალია.**



**მარკ ადომანისი** წერს: **„საქართველოში არასდროს ვყოფილვარ, თუმცა მე ვიცოდი, რომ, სააკაშვილის შესანიშნავი შედეგების მიუხედავად, ქვეყანა ძალიან ღარიბია. ქვეყნის კეთილდღეობის გასარკვევად საჭიროა სულ ცოტა რამ – ცნობისმოყვარეობა და ინტერნეტის ცოდნა. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის საიტზე მთელი საჭირო ინფორმაცია მოვნახე და დასკვნებიც გამოვიტანე. რუსეთი ყველანაირი გამოთვლით ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ სამჯერ მდიდარია საქართველოზე. საქართველოში პენსია დაბალია, სამუშაო კი — ცოტა. მე იმის თქმა მინდოდა, რომ დეტალური ანალიზის გაკეთება და პოლიტიკური რეცეპტების დაწერა მაშინ უნდა გაბედო, როდესაც ქვეყანაში გამეფებული ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტურად შეფასებას შეძლებთ“.**

მართლაც, ბოლო ათ წელს თუ გადავხედავთ, ამერიკის პრეზიდენტით დაწყებული, საერთაშორისო ინსტიტუტებით დამთავრებული საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობაზე საუბრობენ. არადა, ნებისმიერ რეიტინგში დაწინაურება მყარი ინდიკატორების მეშვეობით, ხოლო სტატისტიკის გამოთვლა კი სწორი მეთოდოლოგიით რომ უნდა ხდებოდეს, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. საქართველოში ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებს საქსტატი აქვეყნებს, მისი მონაცემებით კი, უმუშევრობის დონე 2010 წელთან შედარებით 16,3 პროცენტიდან 15,1%-მდე შემცირდა. ექსპერტების აზრით, სიღარიბესთან, საარსებო მინიმუმთან და უმუშევრობასთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთაც სტატისტიკის დეპარტამენტი არ ითვალისწინებს.

**ირაკლი ლექვინაძე, „ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის“ დირექტორი:**

„უმუშევრობასთან დაკავშირებით გვაქვს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. საკამათოა მეთოდოლოგია, რომლითაც საქსტატი ადამიანებს დასაქმებულად მიიჩნევს. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც აქვს ერთი ჰექტარი მიწა და არაფერს აკეთებს, დასაქმებულად არ უნდა ითვლებოდეს. ამას გარდა, საქსტატის მეთოდოლოგიაში არის ბევრი გადასახედი საკითხი, რის შემდეგაც უმუშევრობის მაჩვენებელი აღმოჩნდება უფრო მეტი, ვიდრე 16%-ია. **საქსტატის მონაცემებით, უმუშევრობა რეგიონებში უფრო დაბალია, ვიდრე თბილისში, მაგრამ რეგიონებში დასაქმებულად ითვლებიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ჰექტარი მიწა აქვთ.** რეალურად სხვა სურათი გვაქვს. თბილისი ეკონომიკურად უფრო აქტიურია, უფრო მეტი დასაქმებული ადამიანია, ვიდრე რეგიონებში. ეს ცდომილება საქსტატს გამოსწორებული არ აქვს. მთლიანობაში აქ შესაცვლელია კვლევის მეთოდი, მიდგომა და ასევე მნიშვნელოვანია ბაზების ფორმირება, რომელიც ოფიციალურად ასახავს ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ სამსახური. გასამახვილებელია ყურადღება უმუშევრობის ფორმაზე. უმუშევრად ითვლება ადამიანი, რომელსაც არ აქვს სამსახური, ასევე დასაქმებული ადამიანი, რომელიც ეძებს უკეთეს სამსახურს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რამდენად ითვალისწინებს სტატისტიკა ასეთი ტიპის უმუშევრობას. **საქართველოში უმუშევრობის შესამცირებლად ყველაზე მნიშვნელოვანია ბიზნესის ხელშეწყობა. სამუშაო ადგილს არ ქმნის სახელმწიფო, ქმნის ბიზნესი, ამიტომ სახელმწიფომ ბიზნესს უნდა შეუქმნას პირობები: შეუმციროს გადასახადები, უზრუნველყოს სამართლებრივი გარემო, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით არ შეუწყოს ხელი მონოპოლიებს და ა.შ.**

ალსანიშნავია, რომ უმუშევრებში ყველაზე კრიტიკული ასაკი 35-დან 50 წლამდე ადამიანებშია. ეს ადამიანები საბჭოთა პერიოდის შემდეგ დარჩნენ უმუშევრები. მორალურად მათი უნარ-ჩვევები მოძველდა. თანამედროვე სამუშაო პირობების შესაბამისად, წინა პლანზე წამოვიდა ახალი პროფესიები, როგორიცაა პროგრამისტი, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერი, პიარსპეციალისტები და სხვ. ბიზნესს სჭირდება კვალიფიციური კადრები, მაგრამ ასეთი ადამიანები ჩვენ არ გვყავს. ამიტომ საჭიროა გადამზადება სხვადასხვა პროფესიის მიხედვით, რაც სახელმწიფოს ჩარევით უნდა განხორციელდეს“.

**საარსებო მინიმუმი 2012 წლის იანვრიდან პერმანენტულად მცირდებოდა. საშუალო შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2012 წლის იანვარში 157,2 ლარს შეადგენდა, აგვისტოში კი ამ მაჩვენებელმა 145,5 ლარამდე დაიკლო. მატება სექტემბრის თვეში აღინიშნა და საშუალო შრომისუნარიანი მამაკაცისთვის განსაზღვრულმა საარსებო მინიმუმმა 149 ლარი შეადგინა.**

**ირაკლი ლექვინაძე:** „საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა ითვლებიან ადამიანები, ვისაც საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი აქვთ. ჩვენ რომ ვნახოთ ოფიციალური სტატისტიკა და ამ მეთოდით დათვლილი სიღარიბე, გამოვა სადღაც 10%-ის ფარგლებში. რეალურად ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია, იმიტომ, რომ ეს არ არის ზუსტი საზომი. საარსებო **მინიმუმი სწორად ვერ ზომავს იმ თანხას, რომელიც რეალურად სჭირდება ადამიანს. ერთი ადამიანის საშუალო მოხმარება არსებული საარსებო მინიმუმით 132 ლარია. თვეში 132 ლარით როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა? ამიტომ სიღარიბის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.** ამ პროცესის რეალურ შეფასებას თუ გავაკეთებთ, დაახლოებით შეიძლება იყოს 40%-ის ფარგლებში. საარსებო მინიმუმში მინიმალურ დონეზეც კი თუ შევიტანთ ყველა საარსებო პროდუქტსა და სერვისს, რომელიც ადამიანს ცხოვრებისთვის სჭირდება, ეს რიცხვი საკმაოდ გაიზრდება. მინდა აღვნიშნო, რომ **რეგიონებში დასაქმების უფრო დაბალი მაჩვენებელია, რის გამოც უფრო მეტია სიღარიბე. ცენტრალურ ქალაქებში ეკონომიკური აქტივობა უფრო მაღალია. ჩვენთან სიღარიბე მწვავედ არ ჩანს, რადგან ემიგრანტები ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ფულს უგზავნიან.**

**სიღარიბის შემცირების ყველაზე ეფექტური გზა არის დასაქმების ზრდა. სხვანაირად ამ პრობლემის მოგვარება საქართველოში რთულია“.**

შევარდნაძის დროს პენსია 14 ლარს შეადგენდა. 2003 წლის შემდეგ კი ეტაპობრივად იზდებოდა. ქვეყნის სტრატეგიულ **დოკუმენტში „ერთიანი საქართველო — სიღარიბის გარეშე“** არსებობდა განცხადება: **„სოციალური დახმარების პაკეტი მიმართული იქნება ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეებისთვის ღირსეული საარსებო გარემოს შესაქმნელად. ეტაპობრივად გაიზრდება სოციალური საპენსიო პაკეტის მოცულობა და ის 100 დოლარს მიაღწევს“.** ექსპერტები თავის დროზე ამ პროექტს უსაფუძვლოს უწოდებდნენ, პოლიტიკოსებმა კი დანაპირების შეუსრულებლობა გლობალური ეკონომიკური კრიზისითა და 2008 წლის რუსეთის აგრესიით ახსნეს.

მიმდინარე წლის სექტემბერში საპენსიო პაკეტმა 140 ლარი შეადგინა, საიდანაც 15 ლარი სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე ირიცხება. უშუალოდ ასაკის საფუძვლით სახელმწიფო პენსიის ოდენობა 2011 წლის 1 სექტემბრიდან შეადგენს 100 ლარს. შრომითი სტაჟის დანამატი 0-5 წლამდე — 2, 15-დან 25-მდე — 7, ხოლო 25 წლიდან ზევით 10 ლარს შეადგენს.

2007 წლამდე საქართველოში მოქმედებდა, სოციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახზე 22 ლარის ოდენობის შემწეობას 5 კატეგორიის ოჯახისთვის. დღესდღეობით პირი, რომელიც თავს სოციალურად დაუცველად თვლის, რეგისტრირდება მონაცემთა ერთიან ბაზაში. დახმარების დანიშვნის უფლებას მოიპოვებს ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 57000. ფულადი დახმარება ერთსულიანი ოჯახისთვის 30 ლარს, ორი და მეტსულიანი ოჯახების შემთხვევაში ოჯახის უხუცეს წევრზე 30 ლარს, ხოლო ყოველ მომდევნო წევრზე 24 ლარს შეადგენს. ეკონომიკის ექსპერტ სოსო არჩვაძის თქმით, პენსიონერები საშუალო ინფლაციური მაჩვენებლის პირობებშიც კი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. სოციალურ პროგრამაში დასარეგისტრირებლად კი აქცენტი უფრო მყარ ინდიკატორებზე უნდა გაკეთდეს.

**სოსო არჩვაძე,** ეკონომიკის ექსპერტი: „საქართველოში ძალიან დიდი განხვავებაა საშუალო ხელფასსა და საშუალო პენსიას შორის. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იმისა, რომ პენსიონერები შედარებით მძიმე სოციალურ მდგომარეობაში არიან. ბოლო წლებში ცალსახად გამოიკვეთა, რომ **პენსიონერები შემოსავლების მხრივ ყველაზე მარგინალურ, მაღალი რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობას წარმოადგენენ. დაბალი შემოსავლის გამო ორმაგად განიცდიან ფასების ზრდას.** შემოსავალი ვერ სწვდება საარსებო მინიმუმს და საშუალო ინფლაციური მაჩვენებლის პირობებშიც კი პენსიონერთათვის ფასები უფრო მეტად მატულობს, ვიდრე დანარჩენი კატეგორიის მოსახლეობისთვის. ინფლაცია იმაში მდგომარეობს, რომ პენსიონერების მცირე შემოსავალი, ძირითადად, მიმართულია პირველადი კვების პროდუქტებისა და კომუნალური გადასახადების მომსახურებისთვის. მაღალი ტექნოლოგიების მოხმარებისთვის და მგზავრობისთვის სახსრები აღარ რჩებათ.

ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ფასები ყველაზე სწრაფად საკვებ პროდუქტებზე იზრდება. ეს უშუალოდ აისახება პენსიონერთა მდგომარეობაზე. თუ საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი პირობითად არის 90 პროცენტამდე, პენსიონერებისთვის ეს მაჩვენებელი არის, სულ ცოტა, 120-125 პროცენტი. მათ დაბალ შემოსავალს კიდევ უფრო მეტად ამცირებს შედარებით მაღალი ინფლაცია, ამიტომ მათი მდგომარეობა არის სერიოზულად დრამატული. პენსიონერების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნებოდა, რომ არა ჩვენი ცხოვრების წესი, მხედველობაში მაქვს ტრადიციული ოჯახი. შიდა მოხმარების ოჯახური გადანაწილების ხარჯზე ადგილი აქვს შრომისუნარიანი წევრების მიერ შრომისუუნარო წევრების მოვლა-პატრონობას, შენახვას.

**სოციალური აგენტები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და, როგორც ნებისმიერ ადამიანს, მათაც ახასიათებთ შეფასებაში გარკვეული ცდომილება. ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს შედარებით მყარ ინდიკატორებზე, როგორიცაა მიმდინარე შემოსავლები და პენსია.“**

**ანა ქევხიშვილი**
**ასმათ ჯალღაიძე**

## საფრანგეთის საგარეო უწყება: ირანი ბირთვულ იარაღს 2013 წლისათვის შექმნის

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ირანი ბირთვულ იარაღს 2013 წლისთვის შექმნის. ეს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა გააკეთა. მისი თქმით, სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომდევნო 7-8 თვის განმავლობაში ირანი დანადგარ ცენტრიფუგის ყველა აუცილებელი კასკადის დამონტაჟებას დაასრულებს, რაც მას საშუალებას მისცემს, ატომური იარაღის შექმნას შეუდგეს.** როგორც ლორან ფაბიუსი იუწყება, 2013 წლის შუა ხანისათვის თეირანის განკარგულებაში, შესაძლოა, ატომური ბომბი უკვე იყოს. დიპლომატი თავისი ინფორმაციის წყაროს არ ასახელებს, თუმცა ხაზგასმით აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სანდოა. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს აშშ-ის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მიშელ ფლორნოიმ განაცხადა, რომ ირანს ატომური ბომბის შესაქმნელად 2 წელი აქვს. კერძოდ, მისი ინფორმაციით, ირანს ურანის გასამდიდრებლად დაახლოებით ერთი წელი აქვს. ამის შემდეგ კი მას უშუალოდ ატომური ბომბის შესაქმნელად კიდევ ერთი წელი დასჭირდება. გარდა ამისა, 21 ოქტომბერს ირანის ხელისუფლებამ უარყო გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ ინფორმაცია, თითქოს თეირანმა და ვაშინგტონმა ირანის ბირთვულ პროგრამაზე პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებების გამართვაზე შეთანხმებას მიაღწიეს.



„სასამართლო საქმის განხილვას არ ჩქარობს: სარჩელის შეტანიდან გავიდა 6 თვეზე მეტი, მაგრამ არ ეტყობა, რომ მოსამართლე შორენა ჯანხოთელი აპირებდეს საქმის განხილვას. რას ელოდებოდა? ძველი ხელისუფლება არ დაბრუნდება და რატომ ჰგონია, რომ ადამიანების წვალების მეთოდები, რომლებიც სასამართლოს პრაქტიკაში იყო, დარჩება?!“

ნაც-ტერორი
www.geworld.net
ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თამაზ დაუშვილი სიმართლის გზას ეძებს

## «ნაციონალების» კიდევ ერთი მსხვერპლი

**დღეს, როცა გაცხადდა, რომ საქართველოს პარლამენტის მთავარი კომპიუტერული სერვერი იუსტიციის სამინისტროში იდგა, როცა საქართველოს კავშირგაბმულობის ყოფილმა მინისტრმა, ფრიდონ ინჯიამ, განაცხადა, რომ შსს-ს ისე ჰქონდა აწყობილი საქმე, რომ ამ სამინისტროს სპეციალურ დანაყოფს შეეძლო უშუალოდ, ოპერატორი კომპანიების გარეშე მოესმინა ნებისმიერი მოქალაქისთვის, როცა ეკონომიკის ექსპერტებმა გაშიფრეს სქემა, რომლითაც ძალოვანი სტრუქტურები არა მარტო ბიზნესმენებს სძალავდნენ ფულს, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის ფულსაც ითვისებდნენ და ა.შ. კვლავ და კვლავ რწმუნდები, რომ ქართული მთავრობა ჩამოყალიბდა, როგორც მაფიოზურ-კლანური სტრუქტურა, რომელიც ელიტური კორუფციის ინტერესებს იცავდა და აპარპაშებდა.**



ეს არის ფაქტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოვლენაა, ხოლო ცალკეული ფაქტები, რომლებიც უამრავზე უამრავია, თანდათან ვლინდება და დღეს და ხვალ ახალი მთავრობის შესაბამისი ინსტანციების ინტერესის საგანი გახდება.

ამათ რიგშია საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატის, ბიზნესმენ თამაზ დაუშვილის საქმე, რომელმაც მისივე დაფუძნებული შპს „ვერძის“ (რომლის ასი პროცენტის წილის მფლობელი თვითონ იყო) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (რომელიც თავის მეუღლეს ელეონორა დიმიტრიევას მიჰყიდა) საცხოვრებელი სახლის — კორპუსის აშენება მოისურვა.

სახლები ხომ თბილისში ყოველ ნაბიჯზე შენდება და არაფერი საოცარი დაუშვილის გადაწყვეტილებაში არ იყო.

2007 წლის 13 ივლისს არსებული კანონმდებლობის დაცვით სანოტარო აქტით (№1-3540) დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „არენა სითი“, რომლის წევრად მიღება, ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობის გამგეობის კომპეტენციას მიენიჭა.

გამგეობის წევრებს — **დავით ენუქიძეს, აკაკი ენუქიძეს, თამაზ დაუშვილსა** და **ლავრენტი ჯანიაშვილს** შორის განაწილდა ფუნქციები და ვალდებულებები, რომლებიც აუცილებელია ნებისმიერი მშენებლობის განსახორციელებლად (მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა, დაფინანსება, დამთავრების უზრუნველყოფა და ა.შ.).

**დავით და აკაკი ენუქიძეებმა სამშენებლო ფირმა „ნოლას“ მეშვეობით დაიწყეს სამშენებლო სამუშაოები — გაითხარა საძირკველი და... ამით დამთავრდა თითქოს კარგად დაწყებული საქმე: „ნოლას“ დამფუძნებლები დააპატიმრეს — ენუქიძეებმა საქმის გაგრძელება ვერ შეძლეს, ამასობაში ამოიწურა ხელშეკრულებით მათთვის განსაზღვრული ვადა და ისინი კანონის მოთხოვნილებათა დაცვით გაირიცხნენ ამხანაგობიდან. ამხანაგობა ლიკვიდირებულად გამოცხადდა.**

**2011 წელს კი დავით და აკაკი ენუქიძეები თაღლითობის ბრალდებით დააპატიმრეს.**

ის, რაც უკვე წაიკითხეთ, ექსპოზიციად ჩავთვალოთ. კვანძის შეკვრა ამის შემდეგ იწყება, ანუ იმ პერიოდიდან, როცა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბატონი ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა.

**თამაზ დაუშვილი** იხსენებს:

„ბატონ ბიძინას ამ გაბედულ და მამულიშვილურ ნაბიჯს განსაკუთრებული მოწონებითა და აღფრთოვანებით შევხვდი, რაც არც დამიმალავს, ან რატომ არ უნდა მეთქვა, როცა მასთან და მის ოჯახთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს არ მოეწონათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გავლენიან პირებს და რამდენიმე თვეში დაიწყო კარგად ორგანიზებული მოქმედება ჩემ წინააღმდეგ. კერძოდ, საიდანღაც გამოჩნდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც თითქოს იყვნენ ამხანაგობა „არენა სითის“ წევრები და მოითხოვეს იმ თანხის დაბრუნება, რომელიც მათ თითქოს გადახდილი ჰქონდათ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ **სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით სრულიად აშკარად დადგინდა, რომ ამხანაგობის მშენებლობისთვის შეტანილი ფული თაღლითურად ჰქონდათ მითვისებული დავით და აკაკი ენუქიძეებს, ხოლო მომჩივნები არც მე, არც ჩემი ოჯახის წევრებს სახეზეც არ გვიცნობდნენ და მათთან ჩვენს რაიმე ურთიერთობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.**

საოცარია, მაგრამ მოხდა ისე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მათი აბსურდული სარჩელი წარმოებაში მიიღო და მათივე მოთხოვნის საფუძველზე 6 თვის წინათ დააყადაღა ჩემი საცხოვრებელი ბინები.

ჩემს წინააღმდეგ მოქმედება რომ კარგად ორგანიზებული იყო, გამოჩნდა იმ ფაქტიდანაც, რომ იდენტური სარჩელი შეტანილი იქნა ქუთაისის სასამართლოში და აქაც დაყადაღდა ჩემი ქონება. ვითომ ერთი სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისი არ იყო. წინასწარ შექმნეს ილუზია დანაშაულის სერიოზულობისა და უტყუარობის შესახებ.

**სასამართლო კი საქმის განხილვას არ ჩქარობს: სარჩელის შეტანიდან გავიდა 6 თვეზე მეტი, მაგრამ არ ეტყობა, რომ მოსამართლე შორენა ჯანხოთელი აპირებდეს საქმის განხილვას. რას ელოდება? ძველი ხელისუფლება არ დაბრუნდება და რატომ ჰგონია, რომ ადამიანების წვალების მეთოდები, რომლებიც სასამართლოს პრაქტიკაში იყო, ძალაში დარჩება?!“**

### «ცოტა ხნის წინათ მაცნობეს, რომ ჩემ წინააღმდეგ განხორციელებული უკანონობის უკან შეიძლება იდგეს თბილისის მერი გიგი უგულავა»

კვანძი შეიკრა და მოქმედება ვითარდება: თამაზ დაუშვილს ახლა მეორე მხრიდან შეუტიეს — შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მოულოდნელად დაიწყეს შპს „ვერძის“ შემოწმება, რომელიც, როგორც მკითხველებს ვაუწყეთ, თამაზ დაუშვილს ეკუთვნოდა.

**შეამოწმეს ეს ორგანიზაცია, რომელსაც ერთი თეთრის ბრუნვა არ გააჩნდა, დააჯარიმეს 335 ათასი ლარითა და 52 თეთრით.**

„ამ ჯარიმის დარიცხვის ერთადერთი საფუძველი, — **ამბობს ბატონი თამაზ დაუშვილი,** — გახდა ის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მე ჩემს მეუღლეს მივყიდე მიწის ის ნაკვეთი, რომელზეც ამხანაგობის კორპუსის მშენებლობა დაიწყო და შეჩერდა. დამაჯარიმეს დღგ-თი მაშინ, როდესაც შემოწმების დროისთვის მიწის ნაკვეთზე არავითარი შენობა-ნაგებობა არ იდგა, მიწა კი, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არ იბეგრება. ასევე აბსურდულია მათი ექსპერტების მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთის 1 მილიონ 40 ათას 385 ლარად შეფასება.“

**ბატონი თამაზი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა 1995 წლიდან იღებს სათავეს:**

„1995 წელს ტრადიციონალისტთა კავშირიდან კენჭი ვიყარე მაჟორიტარ დეპუტატად კრწანისის რაიონში. მაშინ „მოქალაქეთა კავშირის“ სახით დამიპირისპირდა ის ძალა, რომელიც ახლა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობად“ არის ჩამოყალიბებული. მაშინ იმავე მეთოდებით გამისწორდნენ, რომლებიც აითვისა და მაღალ რანგში აიყვანა სააკაშვილის კლანმა: ჩამიდეს ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. მაგრამ იმდროინდელი ცესკოს თავმჯდომარის, ივანე კილურაძის, ძალისხმევით ვერ დამაპატიმრეს და იძულებული გახდნენ, გავეთავისუფლებინე. არჩევნებში 38 კანდიდატს შორის გავიმარჯვე, მაგრამ მაინც დაინიშნა მეორე ტური. აქ უფრო დიდი უპირატესობით გავიმარჯვე ყველა უბანში. ამიტომ ჩემი მოწინააღმდეგეები იძულებულნი გახდნენ, პარლამენტის სხდომაზე მთლიანად გაეუქმებინათ №4 ოლქში ჩატარებული შედეგები. ამ დროისთვის მე უკვე მიღებული მქონდა დეპუტატის მოწმობა. თვენახევრის შემდეგ ჩემს საკითხზე პარლამენტში კვლავ ჩატარდა კენჭისყრა და ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ცნეს ჩემი რწმუნებანი.

ეს იყო, ეს გადავიტანე და დღეს, როცა 72 წლის კაცი ვარ, მყავს 3 მცირეწლოვანი შვილი, კვლავ მსგავსი წნეხის ქვეშა ვარ მოქცეული და სიმართლისკენ გზა ვერ გამიკვლევია.

**ცოტა ხნის წინათ მაცნობეს, რომ ჩემ წინააღმდეგ განხორციელებული უკანონობის უკან შეიძლება იდგეს თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელსაც ძალიან მოწონებია ჩემი სახლი წავკისში და უარს არ იტყოდა მის ხელში ჩაგდებაზე.“**

დრონი მეფობენო, ნათქვამია. საინტერესოა, ახლად გამეფებული დრო, თამაზ დაუშვილს თუ გამოიყვანს უსამართლობის ჩიხიდან.

**გიორგი მექმარიაშვილი**

## ისრაელი და ჰამასი ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ

**ისრაელის ხელისუფლებამ და ღაზას სექტორში ხელისუფლებაში მყოფმა მოძრაობა ჰამასის ხელმძღვანელობამ ეგვიპტის შუამავლობით გამართულ არაოფიციალურ მოლაპარაკებებში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებას მიაღწიეს.** ცეცხლის შეწყვეტის პირობებისა და შეთანხმებული ვადის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. შეთანხმება მიღწეულ იქნა იმ ვითარებაში, როდესაც დაპირისპირება მხარეებს შორის კვლავ გამწვავდა. 22 ოქტომბრიდან ისრაელის საჰაერო ძალების მიერ მიტანილი იერიშის შედეგად ჰამასის ექვსი ბოევიკი დაიღუპა. ისრაელის ხელისუფლების განმარტებით, ბოლო დღეების განმავლობაში ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით 70 რაკეტა იქნა გაშვებული, რის შედეგადაც ხუთი ადამიანი დაიჭრა, სამი მათგანი კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფება.




## Wikileaks-ი სამხედრო ციხეებში დაკითხვის მეთოდების შესახებ საიდუმლო ინფორმაციების გამოქვეყნებას იწყებს

**Wikileaks-მა დაიწყო ამერიკის სამხედრო ციხეებში პატიმრების მოპყრობის ამსახველი დოკუმენტების გამოქვეყნება.** ერთი თვის განმავლობაში ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება დაახლოებით 100-მდე დოკუმენტი, რომლებიც ასახავს ტყვეებისა და დაკავებულების მიმართ გამოყენებულ დაკითხვის მეთოდებს ერაყში, კემპ-ბუკასა და აბუგრეიბის ბანაკებში, გუანტამოსა და კუბის ციხეებში. აღნიშნული მასალებიდან რამდენიმე გასაიდუმლოებულიც იყო. გამოქვეყნებულ მასალებში აღწერილია დაკავებულთა დაკითხვის სხვადასხვა მიდგომა, როგორც ოჯახის წევრებზე მუქარა, ასევე სხვა სახის ფსიქოლოგიური ზეწოლა.

მოკლედ

## „შავი პანტერა“ დორონინს ინდოეთში სიურპრიზს უწყობს

**ნაომი კემპბელი მილიარდერ ვლადისლავ დორონინს ინდოეთის ეგზოტიკურ ქალაქ ჯაიპურში 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მდიდრულ საღამოს მოუწყობს.** მოდის დედოფალს გადაწყვეტილი აქვს, თავის შეყვარებულს ორიგინალური საჩუქარი გაუკეთოს და ოთხი დღის განმავლობაში ჯაიპურში დაბადების დღესთან დაკავშირებით მიღებას გამართავს. 42 წლის სუპერმოდელის ორგანიზებით, დორონინის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი 7 ნოემბერს დაიწყება. ელექტრონული მოსაწვევები უკვე დაგზავნილია, მათზე წყალქვეშ მყოფი ჯეიმს ბონდის იმიჯსმორგებული დორონინია გამოსახული. დღესასწაული გაიმართება ნაომის მიერ დაჯავშნულ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში.

## ტომ კრუზი მედიას 50 მილიონ დოლარს სთხოვს

**ჰოლივუდის მსახიობი ტომ კრუზი უჩივის ორ გამოცემას, რომლებმაც გამოაქვეყნეს სტატია, თითქოს მსახიობმა თავისი ქალიშვილი მიატოვა. მომჩივანი კომპენსაციის სახით 50 მილიონ დოლარს ითხოვს.** კრუზის ადვოკატის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესი წარმატებით დასრულდება, მიღებული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება. **„ტომისთვის სური მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის ასე იქნება. რაც დაიწერა გამოცემებში, უსინდისო ტყუილია“,** — განაცხადა ადვოკატმა. სარჩელი ეხება პუბლიკაციებს, რომლებიც გამოქვეყნდა In Touch-სა და Life & Style-ში, სადაც გარეკანზე გამოტანილი იყო ცრემლიანი სურის ფოტო წარწერით „მამისგან მიტოვებული“.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმის მიუხედავად, რომ ოჯახის უფროსი ევგენი აფრასიძე ხელებაწეული გამოვიდა კიბეზე, დაცხრილეს; როდესაც ის შვილებმა სახლში შეათრიეს, სპეცრაზმელები შეცვივდნენ შიგ და გოჩასა და ომეხს ბორკილები დაადეს, შემდეგ შარაგზაზე გაიყვანეს და დახვრიტეს!.. უნდა გითხრათ, რომ იმ საშინელ, დაუნდობელ ომშიც კი, ბორკილდადებული ადამიანი არავის დაუხვრეტია არც ფაშისტებს და, მითუმეტეს, არც ჩვენ! მეტსაც გეტყვი, თუ გერმანელ ტყვეს სასტიკად მოექცეოდი, საველე ტრიბუნალი არ აგცდებოდა! ეს სტალინის ბრძანება იყო, რომლის ძეგლი მის მშობლიურ გორში ამ ნაძირლებმა აიღეს!..“

# ვახტანგ ჯაფარიძე: გიორგი ბარამიძის მიერ 2004 წელს სოფელ ეცერში ჩატარებული ოპერაცია იყო სისხლიანი, მძიმე დანაშაულებრივი ქმედება!

**— თუ შენ იმის იმედით მოხვედი, რომ მე ჩემს ფრონტულ თავგადასავლებს მოგიყვები, მაშინ სალაპარაკო არაფერი გვაქვს! შეგიძლია წახვიდე, ოლონდ, წასვლამდე ღვინო გამისინჯე, — მოჩვენებითი სიმკაცრით „მაფრთხილებს“ დიდი სამამულო ომისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე.**





ევგენი აფრასიძის სახლი სპეცოპერაციის შემდეგ

ამ ადამიანის ხმის ტემბრი და იერი მეტყველებს მის ურყევ ნებისყოფაზე. ბატონ ვახტანგს ჩემს ჭკუაზე ნამდვილად ვერ ვატარებ და მომიწევს, თადარიგში „ჩაწყობილი“ ჟურნალისტური ხრიკები გადავდო! რას ვიზამ, მის დაკრულზე ცეკვა მომიწევს!

— მე, ბაბუ, ასე ვფიქრობ: წარსულს პატივი უნდა სცე, აწმყო დააფასო და მომავალზე იფიქრო. ვერ წარმოვიდგენდი, ჩემს სამშობლოს „ნაცმოძრაობის“ სახით ასეთი უბედურება თუ დაატყდებოდა თავს!

**აქ მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, თითქმის ორსაათიანი საუბრის მანძილზე ბატონ ვახტანგს არ წამოსცდენია ფრაზა: „ამ ქვეყანაში“; მხოლოდ „ჩვენს ქვეყანაში“, „ჩვენს სამშობლოში“, „ჩვენს სახელმწიფოში“ ამბობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, საქართველო მისი სულის ნაწილია და არა სასტუმროს ნომერი!..**

**ვახტანგ ჯაფარიძე 1921 წელს, ღვთისმშობლობას — 21 სექტემბერს დაიბადა რაჭის ულამაზეს სოფელ შარდომეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1942 წლის 21 იანვარს ჯერ კიდევ სტუდენტი ფრონტზე გაიწვიეს. იყო მზვერავი. ქალაქ ველიკიე ლუკისთან გაჩაღებულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ექიმებმა ფეხის ამპუტაცია მოითხოვეს, მაგრამ ურჩი პაციენტის უარი მტკიცე და შეუვალი აღმოჩნდა.**

**„ჯიუტმა ბიჭმა“ ფეხი შეინარჩუნა, თუმცა მეორე ჯგუფის ინვალიდად დაუბრუნდა სამშობლოს. აქაც იჩინა თავი ვახუშტის მტკიცე ხასიათმა. ის ბედს არ შეურიგდა, ჯანმრთელობაც აღიდგინა, იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა და 1949 წლიდან დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. სხვადასხვა დროს იყო ოზურგეთის, ქუთაისისა და ზესტაფონის რაიონების მილიციის უფროსი. ის ხიფათს არასოდეს მორიდებია — უიარაღოც დაპირისპირებია ბანდიტებს. თავის მუშაობაში ბატონმა ვახტანგმა მრავალი ნოვაცია დანერგა, რომელთაც, პროფილაქტიკური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საკავშირო შსს-ს მოწონება დაიმსახურა — დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, ასევე უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, რაც ძალზე იშვიათად ერგებოდა მილიციის თანამშრომლებს.**

**1974 წელს გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატში. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გახსნილ ურთულეს სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათ აღწერას, ვშიშობ, ერთი სქელტანიანი წიგნიც კი არ ეყოფა! განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ ჯაფარიძის მიერ ისეთი საქმეების ოპერატიული გახსნა, როგორებიც იყო მინდიაშვილების, დევაძის, კაკაბეთის და სხვა იმ დროისთვის საკმაოდ გახმაურებული დანაშაულებები! მაგრამ სვანეთში, სოფელ ეცერში ჩატარებული ოპერაცია, რომელიც ყველა პროგნოზის მიუხედავად, უსისხლოდ ჩატარდა, დღემდე ნამდვილ პროფესიონალთა წრეში მიიჩნევა ოპერატიული საქმიანობის უმაღლეს მიღწევად!**

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ არ მოისურვეთ საუბარი დიდი სამამულო ომის იმ ეპიზოდებზე, რომლებშიც მონაწილეობდით, რადგან თვლით, რომ დღევანდელობა უფრო გაწუხებთ და სათქმელიც ბევრი გაქვთ. გამოსავალი არ დამიტოვეთ! კეთილი, ვისაუბროთ დღევანდელ პოლიციაზე, რომლითაც ასე ამაყობენ „ნაციონალები“.**

— საქართველოში დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა „ნაციონალებიდან“ არ დაწყებულა და არც „ნაციონალებით“ დასრულდება. ამას თამამად ვიტყვი, ჩვენი ვალია, პატივი ვცეთ წინა თაობას, დავაფასოთ მათი თავდადებული, პატიოსანი შრომა, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების პერიოდში უხდებოდათ მუშაობა თუ მათ შემდეგ. **„ნაციონალებს“ სურდათ, წინა თაობა გამოეყვანათ კორუმპირებულად, არაპროფესიონალებად და უსაქმურებადაც კი! ეს ხომ მტკნარი სიცრუეა!** არათუ ჩემი თაობა, მომავალი თაობაც პატივისცემით მოიგონებს აწ გარდაცვლილებს: ოთარ ქავთარაძეს, ვარლამ შადურს, ნიკოლოზ ჯანჯღავას, ვალერიან თალაკვაძეს, ხუტა გაგუას, ვასო ჩალაძეს, ვახტანგ ოდიშვილს, ლეგენდარულ პიროვნებას — გრიგოლ შალამბერიძესა და მათ წინამორბედებს! ვის შეუძლია დაივიწყოს და პატივი არ სცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს — გურამ გვეტაძეს, მის მოადგილეს — სანდრო კავსაძეს, რომელიც ამჟამად ბერადაა აღკვეცილი, შოთა გორგოძეს, გივი ლობჟანიძეს, ჯიმი მიქელაძეს, დემურ მიქაძეს, ნუგზარ ქავთარაძეს, გოგი ხაზარაძეს, ზურაბ მაჩაიძეს, ბიჭიკო გაბუნიას და მრავალ სხვას შემდგომი თაობიდან! გყავდეს ასეთი პროფესიონალები და ერთხელ მაინც არ გამოთქვა მათთან შეხვედრის სურვილი, წარმოუდგენელია! ფაქტია, მსგავსი სურვილი არ გასჩენია არც მერაბიშვილს და არც ახალაიას.

**— ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება თქვას — რა საჭიროა ვეტერანებთან შეხვედრა, აგერ, მათი დახმარების გარეშე, ვანო მერაბიშვილმა ისეთი პოლიცია ჩამოაყალიბა, რომ მისი გამოცდილების შესასწავლად ევროპის მოწინავე ქვეყნებიდანაც ჩამოდიანო, განსაკუთრებით კი, ე.წ. პენიტენციალური სისტემის შესასწავლად.**

— ვეტერანებთან შეხვედრები, მათი გამოცდილების გაზიარება, არქივებიდან სენსაციური საქმეების ამოღება, რომლებიც წინა თაობამ განახორციელა მკვლელობებისა და ჩახოცვების გარეშე, და ამ საქმეების გაცნობა, ვფიქრობ, კარგ შედეგს გამოიღებდა დღევანდელი პოლიციელების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

მაგრამ **რომელ კვალიფიკაციაზეა საუბარი, როდესაც გამჭვირვალე შენობის ერთ ოთახში 20-25 გოგონა ზის, 20-დან 25 წლამდე ასაკისა, და, მე რომ მათ საუბარს შემთხვევით მოვუსმინე, გაოგნებული დავრჩი! ერთხელ მერაბიშვილმა ბავშვები მიიყვანა პოლიციის ახალ შენობაში და ტელევიზიით ამგვარი სიბრიყვე განაცხადა: პოლიციამ მომავალში ბავშვები უნდა გაართოსო. თქვა და მეორე დღეს რუსთაველის გამზირზე საშინელი მკვლელობა მოხდა!..**

უფრო მეტიც, დიდი პროპაგანდა იყო იმისა, რომ დანაშაულები შემცირდაო. მართლაც, დანაშაულის ზოგიერთი კატეგორია შემცირდა, მაგრამ აქ გაუგებარი რამ ხდება. წესით და რიგით, დანაშაულის შემცირების პარალელურად უნდა მცირდებოდეს პატიმართა რაოდენობაც; ხოლო, თუ პატიმართა რაოდენობა გაზრდილია, მაშინ დანაშაულბათა შემცირებაზე ხალხს ვატყუებთ?! **ამჟამად, პატიმართა რაოდენობა 40 ათასზე მეტია, პრობაციონერთა კი — 300 ათასს აღწევს!**

**— თუმცა, ბატონო ვახტანგ, პატრულის შექმნა მიღწევა იყო!**

— რა თქმა უნდა, მაგრამ თანდათანობით მოხდა ამ სამსახურის დეგრადირება. იგი დანაშაულის არა პროფილაქტიკად, არამედ თავისებურ ბიზნესად იქცა, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონობით შემოსავალი უნდა შემოეტანა. აქ კიდევ საკითხავია, მართლა ბიუჯეტს ხმარდებოდა ეს თანხები?!

**— სამაგიეროდ, კანონიერი ქურდები აღარ გვყავს!**

— ქუთაისი საქართველოს მეორე ქალაქია. ჰოდა, 1960-65 წლებში იქ ვმუშაობდი სისხლის სამართლის განყოფილების უფროსად. თამამად ვაცხადებ, იმ პერიოდში ქუთაისში ე. წ. კანონიერი ქურდები არ იყვნენ.

**ბატონ ვახტანგისთვის ყველაზე მტკივნეული თემაა მკვლელობები ოპერაციების ჩატარების დროს.**

— მე მიკვირს, სპეცრაზმი ასე რამ გააბოროტა! ნუთუ ამ სპეცრაზმელებს ოჯახები არ ჰყავთ? ჩაფხუტი რომ გაქვს სახეზე ჩამოფარებული, განა უფალი ვერ გხედავს?! ეს ხომ შენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს მოეკითხებათ!

მაგრამ **ყველაზე ამაზრზენი რამ მოხდა სვანეთში, სოფელ ეცერში 2004 წელს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს. უნდა გითხრა, რომ ეს ოპერაცია დამნაშავის აყვანა კი არ იყო, არამედ სისხლიანი, მძიმე დანაშაულებრივი ქმედება, რაც მაშინდელმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ჩაიდინა! იმის მიუხედავად, რომ ოჯახის უფროსი ევგენი აფრასიძე ხელებაწეული გამოვიდა კიბეზე, დაცხრილეს; როდესაც ის შვილებმა სახლში შეათრიეს, სპეცრაზმელები შეცვივდნენ შიგ და გოჩასა და ომეხს ბორკილები დაადეს, შემდეგ შარაგზაზე გაიყვანეს და დახვრიტეს!..** უნდა აღვნიშნო, რომ იმ საშინელ, დაუნდობელ ომშიც კი, ბორკილდადებული ადამიანი არავის დაუხვრეტია არც ფაშისტებს და, მითუმეტეს, არც ჩვენ! **მეტსაც გეტყვი, თუ გერმანელ ტყვეს სასტიკად მოექცეოდი, საველე ტრიბუნალი არ აგცდებოდა! ეს სტალინის ბრძანება იყო, რომლის ძეგლი მის მშობლიურ გორში ამ ნაძირლებმა აიღეს!..** ომეხი დაიღუპა, გოჩა კი გადარჩა. მერე, ამ ჩაფხუტიანმა მხეცებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს და დაჭრილი ევგენი აფრასიძე ცოცხლად დაწვეს! ამაზე მეტი ვანდალიზმი გაგიგონიათ სადმე?!

როდესაც გიორგი ბარამიძემ ჰაერიდან და ხმელეთიდან იერიში მიიტანა ევგენი აფრასიძის სახლზე, ევგენის უფროსი ვაჟიშვილი — შმაგი სამ შვილთან და მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა მეორე სახლში. რომ ტყვიები წვიმაც წამოვიდა, შმაგიმ შვილები საწოლქვეშ შეყარა და თვითონ ზემოდან გადაეფარა. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ „ოპერაციის“ დამთავრებამდე. შმაგის ხელოვნურად შეუქმნეს მასალები, თითქოს, ის საზენიტო არტილერიით უწევდა წინააღმდეგობას სპეცრაზმს და ქუთაისის სასამართლომ მას 18 წელი მიუსაჯა. **ვეკითხები ბარამიძეს და ყველას: თუ საზენიტო არტილერია ჰქონდათ აფრასიძეებს და იყენებდნენ, სად გაქრა, რატომ არ ამოიღეს და არ დაურთეს საქმეს, როგორც ნივთმტკიცება? მართალია, სააკაშვილმა განაცხადა ტელევიზიით, რომ მე გავეცი განკარგულება აფრასიძეების ჩახოცვაზეო, მაგრამ ეს „აღიარება“ ბარამიძეს არ ამართლებს, რადგან ის კანონით ვალდებული იყო, არ დამორჩილებოდა დანაშაულებრივ ბრძანებას! ბოლოს და ბოლოს, გადამდგარიყო!**

**1980 წელს, 16 წლის ძებნის შემდეგ, ვახტანგ ჯაფარიძემ გაიკეთა გრიმი, პარიკი, წაილო ცემენტი სოფელ ეცერში და დაიწყო ვაჭრობა. გაიცნო ევგენი, მოიპოვა მისი ნდობა და ათკაციანი ოპერჯგუფით ისე აიყვანა, რომ ევგენი აფრასიძეს თითიც არ გაკაწვრია.**

▶

«ამნაირი 48 ოპერაცია პირადად ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა, და იმით ვამაყობ, რომ აყვანისას არც ერთ ბოროტმოქმედს თმის ღერიც არ ჩამოვარდნია»

## „კოალიციას რომ კანდიდატები სწორად შეერჩია, სამეგრელოს არც ერთ რაიონში არ წააგებდა არჩევნებს... იმედია, ეს საკმარისი გაკვეთილი იყო ივანიშვილის გუნდისთვის და ამიერიდან სხვა მიდგომებს გამოიყენებენ რეგიონებთან მიმართებაში...“

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— ბაბუ, ამნაირი 48 ოპერაცია პირადად ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა, და იმით ვამაყობ, რომ აყვანისას არც ერთ ბოროტმოქმედს თმის ღერიც არ ჩამოვარდნია. იცი, რატომ? იმიტომ, რომ სამძებროში დიდებული მასწავლებლები მყავდა, რომლებიც თავის უმდიდრეს გამოცდილებას მიზიარებდნენ. ამიტომ, მე **მივმართავ ახალ მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, თხოვნით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნას მუზეუმი, მოიწვიონ იქ მაღალკვალიფიციური მძონე პირები და შეისწავლონ როგორც წარსული, ისე აწმყო. დარწმუნებული ვარ, ბატონი ირაკლი ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერს!**

1983 წელს 63 წლის ასაკში პენსიაზე გავედი. იმ პერიოდში, თამამად ვამბობ, ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადება და პიროვნების დაკავება ფიქრადაც არავის მოუვიდოდა.

**ვეკითხები მერაბიშვილსა და ახალაიას: რა შეიძლება იმაზე დიდი დანაშაული იყოს, ვიდრე ის, რომ პიროვნებას, რომელსაც არაფერი ჩაუდენია, ხელოვნურად უქმნი დანაშაულს, რათა სასამართლომ სასჯელი შეუფარდოს?! ეს ხომ არაკაცობაა! ამ ბოროტებამ თქვენი მმართველობის ბოლო პერიოდში საყოველთაო ხასიათი მიიღო!..**

დღეს ზესტაფონის საპატიო მოქალაქე, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერი ვახტანგ ჯაფარიძე ძველი თბილისის რაიონის ვეტერანთა კავშირს თავკაცობს. 2005 და 2007 წლებში ორჯერ დააჯილდოეს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

— თბილისში ამჟამად დიდი სამამულო ომის მონაწილე მხოლოდ 1400 ვეტერანილაა ცოცხალი, რომელთაც ყველა შეღავათი მოუხსნა ნაცმთავრობამ; მათ შორის ორასი მარტოხელაა და მწოლიარე ავადმყოფი. ვინ უნდა გაუწიოს დახმარება ამ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს, თუ არა ქალაქის მერიამ და მილიონერმა ბიზნესმენებმა?!

**რაც შეეხება გიგი უგულავას, გეტყვი, რომ ჩემს თავს ვერ ვპატიობ, მას ხმა რომ მივეცი! მომავალში თუ კიდევ მომეცემა ასეთი შესაძლებლობა, მე კი არა, მთლიანად ომის ვეტერანებს და მათი ოჯახის წევრებს ჩავუტარებ აგიტაციას, რომ მას ხმა არ მისცენ!**

**— რატომ, ბატონო ვახტანგ?**

— მართალია, ქალაქი ლამაზდება, მაგრამ ამას სხვა მიზანი აქვს, რაც თავად უგულავამ კარგად იცის. ადამიანებზე როგორ ზრუნავს ბატონი მერი, ამის დანახვა თბილისის ყველა კუთხეში შეიძლება. **ავტობუსები, გადასასვლელები, მეტროს ვაგონები, ჩვენდა სამწუხაროდ, სავსეა მათხოვრებით. მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, კაცი, ინვალიდი თუ ჯანმრთელი მათხოვრადაა გადაქცეული! მათხოვრობა ჩრდილს არ აყენებს უგულავას მიერ გამშვენიერებულ ქალაქს? ვეკითხები უგულავას: რამ მიიყვანა ხალხი ამ ზომამდე?!**

იმ დროს, როცა ავადსახსენებელი კომუნისტები ბატონობდნენ, ცეკას მდივნიდან დაწყებული, ყველა უწყების ხელმძღვანელს მოქალაქეთა მიღება ჰქონდა დაწესებული ყოველგვარი განცხადების გარეშე. მაგალითად, კომუნისტების ლიდერი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ვასილ მჟავანაძე თავისუფლად დადიოდა ხალხში როგორც რუსთაველზე, ისე კურორტ საირმეში. ამიტომაც მას დღესაც იგონებენ დიდი სიყვარულით! **უგულავას კი მერიაში დაცვა ჰყავს დაყენებული, მიღების საათები არა აქვს! როგორ მართავს ქალაქს, თუ საქმის კურსში არაა, რით ცხოვრობს უბრალო მოქალაქე?! დანამდვილებით ვიცი, რომ მერი განცხადებებსაც არ კითხულობს!** რამდენიმეჯერ პირადად მივმართე განცხადებით, რომ მიეღო ვეტერანები; 2007 წელს სააკაშვილმა უგულავას ასეთი მითითება მისცა, სიტყვასიტყვით გაგიმეორებ: სისტემატურად შეხვდი ომის ვეტერანებს და რეაგირების გარეშე არ დატოვო მათი წინადადებებიო!

**— რაო მერე მერმა? როგორ რეაგირებს?**

— დაპირება! დაპირება! დაპირება! თუმცა ახლა გავიგე, რატომ ვერ გამოძებნა ჩვენთვის დრო, თურმე ორგიების მოწყობით ყოფილა დაკავებული. დიდად „საპატიო მიზეზი“ ჰქონია კაცს!

**— ბიზნესმენები თუ ეხმარებიან ვეტერანებს?**

**— ბიზნესმენებსაც კი კოჭებში ეტყობათ, რა გზით აქვთ მოპოვებული ქონება! ვინც პატიოსნად იშოვა ფული, ის უშურველად ქველმოქმედებს და ამ კეთილშობილ საქმეს არც კი ახმაურებს!** ჩემს გაკვირვებას იწვევს ის, რომ, როდესაც ზოგიერთი მდიდრდება, მილიონერი ხდება, ქველმოქმედების ნაცვლად ამპარტავნება იპყრობს, ხოლო დახმარების მაგივრად უმძიმეს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს ზემოდან ამაყად დასცქერის, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად!..

**ჩვენმა ორგანიზაციამ მწოლიარე ვეტერანების ერთდროული დახმარებისთვის 2010 წელს მიმართა ნავთობკომპანია „ვისოლის“ თავკაც სოსო ფხაკაძეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის გულთან მიიტანდა ომის ვეტერანების გაჭირვებას და შესაძლებლობის ფარგლებში დაგვეხმარებოდა. მისგან პასუხს ვერ ვეღირსეთ...** ერთი წლის შემდეგ „იმედმა“ გადასცა სიუჟეტი, რომელშიც „ვისოლის“ ხელმძღვანელს ხოტბას ასხამდნენ. ვინც ეს სიუჟეტი მოამზადა და ეთერში გაუშვა, ნუთუ არ გაეცნო მანამდე პრესაში გახმაურებულ ფაქტებს, რომლებიც მეტყველებდნენ, რომ ეს კომპანია ყოველ ლიტრ ბენზინში მომხმარებელს 50 თეთრით ატყუებს, ანუ ყოველთვიურად საქართველოს მოსახლეობას ჯიბიდან უკანონოდ 30 მილიონ ლარს აცლის?!

**ვეკითხები სიუჟეტის ავტორებს: ფხაკაძე დიდი ბიზნესმენია თუ თაღლითი?!**

კიდევ დიდხანს ვისაუბრე ბატონ ვახტანგთან, ბევრი მომიყვა თანამშრომლების გმირობაზე, თავგანწირვაზე და უნებლიეთ მიდიხარ დასკვნამდე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ისტორია სისხლითაა დაწერილი. ესაა ისტორია სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანებისა, რომელთა შორის ვახტანგ ჯაფარიძეს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ უმაღლესი დონის პროფესიონალს და ლეგენდარულ პიროვნებას, თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია!

ესაუბრა **გიორგი კორძაძე**



**«მართალია, სააკაშვილმა განაცხადა ტელევიზიით, რომ მე გავეცი განკარგულება აფრასიძეების ჩახოცვაზეო, მაგრამ ეს «აღიარება» ბარამიძეს არ ამართლებს, რადგან ის კანონით ვალდებული იყო, არ დამორჩილებოდა დანაშაულებრივ ბრძანებას!»**

### სოსო თორია:

# კოალიციამ სამეგრელოში საკმარისად არ იმუშავა

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი, დევნილი კანონიერი ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი ჩეჩნეთში — სოსო თორია.**



**— ბატონო სოსო, მართალია, ხელისუფლება შეიცვალა და ახლა ამას, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ წლების მანძილზე ითვლებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის ყველაზე რეალურ დასაყრდენს სამეგრელოს რეგიონი წარმოადგენდა. რამდენად შეესაბამებოდა ეს მოსაზრება სინამდვილეს და რით იყო განპირობებული ასეთი განწყობა?**

— საერთოდ, მეგრელებს ეშმაკი ხალხის იარლიყი გვაქვს მოკერებული, მაგრამ სინამდვილეში მეგრელზე უფრო მიამიტი და მიმნდობი დედამიწაზე არავინაა. მიუხედავად იმისა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში რა სიძნელეები და გაჭირვება გამოვიარეთ, დაუკვირდით მეგრულ სიმღერებს — ცრემლის, ტირილისა და მოთქმის გარდა მასში არაფერია. იმის თქმა მინდა, რომ, **მიუხედავად იმ ძნელბედობისა, მეგრელს ბოროტება არ ჩაუდვია გულში. ახლა ამას რატომ ვამბობ: სამეგრელო რომ სააკაშვილის მომხრე გამხდარიყო, ამისთვის სანდრას ერთი სიმღერა აღმოჩნდა საკმარისი.**

**— 22 სექტემბერს ზუგდიდში „ქართული ოცნების“ აქციაზე უამრავი ადამიანი შეიკრიბა, მაგრამ მეორე დღეს, როცა „ნაცმოძრაობამ“ იმავე მოედანზე არანაკლებ ხალხმრავალი მიტინგი გამართა, დადიოდა ხმები, რომ იგივე ხალხი უკრავდა ტაშს სააკაშვილსაც. რამდენად მართალია ეს და რას ნიშნავს ამომრჩევლის მხრიდან ამგვარი საქციელი?**

— მართალია, უმეტესობა, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ შეკრებაზე მივიდა, წინა დღეს კოალიციის დროშებს აფრიალებდა, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. საქმეც ისაა, რომ **დასწრება და თვალყურის დევნება არ ნიშნავს მხარდაჭერას. მეც ვესწრებოდი ზუგდიდში სააკაშვილის გამოსვლას, სხვათა შორის იმ დღესვე ვუთხარი ბიჭებს, ვინც აქ დგას, ამათგან მარტო ერთი მეოთხედი მისცემს ხელისუფლებას ხმას-მეთქი და ასეც მოხდა.** ეს იგრძნობოდა განწყობაშიც და ხალხის ქცევაშიც, არ იყო ის მუხტი და ჟრიამული ადამიანებში, რაც, ვთქვათ, ივანიშვილის აქციაზე აშკარად ჩანდა...

**— მაშინ რით შეგიძლიათ ახსნათ ის ფაქტი, რომ „ნაცმოძრაობამ“ სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში მოიგო?**

— გეტყვით, ერთადერთი რამით შეიძლება ამის ახსნა და ეს უნდა ვაღიაროთ: კოალიციამ საკმარისად არ იმუშავა სამეგრელოში და, სამწუხაროდ, არც ის სპეციფიკა იქნა გათვალისწინებული, რომელიც ამ რეგიონს ახასიათებს. **კოალიციას რომ კანდიდატები სწორად შეერჩია, სამეგრელოს არც ერთ რაიონში არ წააგებდა არჩევნებს, იქ ისეთი განწყობა იყო, მაგრამ წამოაყენეს ისეთი ადამიანები, რომლებიც ხალხისთვის იყვნენ გამაღიზიანებელნი.** ბუნებრივია, მარტო ამით ვერ ავხსნით ყველაფერს, მაგრამ ვიმეორებ, დიდწილად სწორედ ამან განაპირობა კოალიციის წარუმატებლობა სამეგრელოში. იმედია, ეს საკმარისი გაკვეთილი იყო ივანიშვილის გუნდისთვის და ამიერიდან სხვა მიდგომებს გამოიყენებენ რეგიონებთან მიმართებაში...

**«სამეგრელო რომ სააკაშვილის მომხრე გამხდარიყო, ამისთვის სანდრას ერთი სიმღერა აღმოჩნდა საკმარისი»**

**— გამაღიზიანებელ კანდიდატებში კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— არ მინდა დავკონკრეტდე, მაგრამ ხალხმა, განსაკუთრებით კი სამეგრელოს მოსახლეობამ, კარგად იცის, ვისაც ვგულისხმობ.

**— თავის დროზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, თანამებრძოლი იყავით და ომიც გამოიარეთ. 1992-1993 წლებში, როცა ჩვენს ქვეყანას, ფაქტობრივად, არმია არ ჰყავდა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მტერს წინააღმდეგობა გავუწიეთ. 2008 წელს კი ჯარი, რომლის მომზადებაშიც მილიარდები დაიხარჯა, სრულიად უუნარო აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?**

— საერთოდ, ქართველში მებრძოლი სული ყოველთვის იყო. არავინ თქვას, რომ ჩვენ მეომარი ერი არ ვართ, მაგრამ ბრძოლა რომ შეძლო, გარკვეული პირობებია საჭირო. ჯარი, უწინარესად, სტრატეგიაა და მართვა, ხელმძღვანელობა და არა ცალკეული ჯარისკაცი. თუ გენერალიტეტმა არ იმუშავა, მეომრებს ვერაფერს მოსთხოვ. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: 2008 წელს, როცა ომი დაიწყო, მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, ცხინვალი აიღეს, რას ფიქრობო. შევხედე ტელევიზორს და, რომ დავინახე, როგორ შედიოდნენ ესენი ქალაქში, როგორ მიმდინარეობდა გადაადგილებები და სროლები, მაშინვე ვთქვი: ორ საათში ამათ გამოყრიან უკან-მეთქი... ქალაქის პირობებში ომი ასე არ წარმოებს. ამათ ვერც ერთი ეს ფაქტორი ვერ გაითვალისწინეს და იყო კიდევ რამდენიმე უხეში შეცდომა, რამაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა ყველაფერი; მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ცოტა არ იყოს უხერხულია. მოვა დრო და ამას, ალბათ, ექსპერტები შეაფასებენ, ისე, როგორც საჭიროა და სამართლიანობა მოითხოვს.

**ჩვენმა მეომრებმა არნახული გმირობის მაგალითები აჩვენეს ამ ომის დროს ცალკეულ მონაკვეთებზე, ისეთი გმირობის მაგალითები, რომლითაც ნებისმიერი არმია და ერი იამაყებდა. ასე რომ, ქართველებში მეომარი სული უკვდავია და ჩვენ გადაშენება არ გვიწერია.**

**— ახალი ხელისუფლება ახალი სამხედრო დოქტრინის შემუშავებას აპირებს და სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახლა ყალიბდება, სავარაუდოდ, ახლო მომავალში სტრატეგიის მოდელზე იმსჯელებს. თქვენი აზრით, რა ტიპის სტრატეგიაა ჩვენისთანა ქვეყნისთვის ოპტიმალური?**

— უამრავი მეთოდი არსებობს არმიის მოწყობის. მაგალითად, შვეიცარიული მოდელი, მუნიციპალური მოწყობა. ეს ისეთი სისტემაა, რომელიც იძლევა საშუალებას, წინააღმდეგობის კერები გაშალო მთელი ქვეყნის მასშტაბით. როცა შეიარაღებული ძალები ამ პრინციპითაა მომზადებული, ვთქვათ სიტყვაზე, მუხრანისოდენა სოფელს შეუძლია, ერთი სატანკო დივიზია მოსპოს წუთების განმავლობაში. ჩემი ოცნებაა, რომ საქართველოში სწორედ ასეთი სისტემა იყოს, მაგრამ რა და როგორ იქნება, ეს უკვე ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ამ საკითხს ბევრად უფრო სერიოზულად მიუდგება და გაუკეთებს საფუძვლიან ანალიზს იმას, რაც ბოლო წლების მანძილზე ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამათი გაგებით კი, ბიუჯეტი არის მთავრობის საჭიროებისთვის პარლამენტის მიერ დამტკიცებული ხარჯები და, რახან მთავრობის ხარჯთაღრიცხვაა, წელიწადში სამჯერ შეჰქონდათ ცვლილებები. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, „აპრავებდნენ“ იმას, რასაც ხარჯავდნენ.“**



დავით იაკობიძე:

# ვინმეს გაფუჭება თუ სურდათ, ბიუჯეტის ფულს აძლევდნენ

**„მიდიოდა რა ჩვენგან ამხანაგი ლენინი, გვიანდერძა“... და ასე შემდეგ. სტალინის სიტყვებია, რომლებიც მან ლენინის ცხედართან წარმოთქვა და ამ რეფრენის თანხლებით ჩამოაყალიბა პროლეტარიატის დიქტატურის იდეოლოგიური საფუძვლები და ამოცანები. მიდიოდა რა ჩვენგან ვანო მერაბიშვილი, გვიანდერძა... ორი მილიარდი ლარი, რომელიც თურმე ქვეყნის ბიუჯეტში დევს საქართველოს საკეთილდღეოდ. არსენა ოძელაშვილმაც დაიბარა, მდიდრებისთვის წართმეული „ჩემი შვიდასი თუმანი კასპში, ერთ დიდ კლდეში დევსა, ღარიბსა, არასმქონესა, მიეცეს და მოხმარდესა“. მაგრამ ისე ჩანს, რომ, როგორც არსენას დატოვებული შვიდასი თუმანი ვერავინ აღმოაჩინა, ისე მერაბიშვილის ორი მილიარდი ლარიც ბლეფია.**





**«მაშინ რატომ არ დაებადა დეპუტატ ბაქრაძეს არავითარი შეკითხვა, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრად ამტკიცებდნენ კაცს, რომელსაც პირუტყვი დედალ და მამალ ძროხებად ჰყავდა რანგირებული?»**

**— ასეა, ბატონო დავით? — ვეკითხები საქართველოს ყოფილ ფინანსთა მინისტრს, ცნობილ ეკონომისტს, პროფესორ დავით იაკობიძეს, — რა ფული დევს ხაზინაში?**

— სხვადასხვა ციფრს ასახელებენ: ხადურმა, ფინანსთა ახალმა მინისტრმა, თქვა, ორასი მილიონი ლარიაო; მერაბიშვილმა — 800 ათასი ლარი დევსო ხაზინაში, დანარჩენი სხვადასხვა ანგარიშზეა აკუმულირებული, რაც ჯამში ორ მილიარდს აღწევს და მისი მობილიზაცია ხაზინას ყოველთვის შეუძლიაო.

მერაბიშვილისთვის და იმ პოლიტიკისთვის, რომელსაც „ნაციონალების“ მთავრობა განახორციელებდა, ფულის ასეთი მობილიზაცია ჩვეულებრივი ამბავი იყო.

**— განგვიმარტეთ, გეთაყვა.**

— გეტყვით. ბიუჯეტიდან შემოვიდა ხაზინაში ფული, გადაურიცხეს სხვადასხვა მხარჯველს, უნივერსიტეტს, სამინისტროებს და ა. შ., ანუ ვისაც ეკუთვნოდა და ვისზეც იყო გაწერილი, და იმათ ანგარიშებზე ჯერჯერობით დაუხარჯავი დევს, — ან ხელფასების გაცემის დრო არ დამდგარა, ან შეძენებზე მოლაპარაკება არ დამთავრებულა, ან ათასი სხვა მიზეზისა გამო. მაგრამ ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება, რადგან საბიუჯეტო პრაქტიკაში საერთოდ მიუღებელია.

**ყოფილი მთავრობისთვის ასეთი ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებები ჩვეულებრივი ამბავი იყო — დაიბრუნებდნენ ფულს, როცა გაუხარდებოდათ. უფრო მეტიც, ამათ რაიმეს შეძენის ისეთი გართულებული მექანიზმი ჰქონდათ აწყობილი, რომ მხარჯველ სუბიექტებს ფულის მიღება არც სურდათ.**

**— ფულს აძლევდნენ და არ სურდათ?**

— ისეთ დღეში აგდებდნენ, რომ არ სურდათ. იმ ფულს კომისია კომისიაზე მოჰყვებოდა, შემდეგ — შემოწმების კონტროლი, ფოტოსურათები უნდა გადაეღოთ ყველაფრისთვის, რასაც შეიძენდნენ, რა და სად იდგა და იდო; დაბოლოს, იპოვიდნენ რაღაც დარღვევას და დაიწყებოდა დაჭერები და მთელი ამბავი. პირდაპირ გეტყვით: როცა კაცის მოშორება უნდოდათ, ბიუჯეტის ფულს აძლევდნენ.

**— ხაფანგი იყო?**

— დიდ ხაფანგში კაცის შეგდების სატყუარა იყო.

რანაირად უნდა გამოიწვიოს ხადურმა შსს-ს ანგარიშზე დარიცხული სახსრები?! ვერც გააკეთებს, რადგან მივა ფინანსთა სამინისტროში ღარიბაშვილი და მოითხოვს კუთვნილ ფულს. აბა, უსახსროდ როგორ შეძლებს მუშაობას? ეტყვის ხადური, აღარ გაქვსო?! რანაირად?! რომელი კანონით?!

მერაბიშვილისთვის ეს პრობლემა არ არსებობდა, დაურეკავდა ადეიშვილს და — რაზეა ლაპარაკიო! — ძმურად ამოიწურებოდა საკითხი.

**— აი, ამ ფონზე რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ „ახალი ოპოზიციის“ „გმირული“ შეკითხვები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს დაუსვეს — კონკრეტულად როდის შეასრულებთ დანაპირებს, რა სახსრებით და როგორო? ჩვენ სავსე ბიუჯეტი და აშენებული ქვეყანა დაგიტოვეთო.**

— მიფიქრია ამ საკითხზე და გეტყვით: როცა ახალი ძალა მოდის ხელისუფლებაში, იმავე წუთს იწყება პროცესების მარგინალიზაცია: სუსტი ოპოზიცია იწყებს სუსტი შეკითხვების დასმას.

აბა, როგორ შეიძლებოდა, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ბაქრაძეს, რომელსაც შეკითხვა არ გასჩენია ვერონიკა ქობალიას კანდიდატურის მიმართ, როცა საქართველოს ეკონომიკის მინისტრად ინიშნებოდა ხაბაზი, რომელსაც ქართული პურის ცხობის საკმარისი გამოცდილებაც არ გააჩნდა და რომლის ეკონომიკური ხედვის არეალი ერთი თონის კედლებს არ გასცდენია, კრიტიკული პათოსით აღვსებულიყო კახი კალაძის მიმართ, რომელიც ენერგეტიკის მინისტრად წარადგინა ბიძინა ივანიშვილმა?! შრომისმოყვარე, ნიჭიერი, წინასაარჩევნო ცეცხლში გამოწრთობილი, დიდი ფულის პატრონი ადამიანის კანდიდატურა, რომელიც მსოფლიოში იყო ცნობილი და კარგ ბიზნესმენადაც ჩამოყალიბდა, ოპოზიციის დაეჭვების საბაბი გახდა: შეძლებს კი მინისტრობას?

**— თვითონ ხომ მინისტრებად, თავმჯდომარეებად და პოლიტიკოსებად დაიბადნენ...**

— მაშინ რატომ არ დაებადა დეპუტატ ბაქრაძეს არავითარი შეკითხვა, როცა სოფლის მეურნეობის მინისტრად ამტკიცებდნენ კაცს, რომელსაც პირუტყვი დედალ და მამალ ძროხებად ჰყავდა რანგირებული?

**— „ეს, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება“...**

— აი, ამიტომაა პოლიტიკა ბინძური საქმე.

**— ასეთი პოლიტიკის თავიდან აცილების რა გზა გესახებათ?**

— გადარჩენის გზა, ჩემი აზრით, არის ის, რომ მასმედია მართლა უნდა გახდეს მეოთხე ხელისუფლება. ოღონდ არა იმ დონის, როგორიც „მაესტროს“ პროგრამა „პრესპრესში“ ვნახე და მოვისმინე, როცა საქართველოში ერთმა, ყველაზე უსინდისო კაცმა, ბენდუქიძემ, იქით დაპრესა ამ შეხვედრისთვის მოუმზადებელი ჟურნალისტები.

**ახალი მთავრობა, რომელიც ჩვენად მიგვაჩნია, ჩვენ უნდა ვაკრიტიკოთ სერიოზული პოზიციებიდან, დასაბუთებული შეხედულებების ბაზაზე. ამ კრიტიკაზე იგი იძულებული იქნება, საქმით გვიპასუხოს, შეცდომების გამოსწორებაზე იზრუნოს და მაშინ დრო აღარ დარჩება ჭუჭყიან პოლიტიკაში ჩასაბმელად.**

**— ეს, რაც მეოთხე ხელისუფლებას შეეხება, გასაგებია. მე, ბატონო დავით, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გეკითხებით, მთავრობაზე.**

— ამ შემთხვევაში მარტო ეკონომიკაზე კი არ გვექნება ლაპარაკი, არამედ მთლიანად სოციალური პროცესების ტრანსფორმაციაზე. მთავრობაში უკვე მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც ერკვევიან ეკონომიკური განვითარების პროცესებში და იციან, როგორ წარმართონ ისინი.

**— მაშასადამე, ყელში წვდომა ზუსტი ვადების, კონკრეტიკის მოთხოვნით ნაადრევია?**

— არაკორექტულია. ჯერ მიმიშვი მარტენის ღუმელთან და შემდეგ გეტყვი, როდის გამოდნება ფოლადი: როცა მეცოდინება, რა ხარჯები უნდა შევაკავოთ „აჟურული ხიდების“ და მისი მსგავსი „ბეზდელუშკების“ ასაშენებლად...

**— „ლაზიკების“...**

— „ლაზიკების“, თბილისის „რიყეზე“ წაქცეული გიგანტური კასრების, შადრევნების ასაშენებლად გამოყოფილი სახსრები...

**— და კიდევ — ახალციხეში რაბათის ციხის აღდგენის შემდეგ, „მეც მინდა გორში ციხე“, — სააკაშვილმა მერაბიშვილს რომ მიმართა და მეორე დღესვე რომ შეუდგნენ გორისციხის სარესტავრაციო სამუშაოებს...**

— ამ ხარჯებში რომ გავერკვევით, შემდეგ გაჩნდება ალტერნატივა, პენსია გაზარდონ, კულტურასა და მეცნიერებას გამოუყონ მეტი დაფინანსება, ჯანდაცვისკენ მიმართონ ხარჯები, თუ სხვა დარგებს მიაშველონ.

ე. ი. უწინარეს ყოვლისა, ამ ახალი ხარჯების საფუძვლიანი ანალიზი უნდა გაკეთდეს, რასაც დრო სჭირდება.

**— დენის ტარიფის შემცირებას წინ რაღა უდგას?**

— ისევ და ისევ — დრო! დასაბუთება, განხილვა, დამტკიცება. ამას 3-4 თვე მაინც უნდა, თორემ დენის ტარიფზე უფრო სამარცხვინო სხვა არაფერი გვჭირს! ყველაფერს თავი რომ დაანებო, ერთი კილოვატსაათის ღირებულება 13 თეთრი და 34 მეასედი გვიწერია, სამარცხვინო ციფრია! ამაზე რამდენიმეჯერ განვაცხადე ჩემს ინტერვიუებში. აიღეს და ქვითარზე წაშალეს მეასედები. წარმოსახვითი ციფრებით აზროვნებენ!

**— ე.ი. დანაპირების შესრულება ახალ მთავრობას ჯერჯერობით არ შეუძლია?**

— არ შეუძლია ერთი დარტყმით, ამისთვის აუცილებელია მოსამზადებელი პერიოდი.

საინტერესოა კიდევ ასეთი რამ:

**2012 წლის ბიუჯეტში 104 მილიონი ლარი ციხეების შესანახად იყო გამოყოფილი, 20 მილიონი — უმაღლესი სკოლისათვის, ხუთჯერ ნაკლები.**

ეს ინერციაც დასაძლევია, რადგან მსოფლიოს ქვეყნებიდან ჩვენ გარდა მეორეს ვერ იპოვით, რომელსაც სასჯელაღსრულება სახელმწიფო პოლიტიკად აქვს გადაქცეული, მაგრამ ასე სურდა სააკაშვილს. სამარცხვინო ფაქტია ერის ისტორიაში, როცა სახელმწიფო იწყებს ასეთი პოლიტიკის შემუშავებას და მასზე ამყარებს დანარჩენ ფასეულობათა სისტემას.

**— ესე იგი, უნდა დაველოდოთ ბიუჯეტის დამტკიცებას?**

— დიახ, დაველოდოთ დოკუმენტების შემოტანას და, თუ რამ შეცდომა დავინახეთ, დასაბუთებულად ვიკამათოთ, გამოვასწოროთ, ქვეყნის განვითარების სამსახურში ჩავაყენოთ, თორემ აქამდე ბიუჯეტის სახსრები ელიტარული კორუფციის გაფურჩქვნა-აყვავებისკენ იყო მიმართული, რაც, ძირითადად, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის სახეს იღებდა.

**— შეგიძლიათ მოკლედ ეს ბრალდება დაასაბუთოთ?**

— მოკლედ შეიძლება ასე ითქვას: მეთოდი, რომელსაც იყენებდნენ, დანაშაულებრივია, კრიმინალურია. მათი მეთოდით გაცემული საბიუჯეტო სახსრები ამ მეთოდით თითქოს კვლავ ბიუჯეტში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ სადღაც, გაუგებარ ფონდებში ილექებოდა, რომლებსაც შსს და პროკურატურა „აკონტროლებდნენ“, სინამდვილეში კი სახელმწიფო სახსრების მითვისების „ახლებური“ ფორმა იყო.

ბიუჯეტი, როგორც წესი, იწყება განმარტებით. იგი იდეა-ინდიკატორია, რომელიც პროგრამულ დავალებას გვაძლევს: ბიუჯეტის ქურდობაზე არც უნდა გაიფიქრო — არც მიღებული სახსრების მოპარვის თვალსაზრისით, არც არაფერი არ უნდა დააკლო შემოსავლებს. იგი წმინდათა-წმინდაა და შენი ქვეყნის სახეს წარმოაჩენს. იგი არის ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი, — ასეა მიღებული მთელ მსოფლიოში.

ამათი გაგებით კი, ბიუჯეტი არის მთავრობის საჭიროებისთვის პარლამენტის მიერ დამტკიცებული ხარჯები და, რახან მთავრობის ხარჯთაღრიცხვაა, წელიწადში სამჯერ შეჰქონდათ ცვლილებები. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, „აპრავებდნენ“ იმას, რასაც ხარჯავდნენ.

საკითხს ნუ ჩავუღრმავდებით, რადგან მკითხველები შეიძლება დავაბნიოთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამგვარად ამღვრეულ ფინანსურ სისტემაში ძალიან ადვილად იჭერდნენ ბიზნესლიფსიტებს, როგორც წესი, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თვითნებური ინტერპრეტაციის მეშვეობით.

დაადგამდნენ ვინმეს თვალს და შემდეგ, იუსტიციის სამინისტროში სათვალიანი პატარა ბიჭის მითითებით, ვითომდა ბიუჯეტში დასაბრუნებლად, ისეთი ფულის გადახდას დააკისრებდნენ, რომ, თუ არ გადაიხდიდა, დაიწყებოდა მისი ახალი ბიოგრაფიის ათვლა — ან პრობაციონერი გახდებოდა, ან ჩაჯდებოდა ციხეში.

ასეთ ვითარებაში ვერანაირ წარმოებას ვერ წამოიწყებ, ვერანაირ საწარმოს ვერ აამუშავებ: ყველა ადგილი დაკავებულია, ბიზნესის მთელი არეალი ხელისუფლებასთან დაახლოებული მონოპოლიების ხელშია, ოლიგარქების ბატონობის ხანაა.

ორიოდ სიტყვით მონოპოლიების შესახებ.

ბენდუქიძესთან „პრეს-პრესში“ შეხვედრისას ჟურნალისტებმა სტუმარს ქვეყანაში უამრავი მონოპოლიის არსებობაზე ჩამოუგდეს სიტყვა.

ბენდუქიძემ ცინიკურად შენიშნა — როგორ ▶

„ჩვენს შესვლას ევროკავშირში წინ უდგას შიდა საკითხების მოგვარება, ანუ სასამართლო სისტემა, ციხეები, ადამიანის უფლებები და ა. შ. ყოფილმა ხელისუფლებამ ყველა ამ დარგში მნიშვნელოვნად დაგვწია უკან. მეორე გარემოება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, კონფლიქტები და მათი მოგვარებაა. მის გარეშე ნატო არ შეგვიშვებს, თავის მფარველობის ქვეშ ახალ ომს არ გარისკავს. ევროკავშირი თავის საზღვრებში არ მიიღებს ქვეყანას, რომელსაც არც ერთი საზღვარი დადგენილი და აღიარებული არ აქვს. წინა ხელისუფლებამ ამ საკითხშიც ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მესამე, რაც ხელს გვიშლის ამ ორი მიმართულების განხორციელებაში, არის რუსეთთან დაულაგებელი ურთიერთობა.“

პოზიცია

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— წარმოგიდგენიათ უამრავი მონოპოლიის არსებობა?

ჟურნალისტები ამ საკითხშიც მოუმზადებლები აღმოჩნდნენ და ვერაფერი უპასუხეს. არადა, პასუხი უმარტივესია: რამდენი პროდუქტიც არის, იმდენი მონოპოლია შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, ხომ შეიძლება, რომ სახელმწიფომ მხოლოდ მე მომცეს პენიცილინის ინიექციის გაკეთების განსაკუთრებული უფლება? შეიძლება და — დამთავრდა! მაგრამ თუ ლენინის მიხედვით გაიაზრებ, ბენდუქიძე კი ასე აზროვნებს, მაშინ მონოპოლიები, კარტერები, ტრესტები მართლაც არ შეიძლება იყოს უამრავი.

**— ე. ი. ქუთაისის პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ოპოზიციის მიერ განხორციელებული „დრანგ ნახტ ოსტენ“ — შეტევა აღმოსავლეთისკენ — შეიძლება იყოს უვიცობისა და დემაგოგიის შედეგი?**

— უვიცობას თავი დაანებეთ, იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ხელისუფლებაში და კარგად აქვთ ათვისებული ნერვების მოსაშლელი პრესინგის და უნაყოფო პოლიტიკურ სივრცეში დისკუსიის გადატანის ხერხები.

ამის დემონსტრაცია მოახდინეს მათ უმცირესობასთან პრემიერ-მინისტრობის მაშინდელ კანდიდატთან შეხვედრის დროს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

**— ამის შხამსაწინააღმდეგო ინიექციად რა გესახებათ?**

— ჩვენი ჯანსაღი კრიტიკა, საქმიანი წინადადებების წარდგენა, რაც გამოიწვევს ისეთი „კრიტიკოსების“, როგორებიც არიან გოკა გაბაშვილი, აკო მინაშვილი, დავით დარჩიაშვილი და სხვები, მარგინალიზაციას.

**— დღეს გაქვთ კრიტიკული შენიშვნები?**

— მაქვს. მაგალითად, **მინისტრობის კანდიდატებიდან არავინ ჩასულა ჭიათურაში გაფიცულ მაღაროელებთან შესახვედრად, არავინ დალაპარაკებია მუშებს. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატი, რეგიონული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატი. ერთადერთი თინა ხიდაშელი ჩავიდა, ალბათ, ადგილობრივი დეპუტატი ჩაანაცვლა.**

**3700 კაცი გაიფიცა. ხუმრობაა?**

ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელმაც სრული სიცხადით გამოავლინა ეკონომიკური მეთოდებით ჩათრევის სისტემა, ანუ ჭიათურაში დანერგილი შრომის ორგანიზაციის ნეოკოლონიალისტური ხასიათი. ამაზე ადრეც არაერთხელ მიმითითებია.

იციან ეს ეკონომიკური ჯგუფის მინისტრებმა? ვერ გეტყვით, მაგრამ, რომ უნდა გაითვალისწინონ, ამაში დარწმუნებული ვარ.

მე მგონი, ჩვენი პოზიტიური კრიტიკით შევძლებთ მაღალი დაძაბულობის ინტელექტუალურ გარემოში მთავრობის წევრების მოქცევას, როცა მათ დემაგოგიაზე გამოხმაურების არც დრო, არც სურვილი აღარ ექნებათ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



### სალომე ზურაბიშვილი:
# რეჟიმის გასამართლება აუცილებელია

**„რა ვქნა, ვერ ვიოცნებებ ვერც ნატოში შესვლაზე და ვერც ევროკავშირზე......ალბათ, იმიტომ, რომ ახლოდან მაქვს ნანახი და გამოცდილი... კარგია მათთან თანამშრომლობა, მათი ღირებულებების ხშირ შემთხვევაში გაზიარება და აუცილებელი — მათი გამოცდილების გათვალისწინება...“ —** ეს სალომე ზურაბიშვილის ათი „ქართული ოცნებიდან“ ერთ-ერთია. მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ყველას აინტერესებს, როგორი იქნება საქართველოს საგარეო კურსი. ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ საქართველოს მომავალი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა, მაგრამ არსებობს განსხვავებული აზრიც: **...საზოგადოებას აინტერესებს ევროატლანტიკური ინსტიტუტებისკენ სწრაფვის ფონზე რამდენად შესაძლებელია რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება. ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით გაუცემელი რჩება.** „საქართველო და მსოფლიოს“ „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე **სალომე ზურაბიშვილი** ესაუბრება.

> **«თუ არა ნიურნბერგის ტიპის სასამართლო, ვერ გავიგებთ, რა მოგვივიდა: ვერ ვასწავლით მომავალ თაობას, რა არის სწორი და რა არა, რას ნიშნავს სიკეთე და დანაშაული»**

**— არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა, მაგრამ ჯერჯერობით გარკვეული ბერკეტები გააჩნია. რამდენად საშიშია დამარცხებული ძალა?**

— ცხადია, მათ ბერკეტები შენარჩუნებული აქვთ, მაგრამ ცხოვრებაში (როგორც პირადულში, ისე პოლიტიკურში) არსებობს მომენტები, როცა ყველაფერი უკუღმა მიგდის და აღარაფერი გამოგდის. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება დღეს „ნაციონალური მოძრაობა“. რა ბერკეტებიც არ უნდა ჰქონდეთ, ვერაფერს მოახერხებენ, რადგან ყველაზე მთავარი — ხალხის ნდობა დაკარგეს და ამას ვერაფრით დაიბრუნებენ.

**— ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ევროპაში როგორ აფასებენ?**

— ძალიან კარგად, როგორც დემოკრატიის გაძლიერების ეტაპს. ყველამ ჩათვალა, რომ ეს არჩევნები კონკურენტული (რაც მართალია) და სამართლიანი იყო (გაყალბების ფაქტები, როგორც ჩვეულებრივ, ვერ შეაფასეს). ამან გაუზარდა საქართველოს ნდობის ხარისხი. **მართალია, ზოგიერთმა სააკაშვილს უპირატესობა მიანიჭა, მაგრამ ამავე დროს ძალიან გამყარდა ბიძინა ივანიშვილის სტატუსი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა „ნაცმოძრაობის“ დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ, — ივანიშვილს არც ნგრევა და არც რუსეთი სდომებია, ყველა ძალიან პოზიტიურად განეწყო. ყველას აინტერესებს მისი გაცნობა. საქართველოს მიმართ ინტერესი არ ნელდება.**

**— უნდა გასამართლდეს თუ არა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება, როგორც რეჟიმი?**

— რეჟიმის გასამართლება აუცილებელია. რა თქმა უნდა, შურისძიების მიზნით ამის გაკეთება არ შეიძლება. მრავალჯერ დამტკიცდა, რომ ეს ჩვენს კულტურაში არ ზის. ჩვენი თავის გაგების მიზნით, ეს აუცილებელია. იმას ვგულისხმობ, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ვერ გავიგეთ, რა მოხდა ჩვენს თავს. რეჟიმი, შევარდნაძით დაწყებული, „ნაცმოძრაობით“ დამთავრებული, ერთ სისტემად უნდა გასამართლდეს. **თუ არა ნიურნბერგის ტიპის სასამართლო, ვერ გავიგებთ, რა მოგვივიდა: ვერ ვასწავლით მომავალ თაობას, რა არის სწორი და რა არა, რას ნიშნავს სიკეთე და დანაშაული. ქვეყანა ვერ დაიწყებს აღმავლობის ეტაპს. ყველა საქმე უნდა გაიხსნას: დაწყებული პირველი პრეზიდენტის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებიდან, ყველა დაუსრულებელი გამოძიებით დამთავრებული.** მხედველობაში მაქვს ჟვანიას, შარაძის, აფრასიძეების, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის და ა. შ. მკვლელობები, გამოსაძიებელია ეკონომიკური დანაშაულები: კუპონების გაუქმება, პრივატიზაციის პირველი და მეორე ტალღა, პირამიდებისა და ხალხის გაკოტრების, ყველაფრის გაყიდვის („გარდა სინდისის“) ფაქტები. რაც მთავარია, ომის დაწყებისა და ჩატარების პირობები, ომზე რადგან ვლაპარაკობ, აუცილებელია პირველი ომების, ანუ ცხინვალისა და აფხაზეთის ომების საკითხის განხილვაც. ეს არის უზარმაზარი საქმე. **ჭეშმარიტებასთან თუ არ დავბრუნდით, წინ ვერ წავალთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: შურისძიების მანქანა არ უნდა შევქმნათ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, სანამ სიმართლეს არ გავარკვევთ, სანამ ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, ვერც პატიებას შევძლებთ და, ცხადია, ვერც დავიწყებას!**

**— რას მიიჩნევთ სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე დიდ შეცდომად?**

— ომს, ომს და ომს!

**— თქვენ გაქვთ ათი „ქართული ოცნება“. ერთ-ერთზე გავამახვილებ ყურადღებას: „რა ვქნა, ვერ ვიოცნებებ ვერც ნატოში შესვლაზე და ვერც ევროკავშირზე... ალბათ, იმიტომ, რომ ახლოდან მაქვს ნანახი და გამოცდილი... კარგია მათთან თანამშრომლობა, მათი ღირებულებების ხშირ შემთხვევაში გაზიარება, და აუცილებელი — მათი გამოცდილების გათვალისწინება...“. ბიძინა ივანიშვილმა და მაია ფანჯიკიძემ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საგარეო კურსი არ შეიცვლება, რამდენად სწორად მიგაჩნიათ საგარეო კურსის უცვლელად დატოვება?**

— დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. საჭიროა, რადგან, როგორც ჩანს, ჩემი ნათქვამი ზოგმა ვერ გაიგო ან სხვანაირად გამოიყენა. მე არ მითქვამს, რომ ეს ორიენტაცია უნდა შეიცვალოს და არც ის, რომ ამის წინააღმდეგი ვარ. რა სისულელეა! მიმაჩნია, რომ ევროპა ჩვენი ღირებულებების ერთ-ერთი საფუძველია, ჩვენში არსებული არსებითი მიმართულება და არა კონიუქტურა, რომლის შეცვლა შეიძლება... ძალიან კარგად მაქვს გააზრებული, რომ ევროპაში საქართველოს დაბრუნება (და ასევე ნატოში შესვლა) არ არის დამოკიდებული ჩვენს ოცნებასა და ძალისხმევაზე. არც ერთი და არც მეორე „საგარეო პოლიტიკის საოცნებო“ არ არის. **ჩვენს შესვლას ევროკავშირში წინ უდგას შიდა საკითხების მოგვარება, ანუ სასამართლო სისტემა, ციხეები, ადამიანის უფლებები და ა.შ.**

ყოფილმა ხელისუფლებამ ყველა ამ დარგში მნიშვნელოვნად დაგვწია უკან. **მეორე** გარემოება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, **კონფლიქტები და მათი მოგვარებაა.**

მის გარეშე ნატო არ შეგვიშვებს თავის მფარველობის ქვეშ, ახალ ომს არ გარისკავს. **ევროკავშირი თავის საზღვრებში არ მიიღებს ქვეყანას, რომელსაც არც ერთი საზღვარი დადგენილი და აღიარებული არ აქვს.**

წინა ხელისუფლებამ ამ საკითხშიც ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. **მესამე,** რაც ხელს გვიშლის ამ ორი მიმართულების განხორციელებაში, არის **რუსეთთან დაულაგებელი ურთიერთობა.**

იმიტომ არა, რომ ერთი ან მეორე ორგანიზაცია რუსეთს ვეტოს უფლებას ანიჭებს, არამედ იმიტომ, რომ **ევროპას და ამერიკას სურს დაწყნარებული ურთიერთობა რუსეთთან.** არ დაუშვებენ საქართველოს გადაუწყვეტელი პრობლემებით შესვლას, რადგან ეს დაძაბულობა თან არ შეიტანოს, ე.ი. ოცნება უნდა იყოს ამ სამივე მიმართულებით. ამის გარკვევაა საჭირო, რასაც ავტომატურად მოჰყვება ჩვენი ადგილის მოპოვება იმ საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაციებში, რომლებსაც კულტურულად და გეოგრაფიულად ბუნებრივად ვეკუთვნით.

**— თქვენ, როგორც დიპლომატი, როგორ შეაფასებთ რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლების განცხადებას ტერმინ „ოკუპაციის“ არგამოყენების თაობაზე? რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ამ ფონზე რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

— დიპლომატიის კონკრეტულ საკითხებზე საუბრისგან დღეს თავს შევიკავებ, რათა ხელი არ შევუშალო ამ უწყებას და მის ახალ წინამძღოლებს განახლებულ საქმიანობაში.

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

> **«მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, «ნაცმოძრაობის» დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ, რომ ივანიშვილს არც ნგრევა და არც რუსეთი სდომებია, ყველა ძალიან პოზიტიურად განეწყო. ყველას აინტერესებს მისი გაცნობა. საქართველოს მიმართ ინტერესი არ ნელდება»**

## სეისმოლოგებს საფრთხის მასშტაბების არასწორად განსაზღვრის გამო 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს



**იტალიის ქალაქ აკვილაში სასამართლომ ექვს სეისმოლოგს და ერთ სახელმწიფო მოხელეს, რომლებიც სეისმოლოგიური სამსახურის კომისიის წევრები იყვნენ, ექვს წლამდე პატიმრობა მიუსაჯა.** მათ ბრალად წაუყენეს სეისმოლოგიური მდგომარეობის არასწორად შეფასება და არაგანზრახ მკვლელობაში მონაწილეობა. როგორც იტალიური გაზეთი La Repubblica იუწყება, 2009 წლის აპრილში ცენტრალურ იტალიაში მომხდარ მიწისძვრას ქალაქ აკვილაში 309 ადამიანი შეეწირა, რისი მიზეზიც სეისმოლოგების მიერ არასწორად გაკეთებული შეფასებები გახდა. ბრალდების მხარემ სასამართლოს დაუმტკიცა, რომ სეისმოლოგთა ჯგუფმა არაადეკვატურად შეაფასა მდგომარეობა და არ მოხდა საფრთხის მასშტაბების სწორად განსაზღვრა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. მიუხედავად დაცვის მხარის განცხადებისა, რომ შეუძლებელი იყო მიწისძვრის შედეგების პროგნოზირება, პატიმრობის 6-წლიანი ვადის მოხდის შემდეგ სახელმწიფო სამსახურებში მუშაობაც აეკრძალათ.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა გააკეთეს სწორი დასკვნები და აზარტული თამაშები კანონით აკრძალეს. 1998 წლიდან აზარტული თამაშები კანონით აიკრძალა თურქეთში, 2007 წლიდან — აზერბაიჯანში; 2013 წლიდან კი სომხეთში კაზინოებს მხოლოდ სამ რეგიონში დაუშვებენ.**

# სამორინეების «მორევში» აკრძალავენ თუ არა სათამაშო ბიზნესს?



**თურქულ გამოცემა „საბაჰ"-თან მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ბათუმში სათამაშო სახლების გაუქმებას აპირებს. მისივე თქმით, ამ სფეროდან შემოსული თანხა ბიუჯეტის მხოლოდ 1%-ია და ამის გამო ქვეყნის იმიჯის შელახვა არ ღირს. მოგვიანებით პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ეს განცხადება შეასწორა: „ქართული ოცნება" კაზინოების დახურვას არ აპირებს, მაგრამ ეს ბიზნესი მოსაწესრიგებელი და დასარეგულირებელიაო.**

სახელმწიფოს თითოეული სათამაშო აპარატიდან კვარტალში 3 ათას ლარამდე შესდის, სამორინეს მაგიდიდან – 15-დან 30 ათას ლარამდე. სისტემური ელექტრონული ტიპის თამაშებიდან კი — 20-დან 60 ათასამდე. არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის" ჩატარებული კვლევის თანახმად, **ათასი მამაკაციდან 36% აქტიური მოთამაშეა, 41% თამაშობს ყოველკვირეულად, 7%-მა თამაშს თავი დაანება, 16% კი საერთოდ არ თამაშობს.**

საქართველოში ყველაზე პოპულარული თამაშებია: ტოტალიზატორი, პოკერი, სათამაშო სლოტ აპარატები, ე.წ. რულეტკა, ნარდი, ბლექ ჯეკი, ბინგო იგივე ლოტო. სხვათაშორის, ამ უკანასკნელში 40 წელს გადაცილებული ქალები სჭარბობენ. „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი" მოითხოვს საინფორმაციო საშუალებებით სათამაშო ბიზნესის რეკლამირების აკრძალვას, ხოლო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — მკვეთრად შეზღუდვას. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი" პრემიერ-მინისტრს პეტიციით მიმართავს.

**„ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა გააკეთეს სწორი დასკვნები და აზარტული თამაშები კანონით აკრძალეს. 1998 წლიდან აზარტული თამაშები კანონით აიკრძალა თურქეთში, 2007 წლიდან — აზერბაიჯანში, 2013 წლიდან კი სომხეთში კაზინოებს მხოლოდ სამ რეგიონში დაუშვებენ. საზოგადოებაში გაჩნდა იმედი, რომ ახალი ხელისუფლება მეტ ინტერესს გამოიჩენს აღნიშნული საკითხის დარეგულირებასთან დაკავშირებით. ცალსახაა, რომ აზარტული თამაშების ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან მოწესრიგებას საჭიროებს და იმ ფორმით რა რეალობაშიც დღეს ვიმყოფებით დარჩენა დაუშვებელია",** — აღნიშნულია პეტიციაში.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივამ საზოგადოებაში დისკუსიები გამოიწვია. ზოგი მომხრეა წვრილი სათამაშო დაწესებულების აკრძალვისა და სამორინეების მდიდარი კლიენტებისთვის ღიად დატოვების, ზოგი კი — სამორინეების სპეციალურ ზონებში გადატანის. სასტუმროების მეპატრონეების განცხადებით კი, მკაცრი ზომები მათ გაკოტრებას შეუწყობს ხელს. ცნობისთვის, **ქვეყანაში შემოსული ტურისტების დაახლოებით 43% ფულის საშუალოდ 25%-ს სამორინეებში ტოვებს.**

**მიხეილ ადეიშვილი, „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი:**

„თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან ან სხვა რომელიმე ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტი აჭარაში დასვენების გარდა, სათამაშოდაც ჩადის. რა თქმა უნდა, მხოლოდ კაზინოს შემოსავალზე არ მყარდება სასტუმროს ბიუჯეტი. გარდა კაზინოში თამაშისა, სტუმარი სხვა სერვისებითაც სარგებლობს. უბრალოდ, **სასტუმროს ბიზნესის წამოწყებისას მფლობელი თავიდანვე ითვალისწინებს, იქნება იქ კაზინო თუ არა, და ბიზნესგეგმას ამის მიხედვით აწყობს. ტოტალიზატორებისა და სლოტკლუბების მეპატრონეებსაც ბიზნესის წარსამართად კრედიტები აქვთ აღებული და ამიტომ ასე უბრალოდ ამ სექტორის დახურვა არ გამოვა, მრავალი მფლობელი დაზარალდება.** ყველაზე მეტად მოსაწესრიგებელია ასეთ დაწესებულებებში 18 წლამდე პირების შესვლის კონტროლი. მიუხედავად არსებული კანონისა, მოზარდები თავისუფლად ერთვებიან აზარტულ თამაშებში. მაგრამ



**ბევრი გაჭირვებული ოჯახი ვიცით საქართველოში, თამაშობდნენ იმ იმედით, რომ მოიგებდნენ, ბოლოს სახლები გააყიდინეს. ეს არის საშინელი საცდური, რომელსაც წლების განმავლობაში სახელმწიფო უკეთებდა პროპაგანდას**

ზრდასრული ადამიანის გაკონტროლება როგორ უნდა მოახდინო, ვერ წარმომიდგენია – რა კრიტერიუმით უნდა გავარჩიოთ, ვის შევუშვებთ კაზინოში და ვის არა? ზღვრული თანხის უფლება უნდა დაწესდეს თუ სხვა რამე, არ ვიცი. იდეა კარგია, მაგრამ განსახორციელებლად — ცუდი. **ვისაც თამაში სურს, აკრძალვის მიუხედავად, მაინც ითამაშებს, მონახავს შესაბამის ადგილს და თანამოაზრეებს. ამბობენ, ქონება წააგოო თამაშში, კი მაგრამ კაზინოში თანხის გარეშე არავინ გათამაშებს. ესე იგი ის აზარტული პიროვნება ჯ?რ ყიდის ან აგირავებს ქონებას და მერე მიდის სათამაშოდ. ტოტალიზატორებში კი იყო გავრცელებული „ხელზე თამაშის" პრაქტიკა, ეს მართლა მოსაგვარებელი პრობლემაა.**

აკრძალვა სათამაშო ბიზნესს არალეგალურ, ჩრდილოვან მდგომარეობაში გადასვლას აიძულებს. არც ცალკე ზონებში მოთავსებაა კარგი აზრი. მაგალითად, წყალტუბო გამოაცხადეს სათ?მაშო ბიზნესისთვის მოსაკრებლისგან თავისუფალ ზონად, მაგრამ იქ ჩამსვლელი არავინაა. ბიზნესმენს ურჩევნია თბილისში ან ბათუმში გახსნას სათამშო დაწესებულება, მოსაკრებელიც გადაიხადოს და მოგებაც ნახოს. მხოლოდ თავისუფალი ზონა კურორტებს ვერ ააღორძინებს, საამისოდ ბევრი სხვა რამ არ?ს გასაკეთებელი. ასე რომ, ჯობს სათამ?შო ბიზნესი იყოს ლეგალიზებული და კონტროლირებადი, რაც მეტს დავახარჯინებთ ტურისტებს, მით უკეთესი".

**მიხეილ ჯიბუტი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი:**

„სათამაშო ბიზნესიდან შემოსული თანხა ხომ საერთოდ ამორალურია, ცოდვის ფულია, მრავალი ადამიანის დაკარგული ქონებით შემოსული ფული. **აშშ-ის შტატ ტეხასში კაზინო არ არის, მის დედაქალაქ ოსტინშიც კი, რადგან მოსახლეობას მიაჩნია, რომ ამორალური ფული მათ ბიუჯეტს არ სჭირდება. არ სჭირდება დანგრეული და გაუბედურებული ოჯახებიდან წამოსული თანხა. არ სურთ მათ თამაში და არც ასეთი ფული.** ცდუნებით მოპოვებული ფული არაფერში ვარგა. როგორც რწმენაში არ უნდა აცდუნო ვინმე, ასევეა სხვა რამეშიც. **სათამაშო დაწესებულება ყოველ ნაბიჯზე რომ არის გახსნილი, ცდუნება არ არის? საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ახლოს ტოტალიზატორები და სათამაშო აპარატებიც არ უნდა იყოს განლაგებული.** ბავშვი საფუნთუშეში რომ შედის, გვერდით კი „ცალხელა ჯეკი" დგას, ცდუნებაა, აბა, რა! იგი ფიქრობს, სადილის ფული საჭმელზე დავხარჯო თუ ვითამაშო და იქნებ ველოსიპედი მოვიგოო.

საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ დაბალშემოსავლიანი ფენა, უფრო მეტს ხარჯავს აზარტულ თამაშებში და აგებს კიდეც. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოწესრიგდეს, აქ რადიკალური ზომები დაუშვებელია. მაგალითად, ჯერ შეიზღუდოს ლიცენზიების გაცემა, რამდენიმე ხანში მოსაკრებელი გაიზარდოს, რამდენიმე წელიწადში კი სულ დაიხუროს. პირველად პრინციპი „სასტუმრო+კაზინო" სასტუმრო „ჰიუსტონის" ქსელმა შემოიღო და ამით გადაარჩინეს საკუთარი ბიზნესი. შემდეგ სამკურნალო წყლის კურორტ ბადენზე დაინერგა და ასე თანდათან გავრცელდა. ამიტომ **საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა, ხელის ერთი მოსმით ამის მოშლა არ შეიძლება, გარდამავალი ვარიანტები უნდა შემუშავდეს, დაითვალოს სასტუმროს ხარჯები და შემოსავალი, შეიზღუდოს კაზინოში შემავალი პირები.**

მაგალითად, კაზინოში შესვლის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ სასტუმროს ბინადარს და ა.შ."

**სათამაშო ბიზნესთან მიმართებაში, გარდა გაკოტრებული მოთამაშეებისა, სხვა ასპექტებიც იჩენს თავს. სამორინეების საქმიანობას, როგორც წესი, თან მოჰყვება პროსტიტუციისა და კრიმინალის ზრდა. მოსახლეობა შეურაცხყოფად მიიჩნევს ქალაქის ცენტრში, მით უფრო საპატრიარქოს ახლოს, სამორინეების ფუნქციონირებას. მთავრობა და ბიზნესმენები კი ტურისტების კომფორტზე მეტად მოგების მიღებაზე ფიქრობენ და თავს გამუდმებით ბიუჯეტისთვის საჭირო თანხების მოპოვებით იმართლებენ.**

**ზაზა ნანობაშვილი, „ანჩისხატის მომლოცველთა კრებულის" ხელმძღვანელი:**

„მართლმადიდებელი კაცი როგორ უნდა იყო განწყობილი აზარტისადმი და ცრუ მანქანებისადმი? სათამაშო აპარატები ისეა დაპროგრამებული, რომ ადამიანს მოგების შანსი არ აქვს. კაცს რომ ასე მოატყუებ, ამას კაცობა ჰქვია და ქრისტიანობა?! **ბევრი გაჭირვებული ოჯახი ვიცით საქართველოში, თამაშობდნენ იმ იმედით, რომ მოიგებდნენ, ბოლოს სახლები გააყიდინეს. ეს არის საშინელი საცდური, რომელსაც წლების განმავლობაში სახელმწიფო უკეთებდა პროპაგანდას.** კარგად ჩანს, ყველა „სიკეთესთან" ერთად, რა ძალები მართავდნენ საქართველოს. აღვირახსნილობის დონემ იქამდე მიაღწია, რომ კაზინო ლამის საპატრიარქოს ეზოში შესასვლელთან დადგეს. ჯალალედინმა სხვა რამე კი არ გააკეთა, წმიდა ადგილას, სიონის გუმბათზე ზევიდან დაჯდა და შეურაცხყო, ამათაც კაზინოთი და ბუდაბარით — ამ ორი ობიექტის დამაკავშირებელი ხიდის მეშვეობით შეურაცხყვეს მოწამეთა წმინდა ადგილი, ჩვენი სარწმუნოება და პატრიარქის სიტყვა. ის, თუ სიონის გუმბათიდან უყურებდა ადამიანის ფიზიკურ განადგურებას, ესენი კაზინოებიდან უყურებენ ქართველი ხალხის სულიერ განადგურებას. მე მგონი, ეს უკანასკნელი უფრო უარესია. **აზარტული ჟინითა და ქარაფშუტული მოქმედებებით კინაღამ საქართველო წავაგეთ. საერთოდაც უნდა გამოვიდეს კანონი არა მარტო კაზინოების, რესტორნების შესახებაც, რომ ეკლესია-მონასტრების გვერდით არ მისცენ ფუნქციონირების უფლება.** საჭიროა, მანძილი იქნეს დაცული, თორემ ანჩისხატის უძველესი ტაძარი და სხვა წმინდა ადგილები რესტორნების, მემრუშეობისა და მემთვრალეობის შემოტევებს ველარ უძლებენ".

**ასმათ ჯალმაიძე**

## დონალდ ტრამპი ობამას დაბადების მოწმობაში 5 მილიონს იხდის



**დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ საქველმოქმედო ფონდებს 5 მილიონ დოლარს გადასცემს, თუ პრეზიდენტი ობამა თავის დაბადებისა და განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს ხელმისაწვდომს გახდის.**

ვიდეოში, რომელიც მან „ტვიტერზე" გაავრცელა, სკანდალურობით ცნობილი ამერიკელი მულტიმილიარდერი პრეზიდენტს შემდეგ გარიგებას თავაზობს: „პრეზიდენტისთვის გარიგება მაქვს, წინადადება, რომელზეც ის, ჩემი აზრით, უარს ვერ იტყვის. მისი სურვილისამებრ, 5 მილიონ დოლარს ჩავრიცხავ ნებისმიერ საქველმოქმედო ფონდში, თუ იგი თავის კოლეჯის დოკუმენტებს და პასპორტს გაასაჯაროებს". მილიარდერი ტრამპი, უკვე დიდი ხანია, სპეკულირებს იმის თაობაზე, რომ ობამა ამერიკის გარეთ დაიბადა და, შესაბამისად, მას არ აქვს უფლება, ამ ქვეყნის პრეზიდენტი იყოს. შარშან საქველმოქმედო სადილზე ობამა ტრამპს გაეხუმრა, რომ თავის დაბადების ვიდეოს გამოაქვეყნებდა.

პატივცემულო ბიძინა, გთავაზობთ, გამოიჩინოთ ინიციატივა დიდი სტალინის შესახებ მრავალსერიანი ფილმის შესაქმნელად, რითაც არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში შეხვალთ. არის წიგნი-ბესტსელერი „დიადი სტალინი“, რომელიც დღეს (სტალინის წინააღმდეგ აგორებული ტალახის ფონზე) მიჩნეულია „სინათლის სხივად“. თქვენ მხარს დაგიჭერთ არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ მთელი მსოფლიო.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქტორს

პატივცემულო ბატონო ირაკლი!

გთხოვთ, თქვენს გაზეთში, რომელსაც ვკითხულობ და პატივსა ვცემ, გამოაქვეყნოთ ჩემი ღია წერილი-მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისადმი.

მე, გრიგოლ ლიპარტელიანი, დავიბადე ლენტეხში 1938 წლის 6 დეკემბერს. 1956 წელს დავამთავრე ლენტეხის საშუალო სკოლის 11 კლასი. 1964 წელს გავხდი საბჭოთა არმიის ოფიცერი, ვიმსახურე 30 წელიწადი. ვცხოვრობ სანკტ-პეტერბურგში, ჩემი სახელი შეტანილია წიგნში „სანკტ-პეტერბურგის ცნობილი ადამიანები“, ვარ ქართული დიასპორის — „ივერიის“ საპატიო წევრი, დავით აღმაშენებლის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, რუსეთის რეგიონთაშორისი მწერალთა კავშირის წევრი, 10 წიგნის ავტორი, მათ შორის: „დიადი სტალინი“ (720 გვ.), „თავადი ბაგრატიონი“ (420 გვ.), „ქართველები — დიდი სამამულო ომის გმირები“ (300 გვ.), „ქართველები პეტერბურგში: ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვეობა“ (930 გვ.) და სხვ.

დაჯილდოებული ვარ 40-ზე მეტი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ჯილდოთი.

დაწვრილებითი ინფორმაცია ჩემ შესახებ მოთავსებულია საიტზე: www.grig1938.narod.ru

პატივისცემით,

**გიორგი ლიპარტელიანი**



# ღია წერილი-მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს

**პატივცემულო ბიძინა გრიგოლის ძევ!**

როგორც იცით, მსოფლიოში არც ისე ბევრია ერი, რომელთაც შვეს მსოფლიო მასშტაბის ადამიანები. მაგრამ, თუ ხალხს გაუმართლა და ისეთი ადამიანი დაიბადა, რომელმაც უკვდავყო თავისი ერი, სამშობლომ უნდა იამაყოს მისით და ახსოვდეს თავისი დიდებული ადამიანები. დიდი ადამიანები ხომ იშვიათად იბადებიან, თანაც არა ყველა ქვეყანაში. **ჩვენს ერს ბედმა გაუღიმა. საქართველო სტალინის სამშობლოა, იმ ადამიანის, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარში დედამიწის მოსახლეობის 70 პროცენტს აკონტროლებდა** (ჩინეთისა და ინდოეთის ჩათვლით).

მსოფლიოს ხალხები ამაყობენ თავიანთი წინაპრებით; ფარაონებით, ალექსანდრე მაკედონელით, კიროსით, იულიუს კეისრით, პეტრე პირველით, ჩინგიზ ყაენით, ში-ხუანდით, ნაპოლეონით, ჩერჩილით, რუზველტით და სხვებით. მათ დიადი საქმეები „თეთრი ხელთათმანებით“ და ლოცვა-ვედრებით კი არ უკეთებიათ, არამედ თავიანთ მიზნებს გაბედული მეთოდებით მიაღწიეს. ისტორიამ შემოინახა ხალხთა წინაშე მათი დამსახურება. მათი მოწინააღმდეგეები ან მათ მიერ ე. წ. რეპრესირებულები გარკვეული დროის შემდეგ არავის ახსოვს.

ზემოთ დასახელებულთა შესახებ უამრავი მართალი წიგნია დაწერილი, გადაღებულია კინოფილმები, მათით ამაყობენ მშობელი ხალხები. **მხოლოდ სტალინს არ გაუმართლა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული წიგნებისა და ბროშურების, გადაღებული ფილმების 99 პროცენტი მიმართულია მისი სახელის გატეხვისა და მისი ხსოვნის შეურაცხყოფისკენ, პრაქტიკული საქმეების დამახინჯებულად წარმოდგენისკენ. მის ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში, ერთი ადამიანიც არ აღმოჩნდა, რომელიც გამოვიდოდა ისტორიის ამ ტიტანის დასაცავად.** პირიქით, **საქართველოს ყოფილმა მთავრობამ დაანგრია ყველაფერი. „მკვიდრი ლომის“ — სტალინის ფონზე თავს იწონებენ „პიგმეები“ და „ტანმორჩილი“ პოლიტიკოსები, რომლებმაც იგრძნეს, რომ შეუძლიათ დაუსჯელად იმოქმედონ, ლაფს ესვრიან №1 ქართველს.** მაგრამ ყველა ერს, ადრე თუ გვიან, გაეღვიძება ეროვნული სიამაყე, გამოჩნდებიან პატრიოტი ადამიანები, რომლებიც განადიდებენ იმათ, ვინც უკვდავყო თავისი ხალხი და თავისი ერის ისტორია. ახალგაზრდა თაობას, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს თავის დიად წინაპრებზე, არ შეიძლება ჰქონდეს მომავალი, მაშასადამე, იგი განწირულია დეგრადაციისა და გადაგვარებისთვის.

**პატივცემულო ბიძინა, გთავაზობთ, გამოიჩინოთ ინიციატივა დიდი სტალინის შესახებ მრავალსერიანი ფილმის შესაქმნელად, რითაც არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში შეხვალთ.**

არის წიგნი-ბესტსელერი „დიადი სტალინი“, რომელიც დღეს (სტალინის წინააღმდეგ აგორებული ტალახის ფონზე) მიჩნეულია „სინათლის სხივად“.

თქვენ მხარს დაგიჭერთ არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ მთელი მსოფლიო.

მიმაჩნია, რომ ფილმი უნდა შექმნას სწორედ ქართველმა ხალხმა: წიგნის, სცენარის ავტორებმა, კომპოზიტორმა. მთავარი მოქმედი გმირები ქართველი მსახიობები უნდა იყვნენ. კინოფილმი გადაღებული უნდა იყოს დიდი გაქანებით, მასშტაბურად, მსოფლიო დონეზე.

**ჩვენ არ გვყავდა ასეთი დონის ადამიანი და არავინ უწყის, დაიბადება კიდევ თუ არა. მაშასადამე, ჩვენს ქართველ ერს უნდა ჰქონდეს ის, რაც აქვს, და იამაყოს იმით.**

მომავალი თაობა შეიძლება აღიზარდოს მხოლოდ თანამემამულეთა მოღვაწეობის მაგალითებზე. მოსწონს ვინმეს ეს თუ არა, ფაქტი ფაქტად რჩება: **სტალინი ისტორიის ჭეშმარიტი გიგანტია და იგი ჩვენი, ქართველი გიგანტია.**

**პატივისცემით,**

**გრიგოლ ლიპარტელიანი**

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

**მე უკრაინაში ვცხოვრობ და თვალყურს შორიდან ვადევნებ ჩემს მშობლიურ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მადლობელი დაგრჩებით, თუ ჩემ მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და მოსაზრებებს გამოაქვეყნებთ.**

პატივისცემით, **ვანო დუმბაძე**

# სააკაშვილის ძალაუფლების ბოლო ბასტიონი

**„ერთიანი ნაციონაური მოძრაობის“ ოპოზიციაში გადასვლა არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი შემდგომში პოლიტიკურ ბრძოლაზე უარს იტყვის. მისი მეთოდები ყველასთვის კარგადაა ცნობილი: რევოლუცია, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებები, ბიზნესისა და ტელეკომპანიების მიტაცება, ოპოზიციის ჩახშობა, სამშვიდობო აქციების სისხლიანი დარბევა და სხვა ბინძური ღონისძიებები. იმავეს შეიძლება ველოდოთ პრეზიდენტისა და მისი გუნდისგან უახლოესი თვეების მანძილზე.**

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით უსუფაშვილის, თქმით, კოალიციაში **„პრეზიდენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ იგი არ გამოიყენებს კონსტიტუციურ უფლებას და კარგად მოიქცევა, ბოლომდე არ ენდობიან“.** კოალიციის სხვა წარმომადგენელი — ვიქტორ დოლიძე კი თვლის, რომ **„პრეზიდენტ სააკაშვილის ოდიოზური ფიგურისგან ყველაფერია მოსალოდნელი“.**

პრეზიდენტმა გაცემული ბრძანებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან გააცალკევა სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო, რომელიც აკონტროლებდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯებს და გადასცა იგი საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს. ეს სტრუქტურა კი უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარება. ამით **სააკაშვილმა მთლიანად წაართვა მთავრობას შესაძლებლობა, ეკონტროლებინა, თუ რა მიზნით ხარჯავს პრეზიდენტი და მისი გუნდი საბიუჯეტო სახსრებს.**

ასევე, საქართველოს ლიდერმა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გადასცა სამთავრობო კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტო, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. ახლა **სააკაშვილს შეუძლია მიიღოს წვდომა ახალი მინისტრებისა და მათი ქვემდებარე თანამშრომლების სატელეფონო საუბრებზე და სასურველ დროს დაბლოკოს კიდეც კავშირი.**

გარდა ამისა, მისი პარტიის მარცხის შემდეგ, სააკაშვილი შეშფოთდა საკუთარ უსაფრთხოებაზე და ამავე სახელმწიფო დაცვის სამსახურის სტრუქტურაში ახალი ოპერატიული დეპარტამენტი შექმნა. ამ ქვედანაყოფის ამოცანებში შევა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე, პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღსაკვეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება.

**პრეზიდენტის კონტროლქვეშ რჩება, ასევე, სასამართლო სისტემა, მერები და გუბერნატორები. თავიანთ თანამდებობებს შეინარჩუნებენ სახელმწიფო აუდიტისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელები.**

ცხადია, რომ **საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ძალაუფლების ნარჩენების კონცენტრირებას ახდენს.**

მოძრაობა „თეთრების“ ლიდერის, თეიმურაზ შაშიაშვილის, აზრით, ასეთი ქმედებები გვამცნობს, რომ სააკაშვილი ახალი გადატრიალებისთვის ემზადება.

მოცემულ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, სოზარ სუბარის, მიერ არჩევნების წინა საღამოს გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ **„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თბილისის სხვადასხვა რაიონში 20 ბინა შეიძინა. სუბარის თქმით, აღნიშნული ბინები გამოიყენება იარაღის საწყობებად, იარაღისა, რომლის მეშვეობითაც საჭირო დროს დედაქალაქის კონტროლზე აყვანა გახდება შესაძლებელი.**

აქტიური ქმედებები დაიწყება საინფორმაციო სივრცეშიც. კონტროლქვეშ არსებული ტელეკომპანიები შეეცდებიან, შელახონ ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიციის ავტორიტეტი. ეს არხები უკვე გადავიდნენ „საინფორმაციო მაუწყებლობის“ რეჟიმზე და განაცხადეს, რომ გასართობ-შემეცნებით გადაცემებს ნელ-ნელა ფორმატიდან ამოიღებენ, საზღვარგარეთ მყოფ მაყურებელზე გათვლილ რუსულენოვან ტელეარხ „პიკს“ კი უცებ ფინანსები აღარ ეყო და არხმა მაუწყებლობა შეწყვიტა. ყველანაირი ძალისხმევა და საშუალება, როგორც ჩანს, მიმართული იყო შიდა აუდიტორიაზე მუშაობისკენ.

გარდა ამისა, **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, თბილისის მერმა გიგი უგულავამ დაცვის სპეციალური შეიარაღებული სამსახური შექმნა, რომელიც უშუალოდ ქალაქის მეთაურს დაექვემდებარება და, საჭიროების შემთხვევაში, მისი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს.** ქალაქის უსაფრთხოების სამსახურმა უნდა დაიცვას დედაქალაქის ობიექტები და, პირველ რიგში, პრეზიდენტის სასახლე, რომელიც გამომდინარე ამ ყველაფრიდან, ძალაუფლებისთვის ბრძოლაში სააკაშვილის რეჟიმის საყრდენი წერტილი გახდება.

**ორი კვირის მანძილზე პრეზიდენტის სასახლეში შეაქვთ სხვადასხვა სამინისტროდან გამოტანილი დოკუმენტაცია, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9 წლის მანძილზე დაგროვდა.** მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროებისა და უწყებების დოკუმენტაციის ნაწილის გასაჯაროებას აპირებს, მთავრობის წევრებმა გააცნობიერეს, რომ ზოგიერთი საქმე „ქართული ოცნების“ ხელში ჩავარდება და სამართლებრივ დევნას ისინი ვერ ასცდებიან. როგორც ცნობილი უფლებადაცველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „დედათა კომიტეტის“ თავმჯდომარე ქეთევან ადამია ამტკიცებს, **იუსტიციის სამინისტროში სპეციალური მოწყობილობების მეშვეობით დაჩქარებული ტემპით ნადგურდება ასეთი დოკუმენტაციის ნაწილი.**



სანამ სააკაშვილი თავის პოსტზე რჩება, იგი ყველაფერს გააკეთებს, იმისთვის, რომ ქართული ოცნება არ ახდეს. ასეთი **აქტიური კანონშემოქმედების გამოხატვითა და დარჩენილი ძალების ერთ მუშტად შეკვრით პრეზიდენტი აშკარად ემზადება რევანშისთვის. და თუ უახლოეს ნახევარ წელიწადში იგი ვერ შეძლებს, მშვიდობიანი გზით მიაღწიოს ახალი მთავრობის დისკრედიტაციას, სააკაშვილი და მისი თანამებრძოლები ეცდებიან, ძალისმიერი მეთოდით დაიბრუნონ ძალაუფლება.** ივანიშვილს ეს მშვენივრად ესმის და მხოლოდ ევროკავშირის უდიდესი წნეხის ქვეშ გახდა იძულებული, უარი ეთქვა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის წამოყენებაზე. ასეთ სიტუაციაში **საუკეთესო გზა ძალაუფლების მიტაცების თავიდან ასაცილებლად შეიძლება აღმოჩნდეს პრეზიდენტ სააკაშვილისთვის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება და მისი შემდგომი გადადგომა.**

**ვანო დუმბაძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბენდუქიძეს ეკითხებიან ხელისუფლების მიერ წართმეულ წილებზე, ბიზნესებზე (ასეთი საქმეები 2500-ზე მეტია და მას, ხელისუფლებისთვის ნამუსის მოსახოცად მაგალითად მოჰყავს ვილაც მაქინატორი(!), რომელმაც შევარდნაძის დროს 1,5 ჰა მიწა შეიძინა სახელმწიფოსგან, მერე მძიმე ამოშალა და 1,5-ის ნაცვლად 15 ჰა მიითვისა.!) სხვა მაგალითი, წესიერი კაცის მაგალითი, ვისაც ქონება წაართვეს, ბენდუქიძემ არ იცის. თქვენ წარმოიდგინეთ და, არც „იმედის“ წართმევის შესახებ სცოდნია არაფერი! რა გინდათ, ამხელა კაცი ტყუილს ხომ არ იკადრებს, გვეუბნება, არ ვიციო, არ იცის და...! აჰ, ისევ შემეშალა, ისევ უადგილო ადგილას ვიხმარე!**

# «ფიფქია» და შვიდი «ჯუჯა», ანუ ბენდუქიძე და შვიდი ჟურნალისტი

**კარგა ხანს ვიფიქრე, გამოვხმაურებოდი თუ არა ამ გადაცემას, ანუ „პრეს-პრესში“ სტუმრად მიწვეული ისეთი ადამიანის მოსაზრებებს, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში აშკარად გამოირჩევა თავისი „დახვეწილი“ ლექსიკით. ბენდუქიძის „ზრდილობის გაკვეთილებს“ შეჩვეულია ტელემაყურებელი, მაგრამ ამჯერად მან ყველა ზღვარს გადააბიჯა არა მარტო ჟურნალისტების მიმართ, არამედ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიმართაც. 20 ოქტომბრამდე, ჭკუით გატენილი თუ არა, არც უჭკუო კაცი მეგონა ბენდუქიძე, ჟურნალისტების კითხვებზე გაცემულ პასუხებში კი უზრდელობასთან ერთად იმდენი ტყუილი და სისულელე გადმოაფრქვია პროფესორმა კაცმა (არადა, სულელებს სხვებს ეძახის), რომ გაჩუმება გამიჭირდა და გულის მოფხანვა მომინდა.**

## («მაესტროს» გადაცემა «პრეს-პრესი», 20 ოქტომბერი, 2012)

## ის, რაც მთელმა საქართველომ იცის «ნაციონალების» ხელისუფლების სამარცხვინო და კრიმინალურ ქმედებებზე, ბენდუქიძემ არ იცის. არ იცის და ... !

მხოლოდ უცოდინრობისთვის და, გნებავთ, „სიტყვა-პასუხისთვისაც“ ნამდვილად არ ვაკადრებდი არაკორექტულ გამოთქმებს უნივერსიტეტის რექტორს, მას რომ ძალიან შორს არ შეეტოპა და ყველა ჩვენგანისთვის, ვინც „ქართულ ოცნებას“ დავუჭირეთ მხარი, ის შეურაცხყოფა არ მოეყენებინა, რომელზეც წერილის ბოლოს მოგახსენებთ. აქვე კი იმას აღვნიშნავ, რომ მისი პირიდან „შემკობის“ ბედნიერება, აქტიურობის პროპორციულად, წილად ხვდა ორ ჟურნალისტს — წამყვან დიანა ტრაპაიძესა და შორენა შავერდაშვილს (რატომ იტანენ ამდენ შეურაცხყოფას ჟურნალისტები მისგან, ჩემთვის სრულიად გაუგებარია!). **ბენდუქიძის ლექსიკის გათვალისწინებით, ვერაფრით წარმომიდგენია მისი ურთიერთობა სტუდენტებთან – მთელი ტელეგადაცემის მანძილზე არცთუ მოუმზადებელი ჟურნალისტების თითქმის ყოველ კითხვას „სისულელედ“ აფასებდა და, დავიჯერო, სტუდენტები ამ ჟურნალისტებზე უფრო ჭკვიანურ შეკითხვებს უსვამენ მას ლექციებზე?! დარწმუნებული ვარ, შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით, კითხვის დასმასაც ვერავინ უბედავს** (აბა, რომელი თავმოყვარე ბიჭი აიტანს გოგოების წინაშე დამცირებას!) და რაიმე საკითხზე პაექრობა-კამათი, პრაქტიკულად, ხომ გამორიცხული იქნება ამ გაუწონასწორებელ „პედაგოგთან“!

სწორედ ამ მიზეზების ერთობლიობა უფლებას მაძლევს შესაფერისი(!) პასუხი გავცე მართლა ფულისგან გაფუჭებულ და თავგასულ კახა ბენდუქიძეს. ვფიქრობ, შესავლად კმარა, საქმეზე გადავალ. ცხადია, ბენდუქიძის მიერ ერთი საათის განმავლობაში გაცემულ ყველა პასუხს ვერ განვიხილავ, მხოლოდ გამორჩეულად „ჭკვიანურზე“ და დასაბუთებულზე (მისი ჭკუით!) შევჩერდები და მკითხველი ადვილად დარწმუნდება მის პატიოსნებაში, გულწრფელობაში, ანალიზის უნარსა და ლოგიკურ აზროვნებაში. მაშ, ასე:

**„საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა ივანიშვილისთვის აბსოლუტურად სწორად იყო გაკეთებული“.** მხოლოდ ბოლმის „ბუკეტი“ ან ბრმა და ყრუ უნდა იყოს ამის მთქმელი! მეტ კომენტარს ეს ფრაზა არ საჭიროებს.

**„ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებები ჩემთვის არ არის ცნობილი“** (წინასაარჩევნო პერიოდზეა ლაპარაკი). ის, რაც მთელმა **საქართველომ იცის ხელისუფლების სამარცხვინო და კრიმინალურ ქმედებებზე, ბენდუქიძემ არ იცის. არ იცის და ...!** აჰ, უკაცრავად, შემეშალა – ეს გამოთქმა მაშინ იხმარება, როცა ზედმიწევნით „კარგად“ ერკვევა კაცი რამეში. მაგრამ არა უშავს, ქვემოთ გამოვასწორებ, საკადრის ადგილას!

**„თვალს არ ვადევნებდი წინასაარჩევნო კამპანიას, რატომ უნდა დავაკვირდე, მე ვიცოდი, ვის ვაძლევდი ხმას“.** და ამიტომაც არ სცოდნია თურმე ხელისუფლების უკანონობაზე არაფერი. სამაგიეროდ, აკვირდებოდა გაზაფხულზე ჩატარებულ არჩევნებს რუსეთში, სადაც, ბენდუქიძის მტკიცებით, საერთაშორისო დამკვირვებლებიც კი არ დაუშვიათ. **მართლა სულელი ჰგონია ბენდუქიძეს ყველა, თორემ ვინ დაიჯერებს, რომ იქ, სადაც მისი სათაყვანებელი „ნაცმოძრაობის“ და, დიდი ალბათობით, მისი საკუთარი(!) ბედიც წყდება, იგი თვალს არ ადევნებს წინასაარჩევნო კამპანიას და მხოლოდ რუსეთში მიმდინარე ანალოგიური პროცესებით ინტერესდება!** ეს, რაც გულწრფელობას შეეხება.



## ბენდუქიძეს სავსე ჩეჩმა უდევს ჩიჩაყუში და პერიოდულად თავისუფლდება პირიდან

ახლა საერთაშორისო დამკვირვებლებთან დაკავშირებით თქმულ ტყუილზე. გადაცემაში მონაწილე არც ერთი ჟურნალისტი არ იყო რუსეთის ამბების საქმის კურსში, თორემ ბენდუქიძის ტყუილში გამოჭერას რა უნდოდა (სამწუხაროდ, ჩვენთან ობამარომნის დებატებზე უფრო მეტი იციან, ვიდრე ის, რაც მეზობლად ხდება).

სინამდვილეში, **საპრეზიდენტო არჩევნებს რუსეთში აკვირდებოდა 685 აკრედიტებული საერთაშორისო დამკვირვებელი 20-ზე მეტი სახელმწიფოდან, რომელთაგან ბევრს ზედმეტადაც კი მოეჩვენა თავიანთი ყოფნა საარჩევნო უბნებზე — იმდენად გამჭვირვალედ, ყველას თვალწინ** (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!) ტარდებოდა არჩევნები. საქმე ისაა, რომ 95 ათასი უბნიდან 91 ათასზე დამონტაჟებული იყო 182 ათასი ვებ-კამერა (ორ-ორი თითოეულ უბანზე) **და ინტერნეტით შესაძლებელი იყო ნებისმიერ უბანზე დაკვირვება! ბენდუქიძის საქებარმა სააკაშვილმა კი, რუსეთისგან განსხვავებით, საერთოდ მოხსნა ვიდეოკამერები** (მკითხველს შევახსენებ, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს 3600 უბნიდან მხოლოდ 1200-ზე იყო დამონტაჟებული თითო კამერა, 2012-ში კი ესეც აკრძალა ბენდუქიძის საამაყო რეფორმატორმა პრეზიდენტმა)! აუცილებლად უნდა გავუსვა ხაზი იმასაც, რომ უცხოეთში მყოფი რუსეთის მოქალაქეებისთვის (1,8 მილიონისთვის) 147(!) ქვეყანაში იყო გახსნილი საარჩევნო უბნები, საქართველოს ხელისუფლებამ, ანუ სააკაშვილმა კი ერთი(!) უბანი არ გახსნა რუსეთში მყოფი ერთ მილიონამდე(!) თანამემამულისთვის! და, სადაც გახსნა, თითებზე ჩამოსათვლელ სახელმწიფოებში, იქაც იმამაძაღლა — ზოგან ჩაშალა არჩევნები კომისიის წევრის არგამოცხადების საბაბით, ზოგან კი დარეგისტრირებული(!) მოქალაქეებიც არ შეიყვანა სიებში!

**ბენდუქიძეს ეკითხებიან ხელისუფლების მიერ წართმეულ წილებზე, ბიზნესებზე** (ასეთი საქმეები 2500-ზე მეტია **და მას, ხელისუფლებისთვის ნამუსის მოსახოცად მაგალითად მოჰყავს ვილაც მაქინატორი(!), რომელმაც შევარდნაძის დროს 1,5 ჰა მიწა შეიძინა სახელმწიფოსგან, მერე მძიმე ამოშალა და 1,5-ის ნაცვლად 15 ჰა მიითვისა.!) სხვა მაგალითი, წესიერი კაცის მაგალითი, ვისაც ქონება წაართვეს, ბენდუქიძემ არ იცის. თქვენ წარმოიდგინეთ და, არც „იმედის“ წართმევის შესახებ სცოდნია არაფერი!** რა გინდათ, **ამხელა კაცი ტყუილს ხომ არ იკადრებს, გვეუბნება, არ ვიციო, არ იცის და...!** აჰ, ისევ შემეშალა, ისევ უადგილო ადგილას ვიხმარე!

თავისი მოსაზრების გასამყარებლად რომ ხელისუფლება ქონების უკანონოდ მიმთვისებლებს სჯიდა მხოლოდ, ბენდუქიძემ კიდევ ერთი მაგალითი მოიყვანა — გადასახადების დაფარვის გამო შევარდნაძის სიძის დაჯარიმების. როგორც მომდევნო დღეებში პრესიდან გაირკვა, ესეც ამ მულტიმილიონერი კაცის ტყუილი ყოფილა, რომელიც, ნაცვლად იმისა, ივანიშვილისგან იღებდეს მაგალითს და საკუთარ გაჭირვებულ ხალხს, სახელმწიფოს ეხმარებოდეს, პირიქით იქცევა — აქეთ იძენს ხალხის ქონებას სააკაშვილის დახმარებით, მუქთად!

**კაცი რომ ერთხელ აიღებს სინდის-ნამუსზე ხელს, მერე იმისგან არაფერია დასაჯერებელი. ამიტომ მე, უცნობ მაქინატორზე მონაჩმახი ამბავიც ბენდუქიძის მორიგი ტყუილი მგონია,** და აი, რატომ: როგორ დაიჯეროს ნორმალურმა ადამიანმა, რომ ყიდვა-გაყიდვის ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში ▶

## ინდონეზიის პოლიციამ აშშ-ის საელჩო აფეთქებას გადაარჩინა

**ინდონეზიის პოლიციამ დააკავა 11 ადამიანი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ჯაკარტაში აშშ-ის საელჩოსა და სხვა დაწესებულებების აფეთქების მცდელობაში.** პოლიციამ ოპერაცია ჯაკარტასა და კუნძულ იავას სამ ქალაქში ჩაატარა. პოლიციის გენერალ-მაიორის, სუხადრი ალოუსის, განცხადებით, დაკავებულებისგან ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობები, მათი დამზადების სახელმძღვანელოები, ასევე ასაფეთქებელი ნივთიერებები. მისივე თქმით, დაკავებულები ამ დრომდე უცნობი „ჰამსის“ დაჯგუფების წევრები არიან.

## მუსლიმანებს ევროპელების გატაცებისკენ მოუწოდეს

**„ალ ქაიდას“ ლიდერმა აიმან ზავახარიმ მუსლიმანებს დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეების გატაცებისკენ მოუწოდა. SITE -ს ინფორმაციით, რომელიც ისლამისტური საიტების მონიტორინგს ატარებს, ზავახარიმ თანამებრძოლებისადმი ორსაათიანი მიმართვა გაავრცელა.** „ჩვენ მოვუწოდებთ მუსლიმანებს, გაიტაცონ იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც მუსლიმანებს ებრძვიან, რათა ამით ხელი შევუწყოთ ტყვედმყოფი თანამოძმეების გათავისუფლებას“, — განაცხადა ზავახარიმ. მან ასევე მოუწოდა თავის მომხრეებს, გააგრძელონ რევოლუცია ეგვიპტეში შარიათის კანონების შემოღებამდე და შეუერთდნენ სირიელ ამბოხებულებს, რომლებიც ბაშარ ასადის წინააღმდეგ იბრძვიან.

## ბენდუქიძემ თავს უფლება მისცა და საჯაროდ, ტელეეკრანიდან გასაგებად გვითხრა „ქართული ოცნების“ მომხრეებს, რომ „ქართული ოცნების“ არჩევით „განავალში ჩავდგით ფეხი“, ანუ „ქართული ოცნება“ ხომ განავალია და განავალი, მაგრამ ამ არჩევანით, ამ „ფეხის ჩადგმით“, უკვე ჩვენც გავისვარეთ და ჩვენც იგივენი გავხდით! ლოგიკაში ხომ მხეცია ბენდუქიძე, შედარებაშიც უბადლოა, ზრდილობას კი ნუღა იკითხავთ – ცარიელი ზრდილობაა, ოღონდ სავსე ჩეჩმა უდევს ჩიჩაყვში და პერიოდულად თავისუფლდება პირიდან.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მიწის ფართობი მხოლოდ ციფრებში იყო მოცემული და სიტყვიერად არ იყო მითითებული ფრჩხილებში, ეს ყოვლად წარმოუდგენელია! და მეორეც, ასეთი ლაფსუსი რომც ყოფილიყო დაშვებული საბუთის გაფორმებაში, ის მაქინატორი რაღა მძიმის წაშლა-ამოფხეკას დაიწყებდა, ადგებოდა და 1,5 ჰა-ის წინ 1-იანს ან 2-იანს ჩაამატებდა, ეს ხომ გაცილებით ადვილი იქნებოდა და, თან, ძნელად შესამჩნევიც! ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, არ იცის გვარით ქართველმა კაცმა?!

**„თუ დენზე ფასი შემცირდა, გათიშვები გარდაუვალია“**, — კატეგორიულად აცხადებს ბენდუქიძე. მისი აზრით, დღესდღეობით, ყველა ხარჯების გათვალისწინებით, ზუსტად იმდენს გვახდევინებენ, რამდენსაც უნდა გვახდევინებდნენ და არც ერთი თეთრით მეტს. ჩვენ კი თურმე ცილს ვწამებთ ამ პატიოსან ხელისუფლებას! ჰოდა, რომ გაგვიიაფებენ, მერე ნახავთ, უშუქოდ რომ ვიჯდებით ბნელში, გვაფრთხილებს ჩვენს მომავალზე მაფიქრალი და ღამენათევი ეკონომისტი და მოდი ნუ დაუჯერებ, **იცის კაცმა ენერგეტიკაც, იცის და ...!**

არავინ იფიქროს, ვინმეს დაუმსახურებლად რამის ცოდნას ვაბრალებდე! არა, ბატონებო, მხოლოდ ფაქტები და სხვა არაფერი, ფაქტების გარდა! **დენის ტარიფების გარდა საწვავის (ბენზინის) ფასწარმოქმნის მექანიზმებიც თავისი ხუთი თითივით სცოდნია ამ ყველას და ყველაფრის დამცინავ კაცს** (ამის და ამისთანეების დასაცინი რომ გავხდით, სწორედ ესაა ჩვენი დაგლახების მაჩვენებელი!). ბენდუქიძის აზრით, **„მონოპოლიები გველანდება“**, რადგანაც **საწვავის ერთნაირად(!) მაღალი ფასები საქართველოში თურმე არაა გამოწვეული მონოპოლიის არსებობით. მონოპოლიები, საერთოდ, ჩვენ ყველას — სულელებს გველანდება და იმიტომაც გააუქმა ამ მიხვედრილმა კაცმა ანტიმონოპოლიური სამსახური ეკონომიკის მინისტრად ყოფნის პერიოდში.** იმ ქვეყნებს, რომლებშიც ანტიმონოპოლიური კანონი მოქმედებს, სად ჰყავთ ბენდუქიძისნაირი ჭკუის კოლოფი ეკონომისტი, ერთი მაინც, თორემ ხომ აყვავდებოდნენ ისინიც ჩვენსავით!

**„რატომ გიკვირთ მაღალი და ერთნაირი ფასები ბენზინზე, უსინდისობაა, ყველაფერი ხელისუფლებას დააბრალო. გინახავთ ქვეყანა, სადაც ბენზინზე ფასები სხვადასხვაა?“**

ბენზინის სიძვირეს ჩვენთან (მსოფლიო ფასების მიუხედავად), ბენდუქიძე, აი ასე პრიმიტიულად ხსნის — კომპანია ძვირად ყიდის, როცა მაღალია მსოფლიო ფასები და ძვირად ყიდის მაშინაც, როცა ძვირად აქვს შემოტანილიო, თუნდაც საწვავის ბაზარზე ფასებმა დაიწიოსო. მან ისიც ვერ მოტვინა, რომ სულელებისთვის განკუთვნილი ამ მაგალითით თავის პირით დაადასტურა საწვავზე მონოპოლიის არსებობა! დაადასტურა, რადგანაც **ისეთი შეუსაბამობა მსოფლიო ფასებთან, როგორიც საქართველოშია, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — როცა საწვავზე ფასებს ერთი კომპანია აწესებს, ვინაიდან არაფრით არ შეიძლება ყველა კომპანიას ერთნაირად ძვირად და ერთ დროს ჰქონდეს შეძენილი საწვავი.** ცხადზე უცხადესია, რომ ზოგს ძვირად ექნება ნაყიდი, ზოგს იაფად და ზოგსაც — საშუალო ფასებში, და ამიტომაც ფასები განსხვავებული იქნება, თუ არ მოხდა, რა თქმა უნდა, შეთანხმება კომპანიებს შორის, ან თუ ყველა კომპანიას ერთი მეპატრონე არ აკონტროლებს. ზუსტად ამაზე მიუთითა ბენდუქიძეს შორენა შავერდაშვილმა, რომელიც ვაჟკაცურად არ ეპუებოდა მისთვის გამეტებულ ბენდუქიძისეულ „ეპითეტებს“ და მწვავე კითხვებსაც უსვამდა გაწიწმატებულ სტუმარს. ისე, ჩემი აზრით, ბიზნესთან დაკავშირებით „ბიზნეს-კურიერის“ წამყვანს, ერთადერთ მამაკაცს, გოგიჩაიშვილს უნდა ექტიურა, მაგრამ მას არც სხვა თემებზე საუბრისას გამოუჩენია მაინცადამაინც თავი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იგი ხელისუფლების ქმედებების „გასაპრავებლად“ უფრო იყო მისული გადაცემაში, ვიდრე მონოპოლიების თაობაზე კრიტიკული კითხვების დასასმელად.

შეკითხვით: **„ვინმეს უნახავს ქვეყანა, სადაც ბენზინზე ფასები სხვადასხვაა?“,** ბენდუქიძემ, შეიძლება ითქვას, „იკაიფა“. როცა ნახა, რომ პასუხს ვერავინ ვერ სცემს, ნასიამოვნები თავისი მიგნებით, მიაწვა და მიაწვა შეცბუნებულ ჟურნალისტებს — გინდა თუ არა, მიპასუხეთ ამ კითხვაზეო. მერე კეთილი ინება და „ახსნა“ ფასწარმოქმნა ბენზინზე — **განსხვავებული ფასები ამერიკის შტატებში და სხვადასხვა ქვეყანაში „მიტანის მანძილით“ აიხსნება, თორემ ერთ შტატში ან ერთ ქვეყანაში ფასები არ არის სხვადასხვაო. თქვა და ისევ გამოიჭირა საკუთარი თავი ორ რამეში ერთდროულად!** უცოდინარობაში (ან ტყუილში!) და წინააღმდეგობრივ მსჯელობაში. საქმე ისაა, რომ **ერთ შტატში კი არა, ერთ ქალაქშია განსხვავებული ფასები** (10-15 ცენტი ლიტრზე!) **იმის მიხედვით, თუ რომელი კომპანიისაა ბენზინგასამართი სადგური! უფრო მეტიც, ერთსა და იმავე კომპანიას აქვს განსხვავებული ფასი ქალაქის ცენტრსა და გარეუბანში!**




**ბენდუქიძის ლექსიკის გათვალისწინებით, ვერაფრით წარმომიდგენია მისი ურთიერთობა სტუდენტებთან – მთელი ტელეგადაცემის მანძილზე არცთუ მოუმზადებელი ჟურნალისტების თითქმის ყოველ კითხვას „სისულელედ“ აფასებდა და, დავიჯერო, სტუდენტები ამ ჟურნალისტებზე უფრო ჭკვიანურ შეკითხვებს უსვამენ მას ლექციებზე?!**

რაც შეეხება ბენდუქიძის წინააღმდეგობრივ მსჯელობას, მისეული ფასწარმოქმნის წესით სომხეთში არაფრით არ შეიძლება უფრო იაფი იყოს ბენზინი, ვიდრე საქართველოში, რადგანაც, გარდა „მიტანის მანძილში“ არსებული სხვაობისა, სომხეთს დამატებით უწევს პორტისა და რკინიგზის მომსახურების არცთუ პატარა ხარჯების დაფარვაც! ეს პარადოქსული მოვლენა, ყოვლისმცოდნე ეკონომისტმა ბენდუქიძემ აქციზის მაღალი გადასახადით ახსნა — **„50 თეთრია მარტო აქციზის გადასახადი ჩვენთან“**-ო! წარმოგიდგენიათ, როგორი უგუნური ხელისუფლება და ბიზნესმენები ჰყოლიათ სომხეთში, რომ, მიუხედავად ამხელა გასავალისა, რაც სომხების ჯიბიდან გადის და სომხეთის ყულაბას აკლდება (ჩვენ შემოსავლებს კი, პირიქით, ემატება!), ვერ მოიფიქრეს, აქციზის გადასახადის სათანადოდ გაზრდა და ამის ნაცვლად (ჩვენს ჯინაზე, ცხადია!), ბენზინს მაინც შედარებით იაფად ყიდიან! **უგუნურები სომხეთშია თუ ნამუსგარეცხილები – საქართველოში, ამას მკითხველი ადვილად გადაწყვეტს ყველაფრის** (ნამუსის ჩათვლით!) **გამყიდველი ადამიანის დახმარების გარეშეც!**

ახლა გაკვრით — ბენდუქიძის მიერ გადაცემაში გამოთქმულ ეკონომიკურ ხედვებზე. ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპების ორჯერ შემცირებას (2007 წელთან შედარებით) იგი, ინვესტიციების პროპორციულად, ორჯერ შემცირებით ხსნის, მაგრამ თავად ინვესტიციების შემცირების მიზეზებს — ვერა. ამ დროს, **ყველანაირი ლოგიკით, დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გახდა მსოფლიოში ბიზნესის წამოწყებისა და კეთების კუთხით** (აკი, მსოფლიო ბანკის რეიტინგითაც მეცხრე ადგილზე ვართ!), **ინვესტიციები საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო და არა – პირიქით. ამ პარადოქსის ახსნა ბენდუქიძეს არ აქვს, თუმცა გვარწმუნებს, რომ ინვესტიციების მოსაზიდად „უფრო ღრმა (!) რეფორმები უნდა განგვეხორციელებინა“ თურმე.** სამწუხაროდ, რა სიღრმის, არ გვეუბნება! იგი არც იმას გვეუბნება, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთში, რომელიც რუსეთსაა(!) მიჯაჭვული და არა – ამერიკას ჩვენსავით, უფრო მეტი ინვესტიციაა შესული, ვიდრე – საქართველოში (დაახლოებით 1.5-ჯერ მეტი ერთ სულზე გადაანგარიშებით!) და რომ მისი მთლიანი შიდა პროდუქტიც (ასევე ერთ სულზე) საკმაოდ აჭარბებს ჩვენსას! არადა, 10 წლის წინ, ამ მონაცემებით სომხეთი ჩამორჩებოდა საქართველოს! მაგრამ ასეთი „წვრილმანების“ ახსნა ბენდუქიძეს ხელს არ აძლევს!

სამაგიეროდ, იგი რიხით აცხადებს, რომ სოფლად დასაქმებულია მოსახლეობის 100%. **ეკონომისტი კაცი** (დავიჯერო BAK-მა, საბჭოთა კავშირის დროს არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა მას რაიმე ხარისხი?!) **დასაქმებულს უწოდებს ისეთ გლეხს, რომელიც პატარა ნაკვეთსაც ვერ უვლის** (უწყლობის, უფულობის, საწვავის, სასუქის, პესტიციდების, სათესლე მასალის უქონლობის გამო) **და, საძოვრების გარეშე დარჩენილი, ერთ ძროხაზე მეტის ყოლის უფლებასაც ვერ აძლევს საკუთარ თავს და, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 50%-ს შეადგენს, მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-საც ვერ ქმნის!**

სხვა თუ არაფერი, სირცხვილია ამ ხალხს დასაქმებული უწოდო, მით უმეტეს, როცა იცი, რომ **სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 80% იმპორტირებულია!**

სამარცხვინოა ისიც, რომ ბენდუქიძე ასევე დასაქმებულად მიიჩნევს ქალაქად „მომუშავე“ უმაღლესი განათლების მქონე იმ სპეციალისტებსაც, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო და ოჯახის სარჩენად საკუთარი მანქანებით „ტაქსაობენ“.

როგორც ზემოთ ვნახეთ, **მეტად დასამახსოვრებელი აზრები გადმოაფრქვია ბენდუქიძემ, მაგრამ ერთ-ერთ კითხვაზე პასუხით მართლა „დახურა“, თავის თავსაც გადაახტა ლოგიკაში, შორსმჭვრეტელობაში, ერთგულებაში და უზრდელობაში ხომ გადაახტა და გადაახტა!** ამიტომ ეს კითხვა-პასუხი ბოლოსთვის შემოვინახე.

**კითხვა:** — მაინც რატომ მიეცით ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“?

**პასუხი:** — იმიტომ, რომ მოხდა მშვიდობიანი გადაცემა ხელისუფლების.

სულ ვფიქრობდი, როგორ იშოვა ამ კაცმა მილიონებითქო, მაგრამ ამ პასუხის შემდეგ დავრწმუნდი — თითოეული დოლარი (რუბლი) საკუთარი ჭკუით და მხოლოდ ჭკუით აქვს ნაშოვნი! ჭკუა ჭკუად და როგორი ერთგულიც ყოფილა ნაცების, პირდაპირ გული აგიჩუყდება! კაცმა იცოდა, რომ „ნაცმოძრაობა“ სასტიკად (მისთვის ვიტყვი — „პაზორნად“) დამარცხდებოდა არჩევნებში და ხმა მაინც მას მისცა! ე. ი. მხარი დაუჭირა არა რაიმე დამსახურებისთვის, არამედ, როგორც ეს მან გადაცემაში რამდენიმეჯერ(!) და ერთნაირად(!), ყველა შტერი ნაციონალისთვის გასაგებად(!) განმარტა, — **„ჯამური შედეგისთვის, რომ ხელისუფლება არჩევნების წაგების შედეგად წავიდა“, რომ „შედგა უზარმაზარი პოლიტიკური ნაბიჯი“.** მიმიქარავს ამასთან „ნაციონალების“ ლოგიკა, ერთად აღებული! მაგრამ ბენდუქიძე რის ბენდუქიძე იქნებოდა, აქ შეჩერებულიყო! **„ეხლა,** — გააგრძელა მან, — **ამ ნაბიჯის შედეგად რომ განავალში ჩავაბიჯეთ, ნუ, ეს მეორე პრობლემაა“! „ანუ ხელისუფლების შეცვლა არის განავალში ჩაბიჯება?“** — აზუსტებს წამყვანი ტრაპაიძე. პასუხი: **„ნუ, რა მოხდა მერე, გადავაბიჯებთ“!**

ბენდუქიძემ თავს უფლება მისცა და საჯაროდ, ტელეეკრანიდან გასაგებად გვითხრა „ქართული ოცნების“ მომხრეებს, რომ „ქართული ოცნების“ არჩევით „განავალში ჩავდგით ფეხი“, ანუ „ქართული ოცნება“ ხომ განავალია და განავალი, მაგრამ ამ არჩევანით, ამ „ფეხის ჩადგმით“, უკვე ჩვენც გავისვარეთ და ჩვენც იგივენი გავხდით! ლოგიკაში ხომ მხეცია ბენდუქიძე, შედარებაშიც უბადლოა, ზრდილობას კი ნუღა იკითხავთ — ცარიელი ზრდილობაა, ოღონდ სავსე ჩეჩმა უდევს ჩიჩაყვში და პერიოდულად თავისუფლდება პირიდან. უკვე ნამდვილად აღარ მიკვირს, ასეთი და ამდენი თვისებებით შემკულ-გადავსებული კაცი დიდი პატივით რომ სარგებლობდა მისნაირებში, ანუ მასავით სუფთა ნაცებში და მათ ტვინგამორეცხილ მხარდამჭერებში. სავსეა კაცი „პატივით“ და ჩვენთვისაც არ იშურებს მას, ოღონდაც ერთი გენიალური შეგონება ავიწყდება – „რასაცა გასცემ, შენია...“ ალალ მისი! ალალ მისი! შეარგოს!

**იაკობ ლეჟავა**
24 ოქტომბერი, 2012

**P.S. ეს წერილი, რა თქმა უნდა, უტოპიური მიზნისთვის, ბენდუქიძის გამოსასწორებლად არ დაწერილა. უბრალოდ, მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ლანძღვა-გინება, მართალია, ძალზე ადვილია და ნებისმიერს ეხერხება (მათ შორის, მეც!), მაგრამ გამუდმებით და საჯაროდ ყველას მისამართით თქმული არავის არ ეპატიება და რომ ხანგრძლივ „ვალს“, ადრე თუ გვიან, ორმაგად აბრუნებენ!**

მოკლედ

## საუდის არაბეთი მზის ენერგიის მოხმარებაზე გადადის

**საუდის არაბეთის გავლენიანი პრინცი ტურკი ელ-ფაიზალი, რომელიც 20 წლის განმავლობაში ქვეყნის დაზვერვას ხელმძღვანელობდა, თავის ამბიციურ გეგმებზე ალაპარაკდა და მთლიანად სამეფოს მზის ენერგიის მოხმარებაზე გადასვლის ინიციატივით გამოვიდა.** 67 წლის პრინცმა განაცხადა, რომ დაწყებულ საქმეს წარმატებით განახორციელებს და პროექტის რეალიზებას მისი სიცოცხლის ბოლომდე აუცილებლად მოახერხებს. საუდის არაბეთი ყოველდღიურად 12 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებს, რაც მსოფლიო მოპოვების 12%-ს შეადგენს. პრინცის განცხადებით, დღეისთვის ნავთობის მოპოვება უფრო ძვირია, ვიდრე მზის ენერგიის მოპოვება.

## ჰილარი კლინტონი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადადგება

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი თანამდებობას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატოვებს.** „ვაპირებ, თანამდებობა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ დავტოვო, ასეთია ჩემი გეგმა“, — განაცხადა კლინტონმა. მისივე თქმით, ჯერჯერობით არ ჰქონია შესაძლებლობა ამ თემაზე პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან ესაუბრა, რამდენადაც ის წინასაარჩევნო კამპანიითაა დაკავებული. ამასთან, როგორც სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვინ იქნება მისი მემკვიდრე, თავად პრეზიდენტმა უნდა მიიღოს.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებდა ყველაფერს, რომ ქვეყანა ექცია „პოლიტიკურ პაიკად“, რომელიც „გლობალური უსაფრთხოების“ იმპერიული დოქტრინის ფარგლებში იმოქმედებდა. ამ პირობებში ბოლივიის ბუნებრივი რესურსები აშშ-ის სრულ განკარგულებაში აღმოჩნდებოდა.**

# ბოლივიის პრეზიდენტმა აშშ-ის დიპლომატიაზე მთელი სიმართლე დაფქვა



**სახალხო გამოსვლებში ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი ძალზე გულმოდგინედ ეკიდება იმ ლექსიკას, რომელსაც საუბრისას იყენებს, აზრის გადმოცემის სიზუსტეს, პოლიტკორექტულობის დაცვას. ამგვარი თვითკონტროლი აუცილებელია, რამდენადაც მორალესს საკმარისზე მეტი მტერი ჰყავს. საინფორმაციო ომში, რომელსაც აშშ ბოლივიის პრეზიდენტის წინააღმდეგ აწარმოებს, გამოიყენება ყველაფერი, ოღონდ კი საზოგადოებას კიდევ ერთხელ უთხრან, რომ იგი „არ შეესაბამება“ თავის მაღალ რანგს. განსაკუთრებით სასტიკი შეტევები ხორციელდება „შავი პროპაგანდის“ არხებით ბოლივიის ლიდერის „რასობრივი არასრულფასოვნების“ თემაზე აქცენტებით.**

ახლახან დეკოლონიზაციის დღესთან დაკავშირებით (ბოლივიაში ასე უწოდებენ ამერიკის აღმოჩენის დღეს) ლა-პასეში გამოსვლისას ევო მორალესმა ბოლოს და ბოლოს მთელი პირდაპირობით გასცა საკადრისი პასუხი ვაშინგტონელი ცივილიზატორების მუდმივ გამოხდომებს: „ადრე ისინი, ვისაც კარგი კონტაქტები აქვთ აშშ-ის საელჩოსთან, ყოვლისშემძლენი იყვნენ, აღფრთოვანებას იმსახურებდნენ და არმიისა და პოლიციის მრავალი ოფიცერი იგზავნებოდა იქ, რათა ამერიკელებთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ. მაგრამ დღეს, მაპატიეთ გამოთქმისათვის, აშშ-ის საელჩოსთან კავშირი იგივეა, რაც ექსკრემენტებში ჩაფლობა“.

მორალესის თქმით, დღეს ამერიკის საელჩოსთან ურთიერთობას უფრთხიან როგორც სამხედროები, ისევე პოლიციელები, რადგან ამგვარი ურთიერთობები ნეგატიურად აღიქმება ბოლივიელების მხრიდან და მაკომპრომატირებელ ფაქტორს წარმოადგენს. **ამერიკელ დიპლომატებს სულ უფრო ხშირად უყურებენ, როგორც ხალხისა და სახელმწიფოს მტრებს.** წინა ხელისუფლება ყველაფრით დამოკიდებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოზე, რომელიც „პრაქტიკულად, თავად ნიშნავდა მინისტრებს და ხოლო მაღალ თანამდებობებზე პოლიციისა და არმიის ოფიცრების დანიშვნას სანქციონირებას უწევდა“. მორალესის ხელისუფლებამ ამ პრაქტიკას საბოლოოდ მოუღო ბოლო.

მეორე დღეს ქალაქ სანტა-კრუსში კუბაში განათლებამიღებული 630 ახალგაზრდა ექიმთან შეხვედრის საზეიმო ღონისძიებაზე მორალესი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა აშშ-ისა და ბოლივიის ურთიერთობას. „50-ზე მეტი წლის განმავლობაში, — განაცხადა მან, — ამერიკის შეერთებული შტატები ახერხებდა, ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, თავს მოეხვია ასიმეტრიული, უპატივცემული, ბოროტი განზრახვის მქონე, დომინირებადი და ჰეგემონური კავშირები“.

**მორალესის თქმით, ვაშინგტონს არასდროს უფიქრია ბოლივიის განვითარებაზე და სთავაზობდა „კოოპერაციის“ ისეთ პროგრამებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა პროგრესს, უზრუნველყოფდა ქვეყნის საუკუნოვან დამოკიდებულებას მასზე.** პრეზიდენტი ნარკოტრაფიკთან ბრძოლის თემასაც შეეხო. იგი მიიჩნევს, რომ ვაშინგტონი სინამდვილეში არასდროს მიისწრაფოდა იმისკენ, რომ ბოლივიაში ნარკოკარტელები დამარცხებულიყვნენ. აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს სტრატეგია ქვეყანაში შენდებოდა პრინციპით „რაც მეტია ნარკოტიკები, მით მეტი საფუძველია ჩარევისათვის, მით მეტი მიზეზი — ბოლივიის არმიისა და პოლიციის ვაშინგტონისათვის იდეოლოგიური და პოლიტიკური დაქვემდებარებისთვის“. **ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებდა ყველაფერს, რომ ქვეყანა ექცია „პოლიტიკურ პაიკად“, რომელიც „გლობალური უსაფრთხოების“ იმპერიული დოქტრინის ფარგლებში იმოქმედებდა. ამ პირობებში ბოლივიის ბუნებრივი რესურსები აშშ-ის სრულ განკარგულებაში აღმოჩნდებოდა.**

მორალესის განცხადებით, აშშ-თან ურთიერთობის პერსპექტივა სასიკეთოს არაფერს გულისხმობს: ისინი ქვეყანას არასდროს აპატიებენ ნახშირწყალბადების საბადოების ნაციონალიზაციას. ადრე გრინგოს ფულს აძლევდნენ ვალად და სთხოვდნენ, მათი პოლიტიკური განრიგი დაეცვა. 2006 წლიდან, როდესაც მორალესმა პირველად გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, ამ შავბ-ნელ ტრადიციას ბოლო მოეღო. სუვერენიტეტრის, ნამდვილი დამოუკიდებლობის, დამოუკიდებელი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის აღდგენა, სოციალისტური მრავალეროვნული სახელმწიფოს შენების კურსი — ეს ყველაფერი კატეგორიულად ეწინააღმდეგება აშშ-ის ინტერესებს. მორალესი დარწმუნებულია, რომ ამ მიზეზის გამო დაიწყო სწორედ ვაშინგტონის მხრიდან რეპრესიები, შეთქმულებისა და კონსპირაციის პერმანენტული პოლიტიკა: **„ამერიკის შეერთებულ შტატებს არასდროს აინტერესებდა, რომ ბოლივია გამხდარიყო დემოკრატიული, სოციალურად სამართლიანი ქვეყანა მოქალაქეების დიდი აქტივობით. პირიქით, აშშ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეხლიჩა ჩვენი ხალხი, შეეჯახებინა ერთმანეთისთვის“.**

**«ამერიკის შეერთებულ შტატებს არასდროს აინტერესებდა, რომ ბოლივია გამხდარიყო დემოკრატიული, სოციალურად სამართლიანი ქვეყანა მოქალაქეების დიდი აქტივობით. პირიქით, აშშ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეხლიჩა ჩვენი ხალხი, შეეჯახებინა ერთმანეთისთვის»**

მორალესის თქმით, ამ გეგმის რეალიზაციისთვის ბოლივიაში გაიგზავნა ფილიპ გოლდბერგი — დესტაბილიზაციის საქმეთა ექსპერტი: „ის ქვეყანაში ჩამოვიდა იუგოსლავიის გაყოფის, იქ რასობრივი სიძულვილის გაჩაღების, ათასობით მსხვერპლის მომტანი სამოქალაქო ომის გაჩაღების შემდეგ. გოლდბერგს სურდა, რომ ბოლივიაც იუგოსლავიად ქცეულიყო და ამიტომაც პირადად ედგა სათავეში შიდა კონფრონტაციის გაჩაღებას“.

პრეზიდენტი მორალესი მუდმივად ახსენებს თანამემამულეებს აშშ-ის საელჩოს დამანგრეველი მოღვაწეობის ფაქტებს. საბოტირებულ იქნა კონსტიტუციური ასამბლეის ჩატარება, წახალისებულ იქნა სეპარატიზმი ბოლივიის ხუთ პროვინციაში, სადაც ნახშირწყალბადების მარაგების მთავარი რეზერვია განლაგებული და საიდანაც იქმნება საერთო შიდა პროდუქტის 75-80%.

რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად, ბოლივიელების ორმა მესამედმა მხარი დაუჭირა ევო მორალესის სოციალურ-პოლიტიკურ კურსს! — ამერიკელი დიპლომატები და აგენტები, ასრულებენ რა ვაშინგტონის ინსტრუქციებს, აწარმოებდნენ მეთოდურ, მასშტაბების მიხედვით, უპრეცენდენტო სამუშაოს ქვეყნის გახლეჩის მიმართულებით.

ამ მიზნისთვის მილიონობით დოლარი იხარჯებოდა. „USAID“-ის გავლით იქმნებოდა „დამრტყმელი“ ახალგაზრდული ჯგუფები, ფინანსდებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, ფინანსდებოდა რადიკალური მოქმედებები. ამერიკის საელჩოს თვითმფრინავი გამოიყენებოდა ოპოზიციონერების გადასაგზავნად ბენისა და პანდოს პროვინციებში, რათა დაბლოკილიყო აეროპორტები და არ დაეშვათ იქ მდგომარეობის ნორმალიზებისთვის ევო მორალესის ჩასვლა.

2008 წლის სექტემბერში ბოლივიის პრეზიდენტმა გამოაცხადა ელჩ გოლდბერგის გაძევების თაობაზე და იგი ქვეყანაში სეპარატისტული მოძრაობის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ასევე გაძევებულ იქნენ ამერიკის წარმომადგენლები, მათ შორის ცსს-ც, რომელიც ბოლივიელ სამხედროებთან და პოლიციასთან გადაბირების სამუშაოების წარმოების შედეგად უთვალთვალებდნენ პრეზიდენტ მორალესის გადაადგილებას. უსაფრთხოების სამსახურმა ამ დევნისა და თვალთვალის ინტენსიფიკაცია შეაფასა, როგორც თავდასხმის მზადების ნიშანი. **„მხოლოდ აშშ-ის ელჩის გაძევების შემდეგ შევძელით ამ ღრმა და მიზანმიმართული მანევრების აღკვეთა, ცვლილებების პროცესის წინააღმდეგ შეთქმულების შეჩერება. მინდა დავადასტურო, რომ არ ვნანობ მიღებულ გადაწყვეტილებად და ვამაყობ იმით, რომ ბოლივიის ღირსებისა და სუვერენიტეტის სახელით ელჩი გაძევებულ იქნა“,** — განაცხადა მორალესმა.

**ვაშინგტონს არასდროს უფიქრია ბოლივიის განვითარებაზე და სთავაზობდა «კოოპერაციის» ისეთ პროგრამებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა პროგრესს, უზრუნველყოფდა ქვეყნის საუკუნოვან დამოკიდებულებას მასზე**



მიუხედავად ამისა, აშშ-ის საელჩოს დესტრუქციული მოღვაწობა გრძელდება. **ცნობილია ფაქტები, როდესაც ამერიკის დიპლომატიური ნომრების მქონე მანქანებით იარაღი გადაჰქონდათ, დოკუმენტურად დადასტურებულია ინდიელთა ტომების წაქეზება მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებისკენ, გამოაშკარავებულია ბოლივიის ტერიტორიაზე ცსს-ის მიერ მისივე აგენტებისგან შემდგარი ტერორისტული დაჯგუფების განთესვის მცდელობა. ამ დაჯგუფების პრაქტიკულად ყველა წევრმა საბრძოლო მომზადება ბალკანეთში გაიარა. ტე**რორისტების ნაწილი განადგურებულ იქნა ბოლივიის პოლიციის სპეცოპე- ▶

დღეისათვის ორგანიზაცია „BOY SCOUTS OF AMERICA“ ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდი გაერთიანებაა. 1910 წელს შექმნილმა ამ სტრუქტურამ 2,7 მილიონი წევრი და 1,1 მილიონი მოხალისე გააერთიანა. გამორიცხული არაა, რომ ძალიან მალე ორგანიზაციას სახელი შეეცვალოს, სკანდალური რეპუტაციის ჩამოშორების მიზნით. ჯერჯერობით კი ამერიკის ბოისკაუტების ორგანიზაციის შესახებ გამოძიებას გამოძიების ფედერალური ბიურო განაგრძობს.

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაციის შედეგად, დანარჩენები კი სამწლიანი გამოძიების შემდეგ სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.** არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯგუფის 39 წევრიდან 17-მა ბოლივიიდან გაქცევა მოახერხა და ამჟამად აშშ-ში იმალება. განსასჯელებს გავლენის სხვადასხვა არხით ფინანსურ და პროპაგანდისტულ მხარდაჭერას არ აკლებენ. **აშშ-ის საელჩო აწარმოებს სასამართლო პროცესის საგულდაგულო მონიტორინგს, ცდილობს, წარმოადგინოს ის, როგორც მორალესის მთავრობისათვის პოლიტიკურად მომგებიანი დადგმა.**

2011 წლის ბოლოს ბოლივიამ გადაწყვიტა, აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. კონსულტაციების შემდეგ ხელი მოეწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას. ასევე იგეგმებოდა ელჩების დაბრუნება ვაშინგტონსა და ლა-პასში. 2012 წლის იანვარში ხელი მოეწერა ნარკოტრაფიკთან ბრძოლის ხელშეკრულებას. თებერვალში დაიდო ხელშეკრულება ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ 2012 წლის 7 მარტს დაახლოების პროცესი კვლავ ჩაიშალა: **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნარკოტრაფიკთან ბრძოლის სერტიფიცირების დოკუმენტში ბოლივიის მცდელობებს „ჩავარდნის“ კვალიფიკაცია მისცეს. 2012 წლის მარტშივე ვენაში გაეროს ნარკოტიკების კომისიაში გამოსვლამდე მორალესმა პრესკონფერენციაზე ამერიკის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ბოლივიაში არალეგალურ მოღვაწეობაში დაადანაშაულა.** ნარკოორგანიზაციების გამოაშკარავებაში, ნარკოტვირთების დაკავებაში, დამნაშავეთა დაკავებაში წარმატების მიუხედავად, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველომ კვლავაც არ აღირსა ბოლივიას სერტიფიცირება. მორალესმა ეს ზეწოლის ღია მცდელობად მიიჩნია: „ამერიკელები მუდამ ამდაბლებენ ამ სფეროში ჩვენს მიღწევებს, თუმცა გაერო აღიარებს ჩვენს წარმატებებს. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომელიც მუდამ მზადაა ნეგატიური ინფორმაციის გასაცემად. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ოპერაციები ემსახურება პოლიტიკოსთა და პროფკავშირების ანტიიმპერიული ხელმძღვანელების კომპრომეტირებას. სწორედ ამ მიზეზით განვდევნეთ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო“.

**ბოლივია წერტილის დასმას აპირებს USAID-თან ურთიერთობაში და მასთან დაკავშირებული დემოკრატიისა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტების ნაციონალურ ფონდთან. ისინი ასტიმულირებენ ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ კამპანიებს, აფინანსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს.** ყველაზე მტრულად განწყობილთა შორისაა ასოციაცია „ახალგაზრდობა განვითარებისთვის“, განვითარებისა და მართვადობის ინსტიტუტი, უფლებადამცველთა მომზადების ორგანიზაცია და სხვები. ქვეყანაში მოღვაწეობის წლებში USAID-მა ქვეყანაში ინტელექტუალური ელიტის, ჟურნალისტებისა და სტუდენტობისგან შექმნა აქტიური „მეხუთე კოლონა“. **USAID-ს ბოლივიაში აქვს ანალიტიკური სააგენტოები, რომელშიც ჩამოყვანილი და ადგილობრივი ექსპერტები ამუშავებენ ხელისუფლებაზე თავდასხმის სცენარებს.** USAID-ის დირექტორად ბოლივიაში ვეინ ნილსესტუენი მუშაობს და წარმომადგენლობით ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით მუშაობს ცსს-ს ოპერატიული თანამშრომლების რაზმი, რომლის ყველა წევრს დიპლომატიური პასპორტი აქვს. თავად ცსს-ს რეზიდენტურას საელჩოს „პოლიტიკური სექცია“ ჰქვია. ბოლივიური კონტრდაზვერვა მშვენივრადაა ინფორმირებული იმის შესახებ, თუ ვინ ვინაა ამ რაზმში — რეზიდენტი ჟოფრეი სჩადრაკი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიმართულებების თანამშრომლები, ახალგაზრდა ბიჭები: რიჩმონდ ბლეიკი, რობერტ კროტი, ერიკ კამიუსი, ერიკ ვიტინგტონი და სხვები. საელჩოში არიან აშშ-ის ძირითადი სპეცსამსახურების წარმომადგენლები, მათ შორის სამხედრო დაზვერვისაც.

**ბოლივიის საქმეებში რწმუნებული მიმდინარე წლის ივლისიდან ლარი მემოტია. მისი დიპლომატიური კარიერა 1987 წელს დაიწყო: იგი ვიცე-კანცლერად მუშაობდა ლა-პასეში. ამის შემდეგ მემოტი დახელოვნდა, ძირითადად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. 2008-2011 წლებში მას მუშაობა მოუხდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების — უზბეკეთისა და ყირგიზეთის დედაქალაქებში, სადაც რუსული ენის ცოდნა დიდად გამოადგა. ცხადია, მემოტი ყოველგვარი სიმპათიის გარეშეა განწყობილი ინდიელი პრეზიდენტის „პოპულისტური რეჟიმის“ მიმართ, მაგრამ იგი რომანტიკული ადამიანია და გარეგნულად ნაკლებად წააგავს იმ ცსს-ელებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ საიდუმლო ციხეებში ადამიანებს აწამებენ. ის დიპლომატიურ ჯაშუშობაზე მეტად ქვეყნის დათვალიერებითა და ფოტორეპორტაჟების კეთებითაა დაინტერესებული. ბლოგსაც კი აწარმოებს, რათა ადამიანებს ქვეყნის შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიაროს.**

საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენად მოახერხებენ მემოტი და მისი რაზმი მუშაობას ბოლივიური მივლინების ბოლომდე ქვეყნის ხელისუფლებასთან სერიოზული კონფლიქტების გარეშე. სულ ახლახან ევო მორალესმა იგი გააფრთხილა: „ბოლივია არის ანტიიმპერიალისტური, ანტიკაპიტალისტური, ანტილიბერალური ქვეყანა. თუ აშშ-ის საელჩო შეაწუხებს ბოლივიას, როგორც ამას დღემდე აკეთებდა, გაფრთხილებთ, რომ ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩება, გარდა იმისა, რომ ეს საელჩო საერთოდაც დავკეტოთ“.

პრეზიდენტი მორალესის სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან შორიშორს არ დგას.

fondsk.ru

# მშვიდობის ნობელის რიგში ნატო დგას

**ევროკავშირისთვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა მთელი თავდაჯერებულობით განაცხადა, რომ ამ საპატიო ჯილდოს ჩრდილოატლანტიური ალიანსიც იმსახურებს. საბედნიეროდ, მის აზრს ყველა არ იზიარებს.**



როგორც ჩანს, ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი სერიოზულად გაიტაცა ოცნებებმა. ისარგებლა რა ევროკავშირისთვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭებით, ევროკავშირის თავმჯდომარის, ჰერმან ვან რომპეის, მიმართ მილოცვაში კაცობრიობას ნაჩქარევად შეახსენა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განსაკუთრებული მისიისა და იმის შესახებ, რომ ევროკავშირი სწორედ ნატოსთან ერთად აშენებდა „განახლებულ ევროპას“, რომ სწორედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ემსახურება არა მხოლოდ კონტინენტზე, არამედ ლამის მთელ მსოფლიოში მშვიდობის, თანამშრომლობის, თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების მაღალ იდეალებს.

**მილოცვაში გულახდილადაა მინიშნებული, რომ ნატოს გარეშე ევროპაში ომისშემდგომი შერიგების პროცესი ვერ წარიმართებოდა და ამიტომ ნობელის კომიტეტის მიერ ევროკავშირისთვის მიწერილი დამსახურების არც თუ მცირე ნაწილი ალიანსის ანგარიშზეა ჩასაწერი. და რასმუსენის მისალოცი გზავნილის ტექსტის სტრიქონებს შორის არც ისე ძნელი ამოსაკითხია ქვეტექსტი: „რატომაც არ უნდა წარადგინოს მშვიდობის ნობელის პრემიაზე მადლიერმა ევროპამ თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსი?“**

ცხადია, გამჭვირვალე და გულუბრყვილო „ნობელის ამბიციები“ ნატოს გენერალური მდივნის მხრიდან სერიოზულ ადამიანებში მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს და თავად რასმუსენიც, საეჭვოა, თავისი ოცნებების ნობელის კომიტეტის რეალურ გადაწყვეტილებებში ახდენას იმედოვნებდეს. მაგრამ საპატიო ჯილდოსთან მიტმასვნის მცდელობაში იკითხება თავად ნატოს არსებობის გამართლების მცდელობა, ნატოს კი ცივი ომის დასრულების შემდეგ ძალიან სჭირდება დამატებითი ლეგიტიმიზაცია.

**გამოწვევები, რომლებიც უსაფრთხოებას ემუქრება — ტერორიზმი ან კიბერსაფრთხეები — ტანკებითა და რაკეტებით ვერ განადგურდება. „საომარი ქირურგიის“ მეთოდებით არ იკურნება არც შიდაპოლიტიკური კონფლიქტები, რასაც ადასტურებს კოსოვოსა თუ ავღანეთში განვითარებული მოვლენები. რაც შეეხება ლიბიას, რომელსაც საავიაციო პრესინგით უპირებდნენ დემოკრატიზაციას ნატოს ბრძნული ხელმძღვანელობით, ახლანდელმა ლიბიამ ამერიკის ელჩის „კადაფიკაციის“ ჩათვლით საბოლოოდ დაადასტურა ნატოსეული დარტყმების მეთოდოლოგიის უპერსპექტივობა.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიგით ევროპელებს, რომლებიც იძულებულნი არიან, საკუთარი ჯიბიდან შეინახონ ეს უზარმაზარი სამხედრო მანქანა, მუდმივად უტრიალებთ კითხვა: რა საჭიროა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ვარშავის შეთანხმების ლიკვიდაციისა და ცივი ომის დამთავრების შემდეგ? ამ კითხვების ნაწილობრივ მაინც შესარბილებლად კარგი იქნებოდა, თუ ნობელის კომიტეტი ნატოს მშვიდობისმყოფელურ მოღვაწეობას სათანადოდ შეაფასებდა და დააფასებდა კიდეც.

ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირის ნომინირებისას ნობელის კომიტეტს ხელი არ შეშლია იმით, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა მონაწილეობდა იუგოსლავიის დაბომბვებში, ერაყში შეჭრაში და მრავალტანჯული ლიბიის თავზე „ცის გადაკეტვაში“, ანუ არსებობს იმედი, რომ ასეთივე საცერში გახედავენ ნატოს დამსახურებათა სიას და მიუხედავად იმისა, რომ ალიანსმა უკვე არაერთხელ გამოიჩინა თავი ძალისმიერი „მისიონერობით“, გაეროს წესდების სურვილისამებრ, გაგებით, ძალის გამოყენების უმნიშვნელოვანესი პრინციპების იგნორირებით, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობით, მათ საშინაო საქმეებში ჩარევით მხოლოდ მის მიერ ნათეს სიკეთეს დაინახავენ.

**სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიოს თვალთახედვიდან გამომდინარე, ნატოს მშვიდობის ნობელის კი არა, „საბრძოლო დამსახურებებისთვის“ მედლის იმედი თუ ექნება.** მშვიდობის ნობელის მისაღებად ალიანსი საფუძვლიანად უნდა რეფორმირდეს, იქცეს ეფექტურ სტრუქტურად, იმოქმედოს გაეროს ეგიდის მკაცრად დაცვით, იბრძოლოს მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის მსოფლიოში...

თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის, აზრები ამ მიმართულებით ვითარდებოდეს.

rus.ruvr.ru

# აშშ-ის ბოისკაუტების ორგანიზაცია პედოფილების ბუნაგი აღმოჩნდა

**ორეგონის შტატის უმაღლესმა სასამართლომ საიდუმლოების გრიფი მოხსნა პედოფილების შესახებ დაგროვილ 1200 ფაილს, რომელთაც საგულდაგულოდ მალავდა აშშ-ის ბოისკაუტების მთავარი ორგანიზაცია „Boy Scouts of America“. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მანამდე გასაიდუმლოებული დოკუმენტები ინტერნეტში გავრცელდა.**

ამ დოკუმენტების კითხვისას ტკივილს განვიცდით იმ ტანჯვის გამო, რომელიც ათობით არასრულწლოვანმა გადაიტანა, — განაცხადა ადვოკატმა პოლ მონსმა, რომელიც ერთ-ერთი პირველი გაეცნო ფაილებს. — ჩანაწერები იწარმოებოდა 1965-დან 1985 წლამდე. ბოლო პერიოდამდე ეჭვიც კი არავის გასჩენია, რომ ბოისკაუტებს შორის რაიმე მსგავსი შეიძლებოდა მომხდარიყო“.

საუბარია დაახლოებით ხუთი ათას ფაქტზე, რომელთა დროსაც ორგანიზაციის თანამშრომლები ან მოხალისეები არასრულწლოვანებზე ძალადობდნენ.

ორგანიზაციის რამდენიმე თანამშრომლის სასამართლოს ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. ათეულობით ამერიკელი დაუკავშირდა სპეცსამსახურებს და განუცხადა, რომ მზადაა, პედოფილების წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. გარდა ამისა, ბოისკაუტების ორგანიზაციებიდან ათასობით ამერიკელმა წაიყვანა თავისი შვილი. ზოგიერთი უფლებადამცველი მიიჩნევს, რომ ამერიკაში ყველაზე პოპულარული ახალგაზრდული მოძრაობა გადაშენებას ვერ გადაურჩება.



დღეისათვის ორგანიზაცია „Boy Scouts of America“ ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდი გაერთიანებაა. 1910 წელს შექმნილმა ამ სტრუქტურამ 2,7 მილიონი წევრი და 1,1 მილიონი მოხალისე გააერთიანა. გამორიცხული არაა, რომ ძალიან მალე ორგანიზაციას სახელი შეეცვალოს, სკანდალური რეპუტაციის ჩამოშორების მიზნით. ჯერჯერობით კი ამერიკის ბოისკაუტების ორგანიზაციის შესახებ გამოძიებას გამოძიების ფედერალური ბიურო განაგრძობს.

sdelanounih.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შოტლანდიის დამოუკიდებლობის იდეას რესპონდენტების 60%-ზე მეტი უჭერს მხარს, აღნიშნავენ, რომ შოტლანდიელებს ყველაზე მეტად ლონდონის საგარეო პოლიტიკა, ერაყსა და ავღანეთში სამხედრო კამპანიებში ბრიტანეთის მონაწილეობა, ასევე ბირთვული იარაღის ძვირადღირებული პროგრამის ხარჯზე ქვეყნისათვის დიდი ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება და საერთაშორისო ტერორიზმისთვის ქვეყნის სამიზნედ ქცევა არ მოსწონთ.**

# ევროპის ბალკანიზაცია

**ევროკავშირის ქვეყნებში სეპარატიზმის კერები ყოველთვის ბევრი იყო: კატალონია, ვალენსია და ბასკეთი — ესპანეთში, ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია და უელსი — დიდ ბრიტანეთში, ლომბარდია — იტალიაში, კორსიკა და ბრეტანი — საფრანგეთში, ფლანდრია — ბელგიაში... მაგრამ უკანასკნელ კვირას განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ დღეისათვის ევროპის „ტრადიციულ“ საზღვრებს საფრთხეს უქმნიან არა ექსტრემისტები, არამედ გარეგნულად სავსებით რესპექტაბელური საზოგადოებები.**


კატალონია




მაგალითად, კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეები, რომლებიც იქაური სოციალ-დემოკრატების სეპარატისტული იდეების მხარდასაჭერად მილიონიან მიტინგებს მართავენ. ეს ადამიანები ხელისუფლებაში ძალადობის გარეშე მოდიან, ან, თუ გნებავთ, ისინი ხელისუფლებაში მოჰყავს „რბილ ძალას“...

ფრანგული მასმედია წერს კორსიკისა და ბრეტანის სეპარატისტების კავშირზე, ბურგუნდიაში, ლანგედოკში, პროვანსსა და ელზასში ნაციონალური ენებისადმი მზარდ ინტერესზე. შოტლანდიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ნაციონალურმა პარტიამ, რომელიც კონფედერაციის ან ბრიტანეთიდან შოტლანდიის გამოყოფის მომხრეა. ანალოგიური ტენდენციები ვითარდება უელსში...

განხეთქილების ზღვარზე დგას ბელგია, რომელიც გახლეჩილია ფლამანდიურ და ვალონურ საზოგადოებებად. ამავე დროს, მეზობელ ლუქსემბურგში ბევრია ბელგიის იმავე სახელწოდების პროვინციასთან გაერთიანების მსურველი.

ორიოდე დღის წინ კატალონიის მთავრობის მეთაურმა არტურ მასმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ **კატალონიას სურს, ევროკავშირის დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს, რადგან მისთვის გაცილებით მისაღები იქნება ევროკავშირის შტატის სტატუსი.** 25 ნოემბერს კატალონიაში გაიმართება ვადამდელი არჩევნები, რომლის მსვლელობისას მოსახლეობა გამოხატავს საკუთარ აზრს იმასთან დაკავშირებით, უნდა გამოეყოს თუ არა რეგიონი ესპანეთს...

პოლიტიკური სეპარატიზმი მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში როდი იჩენს თავს, მას ადგილი აქვს ევროკავშირის წევრობაზე დაფიქრებულ ქვეყნებშიც. 2011 წელს რუმინეთის არაღიარებული სეკუიის მხარე ევროპარლამენტში ოფიციალურად იქნა წარდგენილი უნგრეთის რაიონად. სილეზიის მოსახლეობა პოლონეთისგან გამოყოფით იმუქრება და ხაზს უსვამს, რომ ეს კოსოვოს სცენარზე რეაქციაა. პოლონურმა პარლამენტმა, ეშინოდა რა გააქტიურებული სილეზელების, რომლებიც დასაწყისისთვის საუკუნეების მანძილზე გერმანელების კუთვნილი საკუთარი მხარის ავტონომიას მოითხოვდნენ, ისინი ქვეყანაში მცხოვრები ერების სიიდან ამოშალა, მაგრამ ოფიციალურად, **მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგების თანახმად, პოლონეთში დაახლოებით 200 ათასი სილეზიელი ცხოვრობს, ფაქტობრივად კი, მათი რაოდენობა მილიონს აჭარბებს.**

თავად პოლონეთი რუმინეთსა და უნგრეთთან ერთად ამავე დროს რეზერვში ინახავს თავისთვის უკრაინის მხარეებს და ამას მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონის დახმარებით აკეთებს... ევროსწრაფველი მოლდოვის პრემიერი კი დნესტრისპირეთს ოფიციალურად უწოდებს ქვეყანას, რომელიც მოლდოვას ორჯერ უსწრებს ეკონომიკური პოტენციალით.

ეს ყოველივე ადასტურებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში გაძლიერდნენ რეგიონული ხელისუფლებები. ლისაბონის შეთანხმების წყალობით, რეგიონები თანდათან თავისკენ ქაჩავენ საკუთარი სახელმწიფოების უფლებამოსილებებს. ევროკავშირის მართვის სისტემაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ინსტიტუტი ხდება რეგიონების კომიტეტი.

**ევროკავშირის ცენტრალურ ბიუროკრატიას ძალიანაც აძლევს ხელს ევროპაში რეგიონული სუვერენიტეტების აღლუმი, მაგრამ ეს ძალზე არახელსაყრელია ცალკეული სახელმწიფოების მმართველი წრეებისთვის — რეგიონალიზაცია ჩეხავს ამ სახელმწიფოების ტერიტორიას. ეს აქვეითებს უფრო დიდი და განვითარებული ქვეყნების გავლენას და დაჰყავს ის ევროკავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის დონეზე.** გარდა ამისა, ეს ამცირებს ევროპის წამყვანი ქვეყნების მმართველი ელიტების წონას და ხელს უწყობს ცენტრალური ბიუროკრატიის გამყარებას. ბრიუსელში „მართვის პუნქტისათვის“ გაცილებით იოლია, მართოს 70-100 რეგიონული წარმონაქმნი, ვიდრე ეკონომიკური და სხვა შესაძლებლობების მხრივ უკიდურესად არათანაბარი 20-30 სახელმწიფო. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს მასობრივ ცნობიერებაში ნერგავენ აზრს, რომ ბრიუსელი არის ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გამოყოფილი არა ბელგიელების დედაქალაქი, არამედ ყველა ევროპელისა და ევროპის კავშირის დედაქალაქი.

ერთის მხრივ, ეკონომიკურად განვითარებული რეგიონების გამოყოფა ასუსტებს ცალკეული სახელმწიფოების გავლენას, მეორეს მხრივ კი, ხდება ხარჯების ოპტიმიზაცია, რომლის წყალობითაც ევროპის ცენტრალური ბანკი სულ უფრო მეტად ემსგავსება ავტონომიურ პოლიტიკურ ობიექტს.

„რეგიონალების“ სეპარატისტული მიდრეკილებების საფუძველში დევს სოლიდური ეკონომიკური საფუძველი, დაახლოებით ისეთი, რომლის საფუძველზეც თავის დროზე დიდ ევროპულ პოლიტიკაში შევიდა „ჩრდილოეთის ლიგა“. ამ პარტიის აზრით, იტალიის განვითარებული მრეწველობის მქონე ჩრდილოეთი უნდა გამოყოფოდა აგრარულ სამხრეთს და შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო „პადანიის რესპუბლიკა“.

აი, რა ხდება თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოებში:

**ბელგია. მრავალი ფლანდრიელი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეკონომიკურად უფრო ძლიერი ფლანდრია ინახავს ჩამორჩენილ ვალონიას, ღიად წვავს ბელგიის დროშებს და თავისი პოლიტიკოსებისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვს.** „Washington Times“-ი გამოცანის პასუხს გვკარნახობს და აცხადებს, რომ „ბელგიის სუსტი სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც რევოლუციამ შექმნა და კომპრომისის წყალობით სულდგმულობდა აქამდე, ინგრევა. და ახლა ის, რაც ადრე ძნელად წარმოსადგენი იყო, მოულოდნელად აბსოლუტურად შესაძლებელი ხდება“.

ევროკავშირის პრეზიდენტის, ჰერმან ვან რომპეის ძმა, ფლამანდელი ქრისტიან-დემოკრატი ერიკ ვან რომპეი პირდაპირ აცხადებს: **„ბელგია კომაშია. პაციენტს კლინიკური სიკვდილი დაემართა“.** ფრანგულად და ჰოლანდიურად მოლაპარაკე ბელგიელებს შორის განსხვავება სახელმწიფო სტრუქტურისადმი დამოკიდებულებაშიც ვლინდება — პირველნი ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრენი არიან, მეორენი — დეცენტრალიზაციის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, ბელგიის ფლამანდელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი — 49,7% — ქვეყნის ფრანგულენოვანი ნაწილისგან გამოყოფის მომხრეა.

**ესპანეთი.** ამ ქვეყანაში რეგიონებს ღიად მართავენ რეგიონალისტები. ცენტრისგან გამოცალკევების მომხრეები ძლიერნი არიან კატალონიაში, ბასკების ქვეყანაში, გალისიაში, ანდალუზიაში, ვალენსიაში და თვით ევროპისგან დაშორებულ კანარის კუნძულებზე.

რამდენიმე წლის წინ ესპანეთში გააქტიურდნენ ბასკების ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით ცნობილი ეტას რადიკალები. 1960 წელს შექმნის შემდეგ ეს ორგანიზაცია შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს დამოუკიდებელი ბასკეთის შექმნისათვის. ამ სახელმწიფოში სამი პროვინციის გაერთიანება იგეგმება. სინამდვილეში ამ გაერთიანებას უკვე აქვს არმიის ჩანასახები.

გარდა ამისა, **ბასკეთში უნდა გაერთიანდეს ეთნიკური ბასკებით დასახლებული ნავარას ესპანური პროვინცია და სამხრეთ საფრანგეთის პროვინციები.** ანდალუზიური ნაციზმი გაჩნდა ფრანკისტული მმართველობის შემდეგ, რადგან ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ მიღებული კონსტიტუცია ესპანეთის ყველა რეგიონს ნაწილობრივი თვითმმართველობის საშუალებას აძლევდა. მაგრამ რეგიონული სეპარატისტები, რომლებიც ცდილობენ, კანონით გაამყარონ ანდალუზიელების, როგორც ნაციის, სტა- ▶



ბასკეთი





**გერმანიის გარდა, კიდევ მინიმუმ ორი სცენარი არსებობს ევროპის ეკონომიკური ბალკანიზაციისათვის. ამ სცენართაგან ერთი ბრიტანულია, მეორე კი — ამერიკული. ეს სცენარები ერთ რამეში აბსოლუტურად თანხვედრია — მათი არსით „ქვემოდან“ დახლეჩილი კონტინენტური ევროპა რეგიონული წარმონაქმნების მყიფე კონგლომერანტად უნდა დარჩეს და ამ წარმონაქმნებიდან ყველა ანგლოსაქსებზე უნდა იყოს დამოკიდებული.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ტუსი, კატალონიისა და ბასკონიის დონეზე კიდევ უფრო მეტი ავტონომიურობის მიღებითაც არ კმაყოფილდებიან.

**გალისია ესპანეთის სამეფოს კიდევ ერთი ავტონომიური საზოგადოებაა, რომელიც კიდევ უფრო მეტი ავტონომიისკენ ილტვის, „გალისიონისტების“ მოძრაობის რადიკალური ნაწილი კი სულაც დამოუკიდებლობას ითხოვს.**

კატალონიაში, რომელსაც უკვე ჰყავს საკუთარი პოლიცია, მოიწონეს მისი ახალი სტატუსი, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს ავტონომიის პრეროგატივებს. კატალონია ყველაზე განვითარებული რეგიონია ეკონომიკის თვალსაზრისით: შეადგენენ რა ესპანეთის მთლიანი მოსახლეობის 16%-ს კატალონიელები მთელი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის 23%-ს ქმნიან.

ეგრეთ წოდებული ვალენსიონიზმი ორ ნაწილადაა გახლეჩილი. ერთი ნაწილი თავს აღიქვამს კატალონელად და მხარს უჭერს იქაური სეპარატისტების მოძრაობას. მეორე ნაწილი, ანუ ცისფერები, როგორც მათ ვალენსიის დროშის ფერის გამო შეარქვეს, კატალონიელებს მათი რეგიონის მდგომარეობის გამფუჭებელ „მეხუთე კოლონად“ მიიჩნევენ და ვალენსიის განვითარებული ავტონომიის მოთხოვნით გამოდიან.

კიდევ ერთი მსხვილი სეპარატისტული მოძრაობა კანარიულია. კანარის კუნძულები, ძირითადად, ევროპელთა დასასვენებელი ადგილია და იქ პირველად მოითხოვეს დამოუკიდებლობა, თუმცა სეპარატისტული მოძრაობა დიდი ხნის წინ გაჩნდა.

**იტალია. გარდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიდი მოძრაობებისა, ამ ქვეყანაში არსებობს უამრავი მომცრო რეგიონულ-ავტონომიური პარტიაც. მრავალი მათგანი ჩრდილოეთის ლიგის ნაწილია, მაგრამ მრავალ მათგანს მასთან შეხება არ აქვს და მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს.**

ამ ინტერესებს შორის პირველი ადგილი ეკონომიკურს ეთმობა. მაგალითად, ვალედაოსტა იტალიის ყველაზე პატარა რეგიონია. იქ მხოლოდ 130 000 ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ ის ყოფილი სავოის სამეფოს ნაწილია და იტალიური ტურიზმის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენს. ეგრეთ წოდებული ვალდოტანური კავშირის მიერ წამოყენებული ძირითადი მოთხოვნები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ფინანსურ ავტონომიას, პერსპექტივაში კი პოლიტიკურ ავტონომიასაც გულისხმობს.

ნახევარმილიონიანი პროვინცია ტრენტინო, ისევე, როგორც მისი მეზობელი ვალედაოსტა, მდიდარია რეგიონულ-ავტონომიური მოძრაობებითა და პარტიებით, რაც განპირობებულია ტრენტინოს კავშირით სამხრეთ ტიროლთან, სადაც სეპარატისტული განწყობები, დიდი ხანია, მოძლიერდნენ.

იტალიის დანარჩენი სეპარატისტული მოძრაობებიდან ყველაზე ძლიერი სარდინიული და ვენეტისტური მოძრაობებია. ამ უკანასკნელი პიკი დაფიქსირებულია 1960-1970 წლებში, როდესაც ეკონომიკური ბუმის პირობებში რეგიონი უზარმაზარ გადასახადებს იხდიდა ღატაკი სამხრეთული პროვინციების სასარგებლოდ. რეგიონის უდიდესი პოლიტიკური პარტია ჩრდილოეთის ლიგის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ პარტიათაგანს, რომელმაც დააარსა ეს ლიგა. ვენეტისტების მოთხოვნები მოიცავს პოლიტიკურ და ფინანსურ აღიარებას, ვენეტური ენის აღიარებას რეგიონის ოფიციალურ ენად და რადიკალების მხრიდან დამოუკიდებლობასაც.

**დიდი ბრიტანეთი.** შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ნაციონალისტები, უკვე რამდენიმე წელია, საუბრობენ რეფერენდუმსა და გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფაზე. **შოტლანდია ევროპაში ლამის უდიდეს ნავთობის მარაგებს ფლობს ჩრდილოეთის ზღვის რეგიონში. ის დოტაციურ რეგიონად მხოლოდ იმიტომ ითვლება, რომ მისი ნავთობისა და გაზის შემოსავლებს — წელიწადში დაახლოებით 20 მილიარდი დოლარი — ლონდონი იდებს ჯიბეში.**

**კომენტატორები და ჟურნალისტები იმ სოციოლოგიურ გამოკითხვებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვით შოტლანდიის დამოუკიდებლობის იდეას რესპონდენტების 60%-ზე მეტი უჭერს მხარს, აღნიშნავენ, რომ შოტლანდიელებს ყველაზე მეტად ლონდონის საგარეო პოლიტიკა, ერაყსა და ავღანეთში სამხედრო კამპანიებში ბრიტანეთის მონაწილეობა, ასევე ბირთვული იარაღის ძვირადღირებული პროგრამის ხარჯზე ქვეყნისათვის დიდი ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება და საერთაშორისო ტერორიზმისთვის ქვეყნის სამიზნედ ქცევა არ მოსწონთ.** შოტლანდიელებს ისიც აღელვებთ, რომ შოტლანდიის მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად იკლებს ახალგაზრდობის ინგლისში მზარდი მიგრაციის ფონზე.

**დანია. აქ ყველა თანახმაა, საბოლოოდ გაწყვიტონ კავშირი გრენლანდიის ცენტრთან.** ბოლო დრომდე ერთადერთ დაბრკოლებას ის წარმოადგენდა, რომ კუნძულის ბიუჯეტის დიდი ნაწილი კოპენჰაგენის სუბსიდიებისაგან შედგება. მაგრამ **მას შემდეგ, რაც კუნძულის კლიმატმა დათბობა დაიწყო, გრენლანდიაზე აშშ-ის გლობალური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტების განთავსების მოწინააღმდეგენი დანიური სამეფოსგან გამოყოფაზე სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ.**

2009 წლის ახალ ამბებში ადგილობრივი მასმედია იტყობინებოდა, რომ 300-წლიანი დანიური მმართველობის შემდეგ გრენლანდია ავტონომიურ რეჟიმზე გადადიოდა. **2008 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, დანიისაგან ავტონომიური მმართველობის შექმნას მხარი დაუჭირა მოსახლეობის 75%-მა.**

საინტერესოა, რომ მანამდე გრენლანდიამ უკვე მიიღო







ირლანდია

უფლება, დამოუკიდებლად განეკარგა საკუთარი ბუნებრივი რესურსები, მათ შორის კუნძულის საზღვაო ზონისაც, რომელიც მანამდე დანიას ეკუთვნოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, კუნძულზე მცხოვრები 50 000 ესკიმოსისათვის ეს საკმარისი არ არის.

ახლა გრენლანდიას ეძლევა საშუალება, პრეტენზიები გამოთქვას ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის იმ ჩრდილოეთ ნაწილზე, რომელსაც დანიამ დაადგა თვალი. ეს კი არის ოკეანის დაახლოებით 40%, სადაც თავმოყრილია ნავთობის, ძირითადად კი გაზის მარაგები.

გამორიცხული არ არის, რომ დანიისაგან ფარერის კუნძულების გამოცალკევების პროცესიც დაიწყოს. ამ კუნძულების გვერდით ასევე არის ნავთობი და გაზი. იგივე ელის პერსპექტივაში შპიცბერგენს. შპიცბენგერის ხელისუფლებამ ახლახან დაიჩივლა, რომ ოსლოდან ძალიან მცირე დოზით იღებს ფინანსურ დახმარებას და არც შპიცბერგერის ეკოლოგიაზე ზრუნავს ვინმე.

გასულ წელს საიტმა „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლების მიმოწერა არქტიკული საბჭოს სხდომის მომზადების პერიოდში. ამ მიმოწერის თანახმად, **ამერიკელი დიპლომატები მიიჩნევენ, რომ გრენლანდიის დამოუკიდებლობა მომგებიანი იქნება აშშ-ის ნავთობმომპოვებელი კომპანიებისთვის.**

როგორც ჩანს, ჩვენს სინამდვილეში ევროპის ერთგვარი ეკონომიკური ბალკანიზაციის მომსწრენი ვართ. და აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ **დღეს ევროკავშირის ეკონომიკური ლოკომოტივის ფუნქციას ასრულებს გერმანია, რომლისთვისაც მომგებიანია ევროკავშირის ტრანსფორმაცია ერთიან ევროფედერაციაში ან სულაც ევროიმპერიაში რეგიონალიზაციის გზით.** კანცლერმა ანგელა მერკელმა არაერთხელ განაცხადა, რომ **ევროსა და საერთო სავალუტო კავშირის გადარჩენის ერთადერთი გზა ნაციონალური სუვერენიტეტების გადაცემაა.**

ბერლინის თვალსაზრისს წევრი ქვეყნების ურთიერთდაახლოების, ზენაციონალური ორგანოების უფლებამოსილების გაფართოებისა და გამყარების გზით „ევროინტეგრაციის გაღრმავების“ თემაზე ევროპაში ყველა არ იზიარებს. მრავალი ევროპელის ყველაზე დიდი მღელვარება დაკავშირებულია გერმანიის გავლენის ზრდასთან Mitteleuropa“-ს პროექტებთან შესაბამისობაში, რაც ჯერ კიდევ კაიზერის მიზანს წარმოადგენდა 1914-1918 წლების მსოფლიო ომში.

ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტების საშუალებით ამ პროექტების რეანიმაცია სულაც არ წარმოადგენს ფანტასტიკის სფეროს, მით უფრო ისეთს, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. **კატალონიასთან, ფლანდრიასთან, პადანიასა და სხვებთან თანამშრომლობით გერმანიას თავისუფლად შეუძლია ევროკავშირში პოლიტიკურ ჰეგემონად იქცეს და ამისათვის ერთი ტყვიაც კი არ ისროლოს.** საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როგორც ზოგიერთი ესპანური გამოცემის ავტორები მიიჩნევენ, კატალონიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ახლანდელი აქტივების უკან სწორედ ბერლინი დგას.

**გერმანელებისთვის მართლაც ძალიან მომგებიანია ევროკავშირის ყველაზე განვითარებული რეგიონების მხარდაჭერა. ჯერ ერთი, მათი ავტონომიზაცია საშუალებას იძლევა, ახლანდელზე ბევრად უფრო რაციონალურად გადანაწილდეს ხარჯები ნაკლებად განვითარებული აგრარული რეგიონებისთვის ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების საბიუჯეტო დოტაციების მასშტაბების შემცირებით.**

ეკონომიკური თვალსაზრისით, სწორედ ეს „დეპრესიული“ რეგიონები ხდებიან გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, კრიტიკის მთავარი ობიექტები აშშ-ისა და ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ფრთის ქვეშ დარჩენისაკენ მისწრაფების გამო. მათ ეს გამოსავალი ურჩევნიათ საკუთარი ევროკავშირის შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის დანახარჯების გაზრდას.

სეპარატისტების გააქტიურებაც, ეკონომიკური კრიზისიც, სუსტი ევროც, ევროკავშირის სხვა პრობლემებიც თითქოსდა ბერლინის სასარგებლოდ მოეწყო და ანგელა მერკელის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გაატაროს პოლიტიკა, რომლის შედეგადაც გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის ზრდის მიმართულებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაწესებული შეზღუდვები, უბრალოდ, გაუქმდება.

მაგრამ **გერმანიის გარდა, კიდევ მინიმუმ ორი სცენარი არსებობს ევროპის ეკონომიკური ბალკანიზაციისათვის. ამ სცენართაგან ერთი ბრიტანულია, მეორე კი — ამერიკული. ეს სცენარები ერთ რამეში აბსოლუტურად თანხვედრია — მათი არსით „ქვემოდან“ დახლეჩილი კონტინენტური ევროპა რეგიონული წარმონაქმნების მყიფე კონგლომერანტად უნდა დარჩეს და ამ წარმონაქმნებიდან ყველა ანგლოსაქსებზე უნდა იყოს დამოკიდებული.**

ლონდონსაც და ვაშინგტონსაც სჭირდება, რომ გერმანიის ეკონომიკურმა პოტენციალმა მისი მიწები ევროფედერაციის შემაკავშირებელ დუღაბად არ აქციოს, არამედ გაიფანტოს ევროკავშირის დეპრესიული რეგიონების მხარდასაჭერად. ეს მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს მხოლოდ აუნაზღაურებელ დახმარებაში ევროპის ერთიანობის შენარჩუნების გამო. სინამდვილეში აქ საუბარია ცენტრიდანული პროცესების მხარდაჭერაზე, პროცესებისა, რომლებიც საშუალებას არ აძლევს ბრიტანეთს, კონტინენტზე თავისი გეოპოლიტიკური თამაში განაგრძოს.




შოტლანდია

fondsk.ru

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პერესტროიკის პერიოდში კი იუგოსლავიის გარდაცვლილ ლიდერს ბრალი დასდეს... „სტალინიზმში“. პრესაში ფართოდ გაიშალა შიშველი კუნძულის — გულაგის ანალოგის თემა. იუგოსლავი ავტორი შუვარი აღნიშნავდა, რომ „ქვეყანაში გაიშალა დაუნდობელი ბრძოლა მკვდარი ტიტოს წინააღმდეგ“.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-40 (139-178)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### ამაო მცდელობა

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ ტიტო ვიზიტად ინგლისში გაემგზავრა. იქ შეკითხვა დაუსვეს იუგოსლავიაზე საბჭოთა კავშირის შესაძლო თავდასხმის შესახებ: „ვერ ვიწინასწარმეტყველებ, — უპასუხა ტიტომ, — მაგრამ საბჭოთა ადამიანების ჩემეულ ცნობასა და სსრკ-ში ცხოვრების პირობების ცოდნაზე დაყრდნობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამის არ მჯერა. ჩვენ დავიცდით, ვნახავთ“.** დიდხანს დაცდა არ მოუწიათ, 1953 წელს საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მზად არის აღადგინოს იუგოსლავიასთან ურთიერთობა ყველა მიმართულებით; შეწყდა ანტიიუგოსლავური კამპანია, შეწყდა შესაბამისი გაზეთების გამოცემა, ხოლო მათი ორგანიზაციები გაუქმდა. მაგრამ ტიტომ განაცხადა: „იუგოსლავია არ გადაუხვევს თავის საგარეო პოლიტიკას, რომელიც გაკვალა 1948 წლის შემდეგ, მას თავისი გზა აქვს“.

ამის მიუხედავად, ხრუშჩოვს არ შეუწყვეტია მცდელობა, განეახლებინა „მეგობრობა“ იუგოსლავიის ლიდერთან. ამით იგი ცდილობდა სოციალისტური ბანაკის განმტკიცებას. ნიკიტას ვაჟი წერს: „მამაჩემმა შესთავაზა... რომ გააგზავნიდა ბელგრადში წარმომადგენლობით დელეგაციას, რომელიც აღიარებდა დაშვებულ შეცდომებს... მამა გრძნობდა, რომ ტიტო მართალი იყო. იგი განსაკუთრებით აფასებდა ტიტოს, მის სიმამაცესა და გამბედაობას... მაგრამ მისი (ხრუშჩოვის) მოწინააღმდეგენი სხვა აზრზე იყვნენ და სთავაზობდნენ, რომ ტიტო თვითონ ჩამოსულიყო მოსკოვში. მამა უპასუხებდა, რომ, თუ ისეთი დიადი ქვეყანა, როგორიც საბჭოთა კავშირია, შეცდა, საჭიროა ბელგრადში ჩასვლა და ყველაფრის აღიარება. ბოლოს და ბოლოს, 1955 წელს საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა ბელგრადში“.

მისი ჩასვლის წინა დღით ტიტომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ უსაფუძვლოა „აღმოსავლეთის ბლოკში“ იუგოსლავიის დაბრუნებაზე ფიქრი, მაგრამ ამანაც ვერ გააჩერა ხრუშჩოვი. მისი ენთუზიაზმი ვერ გაანელა ვერც ცივმა მიღებამ, ვერც მოლაპარაკებაში პარტნიორების უპარდონო განცხადებებმა. მაგალითად, ვუკმანოვიჩ-ტემპომ არ ირწმუნა ხრუშჩოვის განცხადება, რომ სსრკ-იუგოსლავიის კონფლიქტში დამნაშავე ლავრენტი ბერია იყო. ტიტომ შენიშნა, რომ **„აბსოლუტური გარანტიები იმ რეციდივების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს ურთიერთობაში სტალინის დროს იყო, არ არსებობს. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ მომავალში ისინი კვლავ გამჟღავნდება“.**

რამდენიმე თვის შემდეგ ბომბივით აფეთქდა ხრუშჩოვის ანტისტალინური მოხსენება. ყრილობის დამთავრების შემდეგ, რომელზეც მიწვეულები არ იყვნენ უცხოეთის კომპარტიების დელეგაციები, ხრუშჩოვმა თავისი მოხსენების ტექსტი ტიტოსთვის გადასაცემად იუგოსლავიის საელჩოში გამართულ სადილზე ელჩს გადასცა. ამ აქტის თვითმხილველნი (გირენკო) იხსენებენ, რომ ნიკიტამ, რომელიც სადღეგრძელოს ამბობდა, პიჯაკის გულისჯიბიდან ამოიღო ბროშურა, იუგოსლავიის ელჩს მიაწოდა და უთხრა: „გადაეცით ეს ამხანაგ ტიტოს, ინტერესით წაიკითხავს“.

იუგოსლავიის ახალმა ელჩმა, რომელიც ამ შემთხვევიდან მალევე ჩავიდა მოსკოვში, ხრუშჩოვს ტიტოს მადლობა გადასცა და განაცხადა: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ ვთქვათ სიმართლე სტალინზე, არამედ წარსულთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაზე“. ხრუშჩოვმა აცნობა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება კომინფორმის გაუქმების შესახებ და შესთავაზა წინადადება კომპარტიების ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. იმედოვნებდა, რომ ტიტო მხარს დაუჭერდა. მაგრამ იუგოსლავიის ელჩმა უარით უპასუხა.

1956 წლის სექტემბერში ხრუშჩოვი იუგოსლავიას არაოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. თითქმის ორი კვირის განმავლობაში იგი და ტიტო პირისპირ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. იწერებოდა თუ არა ეს საუბრები, უცნობია. როგორც ჩანს, ტიტო მყარად იდგა თავის პოზიციაზე.

ერთი თვის შემდეგ უნგრეთს გადაუარა ანტისტალინური განწყობილებებით გამოწვეულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა. წიგნის ავტორები და სხვა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ მოვლენების ინსპირირებაში აშკარად ერია არა მარტო დასავლეთის, არამედ იუგოსლავიის სპეცსამსახურების ხელი. იმავე წლის ნოემბერში ტიტომ საჯაროდ უარყო „სტალინური ელემენტების“ მცდელობა, იუგოსლავიისთვის დაებრალებინათ პოზნანში (პოლონეთი) 1956 წელს მომხდარი უწესრიგობებისა და, აგრეთვე, უნგრეთის მოვლენების ინსპირირება. გამოთქვა რწმენა, რომ „შეუძლებელია იმ პროცესების შეჩერება, რომლებიც 1948 წელს იუგოსლავიაში დაიწყო“. პარალელურად გამოვიდა იმათ წინააღმდეგ, ვინც „უპასუხისმგებლოდ ყველაფერს აბრალებს“.

**საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა კვლავ გაუარესდა 1958 წელს იდეოლოგიური საკითხების განხილვისას წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობის გამო. პოლემიკა ხანგრძლივი შესვენებებით ტიტოს ცხოვრების მთელ მანძილზე გაგრძელდა.**

**აქ ერთი მცირე გადახვევის უფლებას მივცემ ჩემ თავს, ერთ ფაქტზე შევჩერდები, რომელსაც ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ 2012 წლის მეორე (27-ე) ნომერში გამოქვეყნებულ ნინა მჟავანაძის მონათხრობში წავაწყდი („ექვსი ფოტოს ისტორია ნინა მჟავანაძის საოჯახო ალბომიდან“). საქმე ეხება იოსიპ ბროზ ტიტოსთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის (ნინას მამის) ურთიერთობას, რომელსაც იუგოსლავიის შემორიგების ან ურთიერთობის დათბობის მისია დააკისრა ნიკიტა ხრუშჩოვმა (!).**

**ნინა მჟავანაძე წერს:**

**„სხვათა შორის, იყო პერიოდი, როცა იუგოსლავიას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა უნდოდა და მაშინ, კრემლის გადაწყვეტილებით ბროზ ტიტოსთან საერთო ენის გამონახვა (!) მამას დაეკისრა, ეს მისია მხოლოდ მამას ერგო მთელ საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ მამა და იუგოსლავიის პრეზიდენტი ძალიან დამეგობრდნენ“.**

„ძალიან დამეგობრებამ“ იუგოსლავიის განდგომას ვერ უშველა.

პერესტროიკის პერიოდში კი იუგოსლავიის გარდაცვლილ ლიდერს ბრალი დასდეს... „სტალინიზმში“. პრესაში ფართოდ გაიშალა შიშველი კუნძულის — გულაგის ანალოგის თემა. იუგოსლავი ავტორი შუვარი აღნიშნავდა, რომ „ქვეყანაში გაიშალა დაუნდობელი ბრძოლა მკვდარი ტიტოს წინააღმდეგ“.

**ტიტოსა და სტალინის გარდაცვალების შემდგომი ბედი ისე დაემსგავსა ერთმანეთს, როგორც იმ ქვეყნების ბედიღბალი, რომლებსაც ისინი სათავეში edგნენ.**

**2003 წელს კი ტიტოს საფლავთან იუგოსლავთა გრძელი რიგები დადგა** ▶



ვასილ მჟავანაძე და იოსიპ ბროზ ტიტო

# სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო, დაესაბუთებინა რევოლუციის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი და წარემართა იგი ანტიდასავლური კალაპოტით. სწორედ ამიტომ მან წამოაყენა თეზისი იმპერიალისტების „ირიბი ინტერვენციის“ შესახებ.

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— მათ პლაკატები მიჰქონდათ: „ტიტო! შენ დროს უკეთესი იყო“.

## ქალები – მათ ცხოვრებაში

კიდევ ერთი მსგავსებაც შეიმჩნევა, თუ დავაკვირდებით, ორი ლიდერის ბიოგრაფიაში. მეუღლეებთან ურთიერთობაში წარმოქმნილი ბზარი, მათგან ერთი — სტალინის ცოლთან, ნადეჟდა ალილუევასთან, დაკავშირებული, ტრაგიკულად დამთავრდა; ტიტოს ცოლი იოვანკა ბროზი კი 30 წელიწადი შინა პატიმრობაში გამოამწყვდიეს.

1977 წელს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციის პრეზიდენტის მეუღლე „კაპიტალისტების ჯაშუშად“ გამოაცხადეს. ტიტომ თითი თითს არ დააკარა მის დასაცავად. იუგოსლავიის პრეზიდენტის პრინციპულობა, რომელიც არნახულ სიჯიუტეში გადადიოდა, აქაც გამოჩნდა. 1952 წელს, როცა ახალგაზრდები დაქორწინდნენ, ტიტომ თავის მეორე ნახევარს განუცხადა: „უპირველესად იუგოსლავიის ინტერესებს დავიცავ, და მხოლოდ შემდეგ — შენსას“.

**საბედისწერო შეცდომა იოვანკა ბროზმა 1976 წლის მარტში დაუშვა, როცა იგი უცნობი მიზეზების გამო პერიოდულად ხვდებოდა იუგოსლავი გენერლების ჯგუფს, რომლებიც ტიტოს დამხობას გეგმავდნენ. იუგოსლავიის გენერალური შტაბის 11 წარმომადგენელი, რომლებიც შემდგომ გაასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს, დაკავშირებულები იყვნენ აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. დაკითხვებზე პრაქტიკულად ყველა მათგანმა აღიარა, რომ იოვანკა ბროზმა იცოდა გადატრიალების მზადების შესახებ და ფარულად მხარს უჭერდა მომავალ პუტჩისტებს.** ეს ღალატი — მოგონილი თუ მართალი — პრეზიდენტმა თავის ცოლს არ აპატია და 1977 წელს, როგორც ამბობენ, თავისი ხელმოწერა დაურთო დადგენილებას შინაპატიმრობაში მისი გამომწყვდევის შესახებ. ტიტო ისე გარდაიცვალა, რომ მეუღლეები ერთმანეთს არ შეხვედრიან. იოვანკა გამოკეტილი იყო პრეზიდენტის ფეშენებელური სასახლის მარცხენა ფლიგელში, მარშალი ტიტო ამ სასახლეს ახლოსაც არ გაჰკარებია. „მისის ბროზი“ თანდათან დაივიწყეს — ტიტოს შემდგომ იუგოსლავ პირველკაცებს ეს ვიპ-პატიმარი არც გახსენებიათ.

ბოლო პერიოდში მოხუცებული იოვანკა დანგრევის პირას მისული სასახლის ორ სამზარეულო ოთახში ცხოვრობდა და ყოფილი „პირველი ლედი“, რომელსაც ათი ათასობით დოლარის დახარჯვა შეეძლო უმდიდრესი ტანსაცმლის შესაძენად, იღებდა დახმარებას 120 ევროს ოდენობით, რაც საშუალო იუგოსლავურ პენსიაზე გაცილებით ნაკლები იყო.

1999 წელს იოვანკამ გერებთან ერთად სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მარშალის კონფისკებული ქონების დაბრუნება, მათ შორის იყო იახტა, რამდენიმე სახლი, აგარაკები, ავტომანქანების პარკი და ა.შ., რომელთა საერთო ღირებულება 16 მილიონ დოლარს აჭარბებდა. სასამართლომ არა მარტო არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი, არამედ გააძლიერა პატიმრის იზოლაცია. როგორც „საპატიმროს“ ერთ-ერთი მცველი იხსენებდა, იოვანკას მეგობრები რომ არა, რომლებიც საკვებ პროდუქტებს რეზიდენციის ჭიშკართან უტოვებდნენ, იგი შიმშილით მოკვდებოდა.

## ქვეყნების ბედიც მსგავსი გამოდგა

**დროში განსხვავებულად, მაგრამ ერთნაირი შედეგით განვითარდა მათ მიერ შექმნილი ქვეყნების ისტორია. სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირმა კიდევ 40 წელიწადი იარსება, დაიშალა იუგოსლავიაც, ოღონდ გაცილებით მოკლე დროში.**

ტიტოს მცდელობა წონასწორობა დაეცვა ორ მძლავრ ბლოკს, მითიურ სკილასა და ქარიბდას შორის და ამით გარკვეული სარგებელი ორივე მხრიდან მიეღო, კრახით დამთავრდა.

ტიტოსთან კონფლიქტში სტალინი ხელმძღვანელობდა ბიბლიური პრინციპით — ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია.

მშვიდობიან პერიოდში ნაკლები სიმკაცრით მოქმედება შეიძლება უკეთესი ყოფილიყო იუგოსლავიისთვის, „ტიტოს გზით“ სიარულის ნება რომ დაერთოთ, მაგრამ რეალობამ დაგვანახა, რომ ამ გზას უფსკრულისკენ მიჰყავდა ქვეყანა.

იოსიპ ბროზ ტიტოს ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და პარტიის ანტისტალინელი იდეოლოგი, შემდეგ კი ტიტოს შეურიგებელი ოპონენტი მილოვან ჯილასი წერდა:

**„სტალინი უგამოჩენილესი პოლიტიკოსი იყო, შეიძლება ითქვას, იმ დროის ყველაზე უფრო გამოჩენილი პოლიტიკოსი. მან ბევრს მიაღწია თავისი დოქტრინის განხორციელების საქმეში და, რასაკვირველია, როგორც ნებისმიერ პოლიტიკოსს უფლება ჰქონდა ძალაუფლების მოსაპოვებლად ებრძოლა... სტალინი ისტორიაში დარჩება, როგორც უეჭველად დიდი და არაორდინალური პიროვნება...**

**არსებობს აზრი, რომ სტალინი ზედაპირული ადამიანი იყო, პრიმიტიული თავის გადაწყვეტილებებსა და ფსიქოლოგიაში. ჩემი შეხედულება განსხვავებულია. მიმაჩნია, რომ ფიქრის, განსჯისა და განცდის ურთულესი შინაგანი პროცესის გავლით იგი გამარტივებულ დასკვნამდე მიდიოდა.**

**ეჭვობდნენ, რომ სტალინს არ სჯეროდა კომუნიზმის. მე მგონია, რომ სჯეროდა და სწამდა. სხვაგვარად ვერ შეძლებდა მილიონობით ადამიანის აღფრთოვანებას — ისინი უცებვე იგრძნობდნენ სიყალბეს. კომუნიზმის კონცეფცია მას საკუთარი ჰქონდა, და სჯეროდა, რომ შორეულ მომავალში ასეთი საზოგადოება შეიქმნებოდა... კერძო ანგარება, გარდა დიდებისკენ მისწრაფებისა, მას არ ჰქონია. მას არ აინტერესებდა, მაგალითად, ქონება...“**

ჯილასი სტალინს, რა თქმა უნდა, მკვეთრად უარყოფითადაც მოიხსენიებდა, დამამცირებლადაც კი, მაგრამ ეს უკვე იდეოლოგიური განსხვავებულობიდან გამომდინარეობდა. ასეთ შემთხვევებში ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ ცდილობს გაამართლოს თავისი მოღალატეობა (ან იმედგაცრუება) უტრირებული, ზოგჯერ კი უსამართლო თავდასხმებით თავისი ყოფილი კერპების წინააღმდეგ.

1949 წლის 21 დეკემბერს მაო ძედუნი სტალინის 70 წლის საიუბილეო საზეიმო სხდომას ესწრებოდა



**სტალინისთვის სულერთი იყო, ვინ იდგებოდა ჩინეთის ხელისუფლების სათავეში: კომუნისტები თუ გომინდანელები. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ერთიანი ჩინეთი, რომელიც ანტიდასავლურ პოლიტიკას განახორციელებდა**

1969 წელს ჯილასმა გამოსცა თავისი წიგნი „არასრულყოფილი საზოგადოება. თანამედროვე სოციალიზმის თეორიული კრიტიკა“.

მკითხველებს სახელწოდებაც კი შეაფიქრიანებს: ნუთუ უკვე განხორციელებული იყო ან შეიძლება განხორციელდეს „სრულყოფილი საზოგადოება“?! იდეალი უეჭველად განსხვავდება სინამდვილისგან. კომუნისტური, სოციალისტურიც კი, იდეალები კაპიტალიზმის ჰუმანურ იდეალებზე შეუდარებლად კეთილშობილური და სამართლიანია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯილასმა სწორად შენიშნა თუ რამდენად დამღუპველია გაბურჟუაზებული „ნომენკლატურები“, რომლებიც მავნებელთა კლასად არის ქცეული და მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭითა და ძალაუფლების შენარჩუნებით არის დაკავებული.

## ჩინეთის მიმართულებაზე

**როგორც თანამედროვე რუსული წარმოშობის ავსტრალიელი ავტორი წერს, „1924-1927 წლების ჩინეთის რევოლუციის მიმართ განხორციელებული პოლიტიკა სტალინის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის პირველ დამოუკიდებელ ცდად წარმოგვიდგება. ამ გამოცდილებამ უშუალო გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებზე მისი შეხედულებების ევოლუციურ განვითარებაზე“.**

**ამასთან, მას მოუწია საკუთარი სტრატეგიული მიმართულების განხორციელება, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდებოდა კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მარქსისტულ-ლენინური კონცეფციისგან. მან მხარი დაუჭირა გომინდანის ნაციონალისტურ პარტიას, რომლის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა სუნ იატსენმა (1866-1925 წწ.) გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა პოლიტიკური ანდერძი-მიმართვა საბჭოთა ხელმძღვანელებისადმი:**

„ჩემს შემდეგ ვტოვებ პარტიას, რომელიც, ყოველთვის მჯეროდა, იქნებოდა თქვენთან დაკავშირებული თავისი ისტორიული ამოცანის — ჩინეთისა და სხვა ჩაგრული ხალხების იმპერიალიზმის უღლისგან გათავისუფლების საქმეში... ამიტომ ანდერძად ვუტოვებ ჩემს პარტიას, იქონიოს თქვენთან მუდმივი კონტაქტი. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, ჩემი ქვეყნის თქვენეული მხარდაჭერა უცვლელი დარჩება. ძვირფასო ამხანაგებო, მივდივარ რა ამ ცხოვრებიდან, გამოვთქვამ რწმენას, რომ **ახლოვდება დღე, როცა საბჭოთა კავშირს თავისუფალი და ძლიერი ჩინეთის სახით ეყოლება მეგობარი და მოკავშირე, და რომ ორივე სახელმწიფო ხელიხელჩაკიდებული ივლის ერთად მთელი კაცობრიობის გათავისუფლებისთვის დიად ბრძოლაში“.**

აქ, მიგვითითებენ წიგნის ავტორები, ყურადღებას იპყრობს ჩაგრული ხალხების იმპერიალიზმის უღლისგან გათავისუფლების იდეა. რუსი მედასავლეთე-კომუნისტები მიდრეკილი იყვნენ, ამგვარი გამონათქვამები განემარტათ კლასობრივი ბრძოლის რევოლუციური სულისკვეთების ჭრილში. მაგრამ **სტალინმა სუნ იატსენის ეს სიტყვები გაიგო და მიიღო, როგორც ქვეყნის გათავისუფლებისთვის ბრძოლის ეროვნული ძალების კონსოლიდაცია და არა როგორც პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლისკენ მოწოდება — პროლეტარიატის კლასი ჩინეთში ჯერ კიდევ ძალიან მცირერიცხოვანი იყო.**

გასაგებია, რომ სტალინი ამ შეხედულების აფიშირებას არ ახდენდა თავის ოფიციალურ გამოსვლებში. მაგრამ მისი მითითებით საკ.კპ (ბ) მრჩეველი გომინდანის პარტიაში მიხაილ ბოროდინი მოელაპარაკა სუნ იატსენს ჩინელი კომუნისტების მის ორგანიზაციაში გაერთიანების თაობაზე: **საერთოეროვნული ინტერესები კლასობრივ ინტერესებზე მაღლა დადგა.**

საკ.კპ(ბ) XIV ყრილობაზე სტალინმა ჩინეთში შექმნილი სიტუაცია შეადარა იმ ვითარებას, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის, გერმანიის, იტალიის ერთიან სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამდე იყო, მან ეს გააკეთა ისე, რომ არც უხსენებია პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარება, გამოთქვა რწმენა: **„ჩვენ თანავუგრძნობთ და თანავუგრძნობდეთ იქნება ჩინეთის რევოლუციასა და მის ბრძოლას იმპერიალისტების უღლისგან ჩინელი ხალხის გათავისუფლებისა და ერთ სახელმწიფოდ ჩინეთის გაერთიანების საქმეში. ვინც ამ ძალას ანგარიშს არ გაუწევს, უეჭველად წააგებს“. მან სავსებით გასაგებად და ნათლად დაასკვნა: „ჩინეთის რევოლუცია, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაა, ამასთან ერთად ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციაც არის და თავისი მახვილით მიმართულია უცხოური იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ...“**

მართალია, იმ დროს ჩინეთი ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, მაგრამ გომინდანის ძალაუფლება მხოლოდ სამხრეთ პროვინციებზე ვრცელდებოდა. სუნ იატსენის პოზიციის გათვალისწინებით სტალინი აკეთებდა ყველაფერს, რაც შესაძლებელი იყო, რათა ქვეყანა გაერთიანებულიყო გომინდანის ბატონობის ქვეშ, კომუნისტები კი ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ მას შემდეგ, როცა მათთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა. ამ შემთხვევისთვის იგი მათ მოუწოდებდა „განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ არმიაში მუშაობისთვის“.

ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო, დაესაბუთებინა რევოლუციის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი და წარემართა იგი ანტიდასავლური კალაპოტით. სწორედ ამიტომ მან წამოაყენა თეზისი იმპერიალისტების „ირიბი ინტერვენციის“ შესახებ, რაშიც იგი ფინანსურ და ეკონომიკურ ექსპანსიას გულისხმობდა.

„სტალინისთვის მთავარი გეოპოლიტიკური ასპექტი იყო, — წერს მ. ალექსანდროვი, — სტალინისთვის სულერთი იყო, ვინ იდგებოდა ჩინეთის ხელისუფლების სათავეში: კომუნისტები თუ გომინდანელები. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ერთიანი ჩინეთი, რომელიც ანტიდასავლურ პოლიტიკას განახორციელებდა“. დავუმატოთ — ანტიაღმოსავლურ პოლიტიკასაც (იგულისხმება იაპონია), და ამავე დროს მეგობრული ურთიერთობა ექნებოდა ჩრდილოელ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან.

მაგრამ კომინტერნში, რომელსაც სათავეში **გიორგი ზინოვიევი** ედგა, სულ სხვა განწყობილება სუფევდა. იქ უპირატესად მხარს უჭერდნენ ტროცკისტულ შეხედულებას მსოფლიო რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ — რეალურად კომუნისტური პარტიის ბატონობას, უფრო ზუსტად, — მისი უმაღლესი ეშელონის, პარტაპარატის ბატონობას. ზინოვიევი წერდა, რომ ჩაგრული ხალხების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, „თუ საერთაშორისო პროლეტარიატი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ხელიხელჩაკიდებული ივლის“, ანუ წინა პლანზე იგი აყენებდა ინტერნაციონალიზმსა და კლასობრივ ბრძოლას. როცა 1925 წლის მაისის ბოლოს ინგლისის ჯარებმა დახვრიტეს დემონსტრაცია შანხაიში, კომინტერნის ხელმძღვანელებმა ეს მიიჩნიეს როგორც პროლეტარული რევოლუციის დასაწყისი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ოთხასმილიონიან მაშინდელ ჩინეთში მუშების რაოდენობა შედარებით მცირე იყო — არა უმეტეს 15-20 მილიონისა, ხოლო კომპარტიაში გაერთიანებული იყო მხოლოდ 10-15 ათასი წევრი. მასობრივი ორგანიზაცია იმ პერიოდში იყო გომინდანი, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ბურჟუაზიისა და წვრილ მემამულეთა წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული.

ამ პერიოდის ჩინეთზე საუბარს გაზეთის მომდევნო ნომრებში განვაგრძობთ.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ხე, რომელიც 4 სახეობის ხილს ისხამს

**ავსტრალიელმა წყვილმა გამოიყვანა ჯუჯა ხის ჯიში, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე სახის ნაყოფის, მათ შორის ციტრუსების მოსხმა შეუძლია.** ბოლო 20 წლის განმავლობაში ჯეიმსი და კერი ვესტები ხის ისეთი ჯიშის გამოყვანაზე მუშაობდნენ, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე სახის ხილის ნაყოფს მოისხამდა. ბოლოს და ბოლოს, მათ გამოიყვანეს უნივერსალური მცენარე — ხე 4 სახის ხილის ნაყოფს ერთდროულად ისხამს. აღსანიშნავია, რომ ამ მულტიხილის ჯუჯა ხეს ნაყოფის მოცემა ნებისმიერ კლიმატურ ზონაში შეუძლია.

# ყველაზე ძუნწი მილიარდერი

**ქალაქ ომაჰაში ერთი არაფრით გამორჩეული წყვილი, დონალდ და მიდლენდ ოტმენები, ცხოვრობდნენ. კაცი ბრუკლინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის პროფესორი იყო, ქალი — ხელოვნებათმცოდნეობის პედაგოგი. შვილები არ ჰყავდათ. არაფრით გამორჩეულმა წყვილმა მთელი ქალაქი გააოცა, როცა გაირკვა, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ (ოთხმოცდაათიან წლებში) მთელი ქონება (შვიდას ორმოცდაათი მილიონი დოლარი) საქველმოქმედო ფონდებსა და პოლიტექნიკურ უნივერსიტეტებს გადაეცა.**



სიმართლე მალე გაირკვა. როგორც აღმოჩნდა, სამოციან წლებში ოტმენების წყვილმა ახალგაზრდა ინვესტორი ოურენ ბაფეტი გაიცნო და საკუთარი დანაზოგი, ორას ორმოცდაათი ათასი, ანდო. მან ერთ-ერთი კომპანიის თითო აქცია ორმოცდაორ დოლარად იყიდა და წააგო. რამდენიმე წელიწადში თითო აქციის ფასი ოცდაათ ათასამდე, ხოლო მოგვიანებით სამოცდარვა ათას დოლარამდე გაიზარდა.

ოურენ ბაფეტი ქალაქის ცოცხალი ლეგენდა გახდა.

**ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ მილიარდერის მშობლიური ქალაქი ომახა მისი შტაბბინააო.**

ოურენ ედვარდ ბაფეტი 1930 წელს ომახაში (ნებრასკას შტატი) ბირჟის მაკლერის ოჯახში დაიბადა. ბავშვობაში ნამდვილი ვუნდერკინდი იყო. არასდროს უჭირდა წაკითხული ინფორმაციის დამახსოვრება, რის გამოც ახალგაზრდა ერუდიტის წოდება მიიღო. გონებაში ზეპირად რამდენიმე ციფრის ერთმანეთზე გამრავლება შეეძლო.

პირველი ფინანსური ოპერაცია 6 წლის ასაკში წარმატებით შეასრულა — ბაბუის მაღაზიაში „კოკა-კოლას" 6-ბოთლიანი ყუთი 25 ცენტად იყიდა და თითო ბოთლი 5 ცენტად გაყიდა. რამდენიმეწლის შემდეგ საფონდო ბირჟაზე სცადა ბედი. მამის წყალობით, ბირჟის ახალ ამბებს ფლობდა.

**მამამისი ჯერ წვრილი მეწარმე იყო, შემდეგ კი კონგრესმენი გახდა და ოჯახი საცხოვრებლად ვაშინგტონში გადავიდა. მაგრამუორენს ვაშინგტონი არ უყვარდა და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, ისევ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, თანაც დედასთან ურთიერთობას გაურბოდა. ქალს უცნაური დაავადება ჰქონდა – როგორც კი თავს ცუდად იგრძნობდა, შვილებს შემოიკრებდა და საშინელ, შემაძრწუნებელ ამბებს უყვებოდა.**

11 წლისამ თავისთვის და დისთვის 38 დოლარად აქციები იყიდა. ცოტა ხანში აქციების ფასი გაიზარდა და, როგორც კი 40 დოლარს მიაღწია, ოურენმა ისინი სწრაფად გაყიდა, მაგრამ შეცდა — მომავალ კვირას აქციების ფასმა 200 დოლარს მიაღწია. ბაფეტმა პირველი გაკვეთილიმიიღო – არასდროს იჩქარო აქციების გაყიდვა.

13 წლისამ ქალაქში პრესის გავრცელების ცენტრში დაიწყომუშაობა — გაზეთებს არიგებდა.ქალაქისქუჩებს იმგვარად უვლიდა, რომ დროის მოკლე მონაკვეთში ბევრ კლიენტთან მიდიოდა და კოლეგებზე უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებდა.

უორენიფულს არასდროს ხარჯავდა და მისმა დანაზოგმა მალე 1500 დოლარს გადააჭარბა. ამ ფულით მიწის ნაკვეთი იყიდა და ადგილობრივ ფერმერებს მიაქირავა. დანაზოგი ერთიორად გაიზარდა. შემდეგ გატეხილ, მწყობრიდან გამოსულ სათამაშო აპარატებს ყიდულობდა, არემონტებდა და ყველაზე ხალხმრავალ ადგილებშიამონტაჟებდა.მოგებას ფართის მფლობელებს უყოფდა, თავად კი თვეში 600 დოლარი რჩებოდა.

უმაღლესი განათლების მისაღებად მშობლებმა პენსილვანიის უნივერსიტეტში გაუშვეს, მაგრამ ერთ წელიწადში უკან დაბრუნდა — პრაქტიკულად პედაგოგებზე მეტი იცოდა, მაგრამ ხვდეოდა, რომ თეორიული განათლება უნდა მიეღო და ვაშინგტონში, კოლუმბის უნუვერსიტეტში ჩააბარა (კემბრიჯში ასაკის გამო არ მიიღეს).



საინვესტიციო საქმეს ცობილი საბირჟო მოთამაშე ბენჟამენ გრემი უკითხავდა. ბაფეტი მისი საუკეთესო მოსწავლე იყო.უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასთან დაიწყო მუშაობა. ექვს წელიწადში ას ორმოცი ათას დოლართან ერთად გამოცდილებაც დააგროვა და საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტა. საკუთარ ქალაქში კომპანია „ბაფეტის ასოციაცია" შექმნა. გენერალურ მენეჯერებს 25 ათასი დოლარი დაუნიშნა ხელფასი, ხოლო საქმეში ჩადებული კაპიტალი – ას ხუთი ათასი დოლარი — ექვს თვეში გაასამმაგა.

**1963 წელს მისი კომპანიის აქციების ფასმა 102 მილიონამდე აიწია. ყოველთვის კარგი, მომგებიანი კომპანიების აქციებს ყიდულობდა. ფული „კოკა-კოლაში", „ჯილეტში", გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში", „უოლტ დისნეისა" და სხვა კომპანიებში დააბანდა.**

ამბობენ, რომ ბაფეტი მხოლოდ იმკომპანიების აქციებს ყიდულობს, რომელთა პროდუქტის მომხმარებელიც თავადაა — დილით „კოკა-კოლას" სვამს, „ჯილეტის" სამართებლით წვერს იპარსავს, გაზეთს კითხულობს... საყვარელი მულტპერსონაჟი კი დისნეის ძუნწი იხვი მაკდაკია, რომელიც ხშირად ამბობს: „დაზოგილი დოლარი მოგებული დოლარია!".

ამბობენ, რომ ბაფეტზე ძუნწი მილიარდერი დედამიწაზე არ არსებობს. მას ყოველთვის ენანება ფული საქველმოქმედო აქციებისთვის. ამ ფაქტის გასაბათილებლად2006 წელს 37 მილიარდი დოლარი საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადასცა.

**თუმცა ბაფეტს ფულის ხარჯვა მხოლოდ სხვებისთვის კი არა, საკუთარი სიამოვნებისთვისაც ენანება. იმ ბინაში ცხოვრობს, რომელიც 37 500 დოლარად შეიძინა. ტანსაცმელს სეილის დროს ან იაფ მაღაზიებში ყიდულობს და ათი წლის წინ შვიდას დოლარად შეძენილი „ჰონდით" დაბრძანდება.**

მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს ოჯახიც ჰყავს — ცოლი და სამი შვილი, მაგრამ... მისი ცოლი სუზანი ქმრის მარჯვენა ხელი და ერთგული თანამშრომელი იყო 1977 წლამდე. შემდეგ კაბარეში სიმღერა დაიწყო.ცოტა ხანში კი ლატვიელი ოფიციანტი ქალი ასტრიდ ვექსი გაიცნო და მასთან გადავიდა საცხოვრებლად. სხვათაშორის, ნათესავებისთვის განკუთვნილ საშობაო საჩუქრებზე ხელს სამივენი აწერენ — ოურენი, სიუზანი და ასტრიდი.

ოურენს შვილებთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს. როცა მის ვაჟს საკუთარი საქმის წამოწყება უნდოდა, ფირმა უყიდა, მაგრამ იჯარის ფულს ახდევინებდა. გოგონას კი ერთხელ ხელწერილი გაუფორმა, რომ მანქანის საყიდლად ფულს ასესხებდა.

მისი შვილებისთვის ცნობილია, რომ მემკვიდრეობის 99 პროცენტს მამა საკუთარ კომპანიას — მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ფონდს უტოვებს. სხვათაშორის, ბაფეტს უკვე დაწერილი აქვს გეგმა, რომლის მიხედვითაც მისმა თანამშრომლებმა მილიონერის გარდაცვალების შემდეგ უნდა იხელმძღვანელონ. რამდენიმეგვერდიანი წერილი-ინსტრუქცია ასე იწყება: „გუშინ მე გარდავიცვალე, მაგრამ..."



# ყველაზე ახალგაზრდა მხატვარი



ავსტრალიელმა აელიტა ანდრემ 9 თვის ასაკიდან დაიწყო ხატვა. გოგონა 2007 წელს დაიბადა და ხელოვნების სამყაროში მას ფენომენი მანამდე უწოდეს, ვიდრე ამ სიტყვის მნიშვნელობას გაიგებდა.

დღეისათვის აელიტას 14 ნახატი აქვს და უკვე ჰქონდა პერსონალური გამოფენები, მისი ნამუშევრები კი იმდენად ძვირად იყიდება, რომ გაყიდვებიდან შემოსული თანხა უკვე მიუახლოვდა მილიონ დოლარს. თუ ასე გაგრძელდა, აელიტა სულ მალე მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიონერიც გახდება.











## მექსიკაში გიგანტური თევზი იპოვეს

**მექსიკის სანაპიროზე გამოჩნდა გიგანტური ზომის თევზი, რომელსაც ზოგჯერ ლენტიან თევზსაც უწოდებენ. ის ზღვის ყველაზე გრძელი ბინადარია. მას კაშკაშა ვერცხლისფერი სხეული და წითელი ან ნარინჯისფერი ფარფლი აქვს.** გავრცელებული ინფორმაციით, მექსიკის სანაპიროზე გამოსული თევზი 6 მეტრი სიგრძისაა. ვიდრე თევზს წყალში დააბრუნებდნენ, მეცნიერებმა ნიმუშის აღება შეძლეს. ლენტიანი თევზი ზღვის სიღრმეში ბინადრობს და ნაპირზე იმ შემთხვევაში გამოდის, თუ ავად არის ან ტრავმა აქვს მიღებული. თევზი საშიში არ არის, რადგან კბილები არ აქვს.მის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ მოიპოვება. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა, როდესაც ხალხს ის ნაპირზე გამოსული უნახავს — პირველი 2001 წელს ბაჰამის კუნძულებზე მოხდა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე უცნაური დაზღვევა

**სადაზღვევო კომპანია Hullberry Insurance Company, რომლის ცენტრალური ფილიალიც ნიდერლანდებში, ამსტერდამში მდებარეობს, მოქალაქეებს უჩვეულო რისკებისგან დაზღვევას სთავაზობს.**
**მისი შეთავაზებების ჩამონათვალში ყველაზე უცნაური შემთხვევები კი ასე გამოიყურება:**



**დაზღვევა ბენზინის ფასის ზრდისგან.** იმ შემთხვევაში, თუ ბენზინის ფასი 15%-ით გაიზრდება, სადაზღვევო კომპანია ვალდებულებას იღებს, აანაზღაუროს დამატებითი ხარჯები შემდეგ 1000 ლიტრზე. დაზღვევის ღირებულება 19,95 ევროა წელიწადში.



**დაზღვევა კარის ჩაკეტვისგან.** თუ სახლიდან გახვედით, გასაღბი სახლში დაგრჩათ კარი კი ჩაგეკეტათ, სადაზღვევო კომპნია გადაიხდის 100 ევრომდე, რათა ამ გასაჭირისგან დაგიხსნათ, მაგრამანაზღაურება დამოკიდებულია კვირის დღესა და საათზე.



**დაზღვევა ლიფტში გაჭედვისგან.** თუ ლიფტში გაიჭედეთ,კომპანია აგინაზღაურებთ დაკარგულ დროს 75 ევროს გადახდით.სადაზღვევო პოლისის საფასურია 12-ან 28 ევრომდე წელიწადში.




**დაზღვევა ლატარეაში უიღბლობისგან.** ის, ვინც წლის განმავლობაში არანაკლებ 52-ჯერ ითამაშებს ლატარეას და საერთოდ ვერაფერს მოიგებს, კომპანიისაგან 2500 ევროს მიიღებს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა 1:4900-ია, რაც ურიგო არაა იმის გათვალისწინებით, რომ ალბათობა იმისა, რომ 6-ციფრიან ლატარეაში მოიგებ, 14 მილიონთან ერთია.წლიური შენატანი 12-28 ევრომდე მერყეობს.



**დაზღვევა მშრალი კანონისგან.** თუ ქვეყანაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება მშრალი კანონის შემოღების შესახებ, მაშინ დაზღვეული მიიღებს 500 ევროს სადაზღვევო კომპანიისაგან.საფასური— 12-28 ევრო წელიწადში.



**დაზღვევა ციხეში უდანაშაულოდ მოხვედრისგან.** იმას, ვისაც ეშინია უდანაშაულოდ ციხეში მოხვედრისა, შეუძლია სადაზღვევო კომპანიასთან გააფორმოს ხელშეკრულება და ზემოთ აღნიშნული უბედურების შემთხვევაში მიიღოს კომპენსაცია 500 ევროს ოდენობით. საფასური— 12-28 ევრო წელიწადში.



**დაზღვევა საკურთხეველთან უარის თქმისგან.** რათქმაუნდა, იმ ადამიანისთვის, რომელსაც ასე სასტიკად მოექცნენ, 100 ევრო არაფერია, მაგრამ თუ თქვენს მეწყვილეში დარწმუნებული არ ხართ, მაშინ უმჯობესია არ გარისკოთ. საფასური— 12-28 ევრო წელიწადში.



**დაზღვევა უცხოპლანეტელის მიერ გატაცებისგან.** შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე უჩვეულო დაზღვევაა. სადაზღვევო კომპანიის ხელშეკრულებაში წერია: „სადაზღვევო პრემია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერს მისი ნების გარეშე გაიტაცებენ დედამიწიდან უცხოპლანეტელები“. ამ შემთხვევაში დაზარალებული 5000 ევროს მიიღებს. საფასური— 12-28 ევრო წელიწადში.



**დაზღვევა სხვისი შვილისგან.** ვინაა დედა — დანამდვილებითაა ცნობილი, საკითხავია, თუ ვინაა მამა. მამაკაცებს, რომლებიც არ ენდობიან თავიანთ მეუღლეებს, შეუძლიათ დაეზღვიონ მოცემული რისკისგან. თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, ისინი 500 ევროს მიიღებენ.საფასური 12-28 ევრო წელიწადში.



**დაზღვევა ფარული კამერისგან.** კომპანია გთავაზობთ თქვენ ან თქვენს მეგობრებს სადაზღვევო პოლისს, რომელიც მის მფლობელს დაიცავს ფარული კამერით გადაღებისგან. თუ ეს მაინც მოხდება, მაშინ დაზარალებულმა შეიძლება მიიღოს 1000 ევრომდე.საფასური— 12-28 ევრო წელიწადში.




# ჰორიზონტალური ჩანჩქერი

**დასავლეთ ავსტრალიაში, კიმბერლის ოლქში ჰორიზონტალური ჩანჩქერიმდებარეობს. ჩანჩქერი განლაგებულია ტოლბოტის ყურეში.ეს ბუნებრივი ფენომენი შედგება ორი კანიონისგან, რომლებიც მდებარეობს მაკლარტი რეიჯის ქედებში. მოქცევა ამ კანიონებში წყლის უზარმაზარ მასებს მოადინებს და ქმნის 5 მეტრის სიმაღლის დროებით ჩანჩქერს.**



როდესაც დინების მიმართულება იცვლება, ჩანჩქერი ქედის მეორე მხარეს წარმოიქმნება. ორი კანიონი მდებარეობს პარალელურად განლაგებულ ქედებზე, რომლებიც ერთმანეთისგან 300 მეტრითაა დაშორებული. ერთი კანიონის სიგანე 20 მეტრია, ხოლო მეორისა — 10 მეტრი, სწორედ აქ წარმოიქმნება განსაკუთრებით ლამაზი ჩანჩქერი.

მოქცევის დროს კანიონის შესასვლელთან წყალი უფრო სწრაფად გროვდება, ვიდრე გატარებაა შესაძლებელი, სწორედ ამიტომ წარმოიქმნება ჩანჩქერის ეფექტი. მიქცევადა მოქცევა აქ ერთმანეთს ყოველ 6-5 საათში ცვლის და წყლის დონე 10 მეტრამდე იწევს. როდესაც დინება ნელდება, კანიონებში შესაძლებელი ხდება ნავით მოძრაობა.





# სად «კეთდება» ინტერნეტი



**შენობა, სადაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის ინტერნეტმომხმარებლების ძიების მოთხოვნები კმაყოფილდება, Google-ს ეკუთვნის. კომპანია Google-ს მონაცემთა ერთ-ერთი ბაზა ფოტოებზეა აღბეჭდილი.**

ამ ცენტრის შექმნამდე არც ისე დიდი ხნის წინ, 1969 წლის 29 ოქტომბერს, ARPANET-ის ორ კომპონენტს შორის პირველი კავშირი შედგა. ისინი ერთმანეთისგან 640 კილომეტრით იყვნენ დაშორებულნი. ერთი— კალიფორნიის უნივერსიტეტში, ქალაქ ლოს-ანჯელესში (UCLA), მეორე კი სტენფორდის კვლევათა ინსტიტუტში (SRI) მდებარეობდა. ჩარლი კლაინი ცდილობდა, დაკავშირებოდა სტენფორდის კვლევათა ინსტიტუტის კომპიუტერს და მისთვის მონაცემები გადაეგზავნა.მონაცემთა გადაცემის პროცესს სტენფორდის კვლევათა ინსტიტუტში ბილ დუვალი აკვირდებოდა.

ამ ისტორიული ექსპერიმენტის შედეგებს იგი კოლეგას ტელეფონის საშუალებით ამცნობდა. პირველი სეანსის მიმდინარეობისას მოხერხდა მხოლოდ სამი სიმბოლოს– LOG–ის გადაგზავნა, რის შემდეგაც ქსელმა შეწყვიტა ფუნქციონირება. LOG სიტყვა LOGON უნდა ყოფილიყო (ანუ სისტემაში შესვლის ბრძანება).სისტემის სამუშაო რეჟიმში დაბრუნება მხოლოდ საათნახევრის შემდეგ მოხერხდა და შემდეგი ცდა წარმატებით დასრულდა. ზუსტად ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ინტერნეტის დაბადების დღედ, რადგან ინტერნეტი სხვა არაფერია, თუ არა ერთმანეთთან დაკავშირებული უამრავი კომპიუტერი მთელი მსოფლიოს ტერიტორიაზე.




# აშშ-ის სტიქიის ზონაში ორი ათასამდე ქართველი ცხოვრობს

**ნიუ იორკში საქართველოს საკონსულოს ინფორმაციით, სტიქიის შედეგად ქართველების დაშავების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ მიუღიათ. ამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან საუბარში საქართველოს ვიცე-კონსული გიორგი ცეკვავა აცხადებს.**

**„ჯერ დაზარალებულებზე არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ არის შემოსული. საქართველოს მოქალაქეები მოსალოდნელი ამინდის შესახებ ორი დღით ადრე გავაფრთხილეთ და ვუთხარით, რომ დამორჩილებოდნენ იმ მითითებებს, რომელთაც ადგილობრივი ხელისუფლება გასცემდა“,** — აცხადებს გიორგი ცეკვავა.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, სტიქიის ზონაში 2 ათასამდე ქართველი ცხოვრობს.

**„გარეთ იქცევა ქვეყანა. არც შუქი მაქვს, არც ცხელი წყალი, არც გათბობა, არც ინტერნეტი და ეს „აიფონიც“ ჯდება — ბოლო ძაფი გარესამყაროსთან“,** — ასე ეხმაურება „ფეისბუქში“ ქართველი ჟურნალისტი დავით ნიკურაძე არსებულ ვითარებას.

**აშშ-ის ქარიშხალი „სენდი“ უტევს. ქარიშხალს, სულ ცოტა, 13 ადამიანი ემსხვერპლა აშშ-სა და კანადაში, კარიბის ზღვის რეგიონში კი დაღუპულთა რაოდენობა 70-ს აღწევს.**

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება კარგად მოემზადა სტიქიის წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი ზარალი და ზიანი გამორიცხული არ არის. პრეზიდენტმა მოუწოდა მოსახლეობას, იმ შემთხვევისთვის, თუ აუცილებელი გახდება ევაკუაცია, მკაცრად დაემორჩილონ ხელისუფლების მიერ გაცემულ მითითებებს.

**ქარიშხალმა დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი უშუქოდ დარჩა. სპეციალისტთა აზრით, ქარიშხლის შედეგად მიყენებული სავარაუდო ზარალი 20 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**




# ახალი წლის შემდეგ «რუსთავი 2»-ს ბევრი წამყვანი ჟურნალისტი დატოვებს

**როგორც „ივერიონთან“ საუბრისას „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთმა წამყვანმა ჟურნალისტმა აღნიშნა, ტელეკომპანიაში საქმე არც ისე კარგად მიდის, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.**




**„როგორც ცნობილია, „რუსთავი 2“ სხვადასხვა დროს გარკვეული მაქინაციებით კანონიერ მფლობელებს წაართვეს და ახლა ტელეკომპანიის დაბრუნებაზე მიდის საუბარი და დავა, რაც ჟურნალისტებსა და სარედაქციო პოლიტიკაზე ნეგატიურად აისახება“,** — ამბობს ტელეკომპანიის თანამშრომელი.

იგი ასევე საუბრობს უკვე შექმნილ ფინანსურ პრობლემებზე, რომლებიც სხვდასხვა გადაცემას შეექმნა „რუსთავი 2“-ზე.

რესპონდენტის თქმით, **„ფინანსური პრობლემები აქვს თუნდაც ისეთ ცნობილ და რეიტინგულ თოქ-შოუს, როგორიცაა „შუადღე“, ასევე ფინანსურად გაუჭირდა გადაცემას „დილა მშვიდობისა, საქართველო“.** ისიც ცნობილია, რომ დაიხურა პოპულარული ტელესერიალი „ალუბლების ქუჩა“ (სერიალის გადაღება აღარ მიმდინარეობს), ახლა კი საინფორმაციო გადაცემების რეორგანიზაციის ჯერიც დგება.

**„დიდი ალბათობით, ახალი წლის შემდეგ, შესაძლოა, ჩვენმა მაყურებელმა ბევრი ჟურნალისტი და წამყვანი სახე „რუსთავი 2“-ის ეთერში ველარ იხილოს. ჩვენ უკვე „რუსთავი 2“-ში ყოფნის დღეებს ვითვლით“,** — აცხადებს ჟურნალისტი.

# ამერიკელებს ეგვიპტეში ამერიკული სიმბოლიკის მოშორებას სთხოვენ

**ეგვიპტეში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო იქ მყოფ თანამემამულეებს ურჩევს, არ ატარონ ისეთი ტანსაცმელი და არ იარონ იმ მანქანებით, რომლებიც მათ მოქალაქეობაზე მიუთითებს. უსაფრთხოების ზომები გამოქვეყნებულია საელჩოს ოფიციალურ საიტზე.**



უსაფრთხოების ზომების ჩამონათვალი ერთობ ვრცელი და დეტალურია. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ **ამერიკის მოქალაქეებმა სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ, რადგან ადგილობრივ პოლიციას მათი დაცვა არ შეუძლია.** სწორედ ამიტომ ურჩევს აშშ-ის საელჩო ამერიკელებს, არ გადაადგილდნენ ერთი და იმავე მარშრუტით და ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ადგილზე არ გამოჩნდნენ ხოლმე. საჭესთან ყოფნისას მათ მინების აწევას და კარის შიგნიდან ჩაკეტვას ურჩევენ, საფრთხის შემთხვევაში კი მათ უნდა ასიგნალონ და უსაფრთხო ადგილისკენ გაემართონ (პოლიციის შენობის ან სასტუმროსკენ). **ამერიკელებმა თავი უნდა აარიდონ თავშეყრის ადგილებს და საკუთარი დღე ახალი ამბების გამოშვების გაცნობის შემდეგ დაგეგმონ.**

სექტემბრის ბოლოს აშშ-ის საელჩომ გაავრცელა მიმართვა, რომლითაც ეგვიპტეში მყოფ მისიონერებს თავდასხმების საფრთხის შესახებ ატყობინებდა. საფრთხემ ინტერნეტში ვიდეოფილმ „მუსლიმანთა უმანკოების“ გავრცელების შემდეგ სერიოზულად იმატა, რომელშიც მუჰამედი მატყუარად და გარყვნილად არის გამოყვანილი. ფილმი აშშ-ში გადაიღეს, რასაც ისლამურ ქვეყნებში და ევროპაში ანტიამერიკული გამოსვლები მოჰყვა.

2012 წლის სექტემბერში ლიბიის ქალაქ ბენღაზში ამერიკის საკონსულოზე თავდასხმის შედეგად 4 ამერიკელი დაიღუპა, მათ შორის — აშშ-ის ელჩი კრისტოფერ სტივენსი.

# რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინო დაბრუნდება



**„როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი გენადი ონიშენკო აცხადებს, რომ მისი უწყება მზად არის იმ მოთხოვნის განსახილველად, რომელიც რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლის დაშვებას ეხება.** ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. მისივე თქმით, „როსპოტრებნადზორი“ ქართული მხრიდან მხოლოდ ოფიციალურ მოთხოვნას ელოდება. ასევე აუცილებელი პირობაა უწყების სპეციალისტების საქართველოში ჩასვლა — ისინი ადგილობრივი დაწესებულებების ინსპექტირებას განახორციელებენ. „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი ასევე აცხადებს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების პოზიცია ჯერჯერობით ისევ გაურკვეველი რჩება, თუმცა, თუ ადგილობრივ ბიზნესს უნდა რუსეთის ბაზარზე მოსვლა და ხელისუფლება მათ ამაში ხელს არ შეუშლის, ამის განხილვა უკვე პოზიტიური წინაპირობაა.

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

# FEMEN-ის ლიდერმა არაბული არხის ეთერში გაიხადა




**მოძრაობა FEMEN-ის ლიდერი ირინა შევჩენკო ტელეარხ Al Jazeera-ს გადაცემა The Stream-ის პირდაპირ ეთერში გაშიშვლდა. ამით აქტივისტმა არაბულ ქვეყნებში გაბატონებული „შუასაუკუნეების ცრურწმენები“ გაპროტესტა.** გადაცემაში თანამედროვე მსოფლიოში ისლამისა და ფემინიზმის საკითხები განიხილებოდა. წამყვანის კითხვაზე: „ქალისთვის რა უკეთესია — ჩადრი თუ სიშიშვლე?“, პასუხად სტუმარმა მაისური გაიხადა და საკუთარი თვალსაზრისი კიდევ ერთხელ გამოხატა. წამყვანი ირინას საქციელმა აღაშფოთა და აღნიშნა, რომ ამ გადაცემაში ასე მოქცევა არ შეიძლება. FEMEN-ის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი საკუთარი იდეების გასავრცელებლად მზად არიან, ნებისმიერი ტრიბუნა გამოიყენონ. **„ირინას საქციელმა აჩვენა, რომ საზოგადოებაში თავისუფლების ხარისხი საზოგადოების შიშველ გოგონასთან დამოკიდებულებით გამოიხატება“,** — აღნიშნავენ ფემინისტური მოძრაობის აქტივისტები.




საქართველო
ყოველკვირეული გამოცემა
და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009